

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

თამთა აბრამიძე

**შავი ზღვის სრუტეების საკითხი წამყვან სახელმწიფოთა  
საგარეო პოლიტიკაში XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე**

ისტორიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაცია

სპეციალობა: ისტორია

ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ირაკლი გორგილაძე

ბათუმი

2022

შესავალი .....	4
<b>თავი I. სრუტეების საკითხი ევროპულ სახელმწიფოთა ეკონომიკურ და სამხედრო უსაფრთხოების სისტემაში .....</b>	<b>10</b>
1.1 ბოსფორი და დარდანელი წამყვან სახელმწიფოთა გლობალურ ინტერესებში (XVIII-XIX სს.) .....	10
1.2 პოლიტიკური ბრძოლის მექანიზმები I მსოფლიო ომის პერიოდში, სრუტეების საკითხი და საერთაშორისო ურთიერთობათა „ახალი სისტემა“ .....	18
<b>თავი II. მონტრეს კონვენცია და ძალთა ბალანსის “ახალი სისტემა” .....</b>	<b>35</b>
2.1 პოლიტიკური დაპირისპირების სტრუქტურა მონტრეს კონფერენციაზე და მისი მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში .....	35
2.2 გეოპოლიტიკური ვითარების ცვლა შავ ზღვაზე II მსოფლიო ომის პერიოდში ...	63
2.3 შავი ზღვის სრუტეების საკითხი საერთაშორისო კონფერენციებზე II მსოფლიო ომის პერიოდში .....	115
<b>თავი III. გეოპოლიტიკური ინტერესები და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა II მსოფლიო ომის შემდეგ .....</b>	<b>125</b>
3.1 ბერლინის (პოტსდამის) კონფერენცია და სრუტეების საკითხი .....	125
3.2 ომის შემდგომი მსოფლიოს რეგულირების მექანიზმები და მონტრეს კონვენციის რევიზიის მცდელობა .....	136
<b>თავი IV. შავის ზღვის სრუტეები და „ახალი გეოპოლიტიკა“ .....</b>	<b>151</b>
4.1 სრუტეების საკითხი გლობალური ცვლილებების პერიოდში (ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის დაპირისპირება) .....	151
4.2 გეოპოლიტიკური ცვლილებები XX-XXI საუკუნის მიჯნაზე და სრუტეებზე რეჟიმთა რევიზია .....	159
<b>დასკვნა .....</b>	<b>172</b>
<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>179</b>

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი ..... (ხელმოწერა)

თარიღი

## შესავალი

უძველესი დროიდან სრუტეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც ცალკეული ქვეყანებისა და სახელმწიფოს ასევე ხალხთა ცხოვრებაში. შავი ზღვისპირა-ხმელთაშუა ზღვისპირა რეგიონის ეკონომიკური და კულტურული განვითარება ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს - მითი (ლეგენდა) არგონავტებზე, რომლებიც უძველესი საბერძნეთიდან კოლხეთისაკენ „ოქროს საწმისის“ საძიებლად გამოემართენ. (ურუშაძე 1948:7)

თუმცა, სრუტეები ყოველთვის როდი გამოიყენებოდა მშვიდობიანი მიზნებისთვის. ჯერ კიდევ სპარსეთის შაჰმა ქსერქსემ ააგო ხიდი დარდანელზე, რომლის გავლითაც, 480 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, თავისი ჯარი საბერძნეთისაკენ მიმართა. ასევე მოიქცა ალექსანდრე მაკედონელი 334 წელს ჩვენწელთაღრიცხვამდე როცა თავისი უძლეველი ჯარით აღმოსავლეთისაკენ გაემართა. 1453 წელს შავიზღვისპირა სრუტეები თურქეთის სულთან მეჰმედ II-მ, კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდების მიზნით გამოიყენა. (სვანიძე 2007:35-36)

სამხედრო მიაზნებისთვის სრუტეები გამოიყენებოდა მოგვიანებითაც, XX საუკუნის ჩათვლით.

სწორედ ეს ორი - სამშვიდობო და სამხედრო ასპექტი, დამახასიათებელია შავიზღვისპირა სრუტეებისათვის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მშვიდობიანი მიზნებისათვის სრუტეების გამოყენების პერიოდი - გემთმომოსვლის, ვაჭრობის, სხვადასხვა ფორმის ეკონომიკური თანამშრომლობის და კულტურული ურთიერთობის სფეროების გათვალისწინებით - მათი სამხედრო მიზნებით გამოყენების პერიოდთან შედარებით, განუსაზღვრელად დიდია.

ევროპულ სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების და საერთაშორისო ვაჭრობის, მათ შორის გასაღების ბაზრისა და ზემოქმედების სფეროების კონკურენციის წარმოშობამ შავიზღვისპირა სრუტეების როლის კიდევ უფრო ზრდა გამოიწვია.

მე-19 საუკუნემდე, ოსმალეთის იმპერია, რომელიც იმ დროის, მნიშვნელოვანი სამხედრო ერთეულს წარმოადგენდა, სამყაროს სრუტეების გამოყენების წესებს კარნახობდა. ამიტომ ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო ცდილობდა მოლაპარაკებოდა პორტას სრუტეებში თავიანთი ხომალდებისათვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფის შესახებ - რისთვისაც დიპლომატიას, ზოგჯერ კი სამხედრო ძალასაც იყენებდა.

მე-19 საუკუნის შუა ხანებისათვის, ოსმალეთის იმპერიის დასუსტებასთან ერთად შავიზღვისპირა სრუტეების მიმართ, ევროპის სახელმწიფოების ინტერესების მნიშვნელოვანი ზრდა დაიწყო. თუმცა, სამხედრო ძალათა თანაფარდობა და ეკონომიკური პოტენციალი, რთული ურთიერთდამოკიდებულება და მათ შორის ასებული უთანხმოებანი იმ დროისათვის არ აძლევდა არცერთ მათგანს უფლებას, მოლაპარაკებულიყვნენ სულთანს სრუტეების საკითხში. აღსანიშნავია ნიკოლოზ I-ის სიტყვები (რუსეთის ელჩისათვის გაგზავნილი მითითება, რომელიც მას ინგლისის ხელისუფლების მეთაურთათვის უნდა გადაეცა): „კონსტანტინოპოლი არასოდეს ჩაუვარდება ხელში ინგლისელებს, არც ფრანგებს, არც ერთ სხვა დიდ ერს... შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ ვითარებამ მაიძულოს კონსტანტინოპოლის დაკავება“. და იქვე დასძინა, რომ მას არავითარი სურვილი არ აქვს თავი წარმოაჩინოს, როგორც კონსტანტინოპოლის მესაკუთრემ. დროებითი მმართველობა რუსეთის იმპერატორისათვის სავსებით საკმარისი იყო - მისივე აზრით. (ლავროვა 2001:40-41)

ასეთ პირობებში იბადებოდა შავიზღვისპირა სრუტეების გამოყენების შესახებ საერთაშორისო კონვენციის შექმნის იდეა. პირველ კონვენციას ხელი მოეწერა ლონდონში 1841 წელს. ხელმოწერაში მონაწილეობდნენ: რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია, პრუსია და თურქეთი. კონვენციის მიხედვით უცხოურ სამხედრო ხომალდთა მიმოსვლა სრუტეებში იკრძალებოდა, მცირე სამხედრო ხომალდების გამოკლებით, რომლებიც “მეგობრულად განწყობილი“ სახელმწიფოების საკუთრებას წარმოადგენდნენ, მათი მიმოსვლა ნებადართული იყო საკუთრივ სულთანის მიერ. (ყალიჩავა 2014:37)

მე-20 საუკუნეში ევროპულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების გამწვავების გამო, ორი ერთმანეთის საპირისპირო სამხედრო ძალის

წარმოშობასთან ერთად და მათ შორის ომის დაწყების საშიშროების და ასევე შავიზღვისპირა სრუტეების გამოყენების არსებული წესების დაუცველობის შიშით, რუსეთის ხელისუფლებაში მწიფდებოდა სრუტეებზე კონტროლიოს დამყარების იდეა. პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას ინგლისის ხელისუფლებამ, სურდა რა რუსეთი დაეტოვებინა პირველი მსოფლიო ომის მონაწილეთა შორის, დაპირდა მას რომ გადასცემდა სრუტეებს გერმანიასა და თურქეთზე გამარჯვების შემთხვევაში, რაც ნოტათა გაცვლით იქნა დაფიქსირებული. როცა ლონდონი, იმავე დროს, ცდილობდა დარდანელის ძალისმიერ ხელში ჩაგდებას. თუმცა ოპერაცია რომლის ინიციატორი ინგლისის სამხედრო-საზღვაო მინისტრი უ. ჩერჩილი იყო, ჩაიშალა. ინგლისის საექსპედიციო კორპუსმა 1915 წელს თურქული რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში წარუმატებლობა განიცადა. (Виноградов, 1991:101-102)

საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველივე დღეებიდან ანულირება გაუკეთა მეფის რუსეთის ყველა არაკანონიერ ხელშეკრულებას, მათ შორის ხელშეკრულებებს სრუტეებთან მიმართებაში და დაამყარა მეგობრული ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკასთან მუსტაფა ქემალის (ათათურქის) მეთაურობით. მოსკოვმა მიიღო თურქეთის ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული წინადადება, სრუტეების შავიზღვისპირა სახელმწიფოების მიერ მართვის შესახებ, ანუ სრუტეების საკითხი შავიზღვისპირა სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ რჩებოდა. თუმცა ეს ვერ განხორციელდა. რის მიზეზადაც შეიძლება, თვით შავიზღვისპირა სახელმწიფოთა შორის არსებული უთანხმოებები და მსოფლიო არენაზე ძალთა თანაფარდობის ცვლა შეიძლება მივიჩნიოთ.

მოსკოვმა, ლოზანის მშვიდობიან კონფერენციაზე აქტიურად დაუჭირა მხარი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. (სვანიძე, 2002:314-315)

1923 წლის ლოზანის კონფერენციაზე ხელი მოეწერა მშვიდობიან ხელშეკრულებას ანტანტის სახელმწიფოთა და თურქეთის ხელისუფლებას შორის, შავიზღვისპირა სტრუტეების რეჟიმის შესახებ, რომელიც 1936 წლამდე მოქმედებდა, როცა ძალაში შევიდა ახალი კონვენცია, რომელიც მონტრეს

კონვენციის სახელით არის ცნობილი. სწორედ მონტრეს კონვენცია ითვლება დღეს მოქმედ კონვენციად.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში მიმდინარე გლობალურმა ცვლილებებმა კი, საბჭოთა კავშირის დაშლამ, მთელი რიგი პრობლემები წარმოშვა.

მსოფლიო არენაზე რუსეთის ძალის შესუსტებით, მისი რთული ეკონომიკური მდგომარეობით, შიდაპოლიტიკური არასტაბილურობით ისარგებლა თურქეთმა და აშშ-სა და ნატო-ს სახელმწიფოთა მხარდაჭერით, შეეცადა შეესუსტებინა რუსეთის გავლენა შავიზღვისპირა რეგიონზე. ამ მიზნით, თურქეთმა 1994 წელს ცალმხრივად შემოიღო ახალი რეგლამენტი სრუტეებში ხომალდთა მიმოსვლისა, რომელიც პირდაპირ ეხებოდა შავიზღვისპირა ქვეყნების ინტერესებს. ეს, განსაკუთრებითაზარალებდა რუსეთს, რომლის შიდასავაჭრო ურთიერთობათა ნახევარზე მეტი (საბჭოთა წყობილების დროს), სწორედ ამ სრუტეების გავლით ხორციელდებოდა.

**თემის აქტუალობა:** თანამედროვე ეტაპზე სრუტეების საკითხმა კვლავ შეიძინა აქტუალობა პირველადი მნიშვნელობის საკითხთა შორის ჩადგა, როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო უსაფრთხოების თვალსაზრისით.

არსებული მდგომარეობა ღრმა გეოპოლიტიკური გაანალიზების აუცილებლობას მოითხოვს. ასევე აუცილებელია პოლიტიკური მექანიზმების შესწავლა, რაც ბრძოლის ახალ საშუალებებსა და მეთოდების შემუშავებას გულისხმობს, რომლებიც სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესებს, აგრეთვე მათ გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ მიზნებს მოიცავს. სწორედ აქედან იქნა წამოჭრილი, ზემოაღნიშნული საკითხის კომპლექსური კვლევის იდეა.

**ბიბლიოგრაფია და კვლევის ხარისხი:** საკითხის ღრმა კვლევის პირველ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს 1997 წელს გამოცემული წიგნი „შავიზღვისპირა სრუტეები“, რომელიც მოიცავდა მე-18-20 საუკუნეების საკითხების შესწავლას. 1999 წელს, ასევე რუსეთში გამოიცა კოლექტიური ნაშრომი „რუსეთი და შავიზღვისპირა სრუტეები“, რომელშიც საუბარია რუსეთის, ევროპული ქვეყნებისა და თურქეთის დამოკიდებულებაზე ზემოაღნიშნული საკითხისადმი და ამ ფაქტორთა შავიზღვისპირა სრუტეების გამოყენების რეჟიმებზე. მიუხედავად რიგი ძლიერი მხარეებისა (სოლიდური დოკუმენტური

ბაზა, წყაროთა ფართო სპექტრი და ა.შ) ნაშრომი, სრულფასოვნად ვერ იქნა გაანალიზებული ლოზანოსა (1922-1923) და შემდგომ მონტრეს (1936) კონვენციების ფორმირების წინაპირობა, რამაც განსაზღვრა შავიზღვისპირა სრუტეების მუშაობისა და გამოყენების რეჟიმები. თვით წიგნში ნათქვამია, რომ „ლოზანის კონვენციამ, შავიზღვისპირა სრუტეების რეჟიმის შესახებ, გამოხატულება ჰპოვა მხოლოდ რამდენიმე სამამულო მკვლევართა სტატიებში, რომლებიც აანალიზებდნენ როგორც კონვენციას, ასევე მისი რეალიზების საკითხს“. მონტრეს 1936 წლის კონვენციის შესახებ აღნიშნული მიმართულებით მართალია გამოქვეყნებულია თუმცა კიდევ უფრო მცირე დოზით.

**ნაშრომის მიზანია** წარმოავადგინოთ აღნიშნული საკითხის ირგვლივ კომპლექსური გეოპოლიტიკური ანალიზი - მათ შორის, ძალთა თანაფარდობის და სახელმწიფოთა მიზნების და სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით. გამოავლინოთ, რა გზით და მეთოდებით ხორციელდებოდა შავიზღვისპირა სრუტეების რეჟიმების საკითხთა გადაწყვეტა და რომელი რეჟიმი და პირობები მიიჩნევა საუკეთესოდ მიმდებარე ქვეყნებისთვის. ასევე, ჩვენი მიზანია, შეგვესწავლა და ნაშრომში ჩაგვეერთო ახალი დოკუმენტები და მასალები (განსაკუთრების 90-იანი წლების გახსნილი არქივებიდან).

**კვლევის საგანს** წარმოადგენს ევროპის წამყვან სახელმწიფოთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მექანიზმების შესწავლა, შავიზღვისპირა სრუტეების რეჟიმებთან დაკავშირებით. რაც ნაშრომში განხილული გვაქვს საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოთა სტრატეგიული ინტერესების ჭრილში.

**კვლევის ობიექტია** მსოფლიო წამყვან სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესები შავიზღვისპირა სრუტეებში.

დისერტაციაში გამოყენებულია მასალათა ფართო სპექტრი. განსაკუთრებით მანამდე უცნობი დოკუმენტური მასალა (90-იან წლებში გახსნილი მასალები), რამაც საშუალება მოგვცა საკითხი განსხვავებული კუთხით წარმოგვეჩინა. დისერტაციაში შესწავლილია და გამოყენებულია ნოტათა მიმოწერა სტენოგრაფიული ჩანაწერები, რუსეთის, თურქეთის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის ხელისუფალთა მითითებები და „დირექტივები“. შესწავლილი იქნა თეირანის, იალტის, პოტსდამის სახელმწიფოთა მეთაურთა კონფერენციების და მოსკოვის



საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედების მასალები.

გამოყენებულია უცხოური ლიტერატურის ფართო სპექტრი. ბრიტანეთის „ფორინ ოფისის“ და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან ამოღებული და გაციფრებული დოკუმენტები, რომლებიც ლონდონსა და ვაშინგტონში იქნა გამოქვეყნებული.

დეტალურად იქნა შესწავლილი ლოზანოსა და მონტრეს კონვენციები. კრიტიკულად იქნა შეფასებული უცხოური ან ადგილობრივი დოკუმენტები,

უკანასკნელ, მსხვილ ნაშრომად, რევოლუციამდელ რუსეთში წარმოგვიდგება ბ. ე. ნოლდეს წიგნი, რომელშიც ხაზგასმულია შავიზღვისპირა სრუტეების მნიშვნელობაზე, არა მარტო რუსეთისათვის, არამედ თურქეთისათვისაც და მიიჩნევა, რომ ეს უფრო რუსულ-თურქულ ურთიერთობათა სფეროს ეხება, ვიდრე რუსეთის ევროპის წამყვან სახელმწიფოებთან ბრძოლას, შავიზღვისპირა სრუტეებზე თავისი კონტროლის დამყარებისა და განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებამ და ძალთა თანაფარდობის შეცვლამ მსოფლიო არენაზე, საბჭოთა ხელმძღვანელობას საშუალება მისცა ეცადა მონტრეს კონვენციის თავის სასარგებლოდ გადახედვა, რაც არგუმენტირებული იყო ბ. ა. დრანოვასა და ა. ფ. მილლერის მონოგრაფიებში. ასევე საინტერესოა მსუ-ის (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მეცნიერთა ნაშრომები, რომლების ამ საკითხს განიხილავენ რუსეთის ბალკანეთის საკითხთან დაკავშირებულ ჭრილში.

არსებობს მრავალი ლიტერატურა, რომელიც მოგვითხრობს დიდ სახელმწიფოთა და თურქეთს შორის მრავალი ასეული წლის მანძილზე მიმდინარე ბრძოლებსა და ურთიერთობებს. მათში, პირდაპირ ან ირიბად, წამოჭრილია შავიზღვისპირა სრუტეების პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემები.

შესაბამისად წარმოდგენილი ნაშრომი ავტორის ზემოაღნიშნული საკითხის შესწავლის, პრობლემის ევოლუციის მოკრძალებული მცდელობაცაა.

## თავი 1. სრუტეების საკითხი ევროპულ სახელმწიფოთა ეკონომიკურ და სამხედრო უსაფრთხოების სისტემაში

### *1.1. ბოსფორი და დარდანელი წამყვან სახელმწიფოთა გლობალურ ინტერესებში (XVIII-XIX სს.)*

ბიზანტიის დაცემისა (დამარცხების) და 1453 წელს ოსმალეთის იმპერიის მიერ კონსტანტინოპოლის და შემდეგ, მთელი შავიზღვისპირა მიწების დაპყრობის შემდეგ რუსეთი იძულებული გახდა დაეძლია ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგობა სრუტეებთან მიმართებით, რათა დაეცვა თავისი სასიცოცხლო მნიშვნელობის სამხრეთ შავიზღვისპირა სანაპირო და უზრუნველყო თავისი სამხედრო და სავაჭრო ხომალდების მიმოსვლა სრუტეებში.

საკითხის გადაჭრა რუსეთმა ჯერ კიდევ პეტრე დიდის პერიოდიდან დაიწყო. პეტრემ დაიწყო ფლოტის აგება და პირველმა შეეცადა გაეთავისუფლებინა აღმოსავლეთ ტერიტორიები. თითქმის 100 წელი დასჭირდა რუსეთს იმისათვის, რომ გაეთავისუფლებინა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი. 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების მიხედვით ყირიმის სახანო თურქეთის მიერ ცნობილი იქნა დამოუკიდებელად, ხოლო შავიზღვისპირა სანაპიროს ციხესიმაგრეები ქერჩი, ენიკალე და კინბურნი გადავიდა რუსეთის ძალაუფლების ქვეშ. მოლდოვამ და ვალახიამ ავტონომიების სტატუსი მიიღო. პორტამ ცნო რუსეთის თავისუფალი ვაჭრობა, იმ მოცულობით, რომელსაც დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი იყენებდნენ, ასევე რუს ვაჭრებს უსაფრთხოების უზრუნველყოფა აღუთქვა ტრიპოლს, ტუნისსა და ალჟირში. ხელშეკრულების მიხედვით, რუსული სავაჭრო ხომალდები იღებდნენ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში თავისუფალი მიმოსვლის უფლებას. (სვანიძე, 2002:104)

1791 წლის იასის ხელშეკრულების თანახმად რუსეთი ითვლებოდა მთელი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის (დნესტრიდან ყუბანამდე) მფლობელად, ყირიმის ჩათვლით. პორტამ უარი თქვა საქართველოზე და პირობა დადო, არ განეხორციელებინა მტრული თავდასხმები საქართველოსა და ყუბანის მიწებზე.

1798 წელს ნაპოლეონის მიერ ეგვიპტეში ფრანგული ჯარების გადასხმის გამო, რომელიც ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, თურქეთი

დაუკავშირდა რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს, ფრანგ რევოლუციონერებთან წინააღმდეგ ბრძოლაში. 1799 წლის იანვარში, კონსტანტინოპოლში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, რუსეთის სამხედრო ხომალდებს შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში და პირიქით ტავისუფალი ნაოსნობის უფლება მიეცათ. რუსეთმა, პირველად, მიიღო უფლება გაეტარებინა სამხედრო ხომალდები შავიზღვისპირა სრუტეებში. ეს 8 წლიანი ხელშეკრულება იყო. 1805 წლისათვის თურქეთმა რუსეთს ახალი ხელშეკრულება შესთავაზა, რომელსაც ხელი მოეწერა კონსტანტინოპოლში. ხელშეკრულებით ცხადდებოდა მშვიდობა, მეგობრობა და სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლურ დამოკიდებულება, რაც ტერიტორიული მთლიანობის გარანტს ქმნიდა და ავალდებულებდა მხარეებს ერთობლივად გადაეჭრათ მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხები. რუსეთი და თურქეთი შეთანხმდნენ სრუტეები დახურულად ეცნოთ უცხო ქვეყანათა სამხედრო და სამხედრო ხასიათის ტვირთის გადამზიდი ხომალდებისათვის. ე.ი. შავი ზღვა განიხილებოდა, როგორც შავიზღვისპირა სახელმწიფოების „დახურული ზღვა“, რომელშიც უცხო ქვეყნების სამხედრო ხომალდებისათვის „შესვლა“ აკრძალული იყო. სრუტეთა ასეთი რეჟიმი საუკეთესოდ პასუხობდა შავიზღვისპირა სახელმწიფოთა ინტერესებს. ამ კავშირის ძირითადი მიზანი საერთო მტრის, ფრანგების წინააღმდეგ გალაშქრება იყო. დიდი ბრიტანეთი, ავსტრია და პრუსია საფრანგეთის მოწინააღმდეგენი იყვნენ ამ დროს. ისინი მთლიანად იყვნენ „ჩაფლულნი“ მასთან ბრძოლაში და ვერ მოახერხეს რუსულ-თურქულ ურთიერთობებზე გავლენა, მით უმეტეს, რომ რუსეთი უკვე იყო ამ ანტიფრანგული კოალიციის წევრი. რუსეთი და თურქეთი საკმაოდ ძლიერი სამხედრო სახელმწიფოები იყვნენ, რომ დაეცვათ თავიანთი გადაწყვეტილებები. რაც შეეხება რუსულ სამხედრო და სატრანსპორტო ხომალდებს, ომის პერიოდში თურქეთმა აიღო ვალდებულება ყოველმხრივ შეეწყო ხელი მათთვის თავისუფალი მიმოსვლის საკითხში. ხელშეკრულება 9 წლით დაიდო, მაგრამ მოქმედება მან გაცილებით ადრე შეწყვიტა. აუსტერლიცთან გამარჯვების შემდეგ, თურქეთმა მისაღებად ჩათვალა საფრანგეთთან დაახლოება. საფრანგეთით აჟიტირებული თურქეთი რუსეთთან კონფლიქტზე წავიდა, რამაც ორ ქვეყანას შორის ექვსწლიანი ომი გამოიწვია. 1812 წლის ივნისში ნაპოლეონმა დაიწყო „მარშირება“

რუსეთისაკენ, რომელიც მისი არმიის სრული კრახით დასრულდა. (სვანიძე, 2002:111-114)

1831 წელს ეგვიპტის ფაშა მუჰამედ ალიმ თავისი სუზერენის თურქეთის სულთან მაჰმუდ II-ის წინააღმდეგ გაილაშქრა. ნიკოლოზ I-მა მას აქტიურად დაუჭირა მხარი. 1833 წლის გაზაფხულზე რუსეთის არმიის დესანტის ნაწილი გადმოსხა ბოსფორის აზიურ სანაპიროზე და შეაჩერა ეგვიპტური ჯარების სვლა კონსტანტინოპოლისაკენ. ემინოდათ რა თურქეთში რუსეთის გავლენის გაძლიერებისა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა მოსთხოვეს მაჰმუდ II-ს „შერიგებოდა“ მუჰამედ ალის. 1833 წელს მიღწეული შეთანხმებით სირია, პალესტინა და ლიბანი მუჰამედ ალის გადაეცა. მუჰამედ ალიმ თავი სულთანის ვასალად ცნო და თავისი ძალები ანატოლიიდან გაიყვანა. რუსული ჯარების თურქეთიდან გამოყვანამდე თურქეთის სულთანმა პირობა მისცა რუსეთის ელჩს ა.ფ. ორლოვს, რომ ხელი მოეწერებოდა ახალ ხელშეკრულებას მშვიდობისა და თანამშრომლობის შესახებ. 1833 წლის 26 ივნისს (8 ივლისს) კონსტანტინოპოლის მახლობლად ხელი მოეწერა შეთანხმებას, რვა წლიანი ვადით. მას ერთვოდა სპეციალური საიდუმლო მუხლიც, რომლის მიხედვით პორტა ვალდებულებას იღებდა ომის შემთხვევაში რუსეთის მოთხოვნის შესაბამისად დაეკეტა დარდანელი უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდებისათვის. ეს იყო უკანასკნელი ხელშეკრულება, რომელიც სრუტეების რეჟიმის განსაზღვრას შავისღვისპირა სახელმწიფოების უფლებად თვლიდა. ხელშეკრულების ხელმოწერამ უკმაყოფილება გამოიწვია ლონდონსა და პარიზში. ამ სახელმწიფოებმა პროტესტი თავიანთი სამხედრო ძალების თურქეთის სანაპიროებისაკენ გაგზავნით გამოხატეს. (სვანიძე, 2002:150-152)

1833 წლის ოქტომბერში ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობის მიერ რუსეთის მთავრობისათვის გაგზავნილ ნოტაში ნათქვანი იყო, რომ „თუ აქტის პირობების თანახმად, რუსეთის სამხედრო ძალები ჩაერეოდა თურქეთის საშინაო პოლიტიკაში, ბრიტანეთი და საფრანგეთი თავს უფლებას მისცემდნენ, მოიქცნენ ისე, თითქოს აქტი საერთოდაც არ არსებულა“ (Нольде, 1915:34).

აღნიშნულთან დაკავშირებით რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის დავალებით საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა კ. ვ. ნეცელროდმა განაცხადა, რომ

რუსეთს განზრახული აქვს შეასრულოს ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები ისე, თითქოს ეს ნოტები არ არსებულა“. (Нольде, 1915:35).

1839 წელს კვლავ გაღრმავდა ეგვიპტის კრიზისი. რამაც საფუძველი მისცა თურქეთს და ეგვიპტეს უკმაყოფილება გამოეხატათ კუტახიის შეთანხმებაზე. 1839 წელს თურქეთის არმია თავს დაესხა ეგვიპტის არმიას სირიაში, რომელიც კუტახიის შეთანხმების მიხედვით მუხამედ ალის ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდა. თურქეთის არმია დამარცხდა და სულ მალე თურქეთის ფლოტიც გადავიდა მუხამედ ალის მხარეზე. იმის შიშით, რომ რუსეთის სამხედრო ძალები გამოჩნდებოდნენ სრუტეში, ინგლისის მთავრობამ გამოთქვა ინიციატივა კოალიციის შექმნის შესახებ, რომლის მიზანიც იქნებოდა თურქეთის მხარდაჭერა მუხამედ ალის წინააღმდეგ. ინგლისის მთავრობას სურდა გაემლიერებინა თავისი ზეგავლენა ეგვიპტესა და ახლო აღმოსავლეთში. ინგლისის ინიციატივას გამოეხმაურა ავსტრია და პრუსია. არცერთ ზემოაღნიშნულ სახელმწიფოს არ სურდა ძლიერი ეგვიპტის ჭარმოშობა, რომელსაც მხარს საფრანგეთი უჭერდა. რუსეთს არ შეეძლო გვერდით მდგარიყო. ასევე რუსულმა დიპლომატიამ, ევროპაში დაწყებული რევოლუციური მოძრაობების ფონზე, კოალიციის შექმნაში დაინახა ავსტრიასა და პრუსიასთან დაახლოების საშუალება. 1840 წლის ივლისში, ლონდონში ხელი მოეწერა კონვენციას ერთი მხრივ რუსეთს, ინგლისს, ავსტრიასა და პრუსიას და მეორე მხრივ თურქეთს შორის, ეგვიპტის ფაშის წინააღმდეგ კოლექტიური დახმარების შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ დიპლომატიური, საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ზეწოლა მოეხდინათ მუხამედ ალიზე. სულთანს აღეთქვა ყოველმხრივი დახმარება და აღინიშნა, რომ სრუტეებში სამხედრო ხომალდების გამოჩენა არ ცვლიდა სრუტეებში უცხოური სამხედრო ხომალდებისათვის დადგენილ წესს, რომლის მიხედვითაც სრუტეები დახურულად ითვლებოდა ამ ტიპის ხომალდებისათვის. მხარეებმა მოსთხოვეს მეხამედ ალის თურქეთისათვის დაებრუნებინა ყველა მიტაცებული ტერიტორიის ეგვიპტისა და პალესტინის გამოკლებით. ფაშამ უარი განაცხადა. რის გამოც ინგლისმა და ავსტრიამ თურქეთთან ერთად დაიწყეს სამხედრო მოქმედებანი ეგვიპტის წინააღმდეგ, რომლებიც მუხამედ ალის კაპიტულაციით დამთავრდა.

საფრანგეთმა, რომელიც ფორმალურად მხარს უჭერდა ეგვიპტეს, თავისი სამხედრო ძალების გამოყენებისაგან თავი შეიკავა. უნქიარ-ისქელესის შეთანხმების ვადის ამოწურვის გამო 1841 წელს ივლისში ლონდონში გაიმართა მეორე კონფერენცია (რუსეთი, ინგლისი, ავსტრია, საფრანგეთი, პრუსია და თურქეთი), რომელზეც 1 (13) ივლისს ხელი მოეწერა კონვენციას შავიზღვისპირა სრუტეების შესახებ. „ბოსბორი და დარდანელი გამოცხადდა დახურულ სრუტეებად ყველა ქვეყნის სამხედრო ხომალდებისათვის, თუ თურქეთი არ იმყოფებოდა ომის მდგომარეობაში“ (Ключников, Сабанин, 1925:154). სულთანს რჩებოდა უფლებამოსილება გაეცა ნებართვა სრუტეებში მცირე ხომალდების მიმოსვლისა, რომლებიც „მეგობარი“ ქვეყნების საელჩოთა ქვეშ იმყოფებოდნენ. მაშინ, როცა დიდ სახელმწიფოთა ელჩები კონსტანტინოპოლში სამხედრო ხომალდებით შემოდისოდნენ.

1841 წლის ლონდონის კონვენციამ შავიზღვისპირა სრუტეების შესახებ რუსეთს შესაბამის სრუტეებზე პრივილეგირებული მდგომარეობისა უფლება ჩამოართვა.

1853 წელს მეფის რუსეთმა თურქეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო, დუნაის სამთავროში თავისი ჯარების შეყვანით. რუსეთი ცდილობდა სრუტეებზე მისთვის მისაღები რეჟიმის დაწესებას, ასევე თავისი პოზიციების გამყარებას ბალკანეთში. თურქეთთან კოალიციაში, რუსეთის წინააღმდეგ გამოვიდა ინგლისი და საფრანგეთი, რომლებიც ცდილობდნენ რუსეთის დასუსტებას, შავი ზღვის რუსული ფლოტის განადგურებას, რათა დაემყარებინათ მათთვის სასურველი სრუტეთა რეჟიმი რეგიონში და კონტროლი დაუძღვრებულ ოსმალეთის იმპერიაზე. ყირიმის ომი რუსეთის დამარცხებით დასრულდა.

1856 წლის პარიზის ტრაქტატის მიხედვით შავი ზღვა ნეიტრალურად და გემთმიმოსვლისათვის თავისუფლად გამოცხადდა. „შავი ზღვის წყლებსა და პორტებში შესვლა - „ფორმალურად და სამუდამოდ“ - როგორც ნათქვამი იყო ხელშეკრულების XI სტატიაში - ეკრძალებოდა სანაპირო სახელმწიფოთა სამხედრო ხომალდებს, ასევე ნებისმიერი უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდებს, იმ გამონაკლისებით, რომლებზეც საუბარია XIV და XIX სტატიებში“. (Ключников, Сабанин, 1925:155) რუსეთსა და თურქეთს შავ ზღვაზე „მცირე“ ხომალდების ფლობის უფლება მიეცა, რომელთა გამოყენებაც სანაპირო

საჭიროებებისათვის იყო შესაძლებელი, რაზეც რუსეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს სპეციალურ კონვენციას. პარიზის ტრაქტატის ხელმომწერ ქვეყნებს (რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრია, პრუსია, სარდინია და თურქეთი) უფლება მიეცათ „ჰყლოდათ ორი „მცირე“ ხომალდი დუნაის შესართავთან“ (XIX სტატია) (Ключников, Сабанин, 1925:170-173).

პარიზის ტრაქტატი დიდ ზიანს აყენებდა რუსეთის პრესტიჟს, მის პოლიტიკურ და სამხედრო სტატუსს, მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინტერესებს. ამრიგად რუსული დიპლომატიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა, რაც შეიძლება მალე გათავისუფლებულიყვნენ პარიზის ტრაქტატის სტატიისაგან. საფრანგეთის დესპან მომტებელოსთან საუბარში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. მ. გორჩაკოვი ამბობდა: „მე არ ვმაღავ, რომ ჩვენ გვსურს თავი დავაღწიოთ 1856 წლის ხელშეკრულებას, გამოვრიცხოთ საერთაშორისო სამართლიდან შავი ზღვის ნეიტრალიტეტი. ჩვენ მივალწევთ ამას, რადგანაც ყოველთვის მივისწრაფოდით ამისაკენ“. (Нарочницкая, 1989: 35) თუმცა, მხოლოდ 1871 წელს მოახერხა რუსეთმა ამ საკითხის დარეგულირება. მთელი ამ ხნის განმავლობაში რუსეთი დიპლომატიური საშუალებებით იმზადებდა საფუძველს პარიზის ტრაქტატზე უარის თქმისათვის. ისარგებლა რა 1870 წლის საფრანგეთ-პრუსიის ომით, იმ დროის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. მ. გორჩაკოვმა დაუგზავნა პარიზის ტრაქტატის ხელმომწერ სახელმწიფოებში წარგზავნილ რუსეთის წარმომადგენლებს „დეპეშა“, რომელშიც ნათქვამი იყო: „მაშინ როცა რუსეთი განიარაღებას ახორციელებდა შავ ზღვაზე, ასევე დეკლარაციის საფუძველზე, რომელიც ჩართული იყო კონფერენციის პროტოკოლებში, ავალდებულებდა საკუთარ თავს, რომ არ მიეღო გარკვეული ზომები ზღვისპირა პორტებისა და ყურეების დაცვისთვის, თურქეთმა შეინარჩუნა განუსაზღვრელი ოდენობის სამხედრო ძალების ყოლის უფლება არქიპელაგში. საფრანგეთსა და ინგლისს მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი სამხედრო ესკადრების თავმოყრისა ხმელთაშუა ზღვაში. ტრაქტატის მიხედვით შავი ზღვა ფორმალურად და სამუდამოდ დახურულია ყველა ქვეყნის სამხედრო ხომალდებისათვის, მშვიდობიაში პერიოდის განმავლობაში. აქედან ჩანს, რომ მხოლოდ რუსეთის

იმპერიის სანაპიროები რჩება დაუცველი შემოსევებისაგან“. (Нарочницкая, 1989:35).

დეპეშაში საუბარი იყო პარიზის ტრაქტატის დარღვევის ფაქტებზე, რომლებზეც მხოლოდ რუსეთის მთავრობამ აიმაღლა ხმა. „არაერთხელ და სხვადასხვა მიზეზების გამო, სრუტეები გახსნილი აღმოჩნდა უცხოური სამხერდრო ხომალდებისათვის და შავ ზღვაში მიმოსვლის უფლება მიეცათ მთელ ესკადრებს“, (Нарочницкая, 1989:35). რაც ზემოაღნიშნული ზღვის ნეიტრალიტეტის პირდაპირ დარღვევად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთის წარმომადგენლებს დაევალოთ განემარტათ უცხო ქვეყნის მთავრობათათვის, რომ რუსეთის იმპერატორი „ალექსანდრე II-ს უკვე აღარ ძალუც თავი ზემოაღნიშნული ტრაქტატის ვალდებულებებით შეიბოჭოს, რამეთი ისინი ზღუდავენ მისი, როგორც მონაქის უფლებებს შავ ზღვაში და ის უბრუნებს სულთანს თავის უფლებებს, სრული მოცულობით, ისევე როგორც აღიდგენს თავის უფლებებს“. (Горчаков, 1989:335-338.).

დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს დაევალოთ ამ დეპეშის ტექსტი იმ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის, რომელ ქვეყანაშიც ისინი იყვნენ აკრედიტირებულნი.

ევროპის დედაქალაქებში რუსეთის დიპლომატიური აქციას მოწონება არ მოჰყოლია, მაგრამ ვერცერთმა სახელმწიფომ (ინგლისმა, საფრანგეთმა, ავსტრია-უნგრეთმა და პრუსიამ) ხმამაღლა ვერ გამოხატა თავისი პროტესტი. ამ დროს საფრანგეთსა და პრუსიას შორის ომი მიმდინარეობდა და არცერთ სახელმწიფოს არ სურდა რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა. ასევე კანცლერი ბისმარკი, ჯერ კიდევ 1866 წელს შეპირდა რუსეთს მხარი დაეჭირა მისთვის პარიზის ტრაქტატის დამამცირებელი სტატიების გაუქმებაში. 1870 წლის სექტემბერში ბისმარკმა დაადასტურა ეს შეპირება. ინგლისის მთავრობამ გამოთქვა ინიციატივა ლონდონში გაემართა კონფერენცია გორჩაკოვის ნოტის გამო. რუსეთის მთავრობას არ უთქვამს უარი, ოღონდ აგრძნობინა მათ, რომ რუსეთის გადაწყვეტილება მყარი, ურყევია და საბოლოოა. 1870 წლის ლონდონის კონფერენცია დასრულდა 1871 წლის 1 (13) მარტს და რუსეთმა, თურქეთმა, გერმანიამ, ავსტრია-უნგრეთმა, დიდმა



ბრიტანეთმა, იტალიამ და საფრანგეთმა მოაწერეს მას ხელი.

კონვენციამ გააუქმა პარიზის ტრაქტატის XI, XIII და XIV სტატიები (1856 წლის 30 მარტი) და სპეციალური კონვენცია. ისინი შეცვლილი იქნა შემდეგი სტატიით: “1856 წლის 30 მარტის კონვენციით გამოცხადებული დარდანელისა და ბოსბორის სრუტეთა დახურვა ძალაში ჩება“. (Ключников, Сабанин, 1925:40). ასევე ლონდონში მას დაერთო დამატება, რომელიც მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. კერძოდ - სულთანს მიეცა მშვიდობიან დროს უცხოური „მეგობრულად განწყობილი“ და მოკავშირე სახელმწიფოთა სამხედრო ხომალდებისათვის სრუტეების გახსნის უფლება, თუ პორტა ამას აუცილებლობად ჩათვლიდა. ცალკეული სტატია ამბობდა, რომ შავი ზღვა, როგორც წინათ რჩებოდა თავისუფალი და ღია ყველა ერის სავაჭრო ფლოტებისათვის.

ამრიგად გორჩაკოვის ინიციატივის საფუძველზე გადაჭრილი იქნა შავი ზღვის ნეიტრალიტეტის საკითხი და რუსეთი გათავისუფლდა პარიზის ტრაქტატის დამამცირებელი პირობებისაგან. თუმცა რუსეთმა ვერ შეძლო შეეცვალა ლონდონის კონვენციის რეჟიმი, რომელიც 1841 წლიდან მოქმედებდა. 1871 წლის კონვენცია რუსეთს აყენებდა სხვა სახელმწიფოებთან არათანაბარ მდგომარეობაში და ვერ უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას. გარდა ამისა, ის სუსტდებოდა თურქეთისათვის სპეციალური უფლების მიცემის გამო. ზემონიშნული შავიზღვისპირა სრუტეების რეჟიმი დადასტურებული იქნა შენარჩუნდა 1878 წლის ბერლინის კონგრესზე და მოქმედებდა პირველ მსოფლიო ომამდე. (სვანიძე, 2002:217-218)

## *1.2. პოლიტიკური ბრძოლის მექანიზმები პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, სრუტეების საკითხი და საერთაშორისო ურთიერთობათა “ახალი სისტემა”*

პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას ისევ წამოიჭრა შავიზღვისპირა სრუტეების საკითხი. 1914 წლის 10 აგვისტოს ორი გერმანული სამხედრო ხომალდი - კრეისერი „გებენი“ და „ბრესლაუ“, დევნილი ინგლისური ესკადრის მიერ, თურქეთის სამხედრო მინისტრის ენვერ ფაშის თანხმობით შევიდა სტამბულში. თურქეთის ხელისუფლების განცხადებით ზემოაღნიშნული კრეისერები მათ შეიძინეს გერმანელი მთავრობისაგან და სწორედ გერმანელმა მეზღვაურებმა ჩამოიყვანეს ისინი სტამბულში. ხომალდებს მისცენ თურქული სახელები, აღმართეს თურქული დროშები და გერმანული ეკიპაჟი შემოსეს თურქული ფორმით.

1914 წლის ოქტომბერში დასავლეთ ფრონტზე მდგომარეობა ინგლისისა და საფრანგეთისათვის არასახარბიელო იყო. გერმანლებმა ინგლისურ-ფრანგული ჯარები სანაპიროსაკენ გადასხეს. 1914 წლის 1 ოქტომბერს კი მიუახლოვდნენ ანტვერპენს. აუცილებელი იყო აღმოსავლეთ ფრონტზე რუსული ჯარების ზეწოლა გერმანულ არმიაზე, რომ შეესუსტებინათ გერმანიის ზეწოლა დასავლეთ მიმართულებით. სწორედ ამ დროს, თურქეთმა, გერმანიის კონსულტაციის გარეშე დაიწყო რუსეთის წინააღმდეგ ომი. გათვლა, რომ რუსეთი ამ დროს დაკავებული იქნებოდა თურქეთთან ომით დასავლეთში და აქტიურად ვერ ჩაერთებოდა გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანია შეძლებდა საფრანგეთის დამარცხებას და ამის შემდეგ აღმოსავლეთში მას დარჩებოდა ერთი მოწინააღმდეგე, რუსეთის სახით.

1914 წლის 28 ოქტომბერს კრეისერებმა გებენმა და ბრესლუმ, თურქული ხომალდების თანხლებით განახორციელეს თავდასხმა ოდესა, სევასტოპოლსა და ფეოდოსიაზე. „ერთი რუსული სამხედრო ხომალდი იქნა ჩაძირული. მშვიდობიან მოსახლეობაში იყო მსხვერპლი“. (Tuchman, 1962:142-161.)

საპასუხოდ, 2 ნოემბერს რუსეთმა თურქეთს ომი გამოუცხადა. მომდევნო დღეს ინგლისმაც და საფრანგეთმაც გამოუცხადა ომი თურქეთს.

თურქეთთან ომში რუსეთი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა, რომ პირველს შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი, მზად არ იყო. რუსული ჯარების ნაწილი

კავკასიიდან უკვე გადასროლილი იყნა გერმანიის ფრონტზე. ძირითადი აქცენტი რუსეთის ჯარების თურქული არმიის ზურგში გადასროლაზე კეთდებოდა, რაც შესაძლებლობას მისცემდა რუსეთს მარწუხებში მოექცის კავკასიაში მებრძოლი თურქული ძალები.

შექმნილი მდგომარეობა ძლიერ აწუხებდა ლონდონსა და პარიზს. ლონდონში შიშობდნენ რუსეთის სამხედრო ოპერაციების შემცირებას გერმანიის ფრონტზე და ასევე მისი სამხედრო პოზიციების განმტკიცებას სპარსეთში. რომ არ დაემვათ ეს და აეძულებინათ რუსეთი აქტიურად ებრძოლა გერმანიის წინააღმდეგ სრულ გამარჯვებამდე, ბრიტანეთის ხელისუფლებამ არაჩვეულებრივი ნაბიჯი გადადგა - შესთავაზა მეფის რუსეთს შავიზღვისპირა სრუტეები ომში ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ. თუმცა ეს განუსაზღვრელი ფორმით განახორციელა. 1914 წლის 9 ნოემბერს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გრეიმ განუცხადა რუსეთის ელჩს ლონდონში ბანკენდორფს: „თუ გერმანია იქნება „გასრესილი“, სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის ბედი, ამ შემთხვევაში არ შეიძლება გადაწყდეს სხვაგვარად, ვოდრე რუსეთის უპირატესობის გათვალისწინებით“. (Аветян,1968:20) 5 დღის შემდეგ, 14 ნოემბერს პეტროგრადში დიდი ბრიტანეთის საეჩოს სამახსოვრო წერილში, რომელიც გადაეცა საგარეო საქმეთა მინისტრ ს. დ. საზონოვს, წამოჭრილი იყო საკითხი თურქეთის გაყოფისა და რუსეთისთვის შავიზღვისპირა სრუტეების გადაცემის შესახებ. „თურქული მთავრობის ქცევა - ნათქვამი იყო დოკუმენტში - გარდაუვალი გახადა თურქული საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა, მთელი თავისი მოცულობით. სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის სააკითხის ჩათვლით, რუსეთთან შეთანხმებით. ამასთანავე ბრიტანეთის დიპლომატიამ წარმოადგინა ორი პირობა: პირველი - რუსულ ჯარებს არ უნდა დაერღვია სპარსეთთან საზღვარი და მეორე - რუსეთის ჯარებს ბოლომდე უნდა ებრძოლად გერმანიის ფრონტზე გერმანიაზე სრულ გამარჯვებამდე“. (Аветян,1968:21) მიუხედავად იმისა თუ როგორ პოზიციაში აღმოჩნდებოდა იგი.

ამ ნაბიჯით ინგლისი ცდილობდა შეექმნა ხელსაყრელი მდგომარეობა ეგვიპტის ხელში ჩაგდებისა. სწორედ, რამდენიმე დღის შემდეგ სამახსოვრო წერილიდან, ინგლისმა აცნობა პეტროგრადს ეგვიპტის ანექსიის განზრახვის შესახებ და

საზონოვს აერაფერი დარჩა იმის გარდა, რომ მეფის ხელისუფლების თანხმობა განეცხადებინა დიდი ბრიტანეთის მიერ ეგვიპტის ანექსიაზე, რამეთუ ეს ეხებოდა სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის საკითხის მოგვარებას.

1914 წლის ბოლოს რუსული არმიის მდგომარეობა კავკასიაში არასახარბიელო იყო. 31 დეკემბერს რუსული არმიის მთავარმა მეთაურმა თავადმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მიმართა მოკავშირეებს, თირქული ძალების კავკასიის ფრონტიდან „გატყუების“ თხოვნით.

ეს თხოვნა გამოიყენა უინსტონ ჩერჩილმა, რომელიც იმ დროს იყო სამხედრო-საზღვაო მინისტრი. მან წამოაყენა დარდანელის დაპყრობისა და კონსტანტინოპოლის დაბომბვის გეგმა, რაც, მისი აზრით, აიძულებდა თურქეთს გამოსულიყო ომიდან. სამხედრო მინისტრი კიტჩენერი და ფლოტის ადმირალი სკეპტიკურად განეწყვნენ ჩერჩილის ამ გეგმისადმი და თვლიდნენ, რომ ასეთი სახის ოპერაციის წარმართვისათვის ჯარები იყო საჭირო. სამხედრო-საზღვაო მინისტრს არ სურდა დიდების სხვა ვინმესთან გაზიარება და მან მიაღწია გეგმის ინგლისის სამხედრო საბჭოს მიერ აღიარებას.

1915 წლის 19 თებერვალს ბრიტანეთის ფლოტმა დაიწყო ოპერაცია დარდანელის რეგიონში. 10 დღის განმავლობაში იქნა დანგრეული დარდანელის საგარეო დამცავი მოწყობილობანი, მაგრამ არმიის წინსვლა თურქთა ძლიერი წინააღმდეგობის გამო შეჩერდა. (სვანიძე, 2007:258-259)

ლონდონმა საბერძნეთთან დაიწყო მოლაპარაკება, რათა მისი არმია და ფლოტი ჩაერთო დარდანელის ოპერაციაში. ამ გზით ინგლისი ცდილობდა საბერძნეთისა და რუსეთის ერთმანეთთან დაპირისპირებას შავივისპირა სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის საკითხში, რათა თავისი კონტროლი დაეწესებინა ამ სტრატეგიული მნიშვნელობის რაიონზე. 1915 წლის 5 მარტს ჩერჩილის მიერ გრეისადმი მიწერილ წერილში ის წერდა: “უთხარით რუსებს, რომ ისინი შეხვდებიან დიდსულოვანებას და თანაგრძნობას კონსტანტინოპოლის ცსაკითხში ბრინატეთის მხრიდან, მაგრამ არანაირი წინააღმდეგობები არ უნდა აიმატოს მათ წინაშე საბერძნეთთან თანამსრომლობის გზაზე. ჩვენ უნა „მივილოთ“ საბერძნეთი და ბულგარეთი, თუ ისინი თანახმა იქნებიან გადმოვიდნენ ჩვენ მხარეზე. მე ძალიან ვშიშობ, რომ თქვენ კარგავთ საბერძნეთს და მომავალს რუსეთს უგდებთ

ხელში. თუ რუსეთი ხელს შეგვიშლის დახმარება მივიღოთ საბერძნეთისაგან, მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ხელი შევუშალო კონსტანტინოპოლის მის ხელში გადასვლას“. (Трухановский,1977:150.)

დარდანელის ოპერაციამ განგაში გამოიწვია პეტროგრადში. აქ კარგად ესმოდათ, თუ ინგლისელები გაიმყარებდნენ პოზიციებს სრუტეებში, შემდგომში იქედან მათი განდევნა ძნელი იქნებოდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ითხოვა სამხედრო ექსპედიციის მოწყობა ბოსბორზე. დიპლომატიური კანცელარიის ხელძღვანელმა ამ თხოვნას უპასუხა და დასძინა, რომ „ჩვენ, ბოსფორზე, არანაირი სადესანტო ოპერაციის მოწყობის საშუალება არ გავაჩნია, მაშინაც კი თუ იქ გამოჩნდება ჩვენი ან მოკავშირეთა ფლოტიო“ (Трухановский,1977:151) ამ გარემოებებში საზონოვმა გადაწვიტა მოკავშირეთა სიტყვიერი დაპირებები სრუტეებთან მიმართებაში ხელშეკრულების ფორმით განემტკიცებინა. 1 მარტს მან ინგლისისა და საფრანგეთის ეჩები ჯ. ბიუკენენი და მ. პალეოლოგა მიიწვია და შესთავაზა შეემუშავებინათ დოკუმენტი სრუტეების შესახებ. „ინგლისი და საფრანგეთი, - მან თქვა, - ვალდებულნი არიან ხმამაღლა განაცხადონ, რომ ისინი თანახმა არიან, მშიდების დღეს კონსტანტინოპოლი მიუერთდეს რუსეთს“ (Палеолог,1923:169).

1915 წლის 12 მარტს ბრიტანეთის ელჩმა საზონოვს გადასცა სამახსოვრო ჩანაწერი, რომელშიც განუსაზღვრელი ფორმით დასტურდებოდა რუსეთის სურვილი შავიზღვისპირა სრუტეებთან მიმართებაში, „თუ ომი მიყვანილი იქნება წარმატებულ დასასრულამდე და თუ განხორციელებული იქნება დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სურვილები, როგორც ოსმალეთის იმპერიასა და სხვა ადგილებში“ (Палеолог,1923:169). 16 აპრილს შესაბამისი დოკუმენტი მიწოდებული იქნა საფრანგეთის მთავრობის მირაც. თუმცა, ამის შემდეგაც მეფის ხელისუფლებას არ სჯეროდა, რომ ლონდონი და პარიზი შეასრულებდა თავიანთ დაპირებას, თუ ინგლისელები გაიმყარებდნენ თავიანთ პოზიციებს სრუტეებში, რამეთუ ჯერ კიდევ მიმდინარეობდა დარდანელის ოპერაცია. ამაზე მეტყველებდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მისული ინფორმაცია. 1915 წელს აპრილში პეტროგრადისთვის ცნობილი გახდა ბრიტანეთის გენერალი პეჯეტი, სოფიაში ყოფნისას შეჰპირდა მეფე ფერდინანდს კონსტანტინოპოლი, თუ ბულგარეთი შეუერთდებოდა ანტანტას და გამოაცხადა რუსეთთან სრუტეების

შესახებ ხელშეკრულების შესაძლო ცვლილების შესახებ. მოკავშირეებმა შეახსენეს რუსეთს 1915 წლის გაზაფხულზე იტალიასთან გამართულ მოლაპარაკებებზე, იტალიის ანტანტასთან მიერთების მოთხოვნით. „პეტროგრადი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. მართალია, გრემ დაუდასტურა საზონოვს, რომ ისევ არ დააყენებს საკითხს კონსტანტინოპოლსა და სრუტეებზე“. (Нежинский, Игнатъев, 1999:333).

პირველი უშედეგო ცდის შემდეგ ბრიტანეთის ფლოტმა ხელმეორედ სცადა იერიში დარდანელზე. საზონოვმა ისევ ითხოვა, შესაძლებელი იყო თუ არა რუსეთის ფლოტის გაგზავნა ბოსფორზე, რომ განემტკიცებინა იქ დე-ფაქტო. მსგავსი მოთხოვნებით საზონოვი შემდგომშიც მიმართავდა, მაგრამ პასუხი ყოველთვის უარყოფითი იყო.

ბრიტანული ფლოტის იერიში დარდანელზე ამჯერადაც წარუმატებლად დასრულდა, რაც უ. ჩერჩილის სამხედრო-საზღვაო მინისტრობიდან გადაყენების საფუძველი გახდა.

ლონდონი და პარიზი ამზადებდნენ ოპერაცია სრუტეებში ფლოტისა და არმიის მონაწილებით. ეს ოპერაცია 1915 წლის აპრილის დასასრულს დაიწყო. მეკავშირეთა არმიამ წარუმატებლობა განიცადა თურქეთის არმიასთან ბრძოლაში და 1915 წლის შუა ნოემბერში დაიწყო მათი ევაკუაცია გალიპოლის ნახევარკუნძულიდან.

1915 წლის ინგლისისა და საფრანგეთის რუსეთთან შეთანხმება დადასტურებული იქნა ხელშეკრულებაში აზიური თურქეთის განაწილების შესახებ, რომელიც გაფორმდა ზემოაღნიშნულ ქვეყანათა ნოტათა გაცვლის საფუძველზე 1916 წლის აპრილ-მაისში და ის ცნობილია საიქს-პიკოს შეთანხმების სახელით.

შიდაპოლიტიკური მიზეზების გამო, ინგლისსა და საფრანგეთთან 1915 წლის შეთანხმება, შავიზღვისპირა სრუტეების შესახებ, მეფის რუსეთმა გამოაცხადა მხოლოდ 1916 წლის ნოემბერში. ამის შესახებ დუმის სხდომაზე გამოაცხადა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა.ფ. ტრეპოვმა 1916 წლის 19 ნოემბერს.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ ყველა ეს შეთანხმება დაასამარა. 1917 წლის 8 ნოემბერს (26 ოქტომბერს) მიღებული იქნა დეკრეტი მშვიდობის შესახებ.

საბჭოთა რუსეთი გამოვიდა ომიდან და შესთავაზა „მებრძოლი ქვეყნების ყველა მთავრობას და ერებს დაუყოვნებლივ დაედოთ ზავი“. (Алексеев 1961:12-13.). მეფის ხელისუფლების მიერ დადებული საიდუმლო შეთანხმება გაუქმებულად გამოცხადდა. ეს ეხებოდა კონსტანტინოპოლისა და სრუტეების საკითხთან დაკავშირებით დადებულ საიდუმლო შეთანხმებასაც.

მშვიდობის შესახებ დეკრეტისა და ბრძოლის შეწყვეტის მოთხოვნის საპასუხოდ ანტანტის ქვეყნებმა დაიწყეს რევილუციური რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციისთვის მზადება.

ანტანტის ქვეყანათა ომი გერმანიისა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ გრძელდებოდა. 1918 წლის შემოდგომაზე, თურქეთის ხელისუფლება, ფრონტზე დამარცხებების შემდეგ, ანტანტის ქვეყნებს ზავის წინადადებით მიმართა. 1918 წლის 30 ოქტომბერს ინგლისური ჯავშნოსანი „აგამემონის“ ბორტზე პორტ მუდროსში (კუნძული ლემნოსი), დაიდო ზავი ანტანტის სახელმწიფოთა და თურქეთის ხელისუფლებას შორის.

ზემოაღნიშნული ზავის საფუძველზე თურქეთი ვალდებულებას იღებდა არმიის დემობილიზაციისა (სტატია 5), გადაეცა ანტანტისათვის სამხედრო ხომალდები (სტატია 6), მოეხდინა იემენის, სირიის, მესოპოტამიისა და კილიკიის ევაკუაცია (სტატია 16 და 18), გადაეცა ანტანტის კონტროლის ქვეშ პორტები, კავშირგაბმულობის საშუალებები, რკინიგზები (სტატია 12 და 15). მოკავშირეებმა დარდანელისა და ბოსფორის ოკუპირება მოახდინეს (გვ. 1) და მიიღეს „უფლება“ თურქეთის ნებისმიერი სტრატეგიული პუნქტის ოკუპირებისა, „იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეების უსაფრთხოებას რაიმე დაემუქრებოდა“. (Лаврова 1997:55-56).

ზემოაღნიშნული ზავი, ანტანტის სახელმწიფოებს აღმოსავლეთიდან საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციის საუკეთესო საშუალებას აძლევდა. 1918 წლის 16 ნოემბერს შავ ზღვაში ინგლისური და ფრანგული სამხედრო ხომალდები გამოჩნდნენ, რომელთა დაცვის ქვეშ უკრაინასა და ყირიმში მოხდა ინტერვენციული ჯარების გადმოსხმა. შემდგომში სრუტეები ანტანტის მიერ გამოყენებული იქნა ინტერვენციის მხარდასაჭერად.

ფაქტობრივად ზემოაღნიშნული ზავი თურქეთის დაქუცმაცების დასაწყისი აღმოჩნდა. თურქეთის პირველ მსოფლიო ომში მარცხმა და მუდროსის ზავმა

უკმაყოფილება გამოიწვია თურქეთის ეროვნულ-პატრიოტულ ძალებში. ქვეყნის ცალკეულ პეგიონებში დაიწყო პარტიზანთა რაზმების ჩამოყალიბება.

1919 წლის იანვარში პარტიზანები გამოვიდნენ კილიკიაში ფრანგი ოკუპანტების წინააღმდეგ. მაისში, საბერძნეთის მიერ სმირნის ოკუპაციის შემდეგ, პარტიზანულმა მოძრაობამ მოიცვა ანატოლია.

რუსეთში ინტერვენტთა დამარცხებამ, კოლჩაკისა დენიკინის არმიათა მარცხმა, რომლებიც მხარს უჭერდა და „ამლიერებდა“ ანტანტა, აღაფრთოვანა თურქეთის ეროვნული მოძრაობის მონაწილენი, რომელსაც ხელმძღვანელობდა დარდანელის ბრძოლის გმირი მუსტაფა ქემალი (1934 წელს მან მიიღო გვარი ათათურქი - თურქთა მამა).

თურქეთის ეროვნული მოძრაობის ზრდით შეშინებული ანტანტის ქვეყნების ჯარი, ძირითადად ინგლისისა, 1920 წლის 16 მარტს სტამბულში გადმოისხა. დედაქალაქის ოკუპაციის საპასუხოდ, 1920 წლის 23 აპრილს ქემალისტებმა ქ. ანგორაში შექმნეს თურქეთის დიდი ეროვნული შეკრება, რომლის ხელმძღვანელიც იყო ქემალი. მან შექმნა ხელისუფლება, მუსტაფა ქემალის მეთაურობით, რომლის რეზიდენციაც გახდა ანგორა. 1920 წლის 26 აპრილს „ქემალმა მიმართა საბჭოთა ხელისუფლებას დიპლომატიური ურთიერთობისა და ორ ქვეყანათა შორის სამხედრო კავშირის დამყარების თხოვნით“. (Громыко, Пономарев, 1980:191) 1920 წლის 3 ივნისს საბჭოთა ხელისუფლებამ ქემალს თანხმობით უპასუხა და 26 აპრილის პასუხში ნათქვამი იყო: „საბჭოთა ხელისუფლება - ნათქვამი იყო რუსეთისდ ფედერაციის საგარეო საქმეთა ეროვნული კომისარის გ. ვ. ჩიჩერინის წერილში, - აქვს პატივი დაადასტუროს წერილის მიღება, რომელშიც ქვენ გამოთქვით სურვილი შეხვიდეთ მუდმივ ურთიერთობაში მასთან და მიიღოთ მონაწილეობა უცხოურ იმპერიალიზმთან ერთობლივ ბრძოლაში, რომელიც საფრთხეს უქმნის ორივე ქვეყანას“. (Громыко, Пономарев, 1980:192). წერილში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყურადღებით გაეცნო თურქეთის ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. პრინციპთა ოდენობა იყო 8. მე-6 პრინციპი იყო სრუტეების საკითხის შავიზღვისპირა სახელმწიფოთა კონფერენციისათვის გადაცემის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლება დათანხმდა დიპლომატიური და საკონსულო



ურთიერთობების დაუყოვნებლივ დაწყებას.

2 ივლისს საგარეო საქმეთა ეროვნულმა კომისარიატმა მუსტაფა ქემალს გაუგზავნა წერილი, რომელშიც იტყობინებოდა თურქეთში საბჭოთა წარმომადგენლის წარგზავნას. ანგორამ მოსკოვში თავისი დელეგაცია გამოგზავნა, თურქეთის საგარეო საქმეთა კომისრის ხელმძღვანელობით. დაიწყო მოლაპარაკება რუსულ-თურქულ შეთანხმებაზე ხელმოსაწერად.

სტამბულში კი ანტანტის წარმომადგენლები, სულთანის ხელისუფლებისაგან ითხოვდნენ კაბალურ მშვიდობიან შეთანხმებაზე ხელმოწერას. ასეთ შეთანხმებას ხელი მოეწერა სევრში 1920 წლის აგვისტოს ერთი მხრივ, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, სომხეთის, ბელგიის, საბერძნეთის, პოლონეთის, პორტუგალიის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის მთავრობათა და მეორე მხრივ თურქეთს შორის. შეთანხმების მიხედვით თურქეთის ტერიტორია ომამდელ მდგომარეობასთან შედარებით 1/5-ით შემცირდა. დასავლეთ და აღმოსავლეთ ფრაქცია, ჩატალჯისთან გამავალ ხაზამდე, გადაცემული იქნა საბერძნეთისათვის, რომელმაც მიიღო სრუტეების შესასვლელთან მდებარე კუნძულები. ასევე მცირე აზიაში - ქალაქი სმირნა, მიმდებარე ტერიტორიებით. ამ პროვინციებზე თურქეთის სუვერენიტეტი სერვის შეთანხმების 69 სტატიის მიხედვით, მხოლოდ „ოსმალეთის დროშით“ უნდა შემოფარგლულიყო, რომელიც აღმართული იქნებოდა ერთ-ერთი ქალაქის შიდა „ფორტზე“.

გემებით სვლა სრუტეებში გამოცხადდა თავისუფლად ყველა სამხედრო, თუ სავაჭრო ხომალდებისათვის, როგორც მშვიდობიან, ასევე ომიანობის დროს, მიუხედავად იმისა, ვისი დროშის ქვეშ ცურავდნენ ისინი. შეიქმნა კომისია, რომელიც აკონტროლებდა გემთმიმოსვლას სრუტეებში. კომისია ინარჩუნებდა მთლიან დამოუკიდებლობას თურქული ხელისუფლებისაგან. მას ჰყავდა თავისი დროშა და ჰყავდა თავისი პოლიცია.

საბჭოთა მთავრობა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა სრუტეთა დადგენილ რეჟიმს. 1922 წლის 12 სექტემბრის საგარეო საქმეთა ეროვნული კომისარიატის, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ ნოტაში ნათქვამი იყო: „რუსეთს არ შეუძლია დაეთანხმოს იმას, რომ სრუტეები ღია იყოს ყველა ერის სამხედრო ხომალდებისათვის და განსაკუთრებით იმას, რომ დიდი ბრიტანეთი,

მოკავშირეებთან ერთად, საკუთარ თავზე იღებს სრუტეების რეჟიმის რეგულირებას, იმ სახელმწიფოთა თანხმობისა და სურვილების მიუხედავად, რომელთა სასიცოცხლო ინტერესებიც დაკავშირებულია შავ ზღვასთან და რომელთა ხმაც გადამწყვეტი უნდა იყოს სრუტეთა ბედის საკითხის გადაწყვეტაში“. (Barker,1976: 124.).

განსაკუთრებული შეთანხმებით, რომელსაც ხელი მოეწერა სევრში 1920 წლის 10 აგვისტოს, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და იტალიამ ანატოლია „განსაკუთრებული ინტერესების“ ზონებად დაყვეს.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების ხელისდუფლებამ უარყო ზემოაღნიშნული შეთანხმებები და გაააქტიურა ბრძოლა სულთანური მთავრობის წინააღმდეგ. სულთანის მიერ ქემალისტთა წინააღმდეგ გაგზავნილი ხალიფატის არმია „დაიშალა“ პარტიზანთა დარტყმის შედეგად.

მაშინ ანტანტამ, უპირველესად ინგლისმა, გადაწყვიტა საბერძნეთის გამოყენება ქემალისტთა შეიარაღებულ რაზმებთან ბრძოლაში და ანატოლიაში გაეფართოებინა „პლაცდარმი“ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ ინტერვენციისათვის. საბერძნეთისათვის შეპირებული იქნა ტერიტორიები თურქეთის ანგარიშიდან. ინგლისის მთავრობის მიერ მომარაგებული და შეიარაღებული საბერძნეთის არმიამ თავდასხმა დაიწყო აღმოსავლეთ ფრაკიაში და ასევე სმირნიდან ანატოლიის სიღრმესი, 1921 წლის ზაფხულში მიაღწია რა მდინარე საკარიას ნაპირებს ანგორის მახლობლად.

1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელი მოეწერა საბჭოთა-თურქულ შეთანხმებას მეგობრობისა და ძმობის შესახებ. შეთანხმების მე-5 სტატია ეხებოდა სრუტეებს. მათში გამოხატულება ჰპოვა მ. ქემალის იდეებმა, რომლებიც გამოხატული იყო მის მიერ 1920 წლის 26 აპრილს საბჭოთა მთავრობისადმი გაგზავნილ გზავნილში. „უზრუნველყოფილი, რომ იქნას სრუტეების გახსნა და ყველა ერების სავაჭრო ხომალდების თავისუფალი მიმოსვლა მათში, - ნათქვამია სტატის 5-ში, - ორივე ხელმომწერი მხარეე მზადაა შავი ზღვისა და სრუტეების საერთაშორისო სტატუსის დადგენის უფლება გადასცეს სანაპირო სახელმწიფოთა დელეგატებისაგან შედგენილ კონფერენსიას, იმ პირობით, რომ მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ მიაყენებს ზიანს თურქეთის სუვერენიტეტს, ასევე

თურქეთისა და მისი დედაქალაქი კონსტანტინოპოლის უსაფრთხოებას“ (Barker,1976: 126).

ანალოგიურ სტატიას შეიცავდა საბჭოთა რესპუბლიკებთან: სომხეთთან, აზერბაიჯანსა და საქართველოსთან დადებული შეთანხმებაც, რომელიც დადებული იქნა ყარსში 1921 წლის ოქტომბერში. ასევე უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან შეთანხმებაში, რომელსაც 1922 წლის 2 იანვარს ანგორაში ხელი მოაწერა მ. ფრუნზემ.

შავიზღვისპირა სახელმწიფოთა პოლიტიკურმა განსხვავებებმა და იმ დროისათვის საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის არახელსაყრელმა ძალთა თანაფარდობამ შეუძლებელი გახადა ამ სტატიის რეალიზება.

1921 წლის მოსკოვის ხელშეკრულების თანახმად მიღწეული იქნა შეთანხმება თურქეთისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ 10 მილიონი ოქროს მანეთის ოდენობით, თუმცა რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა ამ დროისათვის ძალიან რთული იყო. ამ თანხიდან 5,4 მილიონი მანეთი თურქეთისათვის გადაცემული იქნა ნაწილ-ნაწილ 1921 წლის პრილს, მაისსა და ივნისში, 1921 წლის ბოლოს 1,1 მილიონი მანეთი, და 3,5 მილიონი მანეთი ოქროთი 1922 წლის 3 მაისს. ეს ფინანსური დახმარება უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი იყო თურქეთისათვის, შეიარაღებისა და მოწყობილობების შესაძენად, რის უქონლობაც შეუძლებელს გახდიდა საბერძნეთთან ბრძოლას, რომელსაც მხარს უჭერდა ინგლისი. (სვანიძე, 2002:304-305)

1921 წლის 23 აგვისტოდან 13 სექტემბრამდე ქემალისტურმა არმიებმა დაამარცხეს საბერძნეთის არმიები მდინარე საკარიას რაიონში და დაიწყეს მათი დასავლეთისაკენ დევნა. 1922 წლის 26 აგვისტოს დასავლეთ ანატოლიაში დაიწყო გენერალური შეტევა მუტაფა ქემალის მეთაურობით, რის შედეგადაც საბერძნეთის არმია დამარცხებული იქნა. 1 ნოემბერს თურქეთის დიდმა ეროვნულმა საბჭომ ლიკვიდაცია გამოუცხადა სულთანატს და ოსმალეთის მონარქის მაღალი საზოგადოებას. (სვანიძე:2007:292)

1922 წლის 17 ნოემბერს ინგლისის ხელისუფლებამ ბრიტანული ხომალდით გაიყვანენ სულთანი სტამბულიდან.

1923 წლის 29 ოქტომბერს თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა, რომლის

მეთაურადაც აირჩიეს მუსტაფა ქემალი.

ანტანტის ქვეყნებმა - დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და იტალიამ - მარცხის შემდეგ, 1922 წლის 23 სექტემბერს გადასცეს თურქეთის მთავრობას ნოტა, მშვიდობიან კონფერენციაზე, ვენეციასა ან სხვა რომელიმე ქალაქში, დელეგაციის გაგზავნის წინადადებით.

1922 წლის 23 სექტემბერს რუსეთის სახელმწიფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ანგორაში ს. ი. არალოვმა ტელეგრამით აცნო საგარეო საქმეთა ეროვნულ კომისარიატს, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილემ რიზა ნურ-ბეიმ, მას განუცხადა, რომ „თურქეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, კონფერენციაზე მოწვევის შემთხვევაში, რომ ის მოითხოვს კონფერენციაში საბჭოთა რუსეთის მონაწილეობას“ (Попхверия, 1976:306)

საბჭოთა მთავრობის სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა გაერღვია იზოლაცია, რომელშიც აღმოჩნდა. დაემყარებინა დიპლომატიური და მეგობრული ურთიერთობები დასავლეთის ქვეყნებთან და გაემყარებინა თავისი ქვეყნის უსაფრთხოება.

ამ საკითხებიდან გამომდინარე საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დასავლეთ სახელმწიფოთა პოლიტიკის გამოაშკარავებას, ახალგაზრდა სახელმწიფოს პოლიტიკის პრინციპების ახსნას, ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპები, ერთა თანასწორუფლებიანობა, თავისუფლების უფლება და სხვა. ამან გაამყარა საერთაშორისო არენაზე საბჭოთა მთავრობის ავტორიტეტი. განსაკუთრებით კოლონიებსა და დამოკიდებულ სახელმწიფოებში, სადაც თავისუფლებისათვის ბრძოლა ეს-ესაა იწყებოდა.

ამ მიზნებზე დაყრდნობით საბჭოთა ხელისუფლებამ მონაწილეობა მიიღო 1922 წლის აპრილ-მაისის გენუის კონფერენციაში, რომლის მსვლობისას რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა დაამყარა გერმანიასთან და ხელი მოაწერა რაპალის ხელშეკრულებას. ამ დროისათვის რუსეთის ფედერაციას უკვე ჰქონდა დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობები პოლონეთთან, ფინეთთან, ავღანეთთან, თურქეთსა და მონღოლეთთან.

ამავე მიზნით, საბჭოთა მთავრობამ მონაწილეობა მიიღო ჰააგის კონფერენციაში (1922 წლის 15 ივნისი - 22 ივლისი) და თუმცა ეს კონფერენცია უშედეგოდ დასრულდა, თუმცა რუსეთის დელეგაციის აქტიურმა საქმიანობამ ხელი შეუწყო ქვეყნის ავტორიტეტის ზრდას საერთაშორისო არენაზე.

ანკარიდან მშვიდობიანი კონფერენციის მზადების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო მასში. ამ კონფერენციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა იმ რეგიონთა პრობლემების გადაჭრა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებოდნენ საბჭოთა რესპუბლიკას. საბჭოთა მთავრობისთვის მნიშვნელოვანი იყო იმის ცოდნა, ეყოლებოდა თუ არა მას სამხრეთით „მეგობრულად“ განწყობილი თურქეთი, თუ იმპერიალისტური სახელმწიფოები გადაინაწილებდნენ მას, როგორც სევრსკის შეთანხმების დროს. ამ კონფერენციაზე რუსეთის ფედერაცია შესაძლებლობა ეძლეოდა მკაფიოდ გამოეხატა თავისი დამოკიდებულება მსოფლიო არენაზე შექმნილი მდგომარეობის გამო.

საბჭოთა მთავრობისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ქვეყნის უსაფრთხო და ეკონომიკური განვითარებისათვის, შავიზღვისპირა სრუტეების რეჟიმს. თუმცა საბჭოთა მთავრობას არ ჰქონდა ილუზიები ანტანტის სახელმწიფოთა მიმართებაში, მან გადაწყვიტა ჩამოეწალიბებინა თავისი პოზიცია შავიზღვისპირა სრუტეების რეჟიმთან მიმართებაში და თურქეთის მთავრობასთან ერთად „მოეთხოვა“ სრუტეების ისეთი რეჟიმი, რომელიც შეესაბამებოდა როგორც რუსეთის, ასევე თურქეთის და ასევე შავიზღვისპირა სახელმწიფოთა უსაფრთხოებასა და ინტერესებს.

1922 წლის 24 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის მთავრობამ მიმართა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთისა და ეგვიპტის მთავრობებს ნოტიო და ამცნო ახლო აღმოსავლეთში რთული ვითარების შესახებ.

„რუსეთის ხელისუფლება, - ნათქვამია ნოტაში, - თვლის, რომ ეხლა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს საფუძვლად უდევს ერთი საკითხი - თურქი ერის უფლება ფაქტიური აღდგენა და სრული სუვერენიტეტი თურქულ მიწებზე და პირველ რიგში დედაქალაქ კონსტანტინოპოლსა და სრუტეებზე“.

(Лаврова,1997:89).

ნოტა აღნიშნავდა, რომ ევროპული სახელმწიფოები მრავალი წელია არ უარყოფდნენ რუსეთის დაინტერესებას სრუტეების რეჟიმით, არამედ აღმოსავლეთის საკითხის მთელი განხილვის პერიოდში აღიარებდნენ რუსეთის პირველობას ამ საკითხში. ამას ამტკიცებდა ანტანტის სახელმწიფოთა 1916 წლის ომის დროს რუსეთისათვის მიცემული შეპირება სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის გადაცემის შესახებ. საბჭოთა ხელისუფლება არ თვლის მარტულად პრივილეგირებული იყოს თურქი ერის „ხარჯზე“ და ამიტომ გააუქმა ეს შეთანხმება და რუსეთის ხელისუფლება იმეორებს, რომ ის ცარ დაეთანხმება არცერთ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებული იქნება მის დაუსწრებლად და მისი ინტერესების საზიანოდ. მოსკოვმა, ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს მონაწილეობით საგანგებო კონფერენციის მოწყობის იდეა წამოაყება, რომელის ახლო აღმოსავლეთის საკითხს დაარეგულირებდა.

1922 წლის 23 სექტემბრის ანტანტის სახელმწიფოთა ნოტაზე საპასუხოდ თურქეთის მთავრობამ შესთავაზა ზავის შესახებ მოლაპარაკების გამართვა პორტ მუდანიაში მარმარილოს ზღვის ნაპირეთან. მოლაპარაკებები დაიწყო 3 ოქტომბერს. მასში მონაწილეობას იღებდა, ერთი მხრიდან თურქეთი, მეორე მხრიდან - ინგლისი, საფრანგეთი და იტალია. საბერძნეთის წარმომადგენლები შეხვედრას არ ესწრებოდნენ. საბერძნეთის სახელით გადაწყვეტილებებს ღებულობდნენ მოკავშირეები. ზავს ხელი მოეწერა 1922 წლის 11 ოქტომბერს. საბერძნეთი მას მიუერთდა 13 ოქტომბერს. ზავის საფუძველზე „ბერძნებს უნდა მოეხდინათ აღმოსავლეთ ფრაკიის ევაკუაცია: თურქეთის არმიას მშვიდობიანი კონფერენციის პერიოდში არ უნდა გადაელახა „მონიშნული“ (დემარკაციული) ხაზი, რომელიც აზიის სანაპიროზე სრუტეების გასწვრივ იყო განლაგებული: მოკავშირეთა ჯარები აგრძელებდნენ კონსტანტინოპოლში და სრუტეების ზოლში დარჩენას“ (სვანიძე, 2007:313).

მხარეებმა დაიწყეს მშვიდობიანი კონფერენციისათვის მზადება.

ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობები ყოველმხრივ ცდილობდნენ არ დაეშვათ საბჭოთა კავშირის მშვიდობიან კონფერენციაში მონაწილეობა, რათა

დაეტოვებინათ თურქეთი მარტო ანტანტის სახელმწიფოთა და მათ მოკავშირეთა ფრონტის წინაშე. ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ინგლისს, საფრანგეთსა და იტალიას არ ჰქონდა ინტერესთა უთანხმოებები. ყოველი მხარე ცდილობდა თურქეთიდან თავისთვის მიეღო დათმობები, პარტნიორთა ინტერესების საზიანოდ. ეს განსაკუთრებით ინგლისისა და საფრანგეთის მოქმედებებში ვლინდებოდა. თუმცა ჰქონდათ საერთო ინტერესებიც. მაგალითად, მიზანში ჰყოლოდათ საბჭოთა კავშირის და თურქეთი ანტისაბჭოთა მოღვაწეობის „პლაცდარმად“ გადაექციათ.

მშვიდობიან კონფერენციაზე დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების მიზნები იყო დაესამარებინა მოსკოვის შეთანხმების მე-5 სტატია (1921 წლის 16 მარტი. ხელმომწერები: რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება და თურქეთი), რომელშიც საუბარი იყო შავიზღვისპირა სრუტეებზე. ინგლისი ისწრაფოდა საკითხის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტას, რომ ინგლისის ფლოტს ნებისმიერ დროს შეძლებოდა შავ ზღვაში შესვლა. ასევე განემტკიცებინა თავისი პოზიციები ამ რეგიონში და შეემცირებინა საფრანგეთის ზეგავლენა თურქეთზე.

თურქეთსა და რუსეთს კონფერენციაზე საერთო მოწინააღმდეგეები ჰყავდა. მათ ჰქონდათ საერთო ინტერესები და აზრები მრავალ საკითხში (არა ყველაში). თურქეთის ხელისუფლება მიდიოდა კონფერენციაზე რათა შეენარჩუნებინა ძირძველი თურქული მიწები, დაეცვა თავისუფლება და ქვეყნის სუვერენიტეტი, უარი ეთქვა კაბალურხელშეკრულებათა სისტემაზე და კაპიტულაციის რეჟიმზე. ის დაინტერესებული იყო რუსეთის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მხარდაჭერაში და ასევე არ უნდოდა ხელიდან გაეშვა შესაძლებლობა „მეგობარი“ ყოფილიყო ანტანტისათვის.

1922 წლის 24 სექტემბერს წარგზავნილ ნოტაში ნათქვამი იყო, რომ საკავშირო საბჭო წინააღმდეგია ახლო აღმოსავლეთის კრიზისის საკითხის მარეგულირებელი კონფერენციის მოწვევისა, განსაკუთრებით სრუტეებთან დაკავშირებული საკითხისა, ყველაზე მეტად დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის გარეშე.

საკავშირო საბჭო „მთლიანად მიუერთდა რუსეთის მთავრობის 24 სექტემბრის ნოტას და განაცხადა, რომ რუსეთთან ერთად არც აზერბაიჯანი, არც სომხეთი და არც საქართველო არ ცნობენ კონფერენციის არცერთ გადაწყვეტილებას, სრუტეებთან მიმართებაში, რომელიც მიღებული იქნება კავკასიის რესპუბლიკათა

ინტერესთა გაუთვალისწინებლად და საზიანოდ“. (Киняпина, 1996:597-598). 1922 წლის სექტემბრის ბოლოს ინგლისის ხელისუფლებამ შავი ზღვის სრუტეებზე ბლოკადა დააწესა, რასაც საბჭოთა ხელისუფლების მკვეთრი პროტესტი მოჰყვა. 30 სექტემბრის ინგლისისა და ცსაფრანგეთის მთავრობებისადმი გაგზავნილ ნოტაში რუსეთის მთავრობა კატეგორიულად აცხადებდა ბლოკადით უკმაყოფილებას, რამაც დარდანიელზე და ბოსბორზე გემთმიმოსვლა შეაჩერა. ასევე აღნიშნული იყო, რომ რეჟიმი, რომელიც დააწესა ინგლისის ხელისუფლებამ რუსეთის მთავრობისათვის მიუღებელი იყო, რადგანაც ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს. 1922 წლის ოქტომბრის ბოლოს ინგლისელებმა მოხსნეს სრუტეებზე ბლოკადა.

ანტანტის ქვეყანათა წინადადებაზე მშვიდობიანი კონფერენციის მოწვევის თაობაზე, თურქეთის 1922 წლის 4 ოქტომბრის საგარეო საქმეთა კომისრის რიზა ნური-ბეის გ. ვ. ჩიჩერინისადმი გამოგზავნილ ნოტაში ნათქვამია, რომ მან „მოითხოვა რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკების მოწვევა მოსალოდნელ განხილვაზე და დეტალურად განმარტა თავისი წინადადების არგუმენტები“. (Золотарев1988:44). თუმცა ეს არ იყო სრული სიმართლე. ნოტაში არ იყო ხაზგასმული ზემოაღნიშნულ რესპუბლიკათა კონფერენციაში მონაწილეობის შესაძლებლობა და მხოლოდ სრუტეებთან დაკავშირებული საკითხის განხილვისათვის უნდა მომხდარიყო მათი მოწვევა.

1922 წლის 19 ოქტომბერს საგარეო საქმეთა ეროვნულმა კომისარმა გ. ვ. ჩიჩერინმა მითითება მისცა რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებს ინგლისსა და იტალიაში, გაეკეთებინათ განცხადება. ამ გამცხადებაში ნათქვამი იყო, რომ თითქმის მთელი თვის წინ რუსეთის ხელისუფლებამ აცნო მთელ რიგ სახელმწიფოებს თავისი დაინტერესება ახლოაღმოსავლური კრიზისის გადამწყვეტ კონფერენციაში მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ და ეს განცხადება უპასუხოდ დარჩა. არაფრითაა გამართლებული კონფერენციაში მოწვევა იუგოსლავიის, რუმინეთის და ასევე იაპონიის გარეშე და განსაკუთრებით საკითხის გადაწყვეტაში მეტად დაინტერესებული რუსეთის გარეშე. წარმომადგენლებს დაევალათ ხაზი გაესვათ, რომ სრუტეთა უსაფრთხოება და შესაძლებლობა ამა თუ იმ რეჟიმის მათში გატარებისა დამოკიდებულია ახლო



ადმოსავლეთში არსებულ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე. „რუსეთის მთავრობა, - ნათქვამი იყო განცხადებაში, - კატეგორიულად მოითხოვს კონფერენციაში მის მონაწილებას, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე“. (Clayton, 1971:621-623.). ამ განცხადების ტექსტი ინფორმაციისათვის გადაცემული იქნა თურქეთის ხელისუფლებისათვისაც. რუსეთის მთავრობა უკმაყოფილო იყო თურქეთის ხელისუფლების ბოლოდროინდელი ქმედებებით და იმედს გამოთქვამდა, რომ თურქეთის ხელისუფლება სრულად გაითვალისწინებდა ორივე ქვეყნის ინტერესებს, პოლიტიკური მეგობრობისა და მხარდაჭერის აუცილებლობას და ამ მეგობრობის გამოხატვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად, ჩაითვლებოდა რუსეთის მონაწილება ლოზანის კონფერენციაში, როგორც სხვა სახელმწიფოებთან სრულუფლებიანი წევრი, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

ზემოაღნიშნულს თურქეთმა უპასუხა, რომ 1922 წლის 4 ოქტომბრის ნოტაში მათ თხოვეს ანტანტის სახელმწიფოებს მოეწვიათ რუსეთი, სრუტეებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობისათვის. თუ რუსეთის მთავრობა არ იქნებოდა მოწვეული თურქეთის ხელისუფლებამ მისცა ინსტრუქცია თავის დელეგაციას, ლოზანის კონფერენციაზე დაეყენებინა საკითხი რუსეთის მონაწილეობის შესახებ.

1922 წლის 27 ოქტომბერს რუსეთში ბრიტანეთის ოფიციალური აგენტის მოვალეობის შემსრულებელმა პიტერსონმა გადასცა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობების საპასუხო ნოტა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ზემოაღნიშნული სახელმწიფოები ეპატიჟებიან რუსეთს ლოზანის კონფერენციაში.

ამან არ დააკმაყოფილა მოსკოვი, რამდენადაც რუსეთს უარი ეთქვა ლოზანის კონფერენციაში, სხვა სახელმწიფოებთან თანაბარი სტატუსით მონაწილეობაზე.

1922 წლის 2 ნოემბერს ჩიჩერინის მიერ ხელმოწერილი ნოტა გაეგზავნა ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის ხელისუფლებებს. ნოტა სრულდებოდა რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს მთავრობათა ახლოადმოსავლეთის კონფერენციაში მონაწილეობის მოთხოვნით, სხვა სახელმწიფოებთან თანაბარი უფლებით. საფრანგეთის მინისტრთა საბჭოსა და საგარეო საქმეთა მინისტრმა რ. პუანკარემ, მომწვევ სახელმწიფოთა სახელით 14 ნოემბერს გაუგზავნა პასუხი,

რომელშიც აცნობებდა, რომ ლოზანის კონფერენციაზე მოწვევები დაეგზავნა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ იმყოფებიან თურქეთთან „საბოლოო მშვიდობის მდგომარეობაში“.

„ისინი აგრეთვე საჭიროდ თვლიან, აღნიშნონ, რომ წარმომადგენლები, რომელთა ლოზანაში წარგზავნის უფლებას მიიღო საბჭოთა მთავრობამ, მონაწილეობას მიიღებდნენ სრუტეების შესახებ საკითხის განხილვისას და შესძლებდნენ თავიანთი მოსაზრება გამოეთქვათ ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე რუსეთის მთავრობას შესაძლებლობა ეძლეოდა თავისი დელეგაციის რიგებში საქართველოსა და უკრაინის დელეგატებიც შეეყვანა. (Conference de Lausanne sur les Affaires du Proche Orient. Commission pour l'etude du regime des detroits, Lausanne, 1923. Documents Diplomatic/Paris — 1923 vol.I-II.)

## თავი II

მონტრეს კონვენციის პოლიტიკური მნიშვნელობა,  
დიდი სახელმწიფოების ძალთა და ინტერესთა ბალანსის ასახვის კუთხით

### § 1. პოლიტიკური ინტერესების დაპირისპირების სტრუქტურა კონფერენციაზე ქ. მონტრეში

შავი ზღვის სრუტეების პრობლემა ლოზანის კონფერენციის შემდეგაც რჩებოდა დაინტერესებულ სახელმწიფოთა ყურადღების ცენტრში. მსოფლიო ძლიერ შეიცვალა კონფერენციის შემდეგ 13 წლის განმავლობაში. ამ დროის განმავლობაში სსრკ გადაიქცა მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე სახელმწიფოდ. 1933 წ. 16 ნოემბერს აშშ-მ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან. 1934 წლის სექტემბერში ერთა ლიგის ოცდაათმა წევრმა სახელმწიფომ, საფრანგეთის მთავრობის ინიციატივით, მიწვევით მიმართა სსრკ-ს მთავრობას „გაწევრიანდეს ერთა ლიგაში და შეიტანოს საკუთარი ღირებული თანამშრომლობა“ (Арапов,1960:222) საბჭოთა მთავრობამ მიიღო ეს მიწვევა. 1934 წლის 18 სექტემბერს ერთა ლიგის საერთო კრებამ დაადგინა სსრკ-ს ერთა ლიგაში მიღების და მისი წარმომადგენლის ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი წევრის სტატუსით შეყვანის შესახებ.

1935 წლის 2 მაისს პარიზში ხელი მოეწერა ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას სსრკ-სა და საფრანგეთს შორის. 16 მაისს ასეთივე ხელშეკრულებას მოეწერა ხელი სსრკ-სა და ჩეხოსლოვაკიას შორის. 1935 წლის მარტში ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლის სტატუსით მოსკოვს ეწვია ა. იდენი. ამ ვიზიტის დასრულების შემდეგ გამოქვეყნებულ ინგლის-საბჭოთა კავშირის კომუნიკეში, კერძოდ ნათქვამი იყო: „ორ ქვეყანას შორის მეგობრულ თანამშრომლობას მსოფლიოს კოლექტიური ორგანიზებისა და უსაფრთხოების საერთო საქმეში, პირველხარისხიანი მნიშვნელობა ენიჭება ამ მიმართულებით საერთაშორისო ძალისხმევის შემდგომი აქტივირებისათვის“ (Арапов,1960:223)

თუმცა გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვების და ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლასთან ერთად ევროპაში მომწიფება დაიწყო ახალი მსოფლიო ომის კერამ. ჰიტლერის მთავრობამ თავისი მოღვაწეობა დაიწყო გერმანიის შეიარაღებით და

ვერსალის მშვიდობიანი ხელშეკრულებით შექმნილი სისტემის ნგრევით. 1933 წლის ოქტომბერში გერმანიის მთავრობამ განიარაღების შესახებ საერთაშორისო კონფერენციიდან და გერმანიის ერთა ლიგიდან გასვლის თაობაზე განაცხადა. 1935 წელს ჰიტლერმა გერმანიაში შემოიღო სავალდებულო სამხედრო სამსახური. 1936 წლის მარტში გერმანიის ჯარებმა განახორციელეს რეინის ზონის ოკუპირება.

უკვე იმ წლებში შეიმჩნეოდა გერმანიის, იტალიისა და იაპონიის სამხედრო მოქმედებების კოორდინირება. (Батлер, 1959:49-51)

გერმანიასთან ერთად გამალებით იარაღდებოდა იტალია და იაპონია.

1931 წელს იაპონიამ მოახდინა მანჯურიის ოკუპირება. ხოლო შემდეგ წელს იაპონიის ჯარები გადასხდნენ შანხაის რაიონში. ასე დაიწყო ჩინეთის წინააღმდეგ იაპონიის ხანგრძლივი აგრესია. 1933 წლის მარტში იაპონია გავიდა ერთა ლიგიდან.

მუსოლინი ღიად აცხადებდა, რომ მისი „მზერა მიმართულია აღმოსავლეთისაკენ“. დოდეკანეზის კუნძულებზე, განსაკუთრებით ლეროსის და როდოსის კუნძულებზე, თურქეთის ნაპირების უშუალო სიახლოვეს იქმნებოდა იტალიური მძლავრი სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზა. 1934 წლის ოქტომბერში იტალიის ჯარები შეიჭრნენ აბისინიაში (ეთიოპია). დაიწყო იტალია-აბისინიის ომი. (Аветян, 1968:89-91)

ერთა ლიგის საბჭომ იტალია აგრესორად აღიარა და გადაწყვეტილება მიიღო ეკონომიკური და ფინანსური სანქციების დაწესებაზე, რომლებიც ნაკლებად ეფექტური გამოდგა უმთავრესად ინგლისის მთავრობის საბოტაჟის გამო. (Виноградов, 1991:55)

აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში იტალიის აგრესიულმა პოლიტიკამ თურქეთის შემფოთება გამოიწვია და უკანასკნელმა დაიწყო ინგლისთან დაახლოების გზების ძებნა, რომელსაც გააჩნდა ხმელთაშუა ზღვაში ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ინგლისის მთავრობა ასევე დაინტერესებული იყო თურქეთთან ურთიერთობების გამყარებით ხმელთაშუა ზღვაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, რომელზეც გადიოდა დიდი ბრიტანეთის გზები ინდოეთისკენ და სხვა ბრიტანული სამფლობელოებისკენ. შექმნილ პირობებში თურქეთის მთავრობას პირველხარისხოვან ამოცანად მიაჩნდა შავი ზღვის

სრუტეების თავდაცვის გაძლიერება. მაგრამ ამას ხელს უშლიდა 1923 წლის ლოზანის კონვენცია, რომლის თანახმადაც ეს სრუტეები დემილიტარიზებული იყო. საჭირო იყო სრუტეების რეჟიმის შესახებ ლოზანის კონვენციის ხელმომწერი ქვეყნების კონფერენციის მოწვევა, რომელიც გადაწყვეტდა ამ საკითხს. თურქეთის მთავრობამ დიპლომატიური არხებით დაიწყო ამ გეგმებთან შესაბამისი ქვეყნების დამოკიდებულების გარკვევა. ინგლისის მთავრობა არ ჩქარობდა ანკარისათვის სრუტეების რემილიტარიზებაზე თანხმობის მიცემას, რითაც აიძულებდა თურქეთის მთავრობას ინგლისთან დათმობებზე წასვლას. მხოლოდ 1935 წლის დასასრულს მოხერხდა ლონდონსა და ანკარას შორის შეთანხმების მიღწევა. 1935 წლის დეკემბრის დასაწყისში ლონდონმა საკუთარ ელჩს ანკარაში პერსი ლორენსს დაავალა პრეზიდენტ ათათურქისთვის გაეზიარებინა ინგლისის მთავრობის იმედი მასზედ, რომ იტალიის მხრიდან ბრიტანულ სამხედრო-საზღვაო ფლოტზე და ხმელთაშუა ზღვაში დიდი ბრიტანეთის სხვა ობიექტებზე აგრესიის შემთხვევაში, უკანასკნელს შესაძლებლობა ექნებოდა გამოეყენებინა თურქეთის პორტები, ვერფები, სარემონტო ბაზები, ასევე მიეღო თურქეთის დახმარება იტალიის თავდასხმის მოგერიებისათვის. თურქეთის მთავრობამ საპასუხოდ პირობა დადო შეესრულებინა საკუთარი ვალდებულებები ერთა ლიგის გადაწყვეტილებების ფარგლებში და დახმარება აღმოეჩინა დიდი ბრიტანეთის მთავრობისათვის. ის სთავაზობდა კონტაქტების დამყარებას და კონსულტაციების ჩატარებას ორი ქვეყნის გენერალურ შტაბებს შორის. ამ წინადადებას ინგლისის მთავრობა პრინციპში დათანხმდა. (Алексеев,1961:90-91) ის ასევე დათანხმდა თურქეთის მიერ შავი ზღვის სრუტეების რემილიტარიზებას. ამ წერილობით შეთანხმებით, რომელსაც „ხმელთაშუა ზღვის ჯენტლმენური შეთანხმება“ ეწოდა, გარკვეული ვალდებულებები აიღო მხოლოდ თურქეთის მთავრობამ. რაც შეეხება ბრიტანეთის მთავრობას, ის შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი სახის განცხადებებით, იტალიის თურქეთზე თავდასხმის შემთხვევაში დახმარებაზე რაიმე კონკრეტული ვალდებულებების გარეშე.

ამ მომენტიდან იწყება შესამჩნევი ცვლილებები თურქეთის საგარეო პოლიტიკაში, მისი გადახრა საბჭოთა კავშირიდან ინგლისის მხარეს. დიდი

ბრიტანეთის მთავრობასთან ურთიერთობები თურქეთის მთავრობისთვის პრიორიტეტული გახდა.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ ანკარის თხოვნას სრუტეების რემილიტარიზებაზე მაშინვე თანხმობით უპასუხა, ამასთან არ წამოუყენებია თურქეთის მხარისთვის რაიმე პირობები და ვალდებულებები.

1936 წლის გაზაფხულზე თურქეთმა ლოზანის კონვენციის ხელმოწერა ქვეყნებს დაუგზავნა ნოტა შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის საკითხზე.

ნოტაში აღნიშნული იყო, რომ „როდესაც თურქეთი დათანხმდა ლოზანაში სრუტეების შესახებ კონვენციის ხელმოწერას, რომელმაც თავისუფალი გავლა და დემილიტარიზება დაადგინა, ევროპაში მდგომარეობა პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით სულ სხვაგვარი იყო ვიდრე ახლა“. ნოტაში ასევე ნათქვამი იყო, რომ მაშინ თურქეთმა სრუტეების შესახებ კონვენციის შემზღვრავ მუხლებს ხელი მოაწერა მე-18 მუხლის იმედზე, რომელმაც ერთა ლიგის პაქტის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებს დაამატა ხელმოწერი ქვეყნების ვალდებულება, ყოველ შემთხვევაში 4 დიდი სახელმწიფოს მხრიდან (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია და იაპონია), ერთობლივად და ერთა ლიგის მიერ ამ მიზნებისთვის განსაზღვრული ყველა საშუალებით დაიცვან სრუტეები. „სრუტეების უსაფრთხოების გარანტიების პოზიცია ერთა ლიგასთან მიმართებით, - აღნიშნული იყო ნოტაში, - არის სპეციალური გარემოებები, რომლებიც საეჭვოს ხდიან ამ გარანტიების სამხედრო და ქმედით თანამშრომლობას მათ წინაშე დასმული ამოცანის შესასრულებლად, წარმოადგენენ ელემენტებს, რომლებიც არღვევენ 1923 წლის კონვენციის საერთო წყობას“.

ნოტის დასასრულს ნათქვამი იყო, რომ „თუ რესპუბლიკის მთავრობა სამართლიანად ვარაუდობს, რომ სრუტეების შესახებ კონვენციის მე-18 მუხლის დადგენილებები, რომლებიც ეხება ოთხი დიდი სახელმწიფოს ერთობლივ გარანტიებს შეიქნა საეჭვო და მათ უკვე პრაქტიკულად აღარ შეუძლიათ დაიცვან თურქეთი მისი ტერიტორიის წინააღმდეგ მიმართული საგარეო საფრთხეებისგან, მას უფლება აქვს შეატყობინოს სრუტეების კონვენციის განმხილველ სახელმწიფოებს, რომ ის მზად არის დაიწყოს მოლაპარაკებები, რათა მოკლე დროში მიაღწიოს შეთანხმებას უსაფრთხოების პირობებში სრუტეების რეჟიმის

რეგულირებასთან დაკავშირებით, რომელიც აუცილებელია თურქეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობისთვის, და ხმელთაშუა და შავ ზღვას შორის სავაჭრო ნაოსნობის მუდმივი განვითარებისთვის მაქსიმალურად ლიბერალური სულისკვეთებით“. ( Бухаров,1978:45-46)

აღნიშნული ნოტის გაგზავნით, თურქეთის მთავრობა, უპირველეს ყოვლისა ისწრაფოდა, როგორც ეს ზ. აპაიდინისა და ნ. კრესტინსკის განცხადებიდან ჩანს, სრუტეების რემილიტარიზების საკითხის გადაწყვეტისკენ და არა ლოზანის კონვენციის სრულად შეცვლისკენ. ნ. კრესტინსკისთვის მ.მ. ლიტვინოვის სახელზე განკუთვნილი ნოტის გადაცემისას, ელჩმა „ორჯერ აღნიშნა იმის შესახებ, რომ ახლა ყველაზე მთავარია - პრაქტიკულად დაიწყოს სრუტეების შეიარაღება“ და ნოტის გაგზავნა და მასში შესული არგუმენტაცია „ეს ყოველივე - თეორიაა, ხოლო უფრო მნიშვნელოვანია პრაქტიკა“. ( Бьюкенен,1991:342)

ამავეს აცხადებდა რუმინეთში თურქეთის წარგზავნილი აბდულა სუბხი საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენელთან ოსტროვსკისთან საუბრისას. 1936 წლის 22 მაისს სუბხიმ კერძოდ აღნიშნა, რომ: „ნებისმიერ პირობებში თურქებმა გადაწყვიტეს სრუტეების შეიარაღება იმისდა მიუხედავად მონტრემში იქნება თუ არა მიღწეული შეთანხმება“. ( Бьюкенен,1991:343)

თურქულ ნოტაზე პასუხი ლიტვინოვმა თურქეთის ელჩს გაუგზავნა 1936 წლის 16 აპრილს. სახალხო კომისარმა დაადასტურა რა ნოტის მიღება, აცნობა, რომ „საბჭოთა მთავრობა სრულიად დასაბუთებულად თვლის თურქეთის მთავრობის შემოფოტებას დღეის მდგომარეობით საყოველთაო მშვიდობის მიუღწევლობასა და ომის წარმოშობის სერიოზულ საფრთხესთან დაკავშირებით და ამიტომ მოცემულ ვითარებაში სრუტეების რეჟიმის შესაბამისი ცვლილებით საკუთარი ტერიტორიული უსაფრთხოების მისაღწევად, თურქეთის მთავრობის მისწრაფებას სრულიად ბუნებრივად თვლის“. ნოტაში ასევე ნათქვამი იყო, რომ სსრკ მთავრობა თანახმაა მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში სრუტეების რეჟიმის თურქეთის უსაფრთხოების ინტერესებთან შესაბამისობაში მოსაყვანად და მშვიდობის უზრუნველყოფისა და სიმშვიდისათვის ამ ზონაში. ( Бьюкенен,1991:344)

თურქულ ნოტას შავი ზღვის სრუტეების რეჟიმზე მოლაპარაკებების ჩატარებასთან დაკავშირებით პასუხი გასცეს სხვა სახელმწიფოებმაც.

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ საკუთარ პასუხში ხაზი გაუსვა იმას, რომ ისინი თურქეთის წინადადებას ითვალისწინებენ მხოლოდ ლოზანის კონვენციის სამხედრო მუხლების გაუქმების თვალსაზრისით. საფრანგეთის მთავრობამ უფლება დაიტოვა კონფერენციის ჩატარების ადგილისა და დროის განხილვაზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შეისწავლის კონვენციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. იტალიელებმა განაცხადეს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხს მოგვიანებით გააჟღერებენ. (Виноградов,1985:90)

1936 წლის 29 მაისის ნოტიო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტ.რ. არასმა აცნობა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს იმის შესახებ, „რომ ყველა დაინტერესებული სახელმწიფო თანახმაა შეიკრიბოს მონტრეში კონფერენციაზე 1936 წლის 22 ივნისს“. (Виноградов,1985:91)

შავი ზღვის და სრუტეების უსაფრთხოების საერთო ინტერესების, საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების, ასევე საბჭოთა კავშირ-თურქეთის 1921 წლის ხელშეკრულების გათვალისწინებით, სსრკ მთავრობამ გადაწყვიტა ჩატარებინა თურქეთის მთავრობასთან კონსულტაციები პოზიციების შეთანხმების მიზნით, რომლითაც გამოვიდოდა მონტრეს კონფერენციაზე. მონტრეს კონფერენციის სხვა მონაწილეებთან საბჭოთა მხარის მიერ კონსულტაციები არ გამართულა, რათა არ შექმნილიყო შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა კავშირი მოლაპარაკებებს აწარმოებს თურქეთის ზურგს უკან. (Георгиев,1975:30)

კონსულტაციები თურქეთის მთავრობასთან მიმდინარეობდა ანკარაში სსრკ სრულუფლებიანი წარმომადგენლის ლ.მ. კარახანის მიერ, მომავალი მონტრეს კონფერენციის საკითხებს სახალხო კომისარი ლიტვინოვი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ არასთან განიხილავდა ერთა ლიგის საბჭოს სესიებზე შეხვედრების დროს.

მთავარი საკითხი, რომელშიც განსაკუთრებით დაინტერესებული იყო საბჭოთა კავშირი საკუთარი უსაფრთხოების თვალსაზრისით, იყო შავი ზღვის სრუტეებში სამხედრო ხომალდების გავლის საკითხი. რა თქმა უნდა, ეს საკითხი მნიშვნელოვანი იყო თურქეთისთვისაც.



თურქეთის მთავრობასთან კონსულტაციების გასამართად საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა კარახანს ინსტრუქციები გაუგზავნა. სახალხო კომისრის მოადგილის კრესტინსკის 1936 წლის 13 მაისის წერილში სრულუფლებიანი წარმომადგენლის კარახანის სახელზე, კერძოდ ნათქვამი იყო: „ჩვენთვის ცნობილია, რომ ინგლისელები წინააღმდეგი არ იქნებიან სრუტეების რემილიტარიზებაზე, მაგრამ ეცდებიან ძალაში დატოვონ ლოზანის კონვენციის ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების გავლას სამხედრო ხომალდების მიერ.

ჩვენ დღეისთვის არსებულ წესებს ჩვენთვის არახელსაყრელად ვთვლით, ვინაიდან ისინი ყოველ ქვეყანას შავ ზღვაში ჩვენი ფლოტის თანასწორი ძალის ფლოტის შემოყვანის შესაძლებლობას აძლევენ. მართალია ეს მხოლოდ მშვიდობიან პერიოდს ეხება, მაგრამ თუ ორი ან სამი სახელმწიფო მშვიდობიან დროს ერთობლივად შემოიყვანს ფლოტს, რომელიც ჩვენი შავი ზღვის ფლოტზე ორ-სამჯერ აღმატებული იქნება, ხოლო შემდეგ ომი დაიწყება, აღმოჩნდება, რომ ჩვენ შავ ზღვაში ჩვენს წინააღმდეგ მივიღებთ მოწინააღმდეგის ჩვენზე აღმატებულ საზღვაო ძალებს.

მეორეს მხრივ, მისაღებად არ მიგვაჩნია უბრალოდ ავუკრძალოთ გავლა ყველა სამხედრო გემს და თურქეთს მივცეთ უფლება ცალკეულ შემთხვევებში გასცეს ამა თუ იმ გემის გავლის ნებართვა. ეს იმის ტოლფასი იქნება, რომ დამოკიდებული ვიქნებით თურქეთის მთავრობის დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებზე, რომელთა შემადგენლობა და ორიენტაცია შესაძლებელია შეიცვალოს კიდეც“.

„აი რატომ ვფიქრობთ - ნათქვამია შემდგომ წერილში - დავიკავოთ დაახლოებით ასეთი პოზიცია. შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო გემებს მშვიდობიან დროს შეუზღუდავი უფლება ექნებათ სრუტეების გავლით შევიდნენ ან გავიდნენ შავი ზღვიდან. რაც შეეხება სხვა ქვეყნების სამხედრო გემებს, ჩვენ ვთვლით მართებული იქნება, როგორც საერთო წესი, ავუკრძალოთ შავ ზღვაში შემოსვლა, გარდა წინასწარ შეთანხმებული ოფიციალური ვიზიტებისა, ამასთან ყოველი ასეთი ვიზიტის დროს შემომავალი ესკადრა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სახაზო გემს და საესკადრო ნაღმოსნების ერთ დივიზიონს (4 ხომალდი). იმ შემთხვევაში, თუ სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგობის გამო ვერ

შევიწარმინებთ აღნიშნულ პოზიციას, ამ შემთხვევაში ჩვენ ძალისხმევას მივმართავთ სამხედრო გემების მიერ სრუტეების გავლის უფლების მაქსიმალურად შესაზღვრად იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ პორტები ან ბაზები შავ, ეგეოსის და ხმელთაშუა ზღვებზე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მივდივართ ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის და საბერძნეთის გემებისთვის გავლის უფლების გაფართოებაზე, მაგრამ გერმანელებისთვის, იაპონელებისთვის და ამერიკის სახელმწიფოებისათვის ამგვარი უფლებების მინიჭების კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნებით. რაც შეეხება საომარ ვითარებას, ამ შემთხვევაში თავისუფლად შესვლა-გამოსვლის უფლებას იტოვებს მხოლოდ თურქეთის სამხედრო გემები. სხვა ქვეყნების, მათ შორის ასევე შავი ზღვის ქვეყნების გემების გავლა კი, დასაშვები იქნება მხოლოდ ერთა ლიგის სანქციით იმ შემთხვევებში, როდესაც გემების გავლა დაკავშირებული იქნება ამა თუ იმ ქვეყნის თავდაცვასთან ან იმ ქვეყნის დახმარებასთან, რომლის მიმართაც წარმოებს აგრესია“.

(Живкова,1975:90-91)

თურქეთის მთავრობა შეთანხმდა სსრკ სრულუფლებიან წარმომადგენელთან, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ, თურქეთმა შეიცვალა პოზიცია. ეს სავარაუდოდ აიხსნება იმით, რომ ამავდროულად ანკარა კონსულტაციებს აწარმოებდა ინგლისის მთავრობასთან და უპირატესობა მას მიანიჭა.

ლონდონში საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ი.მ. მაისკიმ მოსკოვს აცნობა, რომ თურქეთის ელჩმა, რომელსაც ის ესაუბრა სრუტეებთან დაკავშირებით, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის ნუმან მენემენჯოღლუს ინგლისელებთან მოლაპარაკების შესახებ შემდეგი ინფორმაცია მიაწოდა: „ნუმანთან საუბრისას იდენი და ვანსიტარტი მეგობრულები და დამთმობები იყვნენ... მათ რეკომენდაცია მისცეს ნუმანს არ წამოეყენებინა ძალიან შორსმიმავალი მოთხოვნები, არამედ კონფერენციაზე მხარი დაეჭირა ინგლისელებთან ერთობლივი ფრონტისათვის“.

(Живкова,1975:92)

მოლაპარაკებათა სირთულე, როგორც კონსულტაციების პერიოდში, ასევე თვით კონფერენციაზეც, აიხსნებოდა უმეტეს წილად ევროპაში დამაბული ვითარებით და მის მონაწილეთა მრავალგემიანი, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებით. დიდი ბრიტანეთის მთავრობას არ სურდა დაეკარგა საბჭოთა

კავშირზე ზეწოლის ბერკეტები და ისწრაფოდა შეენარჩუნებინა მონტრეს კონფერენციაზე სრუტეებში სამხედრო გემების თავისუფალი გავლა, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ლოზანის კონვენციით. მონტრეს კონფერენციაზე ინგლისელები მზად იყვნენ გადაეწყვიტათ მხოლოდ სრუტეების რემილიტარიზაციის საკითხი. მეორეს მხრივ, დიდი ბრიტანეთის გერმანიასა და იტალიასთან ურთიერთობებში დაძაბულობის გაზრდა, ჰიტლერის აგრესიული პოლიტიკა და მუსოლინი ბრიტანეთის მთავრობას აიძულებდა სსრკ-თან დაახლოებაზე წასვლას და მისთვის რაღაც დათმობების გაკეთებას, კერძოდ, სსრკ სამხედრო გემების სრუტეებში გავლასთან დაკავშირებით, რაც განსაზღვრულ საერთაშორისო სიტუაციაში ბრიტანეთისთვის სასარგებლო შეიძლება აღმოჩენილიყო.

რაც შეეხება თურქეთს, ინგლისელები ანკარას იქითკენ უბიძგებდნენ, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებების მიმართ თავშეკავებული ყოფილიყო და არ წასულიყო მათ სრულ დაკმაყოფილებაზე. ამასთანავე, აქედან გამომდინარე ანკარასა და მოსკოვს შორის ურთიერთობების გართულება ბრიტანეთის დიდი ხნის სურვილი იყო და ასევე შედიოდა ლონდონის ინტერესებში, ვინაიდან თურქეთს დიდ ბრიტანეთთან უფრო ძლიერ მიაჯაჭვავდა.

თავად თურქებს, სურვილი ჰქონდათ სრუტეების სრულუფლებიანი მეპატრონეები გამხდარიყვნენ, მაგრამ მათ აშინებდათ დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ომის შემთხვევაში დაეკისრებოდათ, თუ მხოლოდ ისინი იქნებოდნენ პასუხისმგებლები უცხოური სამხედრო გემებისთვის სრუტეების ჩაკეტვაზე. (Живкова,1975:93)

მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე მხარეს წარმოადგენდა ის რომ, ანკარის პოზიციას, რომელიც არ ითვალისწინებდა არც საბჭოთა კავშირის, არც ინგლისის ინტერესებს, შეეძლო ამ ქვეყნებთან ურთიერთობების გაფუჭება, ეს კი თურქებისთვის მიუღებელი იყო. თურქეთი უფრო ხოდა როგორც იტალიას, რომელთან ურთიერთობის დაძაბვისას ინგლისის ფლოტის დახმარების იმედი ჰქონდა, ასევე უფრო ხოდა გერმანიას და საბჭოთა კავშირის დახმარების იმედი ჰქონდა. ეს ჩანს ლიტვინოვის არასთან საუბარში ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე 1936 წლის გაზაფხულზე. „საუბარში არასმა დამარწმუნა, რომ თურქეთი არცერთ

შემთხვევაში არ დაგვმორდება, მით უმეტეს, მას თავად ესმის, რომ ევროპაში ყველაზე დიდ მტრებს წარმოადგენენ გერმანია და იტალია, ხოლო პირველის მხრიდან მოსალოდნელია თურქეთის საზღვრებთან ბალკანეთის მხრიდან მიახლოება“. (Живкова,1975:94)

აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, თურქეთის მთავრობა იზიარებდა ინგლისელების რჩევებს საბჭოთა კავშირის წინადადებებთან დაკავშირებით, ხოლო როდესაც საქმე რთულდებოდა და იწვევდა მოსკოვის მწვავე უკმაყოფილებას, ის ეთანხმებოდა საბჭოთა კავშირის სურვილებს. რა თქმა უნდა, თურქეთის მთავრობა აყენებდა წინადადებებს საკუთარი ნაციონალური ინტერესების გათვალისწინებით. ასე იყო კონსულტაციების პერიოდშიც და ასევე მონტრეს კონფერენციაზე. აი რამდენიმე მაგალითი.

კარახანთან პირველი საუბრისას არასმა წინასწარ მოსაზრებებად წამოწია შემდეგი წინადადებები:

ა) სრუტეებში გავლის შეზღუდვა საბჭოთა დირექტივაში მითითებული რაოდენობით, მაგრამ ერთი დამატებით, არა შავი ზღვის სახელმწიფოების გემების ტონაჟი, რომლებიც ერთდროულად იმყოფებიან შავ ზღვაში, არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ტონას;

ბ) შავი ზღვის სახელმწიფოების სამხედრო გემებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება სრუტეების გავლით, მაგრამ ეს ეხება მხოლოდ შავი ზღვის ფლოტის გემებს. შავი ზღვის ქვეყნების ყოველ ახალ გემს სრუტეების გავლა შეუძლია მხოლოდ თურქეთის მთავრობის ნებართვის საფუძველზე; (Миллер,1948:67)

შემდგომ საუბარში, 4 ივნისს, არასმა აცნობა კარახანს თურქეთის მთავრობის შემდეგი გადაწყვეტილება:

1. სრუტეების გავლა სამხედრო გემებს ეკრძალებათ.
2. დასაშვებია მხოლოდ ვიზიტი შავი ზღვის ერთერთ ქვეყანაში, წინასწარი შეთანხმებით, რიგი შეზღუდვებით, ამასთან, თურქეთის მთავრობის თანხმობით შესაძლოა შეტანილ იქნას ცვლილებები ვიზიტორი ესკადრების შემადგენლობაში, კერძოდ, ერთდროულად შესაძლებელია დაშვებულ იქნას 28 000 ტონიანი გემი იმ პირობით, რომ ის იქნება

ერთადერთი ვიზიტორი შავ ზღვაში. შავ ზღვაში შემოსული გემების საერთო ტონაჟი არ უნდა აღმატებოდეს 28 000 ტონას.

3. იმისდა მიუხედავად, თუ რას ეუბნებოდა არასი ადრე კარახანს, 4 ივნისს მან განაცხადა, რომ შავი ზღვის ქვეყნების გემების გავლა სრუტეებში უნდა დაექვემდებაროს იგივე ნორმებს, რომლებიც დაწესდება არა შავი ზღვის ქვეყნების ფლოტის გავლისთვის იმ განსხვავებით, რომ შავი ზღვის ფლოტის გემები გადიან შავი ზღვიდან და შემდეგ ისევ ბრუნდებიან უკან სრუტეებში გავლისას დაწესებული ტონაჟის შეზღუდვების გათვალისწინებით.

4. ავიაცია ჩართული არ არის კონვენციაში. თურქეთის წყლებზე და ტერიტორიებზე გადაფრენა ექვემდებარება თურქეთში მოქმედ კანონმდებლობას. (Миллер,1948:68)

ამ წინადადებებზე მოსკოვმა უპასუხა კარახანს, რომ მზად არის საფუძვლად მიიღოს თურქეთის მთავრობის პროექტი, იმ პირობით, რომ თურქები დათანხმდებიან ამ პროექტში საბჭოთა კავშირის მიერ შესწორებების შეტანაზე.

მეორე პუნქტი მოსკოვს მიაჩნდა როგორც სამხედრო ფლოტებისთვის სრუტეების დაკეტვის საერთო პრინციპიდან „ამოღება“, რომელიც დასაშვებია იყო მხოლოდ მშვიდობიან დროს. შემზღუდავი პირობები 3.2-ში ეხება მხოლოდ არა შავი ზღვის ქვეყნებს. ესკადრის ვიზიტი შეთანხმებული უნდა იყოს შავი ზღვის იმ ქვეყანასთან, რომლის პორტშიც უნდა შევიდეს ვიზიტორი ესკადრა. ესკადრის შემადგენლობა არ უნდა აღმატებოდეს ერთ კრეისერს და ოთხ ნაღმოსანს. წყალქვეშა ნავების გავლა სრუტეებში არ დაიშვება. ვიზიტორი გემების საერთო ტონაჟი არ უნდა აღმატებოდეს 25000 ტონას. (ამ ტონაჟში იგულისხმება არა შავი ზღვის ყველა ვიზიტორი ესკადრა ერთად აღებული. საბჭოთა კავშირს იმ დროს არ ჰყავდა ხომალდი, რომლის წყალწვაც აღმატებოდა 25000 ტონას).

საომარ პირობებში თურქეთის მიერ ნეიტრალიტეტის შენარჩუნების შემთხვევაში მხედველობაში მიიღებოდა სრუტეებში სამხედრო ფლოტების გავლის სრული აკრძალვა, გარდა თურქეთის გემებისა, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც დახმარება იყო აღმოსაჩენი აგრესიის მსხვერპლისთვის ერთა ლიგის საბჭოს დადგენილებების შესაბამისად.

სსრკ სრულუფლებიან წარმომადგენელს დავალებული ჰქონდა დაჟინებით მოეთხოვა სრუტეებში შავი ზღვის ქვეყნების სახელმწიფოთა სამხედრო გემებისათვის თავისუფალი გავლა, გარდა წყალქვეშა ნავებისა და ავიაციისა. მას ასევე ხაზი უნდა გაესვა, რომ სრუტეებზე თურქეთის სუვერენიტეტის სრულად აღდგენის თეზისის ყოველმხრივი მხარდაჭერით, საბჭოთა მხარეს ასევე უფლება აქვს იმის იმედი იქონიოს, რომ საბჭოთა კავშირის მეგობარი თურქეთი ასევე გაითვალისწინებს სსრკ-ს ინტერესებს.

თურქულ პროექტში ამ შესწორებების შეტანისას მოსკოვი თანახმა იყო ერთობლივად დაეცვა ის მონტრეს კონფერენციაზე. ამასთან დაკავშირებით სრულუფლებიან წარმომადგენელს ევალეობდა მტკიცე მოლაპარაკება თურქებთან იმის თაობაზე, რომ ისინი ისევე, როგორც საბჭოთა დელეგაცია, არ შეცვლიან კონფერენციაზე ამ პოზიციას სსრკ-ს და თურქეთის დელეგაციათა ხელმძღვანელებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. (Мишлер, 1948:69)

ანკარაში სრულუფლებიანი წარმომადგენლის კარახანის საგარეო საქმეთა მინისტრ არასთან მოლაპარაკების შესახებ, მათ შორის ზემოთ აღნიშნულ დირექტივასთან დაკავშირებით, სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ბ.ს. სტომონიაკოვმა 1936 წლის 11 ივნისს წერილით აცნობა ლიტვინოვს პრელაში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა სახალხო კომისარი.

სტომონიაკოვის წერილში საუბარია, რომ კარახანმა ინფორმაცია მიაწოდა შემდეგზე:

1. არასი თანახმაა იმაზე, რომ ანკარაში შეთანხმებულ პროექტთან დაკავშირებით ნებისმიერი ცვლილება განხორციელდება მხოლოდ საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
2. შავ ზღვაში შემომავალი გემების საერთო ტონაჟი შემცირდება 25 000 ტონამდე.
3. ერთი გემის გავლა მაქსიმალური ტონაჟით გამორიცხულია.
4. წყალქვეშა ნავები ამოღებული იქნება პროექტიდან, მაგრამ არასმა განაცხადა, რომ თუ ახალი კონვენციის ბედი ამაზე იქნება დამოკიდებული, ის იძულებული იქნება დათმოს ამ საკითხში კონფერენციაზე.

5. შავ ზღვაში ვიზიტორი ესკადრების ყოფნის ვადა მცირდება ორ კვირამდე.

6. დაზუსტებული იქნება, რომ სრუტეებში გავლა დაიშვება მხოლოდ შავი ზღვის ქვეყანაში ვიზიტის ფარგლებში, ამასთან ეს ვიზიტი ამ ქვეყანასთან უნდა იყოს შეთანხმებული.

7. თურქები არ აპირებენ შეზღუდონ შავი ზღვის ქვეყნების გემების გავლა. არასის განცხადებით, საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მოიფიქრონ ისეთი ფორმულა, რომელიც არ მისცემს სხვა ქვეყნებს იმის არგუმენტს, რომ მოითხოვონ მათი გემების ლიმიტის გაზრდა სრუტეებში გასავლელად.

ის ასევე გვაცნობებს, რომ არასმა ეს საკითხი უნდა განიხილოს პრემიერ-მინისტრ ისმეტ ინენიუსთან და რომ შესაძლოა ფორმულა ასე ჩამოყალიბდეს: „სრუტეებში გამავალი გემების ტონაჟების შეზღუდვა არ ვრცელდება შავი ზღვის ფლოტების გემებზე იმ შემთხვევაში, თუ ეს გემები სრუტეებს გაივლიან ცალ-ცალკე. ასეთ საერთო ფორმულას თურქები უპირატესობას ანიჭებენ იმ მიზეზით, რომ არ შექმნან სირთულეები ამ შეზღუდვების განხილვისას არა შავი ზღვის ქვეყნებისათვის“. გარდა ამისა, არასი გვთავაზობდა ტაქტიკური მოსაზრებების გამო არ შევიტანოთ ეს ფორმულა პროექტში, არამედ საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელთან შეთანხმების შემდეგ გამოტანილი იქნას კონფერენციაზე „ამისთვის ხელსაყრელ მომენტში კონფერენციის მიმდინარეობისას“.

(Миллер,1948:70)

სახალხო კომისრისთვის გაგზავნილ წერილში სტომონიაკოვი მიუთითებს, რომ არასის უკანასკნელი წინადადებების წინააღმდეგ ძირითადი წინააღმდეგობა უკავშირდება მის სურვილს არ შეიტანოს კონვენციის პროექტში დადგენილება შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო გემების სრუტეებში თავისუფლად გავლის შესახებ.<sup>20</sup> კარახანს დაევალა არასთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პრემიერ ისმეტ ინენიუსთანაც, შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო გემების სრუტეებში თავისუფლად გავლის შესახებ დადგენილების თურქულ პროექტში შეტანის საკითხის მკაცრად დაყენება. სახალხო კომისარს მიეცა მითითება განუმარტოს თურქებს იმის თაობაზე, რომ როდესაც თანხმდებოდა სრუტეების გავლას

სათითაოდ, საბჭოთა მხარე არ გულისხმობდა შავი ზღვის ქვეყნების საერთოდ ყველა გემს, არამედ მხოლოდ სახაზო გემებს და კრეისერებს, რომლებსაც შეიძლება ახლდეს ნაღმოსნები და სხვა მსუბუქი გემები. საბჭოთა მხარე თანხმდებოდა სრუტეში ერთდროულად შავი ზღვის ქვეყნის ესკადრის გავლას, რომელიც არ აღემატებოდა ერთ სახაზო გემს ნაღმოსნების დივიზიონთან ერთად ან ერთ კრეისერს ნაღმოსნების დივიზიონთან ერთად, მაგრამ ტონაჟის შეზღუდვის გარეშე.

კარახანს დაევალა ხელსაყრელი შემთხვევის გამონახვა ისმეტ ინენიუს ინფორმირებისთვის არასის თანხმობის შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ ანკარაში შეთანხმებულ პროექტთან დაკავშირებით ნებისმიერი ცვლილება განხორციელდება კონფერენციაზე მხოლოდ თურქეთისა და საბჭოთა კავშირის დელეგაციების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით. აღნიშნულით შეკრული იქნება არა მხოლოდ არასი, არამედ ინენიუსც. (Миллер,1948:71)

22 ივნისს მონტრეში გაიხსნა კონფერენცია შავი ზღვის სრუტეების რეჟიმთან დაკავშირებით. მასში მონაწილეობა მიიღო ბულგარეთის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, რუმინეთის, საფრანგეთის, სსრკ-ს, თურქეთის, იუგოსლავიის, იაპონიის დელეგაციებმა. იტალიის დელეგაცია კონფერენციაზე არ გამოცხადდა. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი მ.მ. ლიტვინოვი. მან საკუთარი გამოსვლა დაასრულა განცხადებით, „რომ ლოზანის კონვენციის გადახედვის საკითხი ყველა მშვიდობისმოყვარე მონაწილის კეთილი ნების შემთხვევაში შესაძლებელია გადაწყდეს თურქეთის სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებით, შავი ზღვის ყველა ქვეყნის ინტერესების დაცვით, ასევე შავი ზღვის აუზში მშვიდობის განმტკიცებისა და უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე და ამით მსოფლიო მშვიდობისათვის ხელშეწყობა.“ (Миллер,1948:72)

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა არასმა - დელეგაციის ხელმძღვანელმა, იმავე დღეს შეიტანა განსახილველად შავი ზღვის სრუტეების რეჟიმთან დაკავშირებით კონვენციის პროექტი, რომელიც 13 მუხლისგან შედგებოდა. საბჭოთა დელეგაციას არასმა წარუდგინა პროექტი, რომელიც მკაფიოდ განსხვავდებოდა საბჭოთა მხარესთან ანკარაში შეთანხმებული პროექტისაგან.



თურქული პროექტის მე-6 მუხლი ითვალისწინებდა მშვიდობიან დროს სრუტეებში სამხედრო გემების თავისუფალ გასვლას, გარდა წყალქვეშა ნავებისა, ნებისმიერი დროში თავაზიანობის ვიზიტით განსაზღვრული პირობების დაცვის შემთხვევაში, კერძოდ, ვიზიტორი ესკადრის შემადგენლობაში შესაძლოა ყოფილიყო ერთი კრეისერი და ორი სატორპედო კატარღა საერთო ტონაჟით არა უმეტეს 14 000 ტონა. აღნიშნული შეზღუდვები ვრცელდებოდა ასევე შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო გემებზე, ამასთან შავი ზღვის ქვეყნის გემის სრუტეში გასაგვლელად 14-დან 25 ათას ტონამდე წყალწვით საჭირო იყო თურქეთის წინასწარი ნებართვა და ასეთი გემი გაივლიდა სრუტეს მარტოდმარტო. (Миллер,1948:73)

კონფერენციაზე განსახილველად ასეთი პროექტის გამოტანა წარმოადგენდა არასის მხრიდან ანკარაში სსრკ სრულუფლებიან წარმომადგენელთან როგორც პროექტის შინაარსთან დაკავშირებით, ასევე თურქეთისა და საბჭოთა კავშირის დელეგაციებს შორის ურთიერთობების შესახებ მიღწეული შეთანხმებების დარღვევას. არასმა შეიტანა კონვენციის შეცვლილი პროექტი სსრკ დელეგაციის ხელმძღვანელთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. ყოველივე ამან მოსკოვში, ასევე მონტრეში საბჭოთა დელეგაციაში მწვავე უკმაყოფილება გამოიწვია. საბჭოთა დელეგაციამ 1936 წლის 31 ივლისის წერილით მონტრეში კონფერენციის ცალკეული მომენტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა სახალხო კომისრის მოადგილეს ბ.ს. სტომონიაკოვს. მასში აღნიშნულია, რომ სახალხო კომისარი გაოგნებული დარჩა კონვენციის თურქულ პროექტში სრუტეებში შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო გემების გავლის შეზღუდვასთან დაკავშირებული პუნქტის არსებობის გამო.

„წერილში ნათქვამია - „ლიტვინოვმა არასს პირველი შეხვედრისთანავე შეახსენა, რომ ლოზანის კონვენციაში სრუტეებში შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო გემების გავლა სრულიად შეუზღუდავია, ხოლო არა შავი ზღვის ქვეყნების გემების შესვლა შავ ზღვაში შეზღუდულია“. სახალხო კომისარი ამბობდა, რომ მისთვის გაუგებარია, როდესაც თურქეთი ითხოვს რა სრუტეების რემილიტარიზებას, რატომ უნდა გამოვიდეს პირველი შავი ზღვის ქვეყნების უფლებების შეზღუდვის წინადადებით, და რომ ამ პუნქტის ამოღება საშუალებას მისცემდა საბჭოთა და

თურქეთის დელეგაციებს კონფერენციაზე გამოსულიყვნენ შეთანხმებულად თურქული პროექტის დასაცავად, რაც გაამყარებდა ორივე დელეგაციის პოზიციებს. თუმცა არასი ჯიუტად ამბობდა უარს ამ პუნქტის ამოღებაზე, რის შედეგადაც ორივე დელეგაციას შორის უთანხმოებები გამოვლინდა უკვე კონფერენციის პირველ სხდომაზე. (Миллер,1948:74) კონფერენციაზე 23 და 25 ივნისის გამოსვლები საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა მიუძღვნა სსრკ პოზიციის ახსნას შავი ზღვის სრუტეებთან დაკავშირებით. (Миллер,1948:75)

26 ივნისს სახალხო კომისრის მოადგილემ ბ.ს. სტომონიაკოვმა მიიწვია თურქეთის ელჩი აპაიდინი და განცხადებით მიმართა მას, რომელშიც ჩამოაყალიბა მოსაზრებები, რომლებმაც აიძულეს საბჭოთა მთავრობა მოითხოვოს მისი სამხედრო გემების სრუტეებში თავისუფალი გავლა. (Миллер,1948:76) ასევე დავალება მიეცა სრულუფლებიან წარმომადგენელს კარახანს თურქეთის პრემიერ-მინისტრ ინენიუსთვის შესაბამისი განცხადებით მიმართვის თაობაზე.

ერთა ლიგის საბჭოს სესიასთან დაკავშირებით ჟენევაში ივნისის დასასრულს შეიკრიბნენ საგარეო საქმეთა მინისტრები. იქ, სსრკს-ს, საფრანგეთის, ინგლისის, თურქეთის და რუმინეთის მინისტრების კერძო თათბირზე განიხილებოდა მონტრეს კონფერენციაზე შექმნილი ვითარების საკითხი.

როგორც აღნიშნულია ზემოთ მოხსენიებულ საბჭოთა დელეგაციის 31 ივლისის წერილში ბ.ს. სტომონიაკოვის სახელზე, ამ თათბირზე დავა უმთავრესად დავიდა სრუტეებში შავი ზღვის ქვეყნების ხაზობრივი გემების გავლის საკითხამდე. ა. იდენმა მხარი დაუჭირა თურქული პროექტის შესაბამის პუნქტს და შემოიფარგლა სრუტეების უსაფრთხოების არგუმენტით. მ.მ. ლიტვინოვმა მაშინ ჰკითხა იდენს, თუკი საბჭოთა ლინკორების გავლაზე მისი წინააღმდეგობა განპირობებულია მხოლოდ სრუტეების უსაფრთხოების მოსაზრებით, მოხსნის თუ არა ის ამ წინააღმდეგობას მაშინ, თუ ლიტვინოვი მოახერხებს არასთან შეთანხმებას. ამ წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა თავად თურქი მინისტრი, როგორც წერილშია აღნიშნული, რომელმაც განაცხადა რომ არ სურს საბჭოთა დელეგაციასთან ამ საკითხზე შეთანხმება და რომ ის დაიცავს საბჭოთა გემების ტონაჟის შეზღუდვებს იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ინგლისის მხრიდან არ იქნება წინააღმდეგობა. ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ დავის გამომწვევი პუნქტი ლინკორების გავლასთან

დაკავშირებით არ იყო ნაკარნახევი არა შავი ზღვის ქვეყნების მხრიდან რაიმე მოთხოვნების წარმოშობის მოლოდინით, არამედ სულ სხვა მოსაზრებებით. „კერძო საუბრებში - აღნიშნულია სტომონიაკოვის სახელზე 31 ივლისის წერილში - გ. არასი აღიარებდა, რომ ის არ ენდობა საბჭოთა ფლოტს, რომ ის ამ პუნქტში ხედავს საბჭოთა შავი ზღვის ფლოტის შეზღუდვის საშუალებას“. (Миллер, 1948:77)

საბჭოთა კავშირ-თურქეთის დავამ კონფერენციაზე მიიღო სკანდალური ხასიათი. სსრკ დელეგაციის ხელმძღვანელმა სცადა ბოლო მოეღო ამგვარი სიტუაციისთვის. ლიტვინოვმა შესთავაზა არასს არ წავიდეს ინგლისთან არანაირ დათმობებზე სსრკ-სა და თურქეთის დელეგაციებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. არასი დათანხმდა ამაზე. (Миллер, 1948:77)

თურქეთის პრესა კი მონტრეს კონფერენციის შესახებ აქვეყნებდა ინსპირირებულ ინფორმაციებს, ხაზს უსვამდა, რომ სირთულეები მონტრეში გამომდინარეობს სსრკ-სა და ინგლისს შორის უთანხმოებიდან და რომ თურქეთის ინტერესი ამ უთანხმოებებში მცირეა. (Миллер, 1948:78)

1936 წლის 27 ივნისს მ.მ. ლიტვინოვი ჟენევაში შეხვდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. იდენს. მოლაპარაკებებში საუბარი ეხებოდა შავი ზღვის სრუტეებს. იმავე დღეს სახალხო კომისარმა აცნობა მოსკოვს, რომ „იდენი ამბობს, რომ არ სურს სირთულეები შეუქმნას საბჭოთა კავშირს შავ ზღვაზე, მაგრამ უნდა ითვალისწინებდეს ასევე საკუთარ მდგომარეობას პარლამენტში. იდენი მზად არის წინააღმდეგობა არ გასწიოს საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების შავი ზღვიდან გასვლის საკითხში, მაგრამ ამასთან ერთად დადგენილი უნდა იყოს ერთგვარი დამოკიდებულება შავ ზღვაში უცხოური გემებისა და საბჭოთა კავშირის გემების საერთო ტონაჟს შორის“.

იდენტან საუბრისას სახალხო კომისარმა წარმოადგინა სსრკ-ს პოზიცია - შავი ზღვის სრული დაკეტვა საბჭოთა გემებისთვის გასვლის უფლებით, გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით. „ამაზე - წერს ლიტვინოვი - იდენმა განაცხადა, რომ უპირატესობას ანიჭებს ღია სრუტეებს. ბოლოს და ბოლოს იდენი დათანხმდა ყველა ქვეყნის გემების საერთო ტონაჟის შეზღუდვაზე შავ ზღვაში 30000 ტონამდე იმისთვის, რომ ეს ტონაჟი შესაბამისად გაიზრდებოდა საბჭოთა შავი ზღვის ფლოტის ზრდის მიხედვით. საბჭოთა ფლოტს გასვლის უფლება ექნება იმ შეზღუდვებით,

რომელსაც მოითხოვს თურქეთი სრუტეების უსაფრთხოების ინტერესებში“.  
(Миллер,1948:79)

28 ივნისს ლიტვინოვმა აცნობა მოსკოვს, რომ „ინგლისელები დაჟინებით მოითხოვენ შავ ზღვაში ყველა ქვეყნის გლობალურ ტონაჟს 30000 ტონამდე ამ ტონაჟის პროპორციული გაზრდით საბჭოთა შავი ზღვის ფლოტის 10% და მეტით ზრდასთან ერთად... შავი ზღვის ქვეყნებისთვის გემების სრუტეებში გავლა იქნება თავისუფალი იმ შეზღუდვებით, რომლებსაც ითხოვს თურქეთი სრუტეების უსაფრთხოების ინტერესებში (ანუ, სრუტეებში ერთდროული გავლა არა უმეტეს 15 000 ტონისა, ხოლო მეტი ტონაჟით - თურქეთის ნებართვით)“.

29 ივნისს მოსკოვმა მითითებები გაუგზავნა ლიტვინოვს იმ საკითხებზე, რომელთა შესახებაც სახალხო კომისარი წერდა თავის 27 და 28 ივნისის ტელეგრამებში. მათში აღნიშნული იყო, რომ არ ეწინააღმდეგება ინგლისელების მიერ შემოთავაზებულ მცოცავ შკალას.

სახალხო კომისარს შენიშვნა მისცეს მოლაპარაკებებში დათმობების გამო და დაავალეს „მიაღწიოს სსრკ-სთვის შავი ზღვის გემების გავლას ტონაჟის შეზღუდვების გარეშე, ან უკიდურეს შემთხვევაში, მიეთითოს 35 000 ტონამდე, ლონდონის ლიმიტამდე. (Миллер,1948:80) ტელეგრამაზე ი.ვ. სტალინის შემდეგი მინაწერია „შესაძლოა უახლოეს წლებში მოგვიწიოს სამხედრო გემების მშენებლობა 25000 ტონაზე მეტი ტონაჟით“.

„იმის გათვალისწინებით - ნათქვამია დირექტივაში - რომ სრუტეების რემილიტარიზება, როგორც ჩანს, მთლიანად აღმოჩნდება გერმანელების ხელში, (Миллер,1948:81) საჭიროა შავი ზღვიდან გამოსვლის უფლების მიღწევა ამაზე თურქეთის მთავრობის ნებართვის გამოთხოვის გარეშე და მხოლოდ სრუტეში გავლის თარიღის შეტყობინებით. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მოხდეს თანხმობა თურქეთის წინასწარ ნებართვაზე. ამ შემთხვევაში საჭიროა ახლავე, სრუტეების შესახებ ახალი კონვენციის ძალაში შესვლიდან უმოკლეს ვადებში მოლაპარაკება არასთან შეთანხმებაზე, რომლის თანახმადაც ჩვენ წინასწარ გვექნება თანხმობა მსხვილი გემების გავლაზე” (Миллер,1948:81)

თავის 2 ივლისის საპასუხო ტელეგრამაში სახალხო კომისარი უარყოფს მოსკოვის საყვედურებს დათმობებთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ

დელეგაცია ამ დრომდე არ გასულა საწყისი დირექტივების ფარგლებს გარეთ. შავი ზღვის სრული დაკეტვა ჩვენი გემების თავისუფალი გავლით, წერდა ლიტვინოვი, ამ დირექტივებით არ მოითხოვებოდა. „შავი ზღვა აქამდე არ აღიარებულა დაკეტილად და ითვლება საერთაშორისოდ - წერდა სახალხო კომისარი - როდესაც ის წარსულში ფაქტიურად დაკეტილი იყო, შავი ზღვის სახელმწიფოებსაც არ ჰქონდათ გასვლის უფლება. საბჭოთა კავშირს არ გააჩნია საშუალებები ზეწოლა მოახდინოს სახელმწიფოებზე, იმისთვის, რომ მათ აღიარონ შავი ზღვა ღიად მხოლოდ სანაპირო ქვეყნებისთვის. ახლა ამ პოზიციაზე დარჩენა, მას შემდეგ რაც უშედეგოდ ვეცადეთ მისი გატანა, უსარგებლოა“. სახალხო კომისარი წარმატებად თვლიდა იმას, რომ ინგლისელები დათანხმდნენ შავ ზღვაში შესვლის მნიშვნელოვან შეზღუდვებზე, რითიც ისინი სარგებლობდნენ ლოზანის კონვენციით. „რჩება საკითხი ჩვენი ფლოტის გასვლასთან დაკავშირებით - განაგრძობს ლიტვინოვი - ჩვენი ფლოტის სრულიად თავისუფალ გასვლას მახარს არ დაუჭერს არც ინგლისი, არც სხვა ქვეყნები. მეორე მხრივ, ინგლისი არ ზღუდავს ჩვენი ფლოტის გასვლისა და შემოსვლის საერთო ტონაჟს. ჩვენ შგვიძლია გავიყვანოთ მთლი ჩვენი ფლოტი და შემოვიყვანოთ ნებისმიერი ტონაჟი.

შეზღუდვები მოიცავს შემდეგს:

ა) თურქეთისთვის შტყობინების აუცილებლობა ჩვენი გემების გავლის თაობაზე. ამაზე თანხმობა მოგვცა ანკარაში სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კარახანმა. (ამ პუნქტის საწინააღმდეგოდ ტელეგრამაზე არსებობს ი.ბ. სტალინის მინაწერი: „ეს არანაირი შეზღუდვა არ არის“).

ბ) სრუტეებში ერთდროულად გავლაზე ტონაჟის 15 000 ტონამდე შეზღუდვა. თურქები ამ მოთხოვნას მოტივირებენ სრუტეების უსაფრთხოებით. ყველა ქვეყანა, გარდა სსრკ-სა ამას დაეთანხმა. (ამ აბზაცის მოპირდაპირედ ი.ბ. სტალინმა დაწერა „არა“). სახალხო კომისარი ტელეგრამაში ცდილობს აჩვენოს რომ ამაზე შეიძლებოდა დათანხმება. ლიტვინოვი წერს, რომ არ გონია სსრკ-ს როდისმე აუცილებლად ერთ დღეში დასჭირდეს შავი ზღვის ფლოტის გაყვანა, რომ ჩვენი ინტერესები იზარალებდა იმის გამო, რომ 15000 ტონა წყალწვის პირველი გემების გასვლის შემდეგ, შემდეგი გემები გაივლიან სრუტეებში მხოლოდ შემდეგ დღეს.

გ) თურქებისგან ნებართვის გამოთხოვა მსხვილი ერთეულების გავლაზე, რომელთა წყალწვა 15000 ტონას აჭარბებს თითოეული. თურქებმა - წერდა ლიტვინოვი - წამოაყენეს ეს მოთხოვნა, რათა სხვა სახელმწიფოებს არ მოეთხოვათ შავ ზღვაში საკუთარი საბრძოლო ხომალდების შემოყვანა, რომლებიც ისარგებლებდნენ რა ბულგარეთის ბაზით, შეძლებდნენ თურქების საბრძოლო მოქმედებების მნიშვნელოვან პარალიზებას“.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა არასმა, განაგრძობს ლიტვინოვი, განუცხადა მას, რომ საბჭოთა კავშირი ნებართვაზე უარს არასდროს არ მიიღებს. ლიტვინოვის შეკითხვაზე, გასცემს თუ არა არასი ამის შესახებ წერილობით ვალდებულებას, უკანასკნელმა უპასუხა, რომ დაეკითხება ანკარას.

ტელეგრამაში სახალხო კომისარი აღნიშნავს, რომ თავიდანვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები წყალქვეშა ნაგებობების მიერ სრუტეების (შავ ზღვაში შესვლაზე და გასვლაზე) გავლაზე სრულ აკრძალვაზე, და ამაზე ანკარაში სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კარახანმა თანხმობა განაცხადა. (ამ აბზაცის მოპირდაპირედ ი.ბ. სტალინმა გააკეთა მინაწერი: „შეიძლება“).

ლიტვინოვი კითხულობს, მან უკან უნდა წაიღოს თანხმობა და საბოლოოდ უარყოს ყველა მითითებული შეზღუდვა. ასეთი პოზიციის დაკავების შემთხვევაში, წერს ლიტვინოვი, შეთანხმება შეუძლებელი გახდება. ამ შემთხვევაში ან შეთანხმებას ხელი მოეწერება ჩვენი მონაწილეობის გარეშე, ან კონფერენცია შემოიფარგლება თურქეთისთვის სრუტეების რემილიტარიზებაზე თანხმობით და ძალაში დატოვებს ლოზანის კონვენციით გათვალისწინებულ სრუტეების რეჟიმს. ორივე შემთხვევაში, წერს სახალხო კომისარი, ჩვენ წავაგებთ.

ლიტვინოვის აზრით, სსრკ უნდა ისწრაფოდეს არა შავი ზღვის ქვეყნების ტონაჟის შეზღუდვისკენ ახლანდელთან შედარებით, რისი მიღწევაც შესაძლებელია, თუ საბჭოთა კავშირი დათანხმდება ჩვენი გემების გავლის ზემოაღნიშნულ შეზღუდვებზე არა ტონაჟის, არამედ მხოლოდ სრუტეებში გავლის პირობების მიმართ.

სახალხო კომისარი იტყობინება, რომ მას იმედი აქვს საბოლოოდ შეუთანხმდეს ინგლისელებს, ფრანგებს და თურქებს კონფერენციაზე იტალიელების გამოჩენამდე. ლიტვინოვი წერს, რომ არასისგან მიაღწია დაპირებას იმის თაობაზე,

რომ უკანასკნელი მომავალში აღარ წავა დათმობებზე და არ წამოაყენებს არანაირ წინადადებებს მასთან შეთანხმების გარეშე. (Миллер,1948:82)

ლონდონში ამ დროს ამზადებდნენ კონვენციის თურქული პროექტის შესწორებებს, რომელმაც კონფერენციის მუშაობის პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ეს შესწორებები ასახავდა ინგლისის პოლიტიკური ჯგუფებისა და უწყებების ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებს. 1936 წლის 4 ივლისს ინგლისის დელეგაციამ შეიტანა ეს შესწორებები მონტრეს კონფერენციაზე განსახილველად, ფაქტიურად კი ეს იყო სრუტეების შესახებ კონვენციის დეტალურად შემუშავებული პროექტი. ინგლისურ პროექტში არ იყო განსხვავება შავი ზღვის ქვეყნების და არა შავი ზღვის ქვეყნების გემებს შორის. არ იყო მითითებული, რომ სრუტეებში გამავალი გემების მიზანია - შავი ზღვის ქვეყნების პორტებში ვიზიტი. სრუტეებში ტრანზიტის მდგომარეობაში მყოფი გემების საერთო ტონაჟი არ უნდა აღემატებოდეს 15000 ტონას და ა.შ. პროექტი შეიტანა ინგლისის დელეგაციის ხელმძღვანელმა ლორდმა სტენლიმ, რომელმაც შეცვალა ლორდი სტენხოპი. 6 ივლისს ინგლისის დელეგაციამ შეიტანა დამატებითი შესწორებები საკუთარ 4 ივლისის პროექტში. დიდი ბრიტანეთის დელეგაციის დოკუმენტი შდგებოდა 26 მუხლისგან.

სსრკ-ს (ლიტვინოვი), საფრანგეთის (პოლ-ბონკური) და რუმინეთის (ტიტულესკუ) დელეგაციების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ეს ახალი პროექტი (ინგლისური) უარყოფილი უნდა იქნას, ვინაიდან კონფერენციამ თავისი მუშაობის საფუძვლად უკვე აიღო თურქული პროექტი, რომლის საფუძველზეც უკვე მუშაობენ ტექნიკური და სარედაქციო კომიტეტები. მათ გასაოცრად არასმა დაიცვა ინგლისური პროექტი და უარი თქვა მის უარყოფაზე. თურქეთის მთავრობის ეს ნაბიჯი შემთხვევითი არ იყო. ჯერ კიდევ ადრე, სრულუფლებიანი წარმომადგენლის კარახანის არასთან კონსულტაციების პერიოდში, თურქეთის მთავრობა, ცდილობდა რა თავიდან აეცილებინა ურთიერთობების გაართულება საბჭოთა კავშირთან კონფერენციის მუშაობისას წინააღმდეგობების გამო, არ გამორიცხავდა ინგლისური პროექტის მიღების შესაძლებლობას, რომელიც თურქების მონაწილეობით იყო შედგენილი, და ამით ცდილობდა საბჭოთა დელეგაციასთან დაპირისპირება დიდ ბრიტანეთის დელეგაციაზე გადაეტანა.

სახალხო კომისრის მოადგილის სტომონიაკოვის სახელზე 1936 წლის 29 ივნისის წერილში სრულუფლებიანი წარმომადგენელი კარახანი წერდა, რომ არასთან ერთერთ ადრეულ საუბარში საბჭოთა საელჩოში საუბრეზე, ეს უკანასკნელი ნახევრად ხუმრობით ეუბნებოდა, „რომ თურქეთისთვის მთავარია - რემილიტარიზება (სრუტეების), ხოლო სამხედრო ხომალდების გავლა - ეს სსრკ-სა და ინგლისის საკითხია. თუ ამ საკითხის განხილვა გართულდება, მაშინ სსრკ-ს ინგლისთან შეთანხმება მოუწევს, ხოლო თურქეთი მიიღებს ყოველგვარ შეთანხმებას, რომელიც მათ შორის იქნება მიღწეული“.

მონტრეს კონფერენციაზე მოვლენების ამგვარმა განვითარებამ მოსკოვში მკაცრი რეაქცია გამოიწვია.

1936 წლის 5 ივლისს სტომონიაკოვმა თურქეთის ელჩი აპაიდინს განუცხადა, რომ მათთვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ თურქეთი მზად არის ყოველგვარი ნებართვის გარე შემოუშვას გერმანიის ესკადრები და იაპონიაც კი ვიზიტებისთვის შავ ზღვაში. „ამავე დროს ჩვენი მსხვილი გემების სასიცოცხლოდ მნიშველოვანი გადასვლისათვის ჩვენს სხვა საზღვაო ბაზებზე იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ნაკარნახევია ჩვენი უსაფრთხოების გადაუდებელი მოთხოვნებით, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ და ველოდოთ თურქეთის ნებართვას“. (Миллер,1948:81)

შესაბამისი დავალებები მიეცათ სსრკს სრულუფლებიან წარმომადგენლებს თურქეთში და დიდ ბრიტანეთში. მონტრეში მიმდინარე მოლაპარაკებების თაობაზე განსაკუთრებით განიცდიდა სსრკ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში ლ.მ. კარახანი, რომელიც კონსულტაციებს გადიოდა ანკარაში საგარეო საქმეთა მინისტრ არასთან და მიაღწია კარგ შედეგებს. ეს შედეგები თავდაყირა დააყენა მონტრეში თავად არასმა.

1936 წლის 7 ივლისს სტომონიაკოვმა, რომელიც ასრულებდა სახალხო კომისრის მოვალეობებს, სტალის გაუგზავნა წერილი მონტრეს კონფერენციასთან დაკავშირებული წინადადებებით. ასლები დაეგზავნა მოლოტოვს და ვოროშილოვს. წერილში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ მონტრეს კონფერენციაზე „სერიოზული ვითარებაა“, წინ არის პროექტის (კონვენციის) მესამე წაკითხვა და მდგომარეობის სირთულის გათვალისწინებით ლიტვინოვი მოსალოდნელად



მიიჩნევს, რომ კონფერენცია დასრულდება სრუტეების რემილიტარიზების ოქმის მიღებით და ლოზანის სხვა დანარჩენი დებულებების ძალაში დატოვებით.

შედეგად ლიტვინოვს მიეცა შემდეგი მითითებები:

1. უნდა მივალწიოთ არსებული და მომავალი საბჭოთა მსხვილი გემების შავი ზღვიდან გაყვანის უპირობო უფლებას ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.
2. აუცილებლობის შემთხვევაში უარი ვთქვათ შავ ზღვაში საბჭოთა მსხვილი გემების შეყვანაზე სხვა ზღვებიდან.
3. მოვითხოვოთ ჩვენი ლინკორების აუცილებელი ესკორტი შავი ზღვიდან გამოსვლისას უკიდურეს შემთხვევაში ორი ნაღმოსნის მიერ.
4. ჩვენი ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელია დათანხმება მცოცავ შკალასთან დაკავშირებით, რომელზეც საუბარია ინგლისურ პროექტში.
5. სხვა ქვეყნების სამხედრო გემების შავ ზღვაში შემოსვლაზე „კუმანიტარული მიზნებისათვის“ უარი ითქვას.
6. იმ შემთხვევაში, თუ ყველა ჩვენი მოთხოვნა საბოლოოდ უარყოფილი იქნება, შემოთავაზებული იქნება ოქმი სრუტეების დემილიტარიზების შესახებ და არა შავი ზღვის ქვეყნების ყველა გემის საერთო ტონაჟის 30000 ტონამდე და მეტზე, ან უკიდურეს შემთხვევაში ჩვენი შავი ზღვის ფლოტის ტონაჟით შეზღუდვაზე.

დირექტივაში აღნიშნულია, რომ ეს სსრკ-ს საბოლოო პოზიციაა.

(Миллер,1948:82)

მოსკოვიდან დირექტივის მიღების შემდეგ ლიტვინოვმა სსრკ სრულუფლებიან წარმომადგენელს ლონდონში ი.მ. მაისკის დაავალა საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მეგობრის ვანსიტარტის მონახულება და მისთვის განცხადება, რომ „თუ ინგლისის დელეგაცია (მონტრეში) განაგრძობს გამომსვლელი საბჭოთა გემების ტონაჟის 15 000 ტონამდე შეზღუდვის მკაცრად მოთხოვნას, საბჭოთა დელეგაცია იძულებული გახდება დატოვოს მონტრეს კონფერენცია. ამ შემთხვევაში აქედან გამომდინარე შედეგებზე პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება დიდ

ბრიტანეთს, ხოლო ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებს მიადგება სერიოზული ზიანი“.

ვანსიტარტი ამ დროს არ იმყოფებოდა ლონდონში, ხოლო ა. იდენი, ჟენევაში ერთა ლიგის საბჭოს სესიის დასრულების შემდეგ, ერთკვირიან შვებულებაში იმყოფებოდა. ამიტომ 11 ივლისს შედგა მაისკის შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივ მეგობართან ოლიფანტთან.

მაისკიმ განუცხადა ოლიფანტს, რომ მონტრეში კონფერენციის მიმდინარეობა შემოფოთებას იწვევს. კონფერენციის დასაწყისში ყველაფერი დამაკმაყოფილებლად ჩანდა. იდენი ჟენევაში ამ თემაზე ესაუბრა ლიტვინოვს და მიანიშნა, რომ სრუტეებთან დაკავშირებით საბჭოთა და ინგლისის შეხედულებები არსებითად არ განსხვავდება. 30 ივნისს მაისკი იგივე თემაზე ესაუბრებოდა ლონდონში ვანსიტარტს, და ვანსიტარტიც არწმუნებდა მას, რომ მონტრეში შეთანხმება ყოველგვარი ეჭვების გარეშე შეიძლება უკვე მიღწეულად ჩაითვალოს.

ერთა ლიგის სხდომის შემდეგ დაიწყო კონფერენციი მეორე ფაზა და „დეკორაცია“ უცებ შეიცვალა, განაგრძობს მაისკი. ლორდმა სტენლიმ, რომელმაც დელეგაციის ხელმძღვანელის რანგში ლორდი სტენხოფი შეცვალა, წამოაყენა კონვენციის პროექტი, რომელიც მთელ რიგ არსებით პუნქტებში საბჭოთა დელეგაციისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მოხდა ბრიტანული და საბჭოთა დელეგაციების თვალსაზრისებს შორის შეჯახება.

სულ რაღაც ათი დღის განმავლობაში ბრიტანეთის მთავრობის პოზიცია სრუტეების საკითხში შეიცვალა. აქ საქმე ბრიტანეთის ინტერესებში არ არის, არამედ იმ ზეგავლენაში, რომელიც შეიძლება იქონიოს მონტრეს შეთანხმებამ საერთო ევროპულ სიტუაციაზე.

სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისელების მცდელობა, თუ ისინი განაგრძობენ მშვიდობიან დროს შავი ზღვიდან გამავალი საბჭოთა გემების 15 000 ტონამდე შეზღუდვის მოთხოვნას, გამოიწვევს მძიმე შედეგებს და რომ მაისკისთვის ცნობილი გახდა მოსკოვიდან ლიტვინოვისთვის გაგზავნილი დირექტივების ხასიათი, რომლებმაც მაისკი დიდად შეაშფოთა, ვინაიდან ისინი ავალებენ ლიტვინოვს დაუყოვნებლივ დაბრუნდეს მოსკოვში, თუ სსრკ მოთხოვნა 15000 ტონიან ლიმიტთან დაკავშირებულ პუნქტთან

დაკავშირებით არ დაკმაყოფილდება. საუბრის დასასრულს ოლიფანტმა განუცხადა მაისკის, რომ „ძირითადი ინსტრუქციები (ბრიტანეთის დელეგაციის) გამომუშავებული იქნება უახლოეს დღეებში. მაშინ ბრიტანეთის მთავრობა გაითვალისწინებს ყველა იმ მოსაზრებას, რომელიც მასთან საუბარში გააჟღერა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა და იმედი აქვს, რომ ყველაფერო ბოლოს და ბოლოს მოგვარდება ყველასთვის სასიკეთოდ“. (Рыбаченок, 1995:123-124)

საბჭოთა დიპლომატიის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა მოსკოვში, ანკარაში და ლონდონში დადებითი შედეგები გამოიღო. 10 ივლისს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობების შემსრულებელმა სარაჯოღლუმ სრულუფლებიან წარმომადგენელს კარახანს განუცხადა, 9 ივლისს „შუალამისას, არასს მიეცა ინსტრუქცია შეთანხმდეს საბოლოოდ თურქეთ-საბჭოთა კავშირის უთანხმოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საბჭოთა გემების ორი ნაღმოსნით ესკორტირებას“. ამავდროულად მან გამოთქვა თხოვნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მ.მ. ლიტვინოვს გაეგზავნოს შესაბამისი მითითებები“. (Рыбаченок, 1995:124)

სარაჯოღლუმ კარახანს კვლავ გაუმეორა თურქეთის მთავრობის თხოვნა მონტრემში თურქეთისათვის მხარდაჭრის აღმოჩენის შესახებ. სარაჯოღლუმ განაცხადა, რომ თურქეთის მთავრობა არ იწონებს თურქეთის დელეგაციის პოზიციას ინგლისურ პროექტთან მიმართებაში და ეთანხმება შექმნილი სიტუაციის მისეულ (კარახანის) შეფასებას. ინსტრუქციის არ არსებობის მიზეზით, განაგრძობს სრულუფლებიანი წარმომადგენელი - მე შემოვიფარგლე მონტრემში თურქეთის დელეგაციის ქცევის მწვავე კრიტიკით, რომელიც სისტემატურად და ინგლისელებთან ერთობლივად გამოდის ჩვენს წინააღმდეგ, და რომ ეს ინგლის-თურქული ფრონტი აპოგეას აღწევს არასის მიერ ინგლისური პროექტის დაცვის საქმეში ლიტვინოვის პროტესტთან დაკავშირებით, რომლის პოზიციაც უფრო ახლოს აღმოჩნდა თურქეთის ინტერესებთან ვიდრე არასი ვარაუდობს. იმის შესახებ, რომ თურქეთს სურს ჩვენთან დაახლოება, და ამის მაგალითია თურქეთის მთავრობის მიერ ყველა ჩვენი წინადადების დაკმაყოფილება და რომ ის ინგლისური პროექტის მოთხოვნების წინააღმდეგია, სარაჯოღლუს დაჟინებული მტკიცებების პასუხად, მე მას ვუთხარი, რომ თუ მის სიტყვებს ისე გავიგებთ, რომ

თურქეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ინსტრუქციები მისცეს არასს იმის შესახებ, რომ მან შეწყვიტოს დემონსტრაციული თანამშრომლობა ინგლისთან სსრკ-ს წინააღმდეგ და წამოვიდეს ჩვენთან პირდაპირ თანამშრომლობაზე, მაშინ ამის შესახებ მე კი არ უნდა მელაპარაკებოდეთ, როგორც კონფერენციის მუშობიდან გვერდზე მდგომს, არამედ ეს უნდა იყოს არასისა და ლიტვინოვის პირდაპირი და ღია საუბრის თემა“.(Рыбаченок, 1995:125)

ამის შემდეგ მალევე, მუშაობა კონვენციის ტექსტის შეთანხმებაზე შესამჩნევად დაჩქარდა. სსრკ-ს წინადადებები, რომლებიც ეხებოდა მის მნიშვნელოვან ინტერესებს, მიღებული იქნა.

კონვენციის ხელმოწერა შედგა 1936 წლის 20 ივლისს ქ. მონტრეში. კონვენციას ხელი მოაწერეს ბულგარეთის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, რუმინეთის, სსრკ-ს, თურქეთის, საფრანგეთის, იუგოსლავიის და იაპონიის უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა.

იმავე დღეს უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელშიც განაცხადეს შემდეგი დადგენილებების შესახებ:

1. თურქეთს ექნება უფლება დაუყოვნებლივ მოახდინოს სრუტეების ზონის რემილიტარიზება.

2. 1936 წლის 15 აგვისტოდან თურქეთის მთავრობა დროებით გამოიყენებს კონვენციით განსაზღვრულ რეჟიმს.

3. წინამდებარე ოქმი ძალაში შედის 1936 წლის 20 ივლისიდან.

ეს ოქმი ჩართულია კონვენციაში და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს.

1936 წლის დასასრულს საბჭოთა კავშირმა მონტრეში ხელმოწერილი სრუტეების რეჟიმის შესახებ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, მას შეერქვა „მონტრეს კონვენცია“. მონტრეს კონვენცია იურიდიულად ძალაში შევიდა 1936 წლის 9 ნოემბერს, როდესაც კონვენციის მონაწილეებმა პარიზში ხელი მოაწერეს სარატიფიკაციო სიგელების ჩაბარების ოქმს. იტალია შეუერთდა მონტრეს კონვენციას 1938 წლის 2 მაისს. (Conference de regime des detroits de Montreux. Actes de la Conference de Montreux. 22 Juin — 20 Juillet 1936. — Montreux., 1936.)

მონტრეში ხელმოწერილი კონვენცია წარმოადგენს საკმაოდ რთულ, გულმოდგინედ დაბალანსებულ დოკუმენტს, დათქმებით და დაუსრულებელი

აზრებით, სხვადასხვა განსხვავებულობით კონვენციის ტექსტსა და მის დანართებში, რაც მოწმობს მრავალრიცხოვან კომპრომისებზე, რომლებმაც შესაძლებელი გახადა მისი მომზადება და ხელმოწერა.

მონტრეს კონვენციის ძირითადი დებულებებია:

კონვენცია უზრუნველყოფს სრუტეებში ყველა სავაჭრო გემის გადაადგილების სრულ თავისუფლებას, მიუხედავად ტვირთებისა. სამხედრო გემებთან დაკავშირებით კი გატარებულია განსხვავება შავი ზღვისა და დანარჩენ სახელმწიფოებს შორის. შავი ზღვის სახელმწიფოების სახაზო გემებს უფლება აქვთ სრუტის გავლის, იმ პირობით, რომ ისინი გადაადგილდებიან მარტო, არაუმეტეს ორი ნაღმოსნის ესკორტით (მუხლი 11). დანარჩენი ქვეყნები ამ უფლებას არ ფლობენ. არსებობს ასევე განსხვავებები სამხედრო გემების მიერ გავლაზე წინასწარი შეტყობინების დროში: შავი ზღვის ქვეყნებისათვის - 8 დღის ვადაში, დანარჩენთათვის - თხუთმეტი (მუხლი 13).

მშვიდობიან დროს მსუბუქი წყალზედა ხომალდები, მცირე საბრძოლო გემები და დამხმარე გემები, მიუხედავად იმისა, მიეკუთვნებიან თუ არა ისინი შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფოებს, რა დროშითაც არ უნდა მოძრაობდნენ, სარგებლობენ თავისუფალი გადაადგილების უფლებით სრუტეებში (მუხლი 10). ყველა უცხოური გემის მაქსიმალური ტონაჟი, რომლებიც იმყოფებიან სრუტეებში ტრანზიტით, არ უნდა აღემატებოდეს 15 000 ტონას, ხოლო გემების რაოდენობა - არ უნდა აღემატებოდეს 9-ს (მუხლი 14). შავ ზღვაში მყოფი არა შავი ზღვის ქვეყნების ყველა სამხედრო გემის საერთო ტონაჟი არ უნდა აჭარბებდეს 30 000 ტონას, ხოლო ერთი ქვეყნის - 20 000 ტონას. არა შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო გემების შავ ზღვაში ზღვრული ხანგრძლივობა იზღუდება 21 დღით (მუხლი 18).

ომის დროს, თუ თურქეთი მასში არ მონაწილეობს, სრუტეებში გავლა ეკრძალება ნებისმიერი მეომარი ქვეყნის სამხედრო გემებს, გარდა კონვენციაში მითითებული განსაკუთრებული შემთხვევებისა (მუხლი 19).

თურქეთის ომში მონაწილეობის შემთხვევაში, სრუტეებში სამხედრო გემების გავლა დამოკიდებულია მხოლოდ თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილებაზე (მუხლი 20). თურქეთს უფლება აქვს გამოიყენოს ეს მუხლი იმ შემთხვევაშიც, თუ ის „თვლის, რომ იმყოფება უშუალო სამხედრო საფრთხის ქვეშ“ (მუხლი 21).

ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის, ასევე ევროპასა და აზიას შორის სამოქალაქო თვითმფრინავების გადასაფრენად თურქეთი მიუთითებს სპეციალურ მარშრუტებს.

თურქეთის უფლებები სრუტეების ზონებში სრულად აღდგენილ იქნა. მან უფლება მიიღო განათავსოს საკუთარი შეიარაღებული ძალები სრუტეების ზონებში და გაამაგროს ისინი. ლოზანის კონვენციით გათვალისწინებული სრუტეების საერთაშორისო კომისია დაიშალა. სრუტეებში გავლაზე დაკვირვება და კონტროლი თურქეთს დაევალა.

რა თქმა უნდა, მონტრეში ხელმოწერილი კონვენცია, მნიშვნელოვნად მეტად პასუხობდა შავი ზღვის ქვეყნების ინტერესებს, თურქეთის ჩათვლით, ვიდრე ლოზანის კონვენცია. თუმცა ისიც არ უზრუნველყოფდა საბჭოთა კავშირისა და შავი ზღვის სხვა ქვეყნების უსაფრთხოებას და გარკვეულწილად მათ უსაფრთხოებას თურქეთის პოზიციაზე დამოკიდებულს ხდიდა მუხლი 21-ს გათვალისწინებით. გარდა ამისა, და ესეც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თურქეთს უნდა ჰქონოდა საკმარისი სამხედრო სიმძლავრე, რათა გარანტირებულად უზრუნველყო ყველა სახელმწიფოს მიერ მონტრეს კონვენციის დაცვა, რაც სინამდვილეში არ გააჩნდა. მსოფლიო ომმა დაადასტურა ეს.

## 2.2 გეოპოლიტიკური ვითარების ცვლა შავ ზღვაზე II მსოფლიო ომის პერიოდში

30-იანი წლების მეორე ნახევარში ევროპაში ვითარება დაიძაბა გერმანიისა და იტალიის აგრესიული პოლიტიკის გამო. ამასთან დაკავშირებით 1939 წელს ინგლისს, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს და ინგლისს, საფრანგეთსა და თურქეთს შორის დაიწყო მოლაპარაკებები კოლექტიური უსაფრთხოებისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელთა მიმდინარეობისას განიხილებოდა ასევე შავი ზღვის სრუტეების პრობლემა.

1939 წლის 15 აპრილს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ვ.მ. მოლოტოვმა ნოტა გააგზავნა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შემდეგზე: “ზალკანეთისა და შავი ზღვის რაიონებში შექმნილ ახალ სიტუაციასთან დაკავშირებით მიზანშეწონილი იქნებოდა ურთიერთკონსულტაციების ჩატარება თურქეთისა და სსრკ-ს წარმომადგენლებს შორის და აგრესიისგან დაცვის შესაძლო ღონისძიებების დასახვა.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირისა და თურქეთის წარმომადგენელთა ასეთ შეხვედრას და კონსულტაციებს ძალიან საჭიროდ და სასარგებლოდ თვლის. (Чуб, 1991:604)

თავის მხრივ, თურქეთის მთავრობამ გამოთქვა სურვილი თურქეთ-საბჭოთა კავშირის შეხვედრის ანკარაში ან სტამბულში ჩატარებაზე, ასევე გამოხატა მზადყოფნა მხედველობაში მიეღო საბჭოთა მთავრობის ნებისმიერი წინადადება. თურქეთის მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ ინგლისელებმა და ფრანგებმა მიმართეს წინადადებით ერთგვარი კავშირის შესაქმნელად. თუმცა ეს წინადადება შესწავლის პროცესში იყო. თურქეთი უპასუხებს ინგლისს და დაუყენებს თურქეთის ძირითად პირობებს და მოითხოვს საბჭოთა კავშირის მონაწილეობას.

1939 წლის 17 აპრილს სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მ.მ. ლიტვინოვმა სსრკ-ში დიდი ბრიტანეთის ელჩს უ. სიდს გადასცა საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადებები ინგლისს, საფრანგეთსა და სსრკ-ს შორის შეთანხმების დადების შესახებ 5-10 წლის ვადით ურთიერთვალდებულებებზე აღმოუჩინონ ერთმანეთს ნებისმიერი დახმარება, სამხედრო დახმარების ჩათვლით ევროპაში ნებისმიერი ხელმომწერი სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის

შემთხვევაში. საბჭოთა წინადადებები ითვალისწინებდნენ ასევე ინგლისის, საფრანგეთისა და სსრკ ვალდებულებებს თითოეული ამ სახელმწიფოების მხრიდან გასაწევი სამხედრო დახმარების ზომებისა და ფორმების უმოკლეს ვადაში განხილვისა და დადგენის მხრივ. წინადადებების მე-8 პუნქტი ეხებოდა თურქეთს. „8. აუცილებლად აღიარებულ იქნას ინგლისისთვის, საფრანგეთისა და სსრკ-სთვის დაიწყო ერთობლივი მოლაპარაკებები თურქეთთან ურთიერთდახმარების შესახებ განსაკუთრებული შეთანხმების თაობაზე“. (Deringil, 1989:201-202)

1939 წლის 15 აპრილს ინგლისის ელჩმა შესთავაზა თურქეთს იტალიის წინააღმდეგ კავშირი იტალიის მხრიდან პირდაპირი ან ირიბი მუქარის შემთხვევაში. თუ თურქეთი თავდაცვას დაიწყებს, ინგლისი დაეხმარება მას მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით. შესაბამისად თურქეთი უნდა დაეხმაროს ინგლისს თუ ის იტალიასთან ომის მდგომარეობაში იქნება. ამასთან ერთად ინგლისის მხრიდან იყო შემოთავაზება, რომელიც გულისხმობდა დახმარებას გერმანიის მხრიდან საფრთხის შემთხვევაში“. (Deringil, 1989:203)

ამ წინადადებაზე თურქეთი სოლიდარულია ინგლისის თვალსაზრისისა, რომ „ღერძის“ ძალადობრივი ქმედებები დიდ საფრთხეს წარმოადგენს მცირე ქვეყნებისთვის. „ღერძის“ მიერ ევროპაში ჰეგემონიის დამყარებისკენ სწრაფვის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას თურქეთი თავის მოვალეობად მიიჩნევს, თუნდაც მის ინტერესებს უშუალოდ არ ეხებოდეს. განსაკუთრებით ხმელთაშუა ზღვაში იტალიის ჰეგემონიის შესაძლებლობა თურქეთისთვის ისეთივე საფრთხეს წარმოადგენს, როგორსაც ინგლისისთვის. ამგვარად, თურქული პოლიტიკა ინგლისურის პარალელურია და ჰარმონირებს მასთან. საბოლოო პასუხის გაცემამდე, თურქეთი ისურვებდა ზოგიერთი მომენტის გარკვევას. „ღერძის“ სახელმწიფოების წინააღმდეგ თურქეთის მიერ განსაზღვრული პოზიციის დაკავების შემთხვევაში, საუბარია შემდგომ საუბრის ჩანაწერში, მათი ზეწოლა განხორციელდება უპირველეს ყოვლისა სრუტეებზე. ეს აიძულებს თურქეთს დაფიქრებას. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რა დახმარებას აღმოუჩნეს თურქეთს ინგლისი, საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი, რის შესახებაც თურქეთს დღემდე არ მიუღია არანაირი მითითება. მას პასუხი არც საბჭოთა კავშირიდან არ მიუღია



რადგან თურქეთს დააწვებოდა სრუტეების დაცვის მძიმე ვალდებულება, მას არ ექნებოდა რუმინეთისთვის რაიმე დახმარების აღმოჩენის საშუალება. აუცილებელია იმაზე დაფიქრებაც, თურქეთის ინგლის-საფრანგეთის ბლოკთან თანამშრომლობა ხომ არ გახდის ბულგარეთს უფრო შურიგებელს, და თურქეთი ბალკანეთზე ბულგარეთსა და რუმინეთს შორის მომრიგებლის როლის შესრულების შესაძლებლობას დაკარგავს.

ელჩმა ისიც აღნიშნა, რომ ჰიტლერი შეპირდა თურქეთს რომ გადასცემს ჩეხოსლოვაკიის ქარხნებში დამზადებულ 38სმ კალიბრის 24 მოტორიზებულ სანაპირო ქვემეხს. მიიღებს თუ არა თურქეთი მას თუ ის მიუერთდება ინგლის-საფრანგეთის ბლოკს, და რას ურჩევს ინგლისი ამ შემთხვევაში (ანუ ხომ არ შესთავაზებს ინგლისი ამ ქვემეხების ჩანაცვლებას)

აპაიდინს დაევალა სსრკ-ს განზრახვების გარკვევა სრუტეებში თურქეთის მხარდაჭერასთან დაკავშირებით, ასევე მისი მოსაზრებების გარკვევა თურქეთის მიერ დიდი ბრიტანეთის მთავრობისთვის გაცემული პასუხთან დაკავშირებით, ვინაიდან, როგორც ელჩმა აღნიშნა, „თურქეთი ყველა შემთხვევაში ისურვებდა სსრკ-სთან თანამშრომლობას სრუტეების დაცვის კუთხით“. (Clayton,1971:321-322) თურქეთის ელჩის შეტყობინებამ დააყენა რიგი ახალი ამოცანები, რომელთა მიმართაც გაჩნდა არა მარტო თურქეთის, არამედ ბულგარეთის წარმომადგენლებთანაც სასწრაფოდ მოლაპარაკების აუცილებლობა. რა თქმა უნდა, ამ პირობებში ბათუმში ან თბილისში ადრე დაგეგმილი შეხვედრა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან უკვე საკმარისი აღარ იყო. მაშინ გადაწყდა ანკარაში სასწრაფოდ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის პოტიომკინის გაგზავნა, იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთში მიმავალ გზაზე ის შეხვდებოდა სოფიაში ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრს. გარდა ამისა, ანკარაში გამგზავრება პოტიომკინს თურქეთის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შესაძლებლობას აძლევდა.

ანკარაში მიმავალ გზაზე პოტიომკინი შეჩერდა სოფიაში, სადაც შედგა მისი შეხვედრა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან კოსეივანოვთან. მინისტრმა საუბარში კერძოდ განაცხადა: „დაუბრუნონ 1913 წელს წართმეული დობრუდჟუ და ის შეუერთდება თანამშრომლობას ბალკანეთის ქვეყნებთან, რომლებიც

მშვიდობას იცავენ“. ანკარაში მისი გამგზავრების მიზნის შესახებ პოტიომკინმა უთხრა მინისტრს, რომ მას „დავალებული აქვს მეგობრული თურქეთის მთავრობასთან განიხილოს ზოგიერთი წინადადებები, რომლებითაც სსრკ-ს და თურქეთს მიმართეს ინგლისმა და საფრანგეთმა, რომლებიც შემფოთებული არიან აღმოსავლეთ ევროპაში და ბალკანეთზე გერმანიის მხრიდან აგრესიის მზარდი საფრთხის გამო და სწუხან კონტინენტის ამ რეგიონებში მშვიდობის შესანარჩუნებლად. სსრკ მთავრობა მზად არის მხარი დაუჭიროს ინგლის-საფრანგეთის ინიციატივას. მაგრამ ამისთვის მას სჭირდება იცოდეს ვინ, როგორ და რით შესძლებს კონკრეტულად მონაწილეობას მის რეალიზებაში. ამ კუთხით სსრკ-ს აინტერესებს ბულგარეთის პოზიციაც“. (Hitchens, 1983:578)

პოტიომკინი ჩავიდა ანკარაში 1939 წლის 28 აპრილს. თურქეთის დედაქალაქში ყოფნის დროს ქვეყნის პრეზიდენტმა ისმეთ ინენიუმ და საგარეო საქმეთა მინისტრმა სარაჯოღლუმ გააცნეს მას ინგლისთან მოლაპარაკების მიმდინარეობის თაობაზე „დერძის“ სახელმწიფოების აგრესიის შემთხვევაში ურთიერთდახმარების საკითხებზე. რეზიუმე შეიცავს ექვს პუნქტს:

1. ყოველ ომს თურქეთსა და იტალიას შორის ან ინგლისსა და იტალიას შორის მოქმედებაში მოჰყავს ინგლის-თურქეთის ურთიერთდახმარების მექანიზმი.
2. ყოველ ომს, რომელიც წარმოადგენს „დერძის“ მხრიდან აგრესიის შედეგს და ვრცელდება ბალკანეთზე, ასევე მოქმედებაში მოჰყავს ზემოაღნიშნული მექანიზმი. ამ პუნქტთან განსაკუთრებულ შენიშვნაში სარაჯოღლუ განმარტავს, რომ ბალკანეთზე ინგლის-თურქეთის ურთიერთდახმარება მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქ წარმოშობილი ომი ემუქრება თურქეთის უსაფრთხოებას.
3. ურთიერთდახმარების შესახებ ინგლის-თურქეთის შეთანხმების პარალელურად იმავე სულისკვეთებით უნდა იყოს ჩართული ხელშეკრულებები ინგლისსა და სსრკ-ს და სსრკ-სა და თურქეთს შორის.
4. ინგლისი და თურქეთი განაგრძობენ პარალელურად მიაღწიონ ბულგარეთ-რუმინეთის დავა, რათა უზრუნველყონ ბულგარეთის

მონაწილეობა ნავარაუდევ საერთო შეთანხმებაში ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი ნეიტრალიტეტი.

5. ლონდონში დაუყოვნებლივ იწყება ინგლის-თურქული მოლაპარაკებები, რომლებზეც გათვალისწინებული უნდა იქნას, პირველ რიგში, თურქეთის პირველხარისხოვანი ეკონომიკური ინტერესები გერმანიასთან დაკავშირებით, კერძოდ, შეიარაღების საკითხში და მეორეს მხრივ, სრუტეების სახმელეთო დაცვის უდიდესი მნიშვნელობა ინგლის-თურქეთის ურთიერთდახმარების საქმეში. აღნიშნული მოლაპარაკებებმა უნდა უზრუნველყოს თურქეთი ინგლისის მხრიდან შესაბამისი დახმარებით ეკონომიკურ და ფინანსურ სფეროებში, ასევე სამხედრო აღჭურვილობით და განსაზღვროს უფრო ეფექტური ურთიერთდახმარების მეთოდები სხვადასხვა ვითარებებში გამოსაყენებლად.

6. თურქეთსა და ინგლისს შორის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს ხანგრძლივი დროით, რატიფიცირებული იქნას პარლამენტის მიერ და გამოქვეყნდეს. მასში არ უნდა იდოს საიდუმლო მუხლები, გარდა გენერალურ შტაბებს შორის შეთანხმებებისა.

დასასრულს სარაჯოლლუმ განაცხადა, რომ თუ ინგლისის მთავრობა თანახმაა ამ წერილში ფორმულირებული დებულებების, მაშინ თურქეთის მთავრობა ჩათვლის პრინციპიალურ შეთანხმებას მიღწეულად და დანიშნავს უფლებამოსილ პირს ინგლისელ ექსპერტებთან მოლაპარაკების მიზნით, რაც გათვალისწინებულია წერილის მე-5 პუნქტით.

მეორეს მხრივ, თურქეთის მთავრობა დაელოდება ინგლისისა და საფრანგეთის სსრკ-სთან მოლაპარაკების შედეგებს. აუცილებლობის შემთხვევაში თურქეთის მთავრობა თანახმაა შეტყობინების გამოქვეყნებაზე იმის შესახებ, რომ ინგლისსა და თურქეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკებამ გამოავლინა მათი შეხედულებების ერთობა.(Hitchens, 1983:579-580)

ინგლისსა და თურქეთს შორის იტალიის წინააღმდეგ ურთიერთდახმარების შეთანხმების მიღწევა დაადასტურა მოსკოვში ინგლისის ელჩმა უ. სიდსმა.

თურქეთს და სსრკ-ს შორის ურთიერთდახმარებასთან დაკავშირებით მენემენჯიოლლუმ განაცხადა, რომ თურქეთის აზრით, ინგლისსა და საბჭოთა

კავშირის შორის უნდა გაფორმდეს ურთერთდახმარების ხელშეწყობა. სსრკ-სა და ინგლისის საქმეა განსაზღვრონ ასეთი ხელშეწყობების პირობები. თურქეთის სსრკ-სთან შეთანხმებას, როგორც მენემენჯიოლლუ ფიქრობს, შეეძლო სრუტეებში ურთერთდახმარების ვალდებულებების დადგენა შავ ზღვაში და შესაძლოა ბალკანეთზეც. (Hitchens, 1983:581)

სრუტეების დასაცავად საბჭოთა კავშირის მხრიდან თურქეთისთვის დახმარების აღმოჩენის აუცილებლობას აღნიშნავდა პრეზიდენტი ისმეთ ინენიუ. სრუტეებს, რომელთაც შესაძლოა დაემუქროს როგორც იტალიის ასევე გერმანიის მხრიდან აგრესია, თურქეთი ვალდებულებას იღებს დაიცვას მონტრეს შეთანხმებით გათვალისწინებული მათი რეჟიმი. ამისთვის თურქეთს უნდა გააჩნდეს დახმარება ეკონომიკური, ფინანსური და ტექნიკური საშუალებებით, ასევე სამხედრო აღჭურვილობით. ინგლისის გარდა, თურქეთს იმედი აქვს მატერიალურ დახმარების მიღებაზე სსრკ-დანაც. ასეთი სისტემა შეიძლება ცალმხრივად მოგეჩვენოთ, ვინაიდან თურქეთი იყენებს დიდი სახელმწიფოების დახმარებას მისი კუთვნილი სრუტეების დასაცავად. მაგრამ სრუტეებს გააჩნიათ საერთაშორისო მნიშვნელობა და თურქეთი მათი დაცვით ემსახურება საერთო საქმეს.

სრუტეებზე პირდაპირი თავდასხმის შემთხვევაში, სავარაუდოდ, გერმანიიდან, თურქეთი აქტიურად დაიცავს მათ თავისი შეიარაღებული ძალებით დაინტერესებული სახელმწიფოების მონაწილეობით, თუმცა, არ იღებს ვალდებულებას დაეხმაროს მათ სხვა ადგილებში. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბალკანეთში იტალიის ან გერმანიის აგრესიამ მიიღო ისეთი ფორმა, რომელიც აშკარად საფრთხეს უქმნის თვით თურქეთის უსაფრთხოებას და ეროვნულ ინტერესებს, ეს უკანასკნელი წინააღმდეგობას გაუწევს აგრესორს საკუთარი ძალებით. ეს საკითხი თურქეთმა უნდა გადაწყვიტოს საკუთარი შეხედულებისამებრ.

ასევე საინტერესოა ანკარაში ფრანგი გენერალის ვეიგანის ვიზიტი და მისი შეხვედრა პრეზიდენტ ინენიუსთან, რომელზეც ესწრებოდა ასევე მინისტრი. სარაჯოლლუს სიტყვებით, ვეიგანის შეკითხვაზე, თუ რა დახმარების გაწევა შეუძლია სსრკ-ს თურქეთისათვის და მისი მოკავშირეებისთვის, ისმეთ ინანიუმ

უპასუხა გადამწყვეტი ტონით, რომ იტალიისა და გერმანიის თურქეთზე თავდასხმის შემთხვევაში ის უფრო მეტად სსრკ-ს იმედზეა, ვიდრე ინგლისისა და საფრანგეთის. სსრკ-ს დახმარება შესაძლოა განხორციელდეს სამხედრო აღჭურვილობით, ადამიანური რესურსებით და ავიაციით.

რაც შეეხება თურქეთის სსრკ-სთან შეთანხმებას ურთიერთდახმარებაზე, ასეთ შეთანხმებას თურქეთი იაზრებს სრუტეების დასაცავად მატერიალური დახმარების აღმოჩენის ფორმით, როგორც გერმანიის, ასევე იტალიის წინააღმდეგ. ამაში, კერძოდ არ არის ორმხრივობის პრინციპი - წერს ლიტვინოვი - ვინაიდან თურქეთი სრუტეების დაცვას თვლის ჩვენს საერთო ინტერესად. ასევე საუბარია შავი ზღვის შესახებაც, მაგრამ იქაც, როგორც ჩანს საუბარია მხოლოდ ჩვენი მხრიდან დახმარებაზე სრუტეების ფორსირებისა და უცხოური გემების ბოსფორში და შემდეგ შავ ზღვაში შეღწევის შემთხვევაში... მენემენჯიოლლუ საუბრობდა ასევე ურთიერთდახმარების ვალდებულებებზე „შესაძლოა ბალკანეთზე“. ამ ფორმულირების სიფრთხილე მიუთითებს, რომ ამ საკითხშიც თურქეთი თავის დახმარებას განაპირობებს თავად თურქეთისთვის საფრთხის შემთხვევებით“. (Hitchens, 1983:582-583)

საერთაშორისო ვითარება კი ევროპაში და მსოფლიოში სულ უფრო იძაბებოდა გერმანიის, იტალიის და იაპონიის აგრესიული პოლიტიკის შედეგად. დასავლეთის სახელმწიფოები არ ისწრაფოდნენ სსრკ-სთან კოლექტიურ უსაფრთხოებასა და ურთიერთდახმარების შეთანხმების მიღწევისკენ სამართლიან, თანასწორ საწყისებზე და უბიძგებდნენ გერმანიას აღმოსავლეთისაკენ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ძალიან კარგია იტალიის წინააღმდეგ თურქეთსა და ინგლისს შორის ურთიერთდახმარების იდეა, მაგრამ ეს თურქეთის და ინგლისის საქმეა. ძალიან საინტერესოა ასევე გერმანიის წინააღმდეგ თურქეთსა და ინგლისს შორის ურთიერთდახმარების იდეა ბალკანეთის რაიონში. ამ უკანასკნელი იდეის მთავარი მინუსი მდგომარეობს იმაში, რომ რუმინეთს არ შეუძლია საპირწონე შეუქმნას გერმანიის წინსვლას რუმინეთისა და ბულგარეთის გავლით, ამ შემთხვევაში კი ბულგარეთმა შეიძლება შექმნას სასიკვდილო საფრთხე სტამბულისთვის და სრუტეებისთვის. საგულისხმოა, რომ სტამბულს ყოველთვის

ხმელეთიდან იპყრობდნენ, ბულგარეთის მხრიდან. ამ მინუსის აღმოსაფხვრელად, საჭიროა იმის მიღწევა, რომ ბულგარეთი ჩაერთოს მშვიდობისმოყვარე ქვეყნების საერთო ფრონტში გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარეობს ბულგარეთისთვის სამხრეთ დობრუჯის დათმობა.“(Howard,1963:289-290)

ისმეთი უშვებს, რომ თურქეთს შეიძლება პირველ რიგში დაემუქროს გერმანიის მხრიდან თავდასხმა. ის სრულიად ეთანხმება საბჭოთა კავშირის აზრს იმის შესახებ, რომ ეს თავდასხმა, სავარაუდოდ, განხორციელდება ჩრდილოეთიდან რუმინეთისა და ბულგარეთის გავლით. ისმეთისთვის მნიშვნელოვანია წინასწარ იცოდეს რით დაეხმარება ამ შემთხვევაში სსრკ. ინგლისი და საფრანგეთი ბევრს პირდებიან თურქეთს, მაგრამ საუკეთესო სურვილების შემთხვევაშიც კი მათ არ შესწევთ ძალა თურქეთისათვის ქმედითი დახმარების გასაწევად თუკი ომი დაიწყება, რომელიც მოშლის მიმოსვლას თურქეთსა და დასავლეთს შორის. ისმეთი დიდ იმედებს ამყარებს თურქეთსა და სსრკ-ს შორის სარკინიგზო მიმოსვლაზე ერზურუმის გავლით. თუმცა ეს საკმარისი არ არის. თურქეთს სჭირდება დახმარება შეიარაღებით და ცოცხალი ძალით, ავიაციით და ფლოტით. ჩვენი სამხედრო დახმარების საკითხის გარკვევამდე ისმეთი ისურვებდა, რომ საბჭოთა მთავრობამ დააკმაყოფილოს თურქეთის თხოვნა ზოგიერთი მისთვის აუცილებელი საგნის მიყიდვის შესახებ. თურქეთს ესაჭიროება ტანკები, თვითმფრინავები, ტანკსაწინააღმდეგო არტილერია, სატვირთო მანქანები, ტრაქტორები და რაც ყველაზე მთავარია, ბენზინი. ისმეთი მიანიშნებს, რომ საქმე ეხება არა დიდ პარტიებს, არამედ იმის შევსებას, რაც თურქეთს უკვე გააჩნია. თუ თურქეთს ექნება იმედი საბჭოთა კავშირის მხრიდან ასეთ დახმარებაზე, ის გაუძლებდა ფაშისტურ გერმანიასთან დაპირისპირებას.

ისმეთმა უკვე განუცხადა ინგლისელებს, რომ თურქეთი აუცილებლად თვლის ორმხრივი თურქეთ-საბჭოთა კავშირის პაქტის დადებას. ის თვლის, რომ ფაქტიურად თურქეთი და საბჭოთა კავშირი უკვე მოკავშირეებს წარმოადგენენ. ამ კავშირის იურიდიულად გაფორმება შეიძლება განხორციელდეს მაშინ, როდესაც ორივე მთავრობა აღიარებს მის აუცილებლობას“. (Howard,1963:291)

1939 წლის 12 მაისს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეფიკ საიდამმა პარლამენტში წაიკითხა ერთობლივი ინგლის-თურქეთის დეკლარაციის ტექსტი

ურთიერთდახმარების შესახებ. დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ ორივე მხარე აპირებს დადოს გრძელვადიანი შეთანხმება „მათი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისთვის“. ასეთი შეთანხმების დადებამდე თურქეთისა და ინგლისის მთავრობებმა გამოთქვეს მზადყოფნა „ეფექტურად ითანამშრომლონ და ურთიერთდახმარება და მხარდაჭერა აღმოუჩინონ ერთმანეთს“ აგრესიის აქტის შემთხვევაში, რომელიც იწვევს ომს ხმელთაშუა ზღვის რაიონში. ორივე მთავრობამ აღიარა აუცილებლად ბალკანეთში უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დათანხმდნენ ამ მიზნით კონსულტაციების ჩატარებას. (Howard,1963:292)

ამავე დღეს, 12 მაისს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ნ. ჩემბერლენმა გაახმოვანა ზემოაღნიშნული დეკლარაციის ტექსტი ინგლისის პარლამენტში. ტერმინი „ხმელთაშუა ზღვის რაიონი - განმარტა ბრიტანელმა პრემიერ-მინისტრმა -მოიცავს დარდანელს და შავ ზღვას“. (Howard,1963:293)

პოტიომკინის ანკარაში ვიზიტისა და თურქეთის ხელმძღვანელობასთან მისი მოლაპარაკებების შესახებ საკითხი მოხსენიებულია რიგ მონოგრაფიებში. 1996 წელს გამოცემულ „სსრკ-ს საგარეო პოლიტიკის ისტორია“-ში ნათქვამია: „შუა აზიაში ჰიტლერული აგრესიისთვის ხელის შეშლის მიზნით საბჭოთა კავშირის მთავრობამ 1939 წლის გაზაფხულზე ანკარაში გააგზავნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე პოტიომკინი წინადადებით, გაფორმებულიყო საბჭოთა-კავშირ თურქეთის პაქტი ურთიერთდახმარების შესახებ ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ საერთო ფრონტის ფარგლებში. მაგრამ თურქეთის მმართველმა წრეებმა, მისდევდნენ რა სსრკ-სთან შეთანხმებების საბოტაჟის ინგლის-საფრანგეთ-ამერიკულ პოლიტიკას, საბჭოთა წინადადებზე არ გასცეს გარკვეული პასუხი“.

პოტიომკინის ანკარაში ვიზიტზე უფრო გარკვეულად საუბარია 1975 წელს გრომიკოსა და სხვ. რედაქციით გამოცემულ „დიპლომატიის ისტორიის“ მე-4 ტომში. თურქეთთან მოლაპარაკებებს დათმობილი აქვს სპეციალური განყოფილება, სათაურით: „სსრკ-სა და თურქეთს შორის მოლაპარაკებები სამოკავშირეო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით“. იქ ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამხრეთ საზღვრების უსაფრთხოების გაძლიერებას, ეს კი ბევრად დამოკიდებული იყო თურქეთის პოზიციასთან, რომელიც ამიერკავკასიაში

ესაზღვრებოდა საბჭოთა კავშირს. გარდა ამისა, თურქეთი აკონტროლებდა დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებს, რომლებზეც ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვაში გამავალი გზა გადის. ჯერ კიდევ 1939 წლის გაზაფხულზე საბჭოთა მთავრობამ ანკარაში გააგზავნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე პოტიომკინი თურქეთის მთავრობასთან მოლაპარაკების მიზნით ორ ქვეყანას შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების თაობაზე, მაგრამ დადებითი შედეგები მიღწეული ვერ იქნა.

პოტიომკინის ანკარაში ვიზიტის შესახებ ზემოთ მოყვანილი დოკუმენტებია - მისი ტელეგრამები ანკარიდან თურქეთის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების შესახებ, სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის ლიტვინოვის 17 აპრილისა და 3 მაისის წერილები გენერალურ მდივან სტალინთან - უკანასკნელი ანკარაში პოტიომკინის მოლაპარაკებების ანალიზით და ბოლოს, საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოლოტოვის ტელეგრამა და მისი განცხადება საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ურთიერთობების შესახებ სსრკ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე - დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ სსრკ-სა და თურქეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების ამოცანა პოტიომკინის წინაშე დასმული არ ყოფილა და ანკარაში ვიზიტის დროს ამ საკითხს არც შეხებია.

ამავე დროს გრძელდებოდა მოლაპარაკებები ურთიერთდახმარების პაქტის დასადებად ინგლისს, საფრანგეთსა და სსრკ-ს, ასევე ინგლისს საფრანგეთსა და თურქეთს შორის.

თურქეთთან ურთიერთდახმარების პაქტის დადების გზით ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რაიონში საკუთარი პოზიციების გაძლიერებაში საფრანგეთის დაინტერესების გათვალისწინებით, ანკარამ დააყენა საკითხი თურქეთთან „ჰატაის ავტონომიური რესპუბლიკის“-ყოფილი ალექსანდრეტის სანჯაკის<sup>34</sup>- მიერთების თაობაზე, რომელიც იურიდიულად საფრანგეთის კონტროლის ქვეშ მყოფი სირიის შემადგენლობაში შედიოდა. საფრანგეთს მოუწია თურქეთთან დათმობებზე წასვლა. 1939 წლის 23 ივნისს ანკარაში ხელი მოეწერა საფრანგეთ-თურქეთის შეთანხმებას ჰატაის თურქეთთან მიერთების თაობაზე. იმავე დღეს პარიზში ხელი მოეწერა საფრანგეთ-თურქეთის დეკლარაციას



ურთიერთდახმარების შესახებ „აგრესიის აქტის შემთხვევაში, რომელიც ხმელთაშუა ზღვის რაიონში ომს გამოიწვევდა“. (Girault, 1979:598) თურქეთ-საფრანგეთის დეკლარაციაში, ისევე როგორც ინგლის-თურქეთის დეკლარაციაში, ასევე საუბარი იყო „საბოლოო“ პაქტის მომზადებაზე. 1939 წლის 23 ივლისს საფრანგეთის ადმინისტრაციამ და არმიამ დატოვეს ჰაკაი. იმავე დღეს ჰაკაი გახდა თურქეთის 63-ე ვილაიეთი. ეს იყო თურქეთის მსხვილი პოლიტიკური და დიპლომატიური წარმატება. (Girault, 1979:599)

ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკებები ურთიერთდახმარების პაქტის დადებასთან დაკავშირებით ერთ ადგილს ტკეპნიდნენ, ვინაიდან ჩემბერლენის მთავრობა საერთოდ არ აპირებდა თანასწორი ხელშეკრულების გაფორმებას საბჭოთა კავშირთან და იყენებდა მოლაპარაკებებს გერმანიაზე ზეწოლის მოსახდენად. ამავე დროს ლონდონი ესწრაფოდა ბერლინთან შეთანხმებას და გამოხატავდა მზადყოფნას დათმობებზე წასვლაზე, ძირითადად სხვა ქვეყნების ხარჯზე, უბიძგებდა გერმანიას აგრესიისკენ საბჭოთა კავშირის მიმართ.

გერმანიის მთავრობა ისწრაფოდა ხელი შეეშალა ინგლისს, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთდახმარების პაქტის დადებისთვის. მან გადადგა ნაბიჯები გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. გაფორმდა სავაჭრო-საკრედიტო შეთანხმება გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის, რის შემდეგაც დადგა საკითხი მათ შორის პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესების შესახებ. ბერლინსა და მოსკოვში მოსაზრებების გაცვლის მიმდინარეობისას, დადგინდა ორივე მხარის სურვილი განემუხტათ დამაბულობა მათ შორის პოლიტიკურ ურთიერთობებში და დაედოთ პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ. 23 აგვისტოს მოსკოვში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის თავდაუსხმელობის შესახებ.

მოსკოვში მიმდინარე ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებები შესვენების შემდეგ აღარ განახლებულა პოლონეთის უარის გამო გაეტარებინა საბჭოთა ჯარები აგრესიის შემთხვევაში.

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიის ჯარები შეიჭრნენ პოლონეთის ტერიტორიაზე. 3 სექტემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას.

საერთაშორისო ვითარებაში ამ ცვლილებების გათვალისწინებით, მოლოტოვმა 1939 წლის 3 სექტემბერს თურქეთში სსრკ უფლებამოსილ წარმომადგენელს ტერენტიევს გაუგზავნა ტელეგრამა, რომელითაც მას ევალეზოდა პრეზიდენტ ისმეთ ინენიუს და საგარეო საქმეთა მინისტრ სარაჯოღლუს შეტყობინება, კერძოდ შემდეგზე:

2. პოტიომკინის მიერ გადმოცემული ჩვენი დადებითი განწყობა თურქეთის ინგლისთან დაახლოების იდეასთან დაკავშირებით გამომდინარეობდა ინგლისსა და საფრანგეთთან დაახლოების ჩვენი საკუთარი სურვილიდან. თუმცა ჩვენს სურვილს არ შეეძლო გავლენა მოეხდინა თურქეთის პოზიციაზე, ვინაიდან ამ დროისათვის თურქეთს, როგორც აღმოჩნდა, უკვე ჰქონდა სრული შეთანხმებულობა ინგლისსა და საფრანგეთთან, რის შესახებაც თურქებმა არ ჩათვალეს საჭიროდ წინასწარ და დროულად ეცნობებინათ საბჭოთა კავშირისათვის.

3. ჩვენი სურვილი სსრკ-ს ინგლისსა და საფრანგეთთან დაახლოებაზე წარმატებით არ დაგვირგვინდა ინგლისელების, ფრანგებისა და პოლონელების მიზეზით. ინგლისელების გერმანელებთან სსრკ-ს წინააღმდეგ შეთანხმების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, რის შესახებაც ჩვენ გაგვაჩნდა ცნობები ინგლისელი მინისტრის ჰადსონის გერმანიის უფლებამოსილ ვოლტატთან ფარული მოლაპარაკებების თაობაზე, ჩვენ ჩავთვალეთ შესაძლებლად გერმანელების წინადადების მიღება თავდაუსხმელობის პაქტის შესახებ.

4. თავისთავად გასაგებია, რომ ძირეულად შეცვლილი საერთაშორისო ვითარება მოითხოვს სხვაგვარ მიდგომას მეგობრული ურთიერთობების გაფორმების საკითხთან, იმისგან განსხვავებით, რომელიც ნავარაუდევია იყო ორივე მხარის მიერ ორი კვირის წინ. ჩვენ ვიყავით და ვრჩებით თურქეთის მეგობრებად და ვთვლით, რომ ორივე მხრიდან კეთილი ნების არსებობისას შესაძლოა საერთო ენის გამონახვა. თუ საუბარია თურქეთისთვის ჩვენი დახმარების შესახებ მასზე სრუტეებისა და ბალკანეთის რაიონში გარედან თავდასხმის შემთხვევაში და

თურქეთის მხრიდან ჩვენს მიმართ ექვივალენტურ დახმარებაზე იმავე რაიონებში, მაშინ შეიძლება თავდაჯერებით ითქვას, რომ ჩვენ გამოვნახავთ საერთო ენას. (Raxdale,1993:478-479)

სარაჯოლლუს მოსკოვში გამგზავრების წინ თურქეთის დედაქალაქში 1939 წლის 19 სექტემბერს შედგა ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის ურთიერთდახმარების შესახებ პაქტის პარაფირება.

1939 წლის 25 სექტემბერს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვს ეწვია. პირველი შეხვედრები მასთან შედგა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში. საბჭოთა ხელმძღვანელობა ძალიან დაკავებული იყო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ რიბენტროპის ვიზიტთან დაკავშირებით. სტალინის და მოლოტოვის რიბენტროპთან მოლაპარაკებების დროს, 27 სექტემბერს, საუბარი შეეხო თურქეთს. „სტალინმა განაცხადა, რომ თურქებმა თავად არ იციან რა სურთ. ალბათ მათ სურთ ერთდროულად შეუთანხმდნენ ინგლისსაც, საფრანგეთსაც, ასევე გერმანიასა და საბჭოთა კავშირს. სტალინი დათანხმდა ბატონი მინისტრის რიბენტროპის მოსაზრებას, რომ ყველაზე კარგ გამოსავალს წარმოადგენს თურქეთის აბსოლუტური ნეიტრალიტეტი“. (Kilic, 1959:285)

შეხვედრა სარაჯოლლუსთან შედგა 1939 წლის 1 ოქტომბერს. მოლაპარაკებას ესწრებოდნენ სტალინი, მოლოტოვი, პოტიომკინი, დეკანოზოვი, ტერენტიევი და თურქეთის ელჩი მოსკოვში ხ. აკტაი.

მოლაპარაკებების მიმდინარეობისას საბჭოთა მხარეს სურდა გაერკვია, რა იმალება ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის ურთიერთდახმარების პაქტის შესახებ და საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობებისთვის რა შედეგები შეეძლო გამოეწვია მას, ხოლო თურქული მხარე - ისწრაფოდა გაერკვია მოსკოვის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთდახმარების პაქტის დადების შესახებ წინადადების მიმართ.

საბჭოთა კავშირს აინტერესებდა კონკრეტულად ვის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული თურქეთის მიერ ინგლისსა და საფრანგეთთან გაფორმებული ურთიერთდახმარების პაქტი, რადგან ამჟამინდელი ვითარება და პირობები განსხვავდება იმ ვითარებისა და პირობებისაგან, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ გაზაფხულზე, როცა იწყებოდა მოლაპარაკებები. შეიძლება თუ არა დადგეს

მომენტი, როდესაც თურქეთი აღმოჩნდება არაკეთილგანწყობილ მდგომარეობაში სსრკ-ის მიმართ, მით უმეტეს, რომ არსებობს ასეთი საშიშროების სიმპტომები“ (Marzari,1971:432-433). აქ მხედველობაში ჰქონდა მტრული დამოკიდებულების გამძაფრება ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების პოლიტიკაში სსრკ-ის მიმართ, საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერის შემდეგ, ხოლო თურქეთს ამ ქვეყნებთან უკვე გაფორმებული ჰქონდა დეკლარაციები, რაც გავლენას ახდენდა მის ურთიერთობებზეც სსრკ-სთან. ამასთან, რთულდებოდა სიტუაცია ბალკანეთშიც. ინგლისთან და საფრანგეთთან ხელმოწერილი დეკლარაციების შესაბამისად, თურქეთი, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, შეიძლება ჩათრეული ყოფილიყო ამ რეგიონში ისეთ მოვლენებში, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა სსრკ-ის სახელმწიფო ინტერესებს, რასაც ასევე შეიძლება გაერთულებინა საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ურთიერთობები.

თურქეთის პასუხი იყო, რომ „დოკუმენტების ტექსტში (თურქეთის პაქტები ინგლისთან და საფრანგეთთან.) პირდაპირაა აღნიშნული, რომ ისინი არ არის მიმართული კონკრეტულად ვინმეს წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს მიმართულია ნებისმიერი აგრესორის წინააღმდეგ, იმ პირობით, რომ ეს პაქტები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სსრკ-ის წინააღმდეგ. გათვალისწინებული იყო თურქეთის, ინგლისისა და საფრანგეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებები ხმელთაშუა ზღვაში ან ბალკანეთში ომის დაწყების შემთხვევაში. არა მგონია, რომ თურქეთისათვის შესაძლებელი იყო არ მოეწერა ხელი ინგლისსა და საფრანგეთთან დადებული პაქტებისათვის. საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტის მე-4 მუხლის გათვალისწინებითაც კი, თურქეთი ფიქრობს, რომ არ არსებობს არანაირი დაბრკოლება სსრკ-სა და თურქეთს შორის ხელშეკრულების ხელმოწერისათვის“.

(Marzari,1971:434)

სარაჯოლლუს ამ განცხადების პასუხად მოლოტოვმა იკითხა: „ვის წინააღმდეგ იქნება მიმართული ეს საბჭოთა კავშირ-თურქეთის პაქტი?“ და თავადვე უპასუხა ამ კითხვას: „ჩვენ ვერ დავდებთ პაქტს გერმანიის წინააღმდეგ, იტალიის წინააღმდეგ - ის გერმანიის მოკავშირეა, ბულგარეთის წინააღმდეგ - მაგრამ ის თურქეთს არ ემუქრება“. მოლოტოვის ეს განცხადება იმასაც გვახსენებს, რომ

საბჭოთა მთავრობა საერთაშორისო საქმეებში ითვალისწინებდა ისტორიულად დამყარებულ მეგობრულ ურთიერთობებს რუს და ბულგარულ ხალხებს შორის და მხარს უჭერდა ბულგარეთს.

შემდეგ მოლოტოვი ამბობდა: "ჩვენ ვფიქრობთ, რომ თურქეთ-ინგლისისა და თურქეთ-საფრანგეთის ხელშეკრულებები მრავალ ვალდებულებას აკისრებს თურქეთს, რომელსაც პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს თუნდაც რუმინეთისა და საბერძნეთის, განსაკუთრებით კი რუმინეთისათვის... თუ თურქეთის მთავრობა შეუძლებლად მიიჩნევს ინგლის-თურქეთის პაქტზე უარის თქმას, მაშინ უნდა შევთანხმდეთ იმგვარად, როგორც ეს სარაჯოღლუმ განუმარტა სრულუფლებიან წარმომადგენელს ანკარაში: საუბარია ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის პაქტში „საბჭოთა კავშირის პირობაზე“, რომელმაც უნდა დააფიქსიროს, რომ თურქეთის ვალდებულებები ინგლის-თურქეთისა და საფრანგეთ-თურქეთის პაქტების მიხედვით დაუყოვნებლივ კარგავს ძალას იმ შემთხვევაში, თუ ინგლისი და საფრანგეთი გამოვლენ სსრკ-ის წინააღმდეგ“.(Macfie,1989:167)

შეხვედრის ბოლოს, ი.ბ. სტალინმა თქვა: „რა თქმა უნდა, თურქეთს სჭირდება ინგლისი და საფრანგეთი, როგორც დიდი ფლოტის მქონე სახელმწიფოები. იმას, რაც ინგლისსა და საფრანგეთს უნდა მიეცათ თურქებისათვის ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვებში, კერძოდ, დაებრუნებინათ კუნძულები, სსრკ ახლა ვერ მისცემდა. ამიტომ, მე კარგად მესმის თურქების განზრახვა გამოიყენონ ერთი მხრივ, ინგლისსა და საფრანგეთს და მეორე მხრივ, იტალიას შორის არსებული წინააღმდეგობები, რათა ამისათვის მიიღონ ის, რაც თურქეთს სჭირდება ხმელთაშუა ზღვაში და დაიცვან საკუთარი ინტერესები დოდეკანესში... ამ პუნქტამდე თურქეთი მოგებაში რჩება. შემდგომ ჩნდება გართულება. რაც შეეხება ბალკანეთს, აქ უკვე თურქეთს მიაბეს საბერძნეთი და რუმინეთი. აქ თურქეთმა შეიძლება მეტი მისცეს ინგლისელებს და ფრანგებს, მაგრამ არა პირიქით. მე ვფიქრობ, ამ სირთულეების გამო, რომლებიც თავის თავზე აიღო თურქეთმა ბალკანეთთან დაკავშირებით, თურქებთან გაუგებრობა არ მოგვივიდეს. განსაკუთრებით კი ბულგარეთის გამო... სიტუაცია, რომელშიც თურქეთი აღმოჩნდება, გაარკვევს ყველაფერს კონტინენტზე: ამომრავდება თუ არა ბულგარეთი, თავს დაესხმებიან თუ არა უნგრელები რუმინელებს, თავს დაესხმება

თუ არა იტალია საბერძნეთს - თურქები უნდა ჩაერთონ ომში. ან ბესარაბიის გამო სსრკ-სა და რუმინეთს შორის გართულება მოხდება - ჩვენ არ ვაპირებთ რუმინელებზე თავდასხმას, მაგრამ არც ბესარაბიას ვაჩუქებთ - ისევ კონფლიქტი... ეს არის ის კითხვები, რომლებიც გვაფიქრებს”. (Macfie,1989:168)

იმ აზრის გატარებით, რომ თურქეთისათვის უკეთესი იქნებოდა არ დაედო ურთიერთდახმარების შესახებ პაქტები ინგლისსა და საფრანგეთთან, ი.ბ. სტალინმა თქვა, რომ თუ თურქეთის მთავრობა მაინც ფიქრობს ასეთი პაქტების დადებაზე, მაშინ ზემოთ აღნიშნულ „საბჭოთა პუნქტის პირობასთან” ერთად ასევე უნდა ჩადებულიყო პირობები იმის შესახებ, რომ პაქტის მუხლი დახმარების შესახებ არ იმოქმედებს ავტომატურად ბულგარეთის შემთხვევაში, თუ იგი თავს არ დაესხმება თურქეთს, რუმინეთის შემთხვევაში, თუ წარმოიშობა კონფლიქტი რუმინეთსა და სსრკ-ს, საბერძნეთს შორის; ასევე პაქტის მე-3 მუხლი ავტომატურად მოქმედების შესახებ უნდა შეიცვალოს სტატიით კონსულტაციების შესახებ“. საერთაშორისო ვითარების ამ ანალიზსა და საბჭოთა კავშირის მთავრობის პოზიციების გადმოცემაში ასახული იყო როგორც სსრკ-ის ღრმა სახელმწიფოებრივი ინტერესები, ასევე ზრუნვა საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებისათვის.

სიტყვით გამოსვლის დასასრულს ი.ბ. სტალინმა თქვა: „ჩვენ გერმანიასთან არ გვაქვს დადებული პაქტი ურთიერთდახმარების შესახებ, მაგრამ თუ ინგლისელები და ფრანგები ომს გამოგვიცხადებენ, მოგვიწევს მათთან ბრძოლა. როგორი იქნება ეს ხელშეკრულება (ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის პაქტი ურთიერთდახმარების შესახებ.)? აი, სწორედ ამაში მდგომარეობს სიახლე, აქ იგრძნობა მოვლენათა ლოგიკა.

ბატონ სარაჯოღლუს შეუძლია გვიპასუხოს, რომ ჩვენ გვაქვს იმგვარი პირობა, რომ თურქეთის ვალდებულებების ვადა ამოიწურება ან თურქეთი იქნება ნეიტრალური. მაშინ ჩვენ უნდა შევიტანოთ ისეთი პირობა, რომ თუ თურქეთი ჩაერთვება კონფლიქტში, მაშინ ჩვენი პაქტიც (თურქეთთან) დაკარგავს ძალას. ჩვენ გერმანიის წინააღმდეგ არ გამოვალთ. რაღა რჩება მაშინ პაქტისგან (საბჭოთა კავშირ-თურქეთის პაქტისგან.)? არაფერი. გვინდა კი თურქებთან პაქტის დადება? გვინდა. ვართ ჩვენ თურქეთის მეგობრები? დიახ. თუმცა კი არსებობს გარემოებები,

რომელთა შესახებაც ვსაუბრობდი და რომლებიც პაქტს ფარატინა ფურცლად აქცევს. ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ საქმე ასე შემობრუნდა, არაკეთილსაიმედოდ თურქეთთან პაქტის დადებისათვის? არავინ. გარემოებები, მოვლენების განვითარება”.

სარაჯოლლუმ სტალინს ჰკითხა, რა შეეძლო მიეცა სსრკ-ს თავის მხრივ თურქეთისათვის.

სტალინმა უპასუხა: „ვთქვათ, პაქტი ურთიერთდახმარების შესახებ უშუალოდ თურქეთზე თავდასხმის შემთხვევაში სრუტეებსა და შავ ზღვაში, ბალკანეთის გარეშე, და კონსულტაცია - თუ რამე მოხდება ბალკანეთში“ (Macfie,1989:168-169) .

1 ოქტომბერს სარაჯოლლუმ მოლოტოვთან და სტალინთან შეხვედრის შემდეგ, სრულიად ცხადი გახდა სსრკ-სა და თურქეთს შორის ურთიერთდახმარების შესახებ პაქტის დადების შესახებ მოლაპარაკებების სურათი. ასეთი პაქტის დადების პირობები არ არსებობდა. თუმცა, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი განაგრძობდა შეხვედრებს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში 17 ოქტომბრამდე.

რა იმალებოდა ამის უკან? ამ კითხვაზე პასუხს, ალბათ, იძლევა სარაჯოლლუმ დეტალური საუბარი მოსკოვში აშშ-ის ელჩთან შტეინჰარდტთან მოსკოვიდან თურქი მინისტრის გამგზავრების წინა დღეს, რომლის დროსაც მან ელჩს დეტალურად უამბო საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებების თაობაზე ურთიერთდახმარების შესახებ პაქტთან დაკავშირებით. შეატყობინა რა ამ საუბრის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, შტეინჰარდტმა აღნიშნა, რომ სარაჯოლლუმ განაცხადა, რომ მოსკოვის მოლაპარაკებების დროს თურქეთის მთავრობა რჩევას ეკითხებოდა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს. შემდეგ ელჩი აღნიშნავდა, რომ მინისტრმა „ღიად განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი ცდილობდა ესარგებლა საბჭოთა კავშირ-თურქეთის მოლაპარაკებებით იმისათვის, რომ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის დაეძაბა ურთიერთობა“.( Macfie,1989:170)

თავისდაუნებურად ჩნდება აზრი, რომ სწორედ ამ მიზნით შედგა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი მოსკოვში. თუმცა ბრიტანეთის

დიპლომატიამ თურქეთის მთავრობის აქტიური გამოყენებითაც კი ვერ მიაღწია თავის მიზნებს.

სარაჯოლლუს მოსკოვიდან გამგზავრების შემდეგ გამოქვეყნდა შეტყობინება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ბ-ნი სარაჯოლლუს საპასუხო ვიზიტი მოსკოვში გახდა აზრთა ყოველმხრივი გაცვლა-გამოცვლის საბაზი თურქეთის მთავრობის წარმომადგენელსა და საბჭოთა კავშირის მთავრობას შორის სსრკ-ისა და თურქეთის რესპუბლიკის ურთიერთობების საკითხებზე...

აზრთა ამ გაცვლა-გამოცვლამ, რომელიც გულითად ატმოსფეროში მიმდინარეობდა, კიდევ ერთხელ დაადასტურა საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობების უცვლელიობა და ორივე მთავრობის მისწრაფება მშვიდობიანი ურთიერთობების შენარჩუნებისაკენ.

ორივე მთავრობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სასურველია მომავალშიც დაუჭირონ მხარი კონტაქტს საბჭოთა კავშირისა და თურქეთისთვის საინტერესო საკითხების ერთობლივად განხილვის მიზნით“. (Macfie,1989:171)

1939 წლის 19 ოქტომბერს ანკარაში ხელი მოეწერა ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის ხელშეკრულებას ურთიერთდახმარების შესახებ. ხელშეკრულების დადგენილებები მოქმედი იყო ასევე როგორც ორმხრივი ვალდებულებები თურქეთსა და თითოეულ ორ ქვეყანას შორის.

ხელშეკრულება დაიდო 15 წლის ვადით 1939 წლის 12 მაისის ინგლის-თურქეთის დეკლარაციისა და 1939 წლის 23 ივნისის საფრანგეთ-თურქეთის დეკლარაციის სრულყოფისთვის.

ხელშეკრულება ითვალისწინებდა თურქეთისთვის დახმარების აღმოჩენას ინგლისისა და საფრანგეთის მხრიდან მის წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაში, ასევე თურქეთისთვის დახმარება ევროპის ქვეყნის მხრიდან აგრესიის აქტის შემთხვევაში, რომელიც ომს გამოიწვევს ხმელთაშუა ზღვის ზონაში და რომელშიც ჩათრეული იქნებიან ინგლისი და საფრანგეთი. ხელშეკრულების მიხედვით თურქეთი ვალდებული იყო დახმარება აღმოეჩინა საბერძნეთისა და რუმინეთისათვის, იმ შემთხვევაში, თუ ინგლისი და საფრანგეთი ჩათრეული იქნებიან ომში გარანტიებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ მისცეს ამ ქვეყნებს



1939 წლის 13 აპრილის დეკლარაციებით. ხელშეკრულებას ერთვოდა ორი ოქმი. პირველ ოქმში ნათქვამი იყო, რომ ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან. მეორე ოქმში აღნიშნული იყო: „თურქეთის მიერ ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს არ შეუძლიათ აიძულონ თურქეთს მოქმედება, რომლის შედეგიც იქნება თურქეთის ჩათრევა სსრკ-ს წინააღმდეგ ომში“. (Kuniholm,1994:201)

1940 წლის 10 ივნისს იტალიის მიერ საფრანგეთისთვის ომის გამოცხადებასთან, ხმელთაშუა ზღვაში საბრძოლო მოქმედებების რაიონის გაფართოებასთან და 1941 წლის აპრილში გერმანიის საბერძნეთზე თავდასხმასთან დაკავშირებით თურქეთი ომში არ ჩაბმულა, მიუხედავად ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის მოქმედი ხელშეკრულებისა.

1939 წლის 19 ოქტომბერს, როდესაც საფრანგეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა, თურქეთის მთავრობამ გაააქტიურა საკუთარი ურთიერთობები გერმანიასთან და 1941 წლის 18 ივნისს გერმანიის მთავრობასთან ხელი მოაწერა მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას, რომელშიც შესული იყო დათქმა იმის შესახებ, რომ „ეს ხელშეკრულება პატივს სცემს ორივე ქვეყნის ამჟამად არსებულ ვალდებულებებს. (Kuniholm,1994:202)

გერმანიამ მეგობრობის ხელშეკრულება დადო თურქეთთან, რომელიც მანამდე უკვე შესული იყო სამხედრო კავშირში ინგლისთან, რომელსაც ომი ჰქონდა გამოცხადებული გერმანიასთან. ასეთი სიტუაციის ახსნა შესაძლებელია იმით, რომ გერმანია, რომელსაც იმ დროისთვის გააჩნდა უკვე დიდი სამხედრო წარმატებები და ემზადებოდა სსრკ-ს წინააღმდეგ აგრესიისთვის და ამ მიზნებისთვის შავი ზღვის სრუტეებისა და თურქეთის სტრატეგიული ნედლეულის გამოყენებას აპირებდა, დაინტერესებული იყო თურქეთთან მეგობრულ ურთიერთობებში. გერმანიისთვის აზრს მოკლებული იყო ფრონტის გახსნა თურქეთის, როგორც ინგლისის მოკავშირის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისთვის მომზადებიდან საკუთარი ძალების ყურადღების გადატანა, მით უმეტეს, რომ ეს გერმანიას შესაძლოა ძვირად დაჯდომოდა.

თურქეთს ომში ჩართვა არ სურდა არც გერმანიის, არც ინგლისის მხარეს. ის დაინტერესებული იყო, უპირველეს ყოვლისა, ეგეოსის ზღვაში მის ნაპირებთან მდებარე დოდეკანოზის კუნძულების მიერთებაში, რომლებიც გერმანიის

მოკავშირე იტალიის კონტროლს ქვეშ იმყოფებოდნენ. თურქეთი ასევე დაინტერესებული იყო ბულგარეთთან საზღვრის კორექტირებაში, მაგრამ ბულგარეთიც გერმანიის მოკავშირე გახდა. ამიტომ გერმანიის მხარეზე ომს თურქეთისთვის აზრი არ ჰქონდა, ვინაიდან ის ვერ შესძლებდა ეგეოსის ზღვაში და ბალკანეთზე მისთვის საინტერესო ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტას.

ინგლისის მხარეს ომი, ურთიერთდახმარების ხელშეკრულების აღსრულების გამო, თურქეთს არ სურდა, ვინაიდან ინგლისის სამხედრო მდგომარეობა გართულებული იყო, ხოლო გერმანიას ამ დროს გააჩნდა დიდი სამხედრო წარმატებები, დაპყრობილი ჰქონდა თითქმის მთელი დასავლეთ ევროპა.

ინგლისს, თავის მხრივ, არ გააჩნდა ძალები იმისთვის, რომ თურქეთის მთავრობა აეძულებინა ეომა მის მხარეს და შეურიგდა იმას, რომ თურქეთმა მეგობრობის ხელშეკრულება დადო გერმანიასთან. მაგრამ ინგლისს ასევე არ სურდა თურქეთთან 1939 წლის ხელშეკრულების მოშლა.

თითქმის მთელი მსოფლიო ომის განმავლობაში თურქეთი ინარჩუნებდა ინგლისთან მოკავშირულ ურთიერთობებს და მეგობრულ ურთიერთობებს გერმანიასთან.

1940 წლის ნოემბერში შავი ზღვის სრუტეების საკითხი განიხილებოდა მოლოტოვის ბერლინში მგზავრობისას. ეს იყო 1939 წლის აგვისტოსა და სექტემბერში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის რიბენტროპის მოსკოვში ვიზიტების საპასუხო ვიზიტი. მოლოტოვის ბერლინში მიწვევის იდეა ეკუთვნოდა გერმანიის მთავრობას. მოლაპარაკებების, უფრო სწორად, მოლოტოვის ჰიტლერთან და რიბენტროპთან საუბრების შესახებ ბევრი დაიწერა. ამაზე დღემდე წერენ. მას წარმოადგენენ, როგორც მოლაპარაკებას მსოფლიოს გადანაწილების, ინტერესთა სფეროების დაყოფის შესახებ, მაგრამ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. ჩვენი ეს დასკვნა დასტურდება მოლოტოვის ჰიტლერთან და რიბენტროპთან საუბრების არსებული ჩანაწერების ანალიზით და მოლოტოვის ბერლინში გამგზავრების შემდეგ განვითარებული მოვლენებით. (Playfair, 1954:300-301)

1940 წლის შემოდგომისთვის გერმანიამ ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის ოკუპირება მოახდინა, დაამყარა პროფაშისტული რეჟიმი ნორვეგიაში.

საფრანგეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა. ერთადერთი ქვეყანა დასავლეთ ევროპაში - დიდი ბრიტანეთი - თავგანწირვით იბრძოდა რეიხის წინააღმდეგ.

ჰიტლერის პოლიტიკის მიზნად რჩებოდა გერმანიის მსოფლიო ბატონობის დამყარება. ამისთვის აუცილებელი იყო ბრიტანეთის იმპერიის და საბჭოთა კავშირის განადგურება, ამასთან ორ ფრონტზე ბრძოლის თავიდან აცილება.

რეიხის ხელმძღვანელობის წინაშე დადგა საკითხი, გააგრძელოს თუ არა უკვე ისედაც გაჭიანურებული ომი ინგლისთან, მაგრამ ამით შეიძლება ესარგებლა საბჭოთა მთავრობას საკუთარი ქვეყნის სამხედრო პოტენციალის გასამყარებლად, ან ელვისებურად განადგუროს სსრკ, მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომმა (30 ნოემბერი 1939წ. - 12 მარტი 1940წ.) გამოავლინა წითელი არმიის სერიოზული ხარვეზები, ხოლო შემდეგ მთელი ძლიერებით თავს დაატყდეს ინგლისს.

ჰიტლერმა მიიღო მეორე ვარიანტი.

ჰიტლერული დიპლომატიის უმთავრესი ამოცანა გახდა ევროპაში ომის ორ ფრონტად წარმოების თავიდან აცილება.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში და გენერალურ შტაბში გულდასმით სწავლობდნენ ევროპული ომების ისტორიას. მათი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო საფრანგეთის წინააღმდეგ 1870 წლის პრუსიის წარმატებული ომისთვის კანცლერ ბისმარკის მზადების გამოცდილებამ. საფრანგეთ-პრუსიის ომისთვის მზადებისას, კანცლერი ისწრაფოდა იმისკენ, რომ ინგლისსა და რუსეთს შეენარჩუნებინათ ნეიტრალიტეტი. რუსეთის მხრიდან პრუსიისადმი კეთილმოსურნე დამოკიდებულებას ბისმარკმა მიაღწია, შავ ზღვაზე, ყირიმის ომის შემდეგ პარიზის ტრაქტატით დადგენილ რუსეთისათვის დამამცირებელ რეჟიმთან დაკავშირებით სანკტ-პეტერბურგის უარზე თანხმობის მიცემით.

საფრანგეთ-პრუსიის ომში ინგლისის ჩაურევლობის უზრუნველსაყოფად ბისმარკმა მოხერხებულად გამოიყენა ნაპოლეონ III -ის შეცდომა. იცოდა რა მისი სურვილის შესახებ გაეფართოებინა საფრანგეთის ტერიტორია აღმოსავლეთით, ბისმარკმა პარიზში თავისი ელჩის მეშვეობით საფრანგეთის კარს შეაპარა იდეა ბელგიის საფრანგეთთან მიერთების შესახებ, რისი სასტიკი წინააღმდეგობა იქნებოდა დიდი ბრიტანეთი. ნაპოლეონ III-ემ მიიღო ეს იდეა და დაავალა

ბერლინში თავის ელჩს ბენედეტის ამის შესახებ ეცნობებინა ბისმარკისთვის. მოუსმინა რა ელჩს, კანცლერმა სთხოვა ბენედეტის წერილობით ჩამოეყალიბებინა საფრანგეთის მთავრობის ყველა სურვილი, როგორც მან თქვა, კაიზერ ვილგელმ პირველისთვის მათ წარსადგენად და საბოლოო განხილვისათვის.

ასეთი მემორანდუმი გადასცა ბენედეტიმ კანცლერს. აღნიშნული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა პარიზში და ბერლინში 1866 წელს. როგორც კი ბისმარკმა მიიღო ბელგიის მიმართ ნაპოლეონ III-ის ზრახვების დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულება, მან შეწყვიტა საფრანგეთის ელჩთან ყველა სახის საუბრები ამ თემაზე, თუმცა უკანასკნელი არაერთხელ შეეცადა პასუხი მიეღო გადაცემულ დოკუმენტთან დაკავშირებით. ბელგიის მიმართ საფრანგეთის გეგმების შესახებ ბისმარკმა კი აცნობა ლონდონს და სანკტ-პეტერბურგს.

1870 წლის ივნისში დაიწყო საფრანგეთ-პრუსიის ომი. ბისმარკმა მაშინვე გამოაქვეყნა ელჩი ბენედეტის მიერ გადაცემული საიდუმლო მემორანდუმი. ბრიტანეთის მთავრობა, ევროპაში „ძალთა ბალანსის“ საკუთარი პოლიტიკიდან გამომდინარე, არ ეწინააღმდეგებოდა პრუსიის გაძლიერებას, როგორც საფრანგეთის საპირწონეს. მან ისარგებლა გამოქვეყნებული ბენედეტის წერილით იმისთვის, რომ გაეღიზიანებინა ინგლისის საზოგადოებრივი აზრი საფრანგეთის „აგრესიულობითა და მზაკვრობით“, განეწყო ის საფრანგეთის მთავრობის წინააღმდეგ და ინგლისელების თვალში გაემართლებინა დიდი ბრიტანეთის ნეიტრალიტეტი საფრანგეთ-პრუსიის ომში, რომელშიც პრუსიამ სწრაფად მოიპოვა გამარჯვება.

ბისმარკის წარმატებული გამოცდილება რეიხის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გამოეყენებინა სსრკ-სთან ომის დიპლომატიურ მომზადებაში. ჩაფიქრებული და გულდასმით შემუშავებული ერთმანეთთან დაკავშირებული დიპლომატიური ნაბიჯების სისტემა მიმართული იყო შემდეგი შედეგების მისაღწევად:

სტალინის დაინტერესება მოლაპარაკებებით თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ, ამ გზით მისი შეცდომაში შეყვანა და საბჭოთა კავშირზე დაგეგმილი მოულოდნელი თავდასხმის საიდუმლოდ შენახვა.

სსრკ-სთან მოლაპარაკებების ჩატარება ანტიბრიტანული სულისკვეთებით და საბჭოთა მხარისგან დიდი ბრიტანეთისადმი მტრულად განწყობილი დოკუმენტის მიღება. ასეთი დოკუმენტი გამოყენებული უნდა იქნას საბჭოთა მთავრობის „ანტიბრიტანული“ ზრახვების ნივთიერ მტკიცებულებად.

შემდგომ საკუთარი მაღალი წარმომადგენელი გაიგზავნოს ინგლისში და ზემოაღნიშნული ანტიბრიტანული დოკუმენტის გამოყენებით, სცადოს სენტ-ჯეიმსის კარის გაღიზიანება სსრკ-ს მოქმედებების გამო და შეუთანხმდეს ლონდონს თუ მშვიდობის დამყარებაზე ვერა, უკანასკნელ შემთხვევაში მასზედ, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა არ გახსნის მეორე ფრონტს ევროპაში გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის პერიოდში.

საკუთარი ნაბიჯებისათვის ავტორიტეტულობისა და დამაჯერებლობის მისაცემად გათვალისწინებული იყო მასში რეიხის უმაღლესი ხელმძღვანელების მონაწილეობა. (Ingle, 1976:190-193)

1940 წლის 13 ოქტომბერს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა გაგზავნა წერილი სტალინის სახელზე ბერლინში მოლოტოვის მიწვევის თაობაზე. წერილში საუბარი იყო გაურკვეველი და საერთო ფორმით საბჭოთა კავშირის 1940 წლის 27 სექტემბერს გაფორმებულ „სამთა პაქტთან“ (გერმანია, იტალია, იაპონია) მიერთების იდეა, და საბჭოთა კავშირის მონაწილეობა მსოფლიოს, უპირველეს ყოვლისა კი, ბრიტანეთის სამფლობელოებისა და ინგლისის გავლენის სფეროების გადანაწილებაში. ასეთი წერილის გაგზავნით გერმანიის ხელმძღვანელობა ვარაუდობდა, რომ გარდა ზემოაღნიშნული მთავარი მიზნისა, ეს ვიზიტი აამაღლებს გერმანიის ხელმძღვანელობის პოლიტიკურ პრესტიჟს მსოფლიოში, შესძლებს შეცდომაში შეიყვანოს საბჭოთა ხელმძღვანელობა და მოადუნოს მისი ყურადღება, გავლენა მოახდინოს დიდ ბრიტანეთზე ჰიტლერისათვის სასურველი მიმართულებით.

მოსკოვშიც უფრო ცხადი ხდებოდა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის შეხვედრის საჭიროება მაღალ დონეზე. დაპირებების მიუხედავად, გერმანიას არ გაჰყავდა თავისი სამხედრო ნაწილები ფინეთიდან, სადაც ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა ანტისაბჭოთა პროპაგანდა. უფრო მეტიც, სსრკ-ის ამ მეზობელ ქვეყანაში გერმანელთა სულ უფრო და უფრო მეტი ჯარი ჩადიოდა. ფინეთის

სამხრეთით, საბჭოთა კავშირის მთელი დასავლეთ საზღვრის გასწვრივ, გერმანული არმიის რიცხოვნობა გაიზარდა. გერმანიამ გაზარდა თავისი გავლენა ბალკანეთზე. ეს ყველაფერი საბჭოთა ხელმძღვანელობას აშფოთებდა. საჭირო იყო ამ მოვლენების გარკვევა ბერლინის შეხვედრაზე.

რიბენტროპის წერილს განიხილავდნენ ი.ბ. სტალინთანაც და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოლოტოვის ბერლინში ვიზიტის შესახებ.

ვ. მ. მოლოტოვი ბერლინში გაემგზავრა არა მხოლოდ იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც მოსკოვს აღელვებდა, არამედ იმისათვისაც, რომ პირადად გაცნობილიყო გერმანიასა და გერმანიის ხელმძღვანელობაში არსებულ ვითარებას. აუცილებელი იყო გერმანიისა და სამთა პაქტის ყველა მონაწილის - გერმანიის, იტალიისა და იაპონიის რეალური განზრახვების გარკვევა, როგორც ნათქვამი იყო ვ.მ. მოლოტოვის ბერლინის მოგზაურობის დირექტივებში, „ახალი ევროპის“, ასევე „დიდი აღმოსავლეთ-აზიური სივრცის“ შექმნის გეგმის განხორციელებაში, რომლებზეც საუბარია „სამთა პაქტში“.

იმას, რომ ჰიტლერს ი.ბ. სტალინისათვის რიბენტროპის სახელით წერილის გაგზავნისას წერილში მითითებულისაგან განსხვავებით სულ სხვა მიზნები ჰქონდა, ის ფაქტიც მოწმობს, რომ 1940 წლის 12 ნოემბერს, მოლოტოვთან მოლაპარაკებების დაწყების დღეს, ფიურერმა ხელი მოაწერა „დირექტივა № 18“-ს, რომელშიც სსრკ-ის შესახებ ნათქვამია, კერძოდ, შემდეგი: „რუსეთი. პოლიტიკური მოლაპარაკებები უახლოესი დროისათვის რუსეთის პოზიციის გარკვევის მიზნით დაწყებულია. იმისდა მიუხედავად, თუ როგორ დასრულდება მოლაპარაკებები, უნდა გაგრძელდეს უკვე ზეპირად გაცემული მზადება აღმოსავლეთისთვის.“

მითითებები ამ საკითხთან დაკავშირებით იქნება, როგორც კი სახმელეთო ჯარების საოპერაციო გეგმის ძირითადი დებულებები წარმედგინება და დამტკიცებული იქნება ჩემს მიერ“ (Hitchens, 1983:117-119)

მოლოტოვთან საუბრებს ჰიტლერი და რიბენტროპი იმგვარად ატარებდნენ, რომ შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს გერმანიას სსრკ-სთან თანამშრომლობის განვითარების სურვილი ჰქონდა, თან მკვეთრად ანტიბრიტანული სულისკვეთებით, როდესაც ისინი დიდ ბრიტანეთს ეხებოდნენ. თავის გამოსვლაში რეიხმინისტრმა ისაუბრა „სამთა პაქტზე“ და ოთხი სახელმწიფოს -

გერმანიის, იტალიისა და იაპონიის საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობაზე, მსოფლიო ვითარებაზე და სპეციალურად შეეხო თურქეთის საკითხს. რეიხმინისტრმა აზრი გამოთქვა ოთხი ხელისუფლების - რუსეთის, თურქეთის, იტალიისა და გერმანიის - მიერ შავი ზღვის სრუტეების შესახებ ახალი შეთანხმების შემუშავების შესახებ.

ამის საპასუხოდ ვ.მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლა, არა მხოლოდ გერმანიასა და საბჭოთა კავშირთან, არამედ სხვა სახელმწიფოებთან დაკავშირებულ საკითხებზეც, შეიძლება სასარგებლო იყოს. მოლოტოვმა რიბენტროპს სთხოვა გაეკეთებინა რიგი განმარტებები, რათა უფრო გასაგები ყოფილიყო „სამთა პაქტის“ მნიშვნელობა, რომელშიც ნახსენები იყო ტერმინები „ახალი წესრიგი ევროპაში“ და „დიდი აღმოსავლეთ-აზიური სივრცე“. სხვა დანარჩენთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობა რეიხმინისტრის მიერ დასახელებულ აქციებში საფუძვლიანად უნდა იქნას განხილული არა მხოლოდ ბერლინში, არამედ მოსკოვშიც.

რიბენტროპმა თავი აარიდა მოლოტოვის მიერ დასმული საკითხების განმარტებას და განაცხადა, რომ „ტერმინი „დიდი აღმოსავლეთ-აზიური სივრცე“ მისთვისაც ახალი იყო და თავად მასაც არ განუმარტეს“. ასეთი პასუხი, ბუნებრივია, საბჭოთა კავშირის პრემიერს არ აკმაყოფილებდა.

ჰიტლერი ცდილობდა დაერწმუნებინა მოლოტოვი, რომ გერმანიის გამარჯვება ინგლისზე ახლოს იყო და ბრიტანეთის იმპერიას დაყოფა ელოდა, რაშიც საბჭოთა კავშირის ჩართვა სურდა, ამასთან, იგი მიანიშნებდა ჩვენი სახელმწიფოს ზოგიერთი ისტორიული საკითხის გადაუჭრელობაზე. „ინგლისზე გამარჯვების შემდეგ, - ეუბნებოდა იგი მოლოტოვს, ბრიტანეთის იმპერია, რომლის ფართობი 40 მილიონი კვადრატული კილომეტრია, შეიძლება დაიყოს, როგორც გაკოტრების შედეგად დარჩენილი ქონება. ამ ქონებაშია რუსეთისათვის გზა უყინავი და ნამდვილად ღია მსოფლიო ოკეანისაკენ... ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლა, - განაგრძობდა ჰიტლერი, - უნდა მიმდინარეობდეს უკანასკნელ ზღვრამდე და მას ეჭვი არ ეპარება, რომ ბრიტანეთის კუნძულების დამარცხება იმპერიის დაშლას გამოიწვევს. უტოპია იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ შესაძლებელია, მაგალითად, კანადიდან მართვა და მსოფლიო იმპერიის ერთიანობის შენარჩუნება. ასეთ

პირობებში იქმნება ფართო პერსპექტივები. მომდევნო კვირების განმავლობაში, რუსეთთან ერთობლივი დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს, ისინი უნდა გაირკვეს და განისაზღვროს რუსეთის მონაწილეობის ფორმები ამ პრობლემის მოგვარებაში. ყველა სახელმწიფომ, რომელიც შეიძლება გაკოტრების შედეგად დარჩენილი ქონებით იყოს დაინტერესებული, უნდა შეწყვიტოს ურთიერთშორის ყველა კონფლიქტი და მხოლოდ ბრიტანეთის იმპერიის დაყოფას მიხედოს. ეს ეხება გერმანიას, საფრანგეთს, იტალიას, რუსეთსა და იაპონიას“.

ვ.მ. მოლოტოვი არ დაეთანხმა ჰიტლერს, მაგრამ არც უარყო ის ყველაფერი, რაზეც ფიურერმა ისაუბრა. ჰიტლერის იდეების გადაჭრით უარყოფას შეიძლებოდა გამოეწვია ეჭვები საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის მიმართ, გაერთულებინა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ურთიერთობები და შეესუსტებინა თავდაუსხმელობის პაქტი, რაც სსრკ-ის ინტერესებში არ შედიოდა. ამიტომ, ჰიტლერის განცხადებებზე მოლოტოვმა დიპლომატიურად უპასუხა, რომ „სსრკ დაინტერესებულია ამ საკითხებით. ამასთან დაკავშირებით მას რაიხკანცლერზე ნაკლების თქმა შეუძლია, ანუ ბუნებრივია, რომ ის ამ ზოგადი საკითხებით ნაკლებად იყო დაკავებული, ვიდრე ჰიტლერი. საბჭოთა კავშირს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ფართო აქციებში სხვა სახელმწიფოებთან ერთად: გერმანიასთან, იტალიასთან და იაპონიასთან და მოლოტოვი მზად არის დაიწყოს ამ საკითხების განხილვა, თუმცა ის, რაც უკვე შეთანხმებულია, გადაწყვეტილია და არ საჭიროებს განმარტებას, უნდა შესრულდეს. საბჭოთა მთავრობის აზრი აქ განხილულ საკითხზე ნათლად არის გამოთქმული და ახლა პასუხი გერმანულმა მხარემ უნდა გასცეს“.

ამგვარად, მოლოტოვმა მიახვედრა, რომ საბჭოთა კავშირს ერჩივნა, პირველ რიგში, მოეგვარებინა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის საკითხები და ორიენტაცია აეღო მის გაგრძელებაზე. ამავე დროს, მან მიუთითა გერმანიის ჯარების ფინეთში ყოფნაზე, იქ ახალი გერმანული ქვედანაყოფების გადაყვანასა და ამ ქვეყანაში საბჭოთა კავშირისადმი მკვეთრად მტრულად განწყობილი კამპანიის ჩატარებაზე, რომელსაც მხარს უჭერდა გერმანია.

მოლოტოვის ამ განცხადების მიუხედავად, ჰიტლერი რამდენჯერმე მაინც დაუბრუნდა ბრიტანეთის იმპერიის „გაკოტრების შედეგად დარჩენილი ქონების“



დაყოფის საკითხს, მაგრამ ყოველ ჯერზე ძალიან ბუნდოვანი ფორმით. საუბრის ბოლოს კი ჰიტლერმა განაცხადა, „რომ ის, ბუნებრივია, ვერ იქნება ბოლომდე დარწმუნებული, განხორციელებადია თუ არა ეს გეგმები. ეს რომ შეუძლებელი ყოფილიყო, ხელიდან იქნებოდა გაშვებული დიდი ისტორიული შესაძლებლობა. ყველა ეს საკითხი, შესაძლოა, თავიდან უნდა იქნეს გაანალიზებული გერმანიის, იტალიისა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ბ-ნ მოლოტოვთან ერთად მოსკოვში, მას შემდეგ, რაც ისინი სათანადოდ იქნება მომზადებული დიპლომატიური არხების საშუალებით“.

რაც შეეხება იმ საკითხებს, რომლებიც საბჭოთა ხელმძღვანელობას აწუხებდა, ჰიტლერმა მათზე ძალზე ორჭოფული განმარტებები გააკეთა. იგი ცდილობდა დაემშვიდებინა მოლოტოვი ფინეთში გერმანიის ჯარების ყოფნასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ისინი ტრანზიტით გადადიან ნორვეგიაში (კირკენესში).

შემდეგ მოლოტოვი სამხრეთ რეგიონს შეეხო და თქვა: „ჩვენ ერთი რამ გვსურს - დავიზღვიოთ თავი სრუტიდან თავდასხმისაგან. ამ საკითხის მოგვარება სსრკ-ს თურქეთთან შეუძლია. გარანტიები ბულგარეთს ამის უფრო საიმედოდ მოგვარებაში დაეხმარებოდა“. მან ბულგარეთისათვის საბჭოთა კავშირის გარანტიების საკითხი დააყენა იმავე პირობებით, რა პირობებითაც გერმანიამ და იტალიამ რუმინეთს მისცეს გარანტიები. ჰიტლერმა კი მთელი ეს საკითხი მონტრეს კონვენციის ცვლილებამდე დაიყვანა და განაცხადა, რომ რაიხმინისტრმა უკვე გაითვალისწინა ეს პუნქტი. ხოლო ბულგარეთისთვის საბჭოთა გარანტიების შესახებ კითხვაზე პასუხს ჰიტლერმა თავი აარიდა და თქვა, რომ ამის შესახებ მუსოლინის უნდა დალაპარაკებოდა.

ჰიტლერთან შეხვედრის შემდეგ, 1940 წლის 13 ნოემბერს შედგა მოლოტოვის საბოლოო საუბარი რიხენტროპთან. გამოცხადებულ საჰაერო განგაშთან დაკავშირებით იგი რაიხმინისტრის ბომბსაფარში წარიმართა. რიხენტროპს დაევალა ბიძგი მიეცა მოლოტოვისათვის, რომ მას მოემზადებინა ფიურერისთვის საჭირო ანტიბრიტანული დოკუმენტი. რაიხმინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საუბარია „მხოლოდ სავარაუდო ჩანაფიქრებზე, რომლებიც შესაძლოა ოდესმე განხორციელდეს მომავალში“, და ჰიტლერის მსგავსად დაიწყო საუბარი სამი

სახელმწიფოს პაქტის წევრ ქვეყნებს - გერმანიას, იტალიას, იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის თანამშრომლობაზე, ამასთან, როგორც მას მიაჩნდა, ჯერ უნდა გამოინახოს გზა, რომ „ერთობლივად განისაზღვროს ამ ოთხი სახელმწიფოს ინტერესების სფეროები ზოგადად და მიღწეულ იქნას ერთიანობა თურქეთის პრობლემასთან დაკავშირებით“. ამის შემდეგ, რიბენტროპი შეუდგა მოლოტოვისთვის მის მიერ შემუშავებული ოთხი სახელმწიფოს ხელშეკრულების პროექტის შინაარსის ახსნას. რაიხმინისტრის აზრით, ხელშეკრულება შეიძლებოდა შეესებულებოდა ორი საიდუმლო შეთანხმებით: ერთი - ოთხი სახელმწიფოს ტერიტორიული მისწრაფებების ძირითადი მიმართულებების შესახებ, მეორე - სამი სახელმწიფოს: გერმანიის, იტალიისა და სსრკ-ის შეთანხმება თურქეთის თაობაზე.

რაც შეეხება „ტერიტორიული მისწრაფებების სიმძიმის ცენტრებს“, გერმანიის ხელმძღვანელობამ საბჭოთა კავშირს განუსაზღვრა „ქვეყნის სამხრეთი ინდოეთის ოკეანის მიმართულებით... შეიძლება მიღწეულ იქნეს აზრთა ერთიანობა ბრიტანეთის ინდოეთის მიმართულებით საბჭოთა კავშირის შესაძლო მოთხოვნებთან დაკავშირებით, თუ ურთიერთგაგება დამყარდება საბჭოთა კავშირსა და სამი სახელმწიფოს პაქტს შორის“. რაც შეეხება თურქეთს, რაიხმინისტრმა შეიმუშავა მონტრეს კონვენციის სხვა სტატუსით ჩანაცვლების იდეა, რომლის წყალობითაც საბჭოთა კავშირი მიიღებდა უფლებას, რომელიც მის სამხედრო ფლოტს შესაძლებლობას მისცემდა ნებისმიერ დროს შეუზღუდავად გაეგლო შავი ზღვის სრუტეებში მაშინ, როცა ყველა სხვა სახელმწიფოს, გარდა შავი ზღვის დანარჩენი სახელმწიფოების, გერმანიისა და იტალიისა, არ ექნებოდა უფლება გაეყვანა თავისი სამხედრო გემები შავი ზღვის სრუტეებში. რიბენტროპის წინადადებით ინგლისსა და საფრანგეთსაც ჩამოერთმეოდათ ეს უფლება. ხოლო სავაჭრო გემები სრუტეებში გავლას, პრინციპში, ისევ თავისუფლად შეძლებდნენ.

დასასრულს, რიბენტროპმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა მიესალმება საბჭოთა კავშირის მზადყოფნას იტალიასთან, იაპონიასთან და გერმანიასთან ამგვარი თანამშრომლობისათვის და ეს საკითხი მალევე უნდა გაარკვიონ გერმანიის ელჩმა მოსკოვში, გრაფ ფონ დერ შულენბურგმა და საბჭოთა კავშირის ელჩმა ბერლინში.

რაიხმინისტრის მიერ შემოთავაზებული საკითხების განხილვის წესი, როგორც ჩანს, ისე იყო გათვლილი, რომ შემოთავაზებული მოლაპარაკებების დროს დიპლომატიური არხებით ეცადათ მოსკოვიდან მიეღოთ ინგლისის წინააღმდეგ მიმართული დოკუმენტი, რომლის გამოყენებასაც შემდეგ შეძლებდნენ გერმანელები ინგლისელებთან მოლაპარაკებების დრო.

არანაირი პროექტი ან რაიმე სხვა დოკუმენტი რიბენტროპს მოლოტოვისათვის არ გადაუცია, თუმცა მას ხელთ ჰქონდა ოთხი სახელმწიფოს ხელშეკრულების პროექტის მონახაზი (Hitchens,1983:129-135)

მოლოტოვმა თავი აარიდა რიბენტროპის მიერ დასახელებული ხელშეკრულების პროექტსა და მის საიდუმლო დანართებთან დაკავშირებით აზრის გამოთქმას და შეეხო რიგ საკითხებს, რომლებიც აინტერესებდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას. „თურქეთსა და სრუტეებთან დაკავშირებით, - ამბობდა მოლოტოვი, - საბჭოთა მთავრობა გამოდიოდა იქიდან, რომ პირველ რიგში, უნდა შეთანხმებულიყვნენ თურქეთთან სრუტეების საკითხზე. მეორეც, რომ მონტრეს კონვენცია არ ვარგოდა. მესამე, სსრკ-სთვის, როგორც შავი ზღვის სახელმწიფოსათვის, აუცილებელი იყო თავდასხმის წინააღმდეგ რეალური გარანტიების მიღება“.

ატყობინებდა რა ლონდონში სსრკ-ის სრულუფლებიან წარმომადგენელს ი.მ. მაისკის ბერლინში თავისი საუბრების შესახებ, ვ.მ. მოლოტოვი 1940 წლის 17 ნოემბერს მოსკოვიდან გაგზავნილ დეპეშაში წერდა:

5. როგორც საუბრებიდან გახდა ნათელი, გერმანელებს სურთ ხელში ჩაიგდონ თურქეთი, თითქოს მის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ რუმინეთის მსგავსად, ხოლო ჩვენ მოგვთაფლონ დაპირებით, რომ ჩვენს სასარგებლოდ გადასინჯავენ მონტრეს კონვენციას, ამასთან გვთავაზობენ დავეხმაროთ მათ ამ საქმეში. ჩვენ არ დავთანხმდით ამას, რადგან მიგვაჩნია, რომ, პირველ რიგში, თურქეთი უნდა დარჩეს დამოუკიდებელი და, მეორეც, სრუტეებში არსებული რეჟიმი შეიძლება გაუმჯობესდეს თურქეთთან ჩვენი მოლაპარაკებების შედეგად, მაგრამ არა თურქეთის ზურგს უკან“.( Hitchens,1983:136)

რიბენტროპთან შემდგომი საუბრისას, ვ.მ. მოლოტოვმა რაიხმინისტრს სთხოვა გადმოეცა გერმანიის პოზიცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც

მოსკოვს აწუხებდა - ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, პოლონეთის ბედსა და შვედეთის ნეიტრალიტეტის შენარჩუნების შესახებ.

რიბენტროპმა უარი განაცხადა დასმული კითხვების განმარტებაზე და შენიშნა, რომ შეკითხვას ბულგარეთის შესახებ პასუხი ფიურერმა გასცა, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ შეკითხვებს, „მათზე მას პასუხების გაცემა არ შეუძლია“.

თავის მხრივ, რაიხმინისტრმა კვლავ დააყენა საკითხი ბრიტანეთის იმპერიის დაყოფის შესახებ. რიბენტროპმა თქვა, რომ „გადამწყვეტი საკითხი იმაში მდგომარეობს, არის თუ არა საბჭოთა კავშირი მზად და შეძლებს თუ არა ის მათთან თანამშრომლობას ბრიტანეთის იმპერიის მსხვილმასშტაბური ლიკვიდაციის დროს“. ამავე დროს, მან დასძინა, რომ მოლოტოვისგან ელის პასუხს კითხვაზე, „დაინტერესებულია თუ არა პრინციპში საბჭოთა კავშირი ინდოეთის ოკეანის მიმართულებით გასასვლელის ხელში ჩაგდებას იდეით“.

მოლოტოვისთვის, რომელიც წინა შეხვედრებზე ამ საკითხებზე საუბარს ერიდებოდა, რიბენტროპის ასეთი აკვიატებულობა გამაღიზიანებელი იყო. ხოლო რაც შეეხება თანამშრომლობის საკითხს, მოლოტოვმა თქვა: „რომ ის ამ კითხვას დადებითად პასუხობს, მაგრამ აუცილებელია ამ საკითხზე შეთანხმება... რამდენად სწორია გერმანიის ვარაუდი ინტერესის სფეროების გამიჯვნის საკითხზე? რთულია უკვე დღეს ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა, ვინაიდან ეს კითხვა ჯერ არ დაუსვამს გერმანიას სსრკ-სთვის და საბჭოთა მთავრობისათვის ის ახალია. მან ჯერ არ იცის ი.ბ. სტალინისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხელმძღვანელების აზრი.“ მოლოტოვი დაეთანხმა რიბენტროპის წინადადებას, რომ საკითხების განხილვა დიპლომატიური არხების მეშვეობით გაეგრძელებინა<sup>57</sup>.

მოლოტოვმა მწვავე წინააღმდეგობა დაინახა გერმანიის ლიდერების განცხადებებში. ერთის მხრივ, ჰიტლერი და რიბენტროპი არ მიდიოდნენ საბჭოთა მთავრობის სურვილების დასაკმაყოფილებლად, რაც ნაკარნახევი იყო სსრ კავშირის უსაფრთხოების განმტკიცების სურვილით მის დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებზე. მეორეს მხრივ, მათ დაჟინებით, თუმცა ძალზე ბუნდოვანი ფორმით,

მოლოტოვს თავს მოახვიეს სსრკ-სა და "სამთა პაქტის" ქვეყნებს შორის თანამშრომლობის იდეა და ბრიტანეთის იმპერიის დაყოფაში მონაწილეობა.

გამოქვეყნებული ჩანაწერები მოლოტოვის საუბრების შესახებ ჰიტლერთან და რიბენტროპთან ეჭვს არ ტოვებს, რომ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვიზიტის მთავარ მიზანს ჩრდილო-დასავლეთში საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების განმტკიცების მცდელობას წარმოადგენს - გერმანული ჯარების ფინეთში გადასროლის და იქ საბჭოთა კავშირის მიმართ მტრული კამპანიის შეწყვეტა, ხოლო სამხრეთით - შავი ზღვის სრუტეებსა და ბულგარეთში პოზიციების გამაგრება. მოლოტოვმა ვერ მიაღწია ამას, როგორც მან ი.ბ. სტალინს აცნობა.

14 ნოემბრის დილის 3 საათზე ჰიტლერთან და რიბენტროპთან საუბრის შემდეგ ბერლინიდან გაგზავნილ დეპეშაში, მოლოტოვმა აღნიშნა, რომ "ორივე საუბარმა ვერ მოგვცა სასურველი შედეგი", და ბოლოს, შედეგების შეჯამებისას, მან აღნიშნა, რომ "იქ არაფერია საამაყო. (Hitchens,1983:137-139)

მოლოტოვის მოგზაურობის შესახებ ბერლინში საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა მრავალი კომუნიკე.

ჟურნალში "ახალი და უახლესი ისტორია" (N5, 1993, გვ. 66) გამოქვეყნებულ ბერლინში ვ.მოლოტოვის ჰიტლერთან და რიბენტროპთან საუბრის ჩანაწერების წინასიტყვაობაში ნათქვამია: რიბენტროპმა მოლოტოვს გადასცა წინადადებები ოთხი სახელმწიფოს პაქტის შესახებ“.

ეს არ შეეფერება სიმართლეს. რიბენტროპმა მოლოტოვს არაფერი არ გადასცა, არც პროექტი და არც სხვა დოკუმენტი. მან პროექტი ხელში ეჭირა და მისი შინაარსი მოლოტოვს ზეპირად წარუდგინა. მოლოტოვის 13 ნოემბრის საუბრის ჩანაწერში ნათქვამია: "რიბენტროპმა ჯიბიდან ქალაღი ამოიღო და შემდგომი საუბრის დროს, მასში იყურებოდა". (Hitchens,1983:140)

ეს იყო რიბენტროპის გათვლილი ტაქტიკური ნაბიჯი: მიენიშნებინა მოლოტოვისთვის როგორი შეიძლება იყოს ოთხი სახელმწიფოს არასაიდუმლო ხელშკრულება ორი საიდუმლო დანართით, მაგრამ არ გადაეცა მისთვის არანაირი პროექტი. სასურველ დოკუმენტს გერმანელები საბჭოთა მხრიდან ელოდებოდნენ და აქეთკენ მიჰყავდათ საუბარი.

ჰიტლერთან და რიბენტროპთან 1940 წლის 13 ნოემბრის საუბრის შემდეგ ი.ბ. სტალინისთვის გაგზავნილ დეპეშაში, კერძოდ, მოლოტოვმა დაწერა: რიბენტროპმა შემოიტანა, უფრო სწორად წაიკითხა ოთხი სახელმწიფოს ერთობლივი ღია განცხადების და ორი საიდუმლო ოქმის პროექტის შავი მონახაზი.

მოლოტოვის ბერლინიდან მოსკოვში დაბრუნებიდან ერთი კვირა გავიდა. გერმანულმა მხარემ არ გამოავლინა რაიმე დიპლომატიური ინიციატივა, რაზეც რიბენტროპი საუბრობდა. მაშინ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ, უფრო სწორედ სტალინმა, გადაწყვიტა თავად გამოეჩინა ინიციატივა. 1940 წლის 25 ნოემბერს მოლოტოვმა კრემლში მიიწვია გერმანიის ელჩი სსრკ-ში, გრაფი ფონ შულენბურგი.

მოლოტოვმა დაიწყო მოხსენება იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობამ განიხილა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის რიბენტროპის მიერ 13 ნოემბერს შეთავაზებული წინადადება და მზად იყო, გარკვეულ პირობებში, დადებითად განწყობილიყო პოლიტიკური თანამშრომლობისა და ორმხრივი ეკონომიკური დახმარების შესახებ „ოთხი სახელმწიფოს პაქტის“ გაფორმების მიმართ. ეს პირობები შემდეგია:

1. თუ გერმანიის ჯარები ახლავე იქნება გაყვანილი ფინეთიდან, რომელიც წარმოადგენს სსრკ გავლენის სფეროს, 1939 წლის საბჭოთა-გერმანიის ხელშეკრულების თანახმად, ამასთან სსრკ ვალდებულიებას იღებს უზრუნველყოს ფინეთთან მშვიდობიანი ურთიერთობები, აგრეთვე გერმანიის ეკონომიკური ინტერესები ფინეთში (ხის, ნიკელის ექსპორტი);

2. თუ უახლოეს თვეებში იქნება უზრუნველყოფილი სსრკ-ს უსაფრთხოება სრუტეებში სსრკ-სა და ბულგარეთს შორის ურთიერთდახმარების პაქტის დადების გზით, რომელიც გეოგრაფიულად მდებარეობს სსრკ-ს შავი ზღვის საზღვრების უსაფრთხოების სფეროში და სსრკ-ს სამხედრო და საზღვაო ბაზის ორგანიზება ბოსფორსა და დარდანელის რაიონში გრძელვადიანი იჯარის საწყისებზე;

3. თუკი ბათუმისა და ბაქოს სამხრეთით მდებარე ტერიტორია მთლიანობაში სპარსეთის ყურის მიმართულებით აღიარებულია სსრ კავშირის მისწრაფების სიმძიმის ცენტრად;

4. თუ იაპონია უარს იტყვის ნახშირისა და ნავთობის შეღავათიან უფლებებზე ჩრდილოეთ სახალინში სამართლიანი კომპენსაციის საფუძველზე."

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემოთავაზებული იქნა არა ორი, როგორც რიბენტროპმა თქვა, არამედ ხუთი საიდუმლო ოქმის დადება.

ამ წინადადებების ტექსტი ვ.მ.მოლოტოვმა გადასცა ელჩ შულენბურგს. 1940 წლის 25 ნოემბერს მოლოტოვსა და ელჩ შულენბურგს შორის საუბრის ჩანაწერს თან ერთვოდა დოკუმენტი, რომელიც შეიცავდა საბჭოთა პირობებს და ხუთი საიდუმლო ოქმის შინაარსს. მას გააჩნდა შემდეგი, მანქანით დაბეჭდილი, აღნიშვნა: "გადაცემულია შულენბურგისათვის ჩემს მიერ 1940 წლის 25 ნოემბერს. ვ. მოლოტოვი" ( Hitchens,1983:141-142)

საბჭოთა კავშირის მთავრობამ გამოთქვა მზადყოფნა, გარკვეული პირობებით, დადებითად მოეკიდოს ოთხი სახელმწიფოს შეთანხმების დადებას პოლიტიკური თანამშრომლობისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების შესახებ და არა შეუერთდეს "სამთა პაქტს". ამიტომ, უცხოურ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრების საფუძველი არ არსებობს, თითქოს საბჭოთა მთავრობა დათანხმდა შეუერთდეს "სამთა პაქტს".

თუ გადავხედავთ იმ პირობებს, რომლებიც წამოაყენა საბჭოთა მთავრობამ, შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ რაც არ უნდა ფრაზეოლოგიით არ შენიღბულიყო ისინი, მათი მთავარი მიზანი იყო საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების განმტკიცება. თავს იზღვევდა რა სიტყვებით "გავლენის სფერო", "მისწრაფება", საბჭოთა მთავრობა ცდილობდა ფინეთიდან გერმანიის ჯარების რაც შეიძლება სწრაფად გაყვანას და სსრკ სამხრეთ საზღვრებზე მათი გამოჩენის აღკვეთას. რაც შეეხება ქვეყნის სამხრეთისა და შავი ზღვის სრუტეების უსაფრთხოებას საიდანაც წარსულში ხორციელდებოდა აგრესია რუსეთის წინააღმდეგ - ყირიმის ომის, პირველი მსოფლიო ომისა და უცხოური ინტერვენციის პერიოდში, ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ თავად თურქეთის ხელმძღვანელობა აყენებდა 1939 წლის გაზაფხულზე საბჭოთა მხარის

წინაშე შავი ზღვისა და სრუტეების რაიონში უსაფრთხოების გაძლიერების საკითხს სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ვ.პ. პოტემკინის თურქეთში ვიზიტის დროს.

ამასთან, ჩნდება კითხვა: რატომ გადასცა საბჭოთა მთავრობამ ასე აჩქარებით გერმანიის ელჩს ეს დოკუმენტი? მოლოტოვის ჰიტლერთან და რიბენტროპთან საუბრიდან ხომ ირკვევა, რომ გერმანიის ხელმძღვანელობამ ერთი ნაბიჯი არ გადადგა მოსკოვის სურვილებისკენ, რომ განმტკიცებულიყო სსრკ უსაფრთხოება ქვეყნის ჩრდილო – დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებზე. მოლოტოვმა ბერლინში გამართულ საუბრებში დააყენა იგივე კითხვები, რომლებსაც შეიცავს ელჩ შულენბურგისთვის გადაცემული დოკუმენტი და რომლებზეც მან დადებითი პასუხი არ მიიღო.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დახურული რჩება დოკუმენტები, რომლებიც ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს გასცემდა.

იქიდან, რაც ცნობილია, საბჭოთა მთავრობის ეს ნაბიჯი აიხსნება შემდეგი მოსაზრებებით. გერმანიის ლიდერებმა ვ.მ. მოლოტოვთან საუბრისას ისაუბრეს საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის განვითარების და ამ მიზნით მოლაპარაკებების ჩატარების სურვილზე. საბჭოთა მთავრობამ ამაში დაინახა სამშვიდობო პერიოდის გაგრძელების შესაძლებლობა, რაც ასე აუცილებელი იყო სსრკ-ს თავდაცვისა და უსაფრთხოების განმტკიცებისთვის. ამიტომ მოსკოვი ცდილობდა რაც შეიძლება სწრაფად დაეწყო ასეთი მოლაპარაკებები.

დოკუმენტის ჩაბარებით მოსკოვს სურდა მოლაპარაკებების დაწყების დაჩქარება.

როგორც ჩანს, თავისი როლი შეასრულა ოთხი სახელმწიფოს პაქტის დადების შესახებ ჰიტლერისა და რიბენტროპის განცხადებებზე მოლოტოვის ცივი და თავშეკავებული რეაქციის გაღვივების სურვილმა, რაც კვლავ გულისხმობდა მოლაპარაკებების ჩატარებას, რომლებიც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო.

ამასთან, რითიც არ უნდა ყოფილიყო მოტივირებული საბჭოთა დიპლომატიის ეს ნაბიჯი, ის მცდარი იყო. ჰიტლერმა მიიღო ის, რისკენაც ის ისწრაფოდა – ანტიბრიტანული დოკუმენტი, რომელსაც გერმანიის დიპლომატია იყენებდა საკუთარი ინტერესებისთვის, საბჭოთა კავშირის საზიანოდ. (Hitchens, 1983:142-143)



ვ.მ.მოლოტოვისგან მითითებული დოკუმენტის მიღების შემდეგ გაქრა გერმანიის ხელმძღვანელობის ინტერესი სსრკ-სთან მოლაპარაკებების მიმართ, მიუხედავად მოსკოვის დავალებით, სრულუფლებიანი ელჩის ვ.გ. დეკანოზოვის მიერ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის არაერთი მიმართვისა, 1940 წლის 25 ნოემბრის საბჭოთა დოკუმენტზე პასუხის გაცემის თაობაზე. ყოველ ასეთ მიმართვაზე საიმპერატორო კანცელარიიდან, სსრკ-ს ხელმძღვანელობის დეზინფორმაციის მიზნით, მოდიოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჰიტლერი ამზადებდა მნიშვნელოვან და შორს მიმავალ პასუხს 1940 წლის 25 ნოემბრის საბჭოთა წინადადებებზე.

უფრო მეტიც, საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა, არ მიიღო სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვ.გ. დეკანოზოვი, რომელიც ბერლინში ჩავიდა 1940 წლის ნოემბრის ბოლოს. 6 დეკემბერს დეკანოზოვმა გაუგზავნა დეპეშა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს - რომელშიც წერდა: "დღეს მეცხრე დღეა, რაც მე ბერლინში ვარ და როგორც მოგეხსენებათ, რიბენტროპმა ჯერ კიდევ არ მიმიღო და არ არის ცნობილი, როდის იქნება დანიშნული ჰიტლერთან რწმუნებათა სიგელების გადაცემის დღე. (Howard,1974:117-118) ამის შესახებ ელჩ შულენბურგს მოსკოვში განუცხადეს, რომელმაც ბერლინში მოახსენა და რიბენტროპმა დეკანოზოვი მიიღო 12 დეკემბერს, ხოლო ჰიტლერისთვის რწმუნებათა სიგელების გადაცემა შედგა 1940 წლის 19 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც რაიხის კანცლერმა „ბარბაროსას გეგმას“ ხელი მოაწერა წინა დღეს.

1941 წლის 17 იანვარს ვ.მ.მოლოტოვმა მიიწვია ელჩი შულენბურგი და ჰკითხა მას, როდის იქნებოდა გერმანიის მთავრობის პასუხი საბჭოთა კავშირის მთავრობის 1940 წლის 25 ნოემბრის განცხადებაზე. ანალოგიური თხოვნა იმავე დღეს ბერლინში გააკეთა სრულუფლებიანმა ელჩმა დეკანოზოვმა. 23 იანვარს შულენბურგი მოლოტოვს ეწვია და განუცხადა, რომ საბჭოთა მთავრობამ (იგულისხმება მოლოტოვის განცხადება შულენბურგთან 1940 წლის 25 ნოემბერს) ნოემბრის ბოლოს გააკეთა ზოგიერთი კონტრწინადადება. "დღეისათვის, - განაგრძო ელჩმა, გერმანიის მთავრობა ამ საკითხებზე კონტაქტზეა მისი მოკავშირეების, იტალიისა და იაპონიის მთავრობებთან და იმედოვნებს, რომ

როგორც კი შესწავლილი იქნება მთელი პრობლემა, მას შეეძლება განაგრძოს პოლიტიკური დისკუსიები საბჭოთა მთავრობასთან უახლოეს მომავალში.“ (Howard,1974:119) იგივე პასუხი გასცეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ბერლინში. ჰიტლერმა განაგრძო სტალინის მოტყუება და გერმანიის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისთვის აქტიური მზადება. გერმანიის ხელმძღვანელობა რომ არც ფიქრობდა საბჭოთა კავშირთან რაიმე შეთანხმების დადებაზე, მოწმობს რიბენტროპის განცხადება იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ მაცუოკესთან 1941 წლის 26 მარტს, ბერლინში ყოფნის დროს.

როგორც რიბენტროპი ტოკიოში გერმანიის ელჩის ოტისთვის გაგზავნილ დეპეშაში წერდა, მაცუოკემ რეიხსმინისტრთან საუბრისას „ხაზი გაუსვა იმას, რომ იაპონელი ხალხი არ დაუშვებს რუსეთის უშუალო მიერთებას სამი სახელმწიფოს პაქტზე“. ამაზე რიბენტროპმა უთხრა მინისტრს: "რუსეთის პაქტის წევრად მიღებაზე ფიქრიც არ ღირს“.( Howard,1974:120)

გერმანიის ზეწოლის ქვეშ, ბულგარეთი შეუერთდა „სამთა პაქტს“ 1941 წლის თებერვლის ბოლოს. 1 მარტს გერმანიის ჯარები შევიდნენ ბულგარეთში. ხოლო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, 1941 წლის ივნისის დასაწყისამდე, თითქმის ყოველ კვირას არწმუნებდა სრულუფლებიან წარმომადგენელს დეკანოზოვს, რომ ფიურერს თითქმის დასრულებული ჰქონდა ახალი მნიშვნელოვანი წინადადებების შემუშავება სსრკ-სთან თანამშრომლობის განვითარების მიზნით, რის შესახებაც სრულუფლებიანმა ელჩმა მოახსენა მოსკოვში.

ჰიტლერის რეალური პასუხი კი საბჭოთა კავშირის 1940 წლის 25 ნოემბრის დოკუმენტზე იყო N21 დირექტივა, რომელსაც მან ხელი მოაწერა 1940 წლის 18 დეკემბერს - "ბარბაროსას გეგმა" - გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმა.

ამასობაში, ნაცისტური პარტიაში ჰიტლერის მოადგილე, ფიურერის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი, რუდოლფ ჰესი, გეგმავდა ბრიტანეთის ლიდერებთან კონტაქტის დამყარებას.

იმ დროს დიდი ბრიტანეთის მმართველ წრეებში იყო აზრთა სხვადასხვაობა გერმანიასთან ომის გაგრძელებასთან დაკავშირებით. სასახლის კარის ერთ-ერთი

მაღალჩინოსანის, ჰერცოგ ჰამილტონის გავლენიანი ჯგუფი, გამოდიდა გერმანიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების სასარგებლოდ. სწორედ მისი გამოყენება გადაწყვიტა ჰიტლერმა საკუთარი ინტერესებისათვის.

დაახლოებით იმავე დროს, როდესაც რიბენტროპი სტალინს უგზავნიდა წერილს მოლოტოვის ბერლინში მოწვევის თაობაზე, ჰესმა დაავალა ალბრეხტ ჰაუსჰოფერს, მისი პოლიტიკური მრჩეველის ვაჟს, რომელიც პირადად იცნობდა ჰამილტონს, დაემყარებინა კონტაქტი ამ უკანასკნელთან და ეცადა შეთანხმებოდა ინგლის-გერმანული მოლაპარაკებების დაწყებაზე. ალბრეხტ ჰაუსჰოფერმა შვეიცარიაში წითელი ჯვრის თავმჯდომარის, ბურკჰარტის მეშვეობით, ჰამილტონს 1940 წლის 23 სექტემბერით დათარიღებული წერილი გადასცა. წერილი შეიცავდა ინგლისისა და გერმანიის წარმომადგენელთა შეხვედრის ლისაბონში ჩატარების წინადადებას. 1941 წლის 28 აპრილით დათარიღებულ წერილში ჰამილტონი გადმოსცემდა ბრიტანულ პროგრამას ინგლის-გერმანიის ფართო ხელშეკრულების შესახებ. 1941 წლის 5 მაისს ჰესმა ეს საკითხი განიხილა ჰიტლერთან და 1941 წლის 10 მაისს იგი გაფრინდა ინგლისში.

უინსტონ ჩერჩილი, მეორე მსოფლიო ომის შესახებ საკუთარი მემუარების მესამე ტომში წერს, რომ 1941 წლის 11 მაისს ლანჩის შემდეგ დიჩლში, სადაც მან კვირის ბოლოს ატარებდა, ჰერცოგმა ჰამილტონმა შოტლანდიიდან აცნობა, რომ იქ რ. ჰესი ჩავიდა.

თავად მართავდა რა თვითმფრინავს, გერმანიის საჰაერო ძალების კაპიტნის ფორმაში გამოწყობილი, ჰესი გაფრინდა აუგსბურგიდან და პარაშუტით დაეშვა ჰერცოგ ჰამილტონის მამულის სიახლოვეს შოტლანდიის დასავლეთით. მალე შოტლანდიიდან ჰესი გადაიყვანეს ლონდონში. იგი ინგლისში დარჩა 1945 წლის 6 ოქტომბრამდე, როდესაც იგი ნიურნბერგის ციხეში გადაიყვანეს, რათა გაესამართლებინათ მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეებთან ერთად.

ნიურნბერგის სასამართლო პროცესებზე გამოსვლისას, ბრალდებულმა ი. შახტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ჰესი ინგლისში ჰიტლერმა გაგზავნა. რაც შეეხება ჰესის ჯანმრთელობას, 1941 წლის 17 მაისს აშშ-ს პრეზიდენტ ფ.დ. რუზველტისთვის გაგზავნილ წერილში ჩერჩილმა დაწერა, რომ "როგორც ჩანს, ჰესს კარგი ჯანმრთელობა აქვს" (Hurewitz, 1972: 222-223)

ჰესის საქმე და მისი მოლაპარაკებები ინგლისში მკვლევარებისთვის დღემდე მიუწვდომელია. 1946 წლის 31 აგვისტოს ნიურნბერგის ტრიბუნალის სხდომაზე, რომელსაც ინგლისელი ლორდი ლოურენსი უძღვებოდა, ჰესმა გამოაცხადა, რომ სურდა ფიცის ქვეშ ესაუბრა ინგლისში მისი საუბრების შესახებ. მაგრამ ლოურენსმა ჰესს აუკრძალა ამაზე საუბარი.

1989 წლის აგვისტოში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში გამართულ ბრიფინგზე კითხვა შეეხო რ. ჰესს, დასავლეთში რუდოლფ ჰესის გარდაცვალების მიზეზებისა და გარემოებების შესახებ მიმდინარე დისკუსიასთან დაკავშირებით. დასავლეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა იმის შესახებ, რომ რ. ჰესმა, რომელიც სამუდამო პატიმრობას იხდიდა ნიურნბერგის ტრიბუნალის განაჩენის შესაბამისად, შპანდაუს ციხეში, თავი მოიკლა 1987 წლის 17 აგვისტოს. მისი გარდაცვალებიდან მალევე, განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, დასავლეთში გამოქვეყნდა ვერსია, რომ ჰესს თავი არ მოუკლავს, არამედ ის ვიღაცამ მოკლა. დისკუსია გააქტიურდა მიუნხენში წიგნის "რუდოლფ ჰესის მკვლელობა?" პრეზენტაციასთან დაკავშირებით. ჰესის ვაჟმა, ვოლფ რიდიგერმა, ადვოკატმა ალფრედ საიდლმა და სასამართლო მედიცინის პროფესორმა ვოლფგანგ შპანმა გამოაქვეყნეს და წიგნში დაასაბუთეს ვერსია, რომ ჰესი მოკლეს შპანდაუს ციხეში ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურებმა, რადგან, მათი თქმით, დიდი ალბათობა იყო, რომ მოკავშირეები, ჰესის ხნიერი ასაკის საფუძველზე (გარდაცვალების დროს იგი 93 წლის იყო), აპირებდა მისი ციხიდან გათავისუფლებას. ეს, სავარაუდოდ, სერიოზულად აწუხებდა ბრიტანეთის სპეცსამსახურებს, რომლებიც შიშობდნენ, რომ გათავისუფლებული ჰესი გამოაშკარავებდა სიმართლეს 1941 წლის მაისში ინგლისში მისი გადაფრენის პოლიტიკური მოტივებისა და იქ ბრიტანეთის წარმომადგენლებთან კონტაქტების შესახებ. სხვათა შორის, როდესაც შპანდაუს ციხის ამერიკელმა კომენდანტმა ჰესთან საუბრისას ჰკითხა, არსებობდა თუ არა ჰიტლერის სანქცია დიდ ბრიტანეთში ფრენისთვის, მან უპასუხა: "ნუ იქნებით გულუბრყვილო და ნუ დამისვამთ ასეთ შეკითხვებს".

მკვლევები მომავალში გასცემენ პასუხს ბევრ კითხვას, რომელიც ეხება რ. ჰესს და ინგლისში მის ფრენას.

1992 წლის ზაფხულში ჰესის საარქივო მასალების ნაწილი მკვლევარებისთვის გაიხსნა: მისი დაკითხვების რამდენიმე ჩანაწერი, წერილები, რომელთა გაგზავნაც ჰესს სურდა, ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალური პირების სამსახურებრივი მიმოწერა. ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტები კვლავ დახურული რჩება 2017 წლამდე.

მეორე მსოფლიო ომის შესახებ თავის მემუარებში ჩერჩილს მოჰყავს 1941 წლის 17 მაისს პრეზიდენტ რუზველტისადმი მისი გზავნილის ტექსტი, რომელიც ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივმა მოადგილემ ა. კადოგანმა პრემიერ მინისტრის დავალებით სპეციალურად მოამზადა. მასში ჩერჩილი საუბრობს ჰესის ინგლისში სამი საუბრის არსის შესახებ. სრულებით აშკარაა, რომ ამ გზავნილში ზუსტად იმდენი და იმდენის შესახებ არის ნათქვამი, რის შესახებაც და როგორც ჩერჩილმა ჩათვალა მიზანშეწონილად პრეზიდენტის ინფორმირებისთვის.

ჰესის ბრიტანეთის წარმომადგენლებთან საუბრის ფრაგმენტული ინფორმაციიდან, რომელსაც შეიცავს ჩერჩილის მემუარები, ირკვევა, რომ მისი მოლაპარაკებების ძირითადი საკითხებს წარმოადგენდა ევროპაში ომისა და გერმანიასა და ინგლისს შორის მშვიდობის საკითხი. ამავე დროს, საქმე ეხებოდა საბჭოთა კავშირს. როგორც ჩანს, ჰესს ევალეზობდა დაერწმუნებინა ბრიტანეთის მთავრობა, რომ თითქოს ბრიტანეთის მთავარი და ერთადერთი მტერი იყო საბჭოთა კავშირი, რომ საბჭოთა მთავრობა ისწრაფოდა ბრიტანეთის იმპერიის დანაწილებისკენ და ინდოეთის მიმართულებით დაწინაურებისკენ, რომელიც იმ დროს დიდი ბრიტანეთის კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენდა, და ამისათვის გამოიყენა დოკუმენტი, რომელიც გერმანიის ელჩმა შულენბურგმა მიიღო მოსკოვში 1940 წლის 25 ნოემბერს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვ.მ. მოლოტოვისგან. ამას, ფიქრობდნენ ბერლინში, შეიძლება ბრიტანეთის მთავრობისთვის ბიძგი მიეცა დათანხმებულიყო გერმანიასთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე და მიეცა მისთვის მოქმედების თავისუფლება საბჭოთა კავშირთან მიმართებაში. ცნობილია ფაქტები, რომ ჰიტლერმა მოლოტოვის დოკუმენტი გამოიყენა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საკუთარ დიპლომატიურ ინტრიგებში.

მაგალითად, ჰიტლერმა გამოიყენა 1940 წლის 25 ნოემბრის ვ.მ. მოლოტოვის დოკუმენტი, 1941 წლის 17 მარტს ბერლინში თურქეთის ელჩთან გერედესთან საუბრისას, რითაც თურქეთს უბიძგებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. (Hurewitz,1972:229)

ჰესის ინგლისში გაგზავნით, ჰიტლერი ისწრაფოდა რომ, თუ ბრიტანეთთან მშვიდობას ვერ დაამყარებდა, შეეჩერებინა მაინც ბრიტანეთის მთავრობა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნისგან, თუკი გერმანია დაიწყებდა ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მარცვლები, რომლებსაც ჰესი ბრიტანეთის წარმომადგენლებს უყრიდა, შემზადებულ ნიადაგზე ეცემოდა.

თითქმის მთელი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას ჰქონდა შეკითხვები ჰესის მისიასთან დაკავშირებით. თავის მოგონებებში ჩერჩილი წერს: "საბჭოთა მთავრობა უკიდურესად დაინტრიგებული იყო ჰესთან დაკავშირებული ეპიზოდით და მან შექმნა მრავალი არასწორი ვერსია მის გარშემო. სამი წლის შემდეგ, როდესაც განმეორებით ჩავედი მოსკოვში, დავრწმუნდი, თუ რამდენად იყო დაინტერესებული სტალინი ამ საკითხით. სადილზე მან მკითხა, თუ რა იმალებოდა ჰესის მისიის უკან. მე მოკლედ მოვახსენე ის, რაც აქ ავლნიშნე "მე შემექმნა შთაბეჭდილება, აგრძელებს ჩერჩილი, რომ, მისი აზრით, ადგილი ჰქონდა გარკვეულ საიდუმლო მოლაპარაკებებს ან შეთქმულებას ინგლისისა და გერმანიის ერთობლივი ქმედებების შესახებ რუსეთში შეჭრისას". ჩერჩილი, რა თქმა უნდა, უარყოფდა ამას.

მართლაც, ჯერ კიდევ ბევრი რამ გაურკვეველია ჰესის ინგლისში მისიასთან დაკავშირებით. ჩერჩილის მემუარები და გამოქვეყნებული დოკუმენტები, რომლებიც ჰესის ბრიტანეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს ეხება, არაფერს გვამცნობენ იმაზე, თუ რას ეუბნებოდნენ ბრიტანელი ჩინოვნიკები ჰიტლერის დესპანს. ან შესაძლოა, მათთვის მნიშვნელოვან მომენტებში, ისინი საერთოდ არ ლაპარაკობდნენ და ჰესის ნათქვამზე მდუმარე თანხმობით, მიანიშნეს მას, რომ დიდი ბრიტანეთი არ გახსნიდა მეორე ფრონტს ევროპაში, თუ გერმანია ომს დაიწყებს საბჭოთა კავშირთან, რითაც გერმანიის ხელმძღვანელობას აგრესიისკენ უბიძგეს სსრკ-ს წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია მოვიყვანოთ ავტორიტეტული ბრიტანული ჟურნალის "ლეიბორ

მანსლის" აზრი, რომელიც 1941 წელს წერდა: "რატომ გადაწყვიტეს ჩერჩილმა და ბრიტანეთის ხელისუფლებამ იდუმალი სიჩუმის შენარჩუნება ჰესთან დაკავშირებით ...

ხომ არ იყო ეს სიჩუმე, თანდაყოლილი მინიშნებით რაიმე თანამონაწილეობის შესაძლებლობაზე ხრიკში, რომელსაც ჰიტლერისთვის უნდა ებიძგა მისი სასოწარკვეთილი მოქმედებისაკენ, და იმედი მიეცა მისთვის მომავალში რაღაც შესაძლო მხარდაჭრაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ მიეყენებინა მისთვის ყველაზე გადამწყვეტი კონტრდარტყმა, როგორც კი ის განახორციელებდა ამ ქმედებებს (ე.ი. სსრკ-სზე შეტევას). ხომ არ მოიფიქრა ინგლისურ დიპლომატიაში რომელიღაც ნათელმა გონებამ ეს გეგმა. რომ ჰესი ბუმერანგით გამოეყენებინა და ჰიტლერი დაეჭირა საკუთარი ანტისაბჭოთა სატყუარით, რომლითაც ადრე ასე ხშირად ატყუებდა ბრიტანეთის მმართველ კლასებს“. შევნიშნავთ, რომ ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ დიდი ბრიტანეთის მხრიდან არ განხორციელებულა არანაირი "ყველაზე გადამწყვეტი" დარტყმა მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა თავდასხმა განახორციელა საბჭოთა კავშირზე.

უფრო მეტიც, როგორც რიბენტროპმა ნიურნბერგის სასამართლო სხდომაზე 1946 წლის 31 აგვისტოს განაცხადა თავის დასკვნით სიტყვაში, სიკვდილით დასჯის გამოცხადებამდე, მას მისცეს „მეგობრული გარანტიები“ (Weber,1979:171) . ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი განცხადება, რომელსაც შეუძლია შუქი მოჰფინოს ჰესის მისიასაც. "მეგობრული გარანტიები" შესაძლებელია ჩერჩილმა გერმანიას მისცა ლონდონში ჰესთან მოლაპარაკებების დროს.

ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ჰესთან მოლაპარაკებები გადაიზარდა მოლაპარაკებებად ბრიტანეთისა და გერმანიის მთავრობებს შორის. საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი ოფიციალური წარმომადგენელი, აივონ კირკპატრიკი, რომელიც მონაწილეობდა მიუნხენის ცნობილ თათბირში, რომელიც გერმანიის მისიის მეშვეობით უკავშირდებოდა ბერლინს. (Weber,1979:172) სამწუხაროდ, ამ მოლაპარაკებების დეტალები კვლავ საიდუმლოდ ინახება.

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. დაიწყო დიდი სამამულო ომი ფაშისტური სახელმწიფოების ბლოკის წინააღმდეგ, რომელსაც ნაცისტური გერმანია ხელმძღვანელობდა. დიდი სამამულო ომის

პირველი თვეების თავისებურება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მდგომარეობდა იმაში, რომ ამ პერიოდში ფუნდამენტური ძვრები მოხდა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში: გერმანია და საბჭოთა კავშირი, რომლებსაც ადრე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, აღმოჩნდნენ ომის მდგომარეობაში. დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მთავრობებმა, რომლებიც ამ დრომდე არამეგობრულ პოლიტიკას ატარებდნენ სსრკ-ს მიმართ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჰიტლერის აგრესიის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიწყეს ურთიერთობების დამყარება საბჭოთა მთავრობასთან. საბჭოთა კავშირმა დაიწყო საგარეო პოლიტიკის გარდაქმნა საომარი მდგომარეობის პირობებისა და ამოცანების შესაბამისად. 1941 წლის 12 ივლისს დაიდო შეთანხმება სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ერთობლივი მოქმედებების შესახებ გერმანიის წინააღმდეგ ომში. ამ ხელშეკრულებაში არსებობს ორი მუხლი: ”1) ორივე მთავრობა ორმხრივად იღებს ვალდებულებას, რომ ყველანაირი დახმარება და მხარდაჭერა გაუწიონ ერთმანეთს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ამ ომში. 2) ისინი შემდეგში იღებენ ვალდებულებას, რომ ამ ომის მიმდინარეობისას ისინი არც მოლაპარაკებას გამართავენ და არც ზავს ან სამშვიდობო ხელშეკრულებას დადებენ, ორივე მხარის თანხმობის გარეშე. (Weber,1979:173)

ორივე მეომარი მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, თუ რა პოზიციას დაიკავებდა თურქეთი ამ ომში. გერმანელები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ანკარა, რომ ამ ომში საბჭოთა კავშირი შეეცდებოდა შავი ზღვის სრუტეების ხელში ჩაგდებას და მის ფაშისტური ბლოკის მხარეს გადაბირებას, თუმცა თურქეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი ნეიტრალიტეტს დაიცავს. ამავე დროს, ბერლინმა გამოიყენა ის დოკუმენტიც, რომელიც ვ.მ.მოლოტოვმა გადასცა გერმანიის ელჩს სსრკ-ში შულენბურგს 1940 წლის 25 ნოემბერს.

მთელი თურქული პრესა სავსე იყო ანტისაბჭოთა სტატიებით. ხოლო თურქეთის მთავრობა, როდესაც გერმანიის ჯარები სსრკ-ს ტერიტორიაზე წარმატებას აღწევდნენ, გერმანიის მიმართ მეგობრული ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ატარებდა. იგი აწვდიდა საკვებს გერმანიას, მანგანუმის და ქრომის მადნებს და სხვა სტრატეგიული ნედლეულს. საგარეო საქმეთა მინისტრმა მენემენჯიოღლუმ გერმანიის ელჩთან ფონ პაპენტან საუბრისას 1942 წლის 26



აგვისტოს თქვა: "თურქეთი, როგორც ადრე, ასევე ახლაც, ყველაზე უკიდურესად დაინტერესებულია ბოლშევიკური რუსეთის რაც შეიძლება სრულად დამარცხებაში".(Weber,1979:174) საბჭოთა-თურქეთის ურთიერთობებში ყველაზე დიდი დამაბულობა შეიმჩნეოდა 1942 წლის ბოლოს, როდესაც გერმანიის ჯარები სტალინგრადს უახლოვდებოდნენ. ამ დროს თურქეთმა დიდი სამხედრო დაჯგუფების (25-ზე მეტი დივიზია) კონცენტრირება მოახდინა სსრკ-ს კავკასიის საზღვარზე.

იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინათ ანკარის გერმანიის მხარეს გადახრა, სსრკ-სა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა ერთობლივი დემარში მოუწვევეს თურქეთს. 1941 წლის 10 აგვისტოს სსრკ ელჩი თურქეთში ს. ვინოგრადოვი ეწვია თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სარაჯოღლუს და საბჭოთა მთავრობის დავალებით გააკეთა შემდეგი განცხადება:

"საბჭოთა მთავრობა ადასტურებს თავის ერთგულებას მონტრეს კონვენციისადმი და არწმუნებს თურქეთის მთავრობას, რომ მას არ აქვს აგრესიული განზრახვები და პრეტენზიები სრუტეებთან დაკავშირებით. საბჭოთა მთავრობა, ისევე როგორც ბრიტანეთის მთავრობა, მზად არიან სკრუპულოზურად პატივი სცენ თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას. სრულყოფილად აცნობიერებენ რა თურქეთის მთავრობის სურვილს არ იქნას ომში ჩათრეული, საბჭოთა კავშირის მთავრობა, ისევე როგორც ბრიტანეთის მთავრობა, მიუხედავად ამისა, მზად იქნებოდნენ თურქეთისთვის გაუწიათ ყველანაირი დახმარება და ხელშეწყობა, რომელიმე ევროპული ქვეყნის მასზე თავდასხმის შემთხვევაში. (Vali,1972:341)

1941 წლის 10 აგვისტოს, ბრიტანეთის მთავრობის დავალებით, ბრიტანეთის ელჩმა თურქეთში ასევე გააკეთა ანალოგიური განცხადება თურქეთის მთავრობის მიმართ.

მოსკოვმა და ლონდონმა არაერთხელ მიაპყრეს ანკარის ყურადღება მონტრეს კონვენციის დარღვევებზე. ანკარაში სსრ კავშირის საელჩომ შესაბამისი ნოტები გაუგზავნა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1941 წლის 24 ივლისს, 1943 წლის 27 სექტემბერს, 1944 წლის 17 ივნისს.( Vali,1972:342) თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საერთოდ არ აღიარა მონტრეს კონვენციის რაიმე დარღვევა.

ამასთან, ანკარაში სსრკ საელჩოს ნოტებს უდავოდ ჰქონდა შემაკავებელი გავლენა თურქეთის მთავრობაზე. მაგრამ მოხდა კონვენციის დარღვევის ისეთი აშკარა შემთხვევა, რომ თურქებმა ვერანაირად ვერ მოახერხეს მისი დაფარვა. 1944 წლის ივნისში ორი გემი შავ ზღვაში სრუტის გავლით შემოვიდა, რომლებიც გერმანიის საზღვაო ატაშეების დარწმუნებით, სამხედრო არ იყო. როდესაც იმავე რაზმიდან სხვა გემები სრუტეების გავლით აპირებდნენ შემოსვლას, საგარეო საქმეთა მინისტრმა მენემენჯიოღლუმ ბრძანა გაეტარებინათ ისინი სრუტეებში, თუ გერმანიის ელჩი ფონ პაპენი პირადად დაარწმუნებდა, რომ ისინი არ იყვნენ სამხედროები. ელჩმა ასეთი გარანტიები მისცა. ამასთან, ამ გემების შემოწმებისას, თურქული სამსახურის თანამშრომლებმა იპოვეს იარაღი, რადარის დანადგარები და სამხედრო ფორმა სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი მეზღვაურებისათვის. სკანდალი დაიწყო. გემები სრუტეებში არ შეუშვეს და მინისტრი მენემენჯიოღლუ გადადგა.

სტალინგრადთან გერმანული ჯარების დამარცხების შემდეგ, თურქეთის მთავრობამ დაიწყო უფრო ფრთხილი საგარეო პოლიტიკის გატარება. 1943 წლის იანვრის ბოლოს ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა ვ. ჩერჩილმა სცადა თურქეთის ჩათრევა გერმანიის წინააღმდეგ ომში. მანამდე ჩ. ჩერჩილმა ეს შეათანხმა შეერთებული შტატების პრეზიდენტ ფ. რუზველტთან და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან ი. ბ. სტალინთან. 1942 წლის 27 ნოემბერს ვ. ჩერჩილისთვის მიცემულ პასუხში პრემიერ მინისტრმა ი.ბ. სტალინმა დაწერა: ”მე ვიზიარებ თქვენს აზრს და პრეზიდენტ რუზველტის აზრს იმის შესახებ, რომ სასურველია გაკეთდეს ყველაფერი, რათა თურქეთი გაზაფხულზე ომში ჩაერთოს ჩვენს მხარეზე. რა თქმა უნდა ამას ექნებოდა დიდი მნიშვნელობა ჰიტლერისა და მისი თანამზრახველების დამარცხებისთვის”. ( Gorodetsky, 1994:211-212)

ჩერჩილის მოლაპარაკებები პრეზიდენტ ი.ინენიუსთან და თურქეთის მთავრობასთან, სარაჯოღლუს მეტაურობით, გაიმართა 1943 წლის 30-31 იანვარს ჯავშანმატარებელში ქალაქ ადანასთან. ჩერჩილის ხელმძღვანელობით მიმდინარე პოლიტიკურ მოლაპარაკებებთან პარალელურად გაიმართა ბრიტანეთის საიმპერატორო გენერალური შტაბის უფროსის, სხვა უმაღლესი სარდლების მარშალ ჩაკმაკთან და თურქ გენერალებთან სამხედრო მოლაპარაკებები. ამ

მოლაპარაკებებზე განიხილებოდა თურქეთის შეიარაღებული ძალების აღჭურვილობის საკითხები და თურქეთის შეიარაღებული ძალების გასაძლიერებლად ინგლისური ნაწილების გაგზავნის გეგმების მომზადება იმ შემთხვევისათვის, თუ თურქეთი ომში ჩაებმებოდა. მოლაპარაკებების შედეგები ჩამოყალიბებული იყო სამხედრო შეთანხმებაში. ინგლისის მთავრობა დათანხმდა მნიშვნელოვნად გაეზარდა თურქეთისთვის თანამედროვე შეიარაღების მიწოდება. ანკარაში იქმნებოდა ინგლის-თურქეთის ერთობლივი სამხედრო კომისია, რომელიც მიზნად ისახავდა კომუნიკაციების გაუმჯობესებას სამხედრო მასალების გადასაზიდად. ადანაში მოლაპარაკებების შედეგების შესახებ ჩერჩილმა სტალინს აცნობა 1943 წლის 1 თებერვალს სპეციალური შეტყობინებით. „მე არ ვითხოვდი რაიმე ზუსტ პოლიტიკურ ვალდებულებას ან დაპირებას მათი (თურქების) ომში ჩაბმის თაობაზე ჩვენს მხარეს, - წერს ჩერჩილი, - მაგრამ, ჩემი აზრით, ისინი ამას წლის ბოლომდე გააკეთებენ... ვიმეორებ, რომ მე არ მითხოვია და არც მიმიღია კონკრეტული პოლიტიკური ვალდებულება და ვაცნობე მათ, რომ მათ ეს ასეც შეუძლიათ განაცხადონ“.

შემდეგ პრემიერ მინისტრმა აღნიშნა, რომ თურქები „შემფოთებულნი არიან იმ ვითარებით, რომელშიც ისინი ომის შემდეგ აღმოჩნდებიან, საბჭოთა კავშირის დიდი ძალის გამო. მე ვაცნობე მათ, - აგრძელებს ჩერჩილი, - რომ ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირს არასოდეს დაურღვევია არც ვალდებულებები, არც ხელშეკრულებები, რომ ახლა მათთვის (თურქებისთვის) დადგა დრო გააფორმონ ხელსაყრელი ხელშეკრულება და რომ ყველაზე საიმედო ადგილი თურქეთისათვის ესაა ადგილი გამარჯვებულთა მახლობლად, როგორც მებრძოლი ქვეყნისა მშვიდობიანი კონფერენციის მაგიდასთან“. თავის გზავნილში პრემიერი გამოთქვამს რწმენას, რომ თურქეთი „გამოეხმაურებოდა ნებისმიერ მეგობრულ ჟესტს სსრკ-ის მხრიდან“.

2 თებერვალს ჩერჩილმა სტალინს გაუგზავნა შეტყობინება, რომელშიც ნათქვამია: „მე მთხოვენ ვაცნობო, წინასწარ იცოდით თუ არა თქვენ (სტალინი - ავტ.) ინგლის-თურქეთის შეხვედრის შესახებ. მე ვფიქრობ, - წერს პრემიერი, - უნდა ვუპასუხო: „დიახ, პრემიერი სტალინი სრულად იყო ინფორმირებული ამის შესახებ“.

სტალინმა ჩერჩილს საპასუხო შეტყობინება გაუგზავნა 1943 წლის 6 თებერვალს.

ჩერჩილის განცხადებასთან დაკავშირებით იმის თაობაზე, რომ თურქები სსრკ-ის ნებისმიერ მეგობრულ ჟესტს გამოეხმაურებოდნენ, საბჭოთა კავშირის პრემიერი აცხადებს, „რომ თურქეთთან დაკავშირებით ჩვენი მხრიდან, როგორც საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, ასევე ამ ომის დაწყების შემდეგაც გაკეთდა არაერთი მეგობრული ხასიათის განცხადება, რომელთა შესახებ ბრიტანეთის მთავრობისთვის ცნობილია. თურქები არ რეაგირებდნენ ამ ნაბიჯებზე, რადგან, როგორც ჩანს, შიშობდნენ არ აღეშვოთებინათ გერმანელები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თქვენს მიერ შემოთავაზებულ ჟესტს თურქები იგივენაირად შეხვდებიან“.( Gorodetsky,1994:234-239)

რაც შეეხება 2 თებერვალს დიდი ბრიტანეთის პრემიერის მიერ დასმულ შეკითხვას, სტალინმა თავის შეტყობინებაში აღნიშნა, რომ მისი მხრიდან არანაირი წინააღმდეგობა არ ექნება განცხადებას იმის შესახებ, რომ ინგლის-თურქეთის შეხვედრის შესახებ სტალინმა ჩერჩილისგან მიიღო ინფორმაცია, თუმცა მას სრულს ვერ უწოდებს.

1943 წლის 13 თებერვალს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მენემენჯიოღლუმ განუცხადა საბჭოთა კავშირის ელჩს ს.ა. ვინოგრადოვს თურქეთის მთავრობის სურვილის შესახებ, დაეწყოთ მოლაპარაკებები სსრკ-სთან საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ურთიერთობების გაუმჯობესების თაობაზე. საბჭოთა მთავრობა მიესალმა თურქეთის მთავრობის სურვილს გაუმჯობესებინათ საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ურთიერთობები და გამოთქვა მზადყოფნა მოლაპარაკებების დასაწყებად. მოსკოვში ელოდნენ თურქეთის ელჩის დაბრუნებას, რომელთანაც იგეგმებოდა მოლაპარაკებების დაწყება.

მოლაპარაკებების მომზადების თვალსაზრისით სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1943 წლის მარტში შეიმუშავა სსრკ-სა და თურქეთს შორის ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების პროექტი. პროექტში იყო ექვსი მუხლი.

პირველ მუხლში საუბარი იყო იმაზე, რომ მხარეები ვალდებულებას იღებენ ეფექტურად ითანამშრომლონ, გაუწიონ ერთმანეთს ყოველგვარი დახმარება და გამოუცხადონ მხარდაჭერა მესამე სახელმწიფოს მხრიდან აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მუხლი 2 -პირველი მუხლი ძალაში შედის, თუ თურქეთი ჩაერთვება ომში საკუთარი დამოუკიდებლობის დასაცავად.

მუხლი 3 -მხარეები დაიწყებენ კონსულტაციებს, თუ გაჩნდება თურქეთის წინააღმდეგ აგრესიის საშიშროება.

მუხლი 4 -ხელშეკრულება არ არის მიმართული რომელიმე მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მუხლი 5 -ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და რატიფიცირებას არ ექვემდებარება.

მუხლი 6 -ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 15 წელი და იგი შეიძლება გაგრძელდეს 5 წლით.

ხელშეკრულების პროექტი ვიზირებულ იქნა 1943 წლის 23 მარტს.

საბჭოთა კავშირისა და თურქეთის მოლაპარაკება შედგა, თუმცა უშედეგოდ დასრულდა. თურქეთის მთავრობამ დაიკავა „ორჭოფული და გაურკვეველი პოზიცია გერმანიასთან მიმართებაში. (Rubin,1989:290-292)

1943 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში მოსკოვში გაიმართა აშშ-ის (კ.ჰალის), დიდი ბრიტანეთის (ე.იდენის) და სსრკ-ის (ვ.მ.მოლოტოვის) საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია. საბჭოთა მთავრობამ კონფერენციაზე დააყენა საკითხი: „გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ ევროპაში ომის ხანგრძლივობის შემცირების მიზნით ზომების მიღების განხილვა“, ინგლისის მთავრობამ წამოაყენა საკითხი: „ერთობლივი პოლიტიკა თურქეთთან მიმართებაში“. (Rubin, 1989:292)

სამივე მთავრობამ - სსრკ-ის, აშშ-ის და ინგლისის - კონფერენციაზე გამოთქვეს აზრი გერმანიის წინააღმდეგ ომში თურქეთის ჩართვის სასარგებლოდ. თუმცა, მოლაპარაკებების დროს ცხადი გახდა, რომ სსრკ-ის მთავრობისა და ინგლისის მთავრობის მიზნები ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავდებოდა. თურქეთის მონაწილეობა გერმანიის წინააღმდეგ ომში, საბჭოთა მხარის აზრით, შეაკავებდა

მოწინააღმდეგის ჯარს ფრონტის სამხრეთ ნაწილში, რაც ხელს შეუწყობდა წითელი არმიის მიერ ფაშისტური ჯარების განადგურებას საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ჩერჩილის მთავრობა კი ცდილობდა განემტკიცებინა თავისი პოზიციები თურქეთში, განსაკუთრებით შავი ზღვის სრუტეებში, წაეწია ისინი ბალკანეთისკენ, რათა თავიდან აეცილებინა იქ საბჭოთა ჯარების გამოჩენა.

კონფერენციის პირველ სხდომაზე, 19 ოქტომბერს, ვ.მ.მოლოტოვმა ომის ხანგრძლივობის შემცირების მიზნით წამოაყენა შემდეგი წინადადებები: 1. მიღებულ იქნეს ისეთი გადაუდებელი ზომები დიდი ბრიტანეთისა და შერთებული შტატების მთავრობების მხრიდან ჯერ კიდევ 1943 წელს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ანგლო-ამერიკული ჯარების შეჭრას ჩრდილოეთ საფრანგეთში. ამასთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობა საჭიროდ თვლიდა გაერკვია, ძალაში რჩება თუ არა ჩერჩილისა და რუზველტის 1943 წლის ივნისის დასაწყისში გაკეთებული განცხადება მასზედ, რომ ანგლო-ამერიკული ჯარები ჩრდილოეთ საფრანგეთში შეიჭრებიან 1944 წლის გაზაფხულზე; 2. წინადადება მიეცეს თურქეთის მთავრობას სამი სახელმწიფოს სახელით ომში თურქეთის დაუყოვნებლივ ჩაბმის შესახებ. 3. წინადადება მიეცეს შვედეთს სამი სახელმწიფოს სახელით მოკავშირეთათვის საავიაციო ბაზების მიწოდებაზე გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

პირველი შეხვედრის შესახებ იდენის მოხსენების საპასუხოდ, 20 ოქტომბერს ჩერჩილმა თავის საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც პირადად იდენს აცნობებს, რომ იგი წინააღმდეგი იქნება მეორე ფრონტის გახსნისა (ჩრდილოეთ საფრანგეთში) 1944 წლის გაზაფხულზე, მაგრამ ამ ეტაპზე არ უნდა მოხდეს ღიად საუბარი მისი არგუმენტების შესახებ. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის წინადადებას თურქეთთან დაკავშირებით, მინისტრს ევალეობდა ეცადა „გაერკვია რუსების ნამდვილი განზრახვები ბალკანეთთან დაკავშირებით. მოწონებული იქნება თუ არა მათი მხრიდან, - წერდა პრემიერი, - ჩვენი სამოქმედო გეგმა ეგეოსის ზღვით ომში თურქეთის ჩართვის და დარდანელისა და ბოსფორის გახსნის შესახებ იმისათვის, რომ ინგლისურმა სამხედრო-საზღვაო ძალებმა და სავაჭრო გემებმა დახმარება გაუწიონ რუსეთის შეტევას და ჩვენ, საბოლოოდ,

შევძლოთ გავუწოდოთ რუსებს მარჯვენა ხელი დუნაიზე“. აღვნიშნავთ, რომ „დუნაიზე რუსებისათვის მარჯვენა ხელის გაწოდება“ შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ იმყოფები ბალკანეთში.

პრემიერი აცნობიერებდა, რომ ეს გეგმა სსრკ-ის მხრიდან მხარდაჭერას არ მოიპოვებდა და ამიტომ თავის დეპეშაში წერდა: „პოლიტიკური მიზეზების გამო, რუსებმა, შესაძლოა, არ ისურვონ, რომ ჩვენ შევიმუშავოთ ბალკანეთის მასშტაბური სტრატეგია“. ეს გეგმა, როგორც ვხედავთ, ჰგავდა ბრიტანული საზღვაო ფლოტის მიერ შავი ზღვის სრუტეების ხელში ჩაგდების გეგმას, რომლის განხორციელებასაც ჩერჩილი, როგორც სამხედრო-საზღვაო მინისტრი, წარუმატებლად ცდილობდა პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში.

პრემიერ-მინისტრის ამ დირექტივიდან ირკვევა, რომ ბრიტანეთის მთავრობა დაინტერესებული იყო არა თურქეთის უახლოეს მომავალში მონაწილეობით გერმანიის წინააღმდეგ ომში, არამედ ბალკანეთში ბრიტანული ჯარების ოპერაციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით.

ა.იდენმა კეთილსინდისიერად შეასრულა თავისი პრემიერ-მინისტრის მითითებები. მინისტრმა 1943 წლის 28 ოქტომბერს გამართულ კონფერენციის შეხვედრაზე თქვა, რომ ბრიტანეთის მთავრობას სურს თურქეთი ჩაერთოს ომში და რომ დიდი ბრიტანეთი დაინტერესებულია ამ საკითხით და თანაუგრძნობს საბჭოთა მთავრობის წინადადებას, მაგრამ, თითქოს არ იცის როგორ უნდა გააკეთოს ეს. „ჩემი მთავრობა ვარაუდობს, - განაგრძო ედემმა - რომ თურქეთისთვის ომში ჩართვის წინადადებით მიმართვა ძნელად შეიძლება იყოს წარმატებული.“ რა თქმა უნდა, თუ ბრიტანეთის მთავრობა, რომელსაც თურქეთთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ჰქონდა, ასე ფიქრობდა, ანკარისგან განსხვავებული პასუხის მოლოდინი არ უნდა ჰქონდეს.

იდენმა შემოგვთავაზა "თურქეთი ნეიტრალიტეტის პოზიციიდან გადაეწიათ არამეომარი მხარის პოზიციაზე" მის ტერიტორიაზე ბრიტანეთის სამხედრო ბაზებით უზრუნველყოფის გზით. "შემდეგ, - ნათქვამია ამ საკითხზე ინგლისურ დოკუმენტში, რომელიც 1943 წლის 25 ოქტომბერს გაიგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში, - შესაძლებელი იქნებოდა მისი

(თურქეთის - ავტორის) არამეომარი მხარის პოზიციიდან გადასვლის გზების შემუშავება ომში აქტიური მონაწილეობის პოზიციაზე. (Goldfrank,1994:198-200)

აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის დელეგაციამ თურქეთის საკითხის შესახებ დოკუმენტი გაგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში 1943 წლის 21 ოქტომბერს ა. ედემის საბჭოთა მთავრობის მეთაურთან ი.ბ. სტალინთან შეხვედრის შემდეგ. შეხვედრა შედგა ედემის თხოვნით.

საუბრისას ედენმა იკითხა, რატომ თვლის სტალინი, რომ თურქეთის ომში ჩაბმის დრო დადგა. სტალინმა თქვა: "რომ მოკავშირეები აწვდიდნენ იარაღს თურქეთს, ახლა საჭიროა მოითხოვონ მისი დახმარება მოკავშირეებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღის მიწოდებას აზრი არ აქვს. მომავალ წელს თურქეთის ომში მონაწილეობა საჭირო აღარ იქნება. ამჟამად თურქული ნეიტრალიტეტი, რომელიც ერთ დროს მოკავშირეებისთვის სასარგებლო იყო, ჰიტლერისთვის სასარგებლოა, რადგან იგი ფარავს მის ფლანგს ბალკანეთში. თუ თურქეთი ამ წელს ომში ჩაერთვება, გერმანელები ვერაფერს გახდებიან, რომ ძლიერი წინააღმდეგობა გაწიონ, რადგან მათ არ აქვთ საკმარისი რეზერვები. თურქეთი აცხადებს პრეტენზიას სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილეობაზე და აქვს საკუთარი პრეტენზიები. აუცილებელია, რომ მან თავისი წვლილი შეიტანოს გამარჯვების საქმეში და დაიმსახუროს მშვიდობიან კონფერენციაში მონაწილეობა." იდენმა 25 ოქტომბერს კონფერენციაზე გაგზავნა თავისი წინადადებები თურქეთის საკითხის შესახებ, საბჭოთა კავშირის განმარტებების გათვალისწინების გარეშე, რომელიც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ ტვირთს ეზიდებოდა.

სახელმწიფო მდივანმა კ. ჰელმა 28 ოქტომბერს გაუგზავნა კონფერენციას ამერიკის მთავრობის პასუხი საბჭოთა კავშირის წინადადებაზე თურქეთის შესახებ. პასუხში ნათქვამია, რომ შეერთებული შტატები "ამჟამად" მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ თურქეთის წაქეზებას გერმანიისთვის ომის გამოსაცხადებლად. აშშ-ს მთავრობის ვალდებულებების გათვალისწინებით, სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა მემორანდუმში, "გონივრული არ იქნება რესურსების შემდგომი ამოწურვა საჭიროების გარეშე, რაც მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი ომში ჩაებმება ჩვენი ზეწოლით". ამერიკის მთავრობამ



შესთავაზა "რაც შეიძლება მოკლე ვადაში გაერკვიათ თურქეთის მთავრობისგან თურქეთის, როგორც ნეიტრალური სახელმწიფოს მიერ, საჰაერო ბაზებისა და სატრანსპორტო საშუალებების იჯარით გაცემის შესაძლებლობის თაობაზე.

28 ოქტომბრის კონფერენციის სხდომაზე ვ. მ. მოლოტოვმა, ინგლისის და შეერთებული შტატების მთავრობების რეაქციაზე დაყრდნობით, თქვა: "შემიძლია განვაცხადო, რომ ამ დროისთვის საბჭოთა მთავრობის წინადადება მხარდაჭერას ვერ პოულობს... ამერიკული და ბრიტანული მხარეების განცხადებები მიუთითებს მთელ რიგ სირთულეებზე, რომლებიც მოკავშირეთა წინაშე დადგებოდა ამჟამად თურქეთის ომში ჩაბმის შემთხვევაში. თუმცა, თუ თურქეთი ახლა მართლაც ომში ჩაებმებოდა, ეს, უეჭველად, გაცილებით დიდ სირთულეებს წარმოშობდა ჩვენი მტრისთვის, ვიდრე მოკავშირეებისათვის. დავის გარეშე, რომ ეს კიდევ ერთი დარტყმა იქნებოდა ჰიტლერისა და მისი მოკავშირეებისათვის."

აშშ-სა და ბრიტანეთის მთავრობებმა თავიანთი სტრატეგიული მიზნები სამოკავშირეო ვალდებულებებზე მაღლა დააყენეს. თურქეთის გერმანიის წინააღმდეგ ომში დაუყოვნებლივ ჩართვის საკითხის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრებმა „აღიარეს, რომ სასურველია შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოს და საბჭოთა კავშირის მთავრობებმა განაგრძონ თურქეთის საკითხის შესწავლა."

1944 წლის 12 ივლისს ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა გაუგზავნა სტალინს შეტყობინება, რომელშიც მან კერძოდ აცნობა, რომ "თურქეთი მზადაა დაუყოვნებლად გაწყვიტოს ურთიერთობა „ღერძის“ სახელმწიფოებთან. მე გეთანხმებით, რომ მან ომი უნდა გამოუცხადოს, მაგრამ ვშიშობ, რომ თუ ამის შესახებ ჩვენ ვეტყვით, ის გაჯიუტდება". ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი გზავნილში გამოთქვამდა სურვილს, რომ თურქეთს გერმანიასთან ურთიერთობები გაეწყვიტა.

სტალინმა უპასუხა ჩერჩილს 1944 წლის 15 ივლისს. თურქეთის საკითხთან დაკავშირებით, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე წერდა: "თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ, თუ როგორ დაჟინებით სთავაზობდნენ სამი ქვეყნის მთავრობები თურქეთს ჩართულიყო ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მოკავშირეთა მხარეს 1943 წლის ნოემბერში და დეკემბერში. აქედან არაფერი

გამოვიდა. მოგეხსენებათ, რომ თურქეთის მთავრობის ინიციატივით მიმდინარე წლის მათ-ივნისში, ჩვენ კვლავ ჩავერთეთ მოლაპარაკებებში თურქეთის მთავრობასთან და ორჯერ შევთავაზეთ იგივე, რაც სამმა მოკავშირე მთავრობამ შესთავაზა გასული წლის ბოლოს. არც აქ გამოვიდა არაფერი. რაც შეეხება თურქეთის მხრიდან სხვა ნახევარ ზომებს, ამჟამად მე ვერ ვხედავ ამაში სარგებელს მოკავშირეებისთვის. თურქეთის მთავრობის მიერ გერმანიის მიმართ მორიდებული და გაურკვეველი პოზიციის გათვალისწინებით, უმჯობესია თავი დავანებოთ თურქეთს და მივუშვათ ის საკუთარ ნებაზე, ახალი ზეწოლის გარეშე. ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავს, რომ ასევე გაქრება თურქეთის ომის შემდგომ საქმეებში განსაკუთრებული უფლებების შესახებ პრეტენზიებიც, რომელმაც თავი აარიდა გერმანიასთან ომს.“ ( Rozakis,1987:115-119)

### 2.3 შავი ზღვის სრუტეების საკითხი საერთაშორისო კონფერენციებზე II მსოფლიო ომის პერიოდში

არაერთხელ დაისვა შავი ზღვის სრუტეების საკითხი მეორე მსოფლიო ომის დროს სსრკ-ს, აშშ-სა და ინგლისის მთავრობათა მეთაურების შეხვედრებზე.

გამოქვეყნებული დოკუმენტების თანახმად, შავი ზღვის სრუტეების საკითხი თეირანში სსრკ-ს, აშშ-სა და ინგლისის ლიდერების შეხვედრაზე დაისვა.

თეირანის კონფერენციის მეორე სხდომაზე (1943 წლის 29 ნოემბერი), ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა უ. ჩერჩილი, საკუთარი ინიციატივით, შეეხო სრუტეების საკითხს. პრემიერ მინისტრმა განაცხადა, რომ სასურველია თურქეთი ომში ჩაებას მოკავშირე სახელმწიფოების მხარეს.

”ბრიტანეთის მთავრობის სახელით შემძლია ვთქვა,” - თქვა ჩერჩილმა, - ”რომ ის მზად არის გააფრთხილოს თურქეთი, რომ თუ თურქეთი არ მიიღებს ომში ჩართვის შეთავაზებას, ამან შეიძლება სერიოზული პოლიტიკური შედეგები გამოიწვიოს თურქეთისთვის და აისახება მის უფლებებზე. ბოსფორისა და დარდანელის მიმართ”. (Черчилль, 1955:201)

სტალინმა პასუხად თქვა, რომ საბჭოთა მხარე არ თვლის ”მთავარ საკითხებად არც თურქეთში ომში ჩართვის საკითხს, არც პარტიზანებისთვის დახმარებას, არც რომის ოკუპაციასაც კი (ამის შესახებ საუბრობდა ჩერჩილი - ავტორი) ... ჩვენ მთავარ და გადამწყვეტ საკითხად ვთვლით ოპერაცია ”ოვერლორდს”. და მე მინდოდა, რომ ჩვენი ყურადღება არ იქნას გადატანილი ამ ძირითადი საკითხისგან მეორეხარისხოვან საკითხებზე.” (Черчилль, 1955:202)

მეორე დღეს, 1943 წლის 30 ნოემბერს, საუზმეზე ზოგად თემებზე საუბრის შემდეგ ჩერჩილი, ისევ საკუთარი ინიციატივით, შეეხო სრუტეების საკითხს. მისი თქმით, ”რუსეთს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გასასვლელი გაუყინავ პორტებთან.”

სტალინი დათანხმდა, რომ ეს აუცილებელი იყო, მაგრამ თქვა, რომ ”ამ საკითხის განხილვა მოგვიანებით შეიძლება”. პრემიერ მინისტრმა საკმაოდ დაჟინებით განაგრძო: ”ადრე ბრიტანელები ეწინააღმდეგებოდნენ რუსების თბილ ზღვებზე გასვლას, მაგრამ ახლა ბრიტანელებს ამის შესახებ არანაირი პრეტენზია არ აქვთ”.

ჩერჩილის ზემოხსენებული განცხადების საპასუხოდ, სტალინმა თქვა, რომ "თუ ახლა არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობს, მაშინ თურქეთის სრუტეების რეჟიმის საკითხიც უნდა გადაიხედოს. ასეთი დიდი ქვეყანა, როგორცაა რუსეთი, შავ ზღვაშია ჩაკეტილი და გასასვლელი არ აქვს. სრუტეების რეჟიმი ჯერ რეგულირდებოდა სევრის ხელშეკრულებით, შემდეგ ლოზანის ხელშეკრულებით და ბოლოს მონტრეს კონვენციით. მთელი ამ ხნის განმავლობაში ინგლისელებს რუსეთის დახრჩობა სურდათ, მაგრამ თუ ახლა ინგლისელებს აღარ სურთ რუსეთის დახრჩობა, მაშინ აუცილებელია, რომ მათ შეამსუბუქონ სრუტეების რეჟიმი."

ჩერჩილმა უპასუხა, რომ "იგი ეთანხმება ამას, მაგრამ რაც ახლა არის სასურველი, ეს არის თურქეთის ომში ჩაბმა, ამიტომ ის ამ დროისთვის არ ისურვებდა ამ საკითხის წამოწევას." სტალინი ამას დაეთანხმა და დასძინა, რომ "პორტებისა და სრუტეების საკითხის განხილვის დრო კიდევ იქნება". ჩერჩილმა განაცხადა, რომ "ის მომხრეა საბჭოთა ფლოტის თავისუფალი ცურვისა ყველა ზღვებში და ოკეანეებში". ამასთან დაკავშირებით, სტალინმა ჰკითხა, ჩერჩილის აზრით, თუ რა შეიძლება გაკეთდეს რუსეთისთვის შორეულ აღმოსავლეთში, იქვე აღნიშნა, რომ "საბჭოთა კავშირი ასევე ჩაკეტილია შორეულ აღმოსავლეთში, რადგან რომელი პორტიდანაც არ უნდა გამოვიდნენ საბჭოთა გემები, მათ ან უნდა გაიარონ სიმონოსეკის, ან ცუსიმის სრუტეები, რომელებიც ნებისმიერ დროს შეიძლება დაიკეტოს იაპონელების მიერ". რუზველტმა გამოხატა საკუთარი "თავისუფალი პორტების იდეა", ხოლო ჩერჩილმა ხაზი გაუსვა, რომ "სრულებით ამკარაა, რომ რუსეთს უნდა ჰქონდეს თბილ ზღვებზე გასასვლელი". (Городецкий,1999:319-321)

მეორე დღეს, 1943 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე, ისევ წამოიჭრა შავი ზღვის სრუტეების საკითხი. მოლოტოვმა 29 ნოემბრის სხდომაზე ჩერჩილის განცხადებაზე, რომ თუ თურქეთი არ ჩაებმება ომში, სრუტეებთან მიმართებაში მისი უფლებები არ შეიძლება უცვლელი დარჩეს, ბრიტანეთის პრემიერ მინისტრს სთხოვა განემარტა ეს განცხადება. ვ.მოლოტოვის მიმართვაზე ვ. ჩერჩილმა უპასუხა: "მე ვფიქრობ, რომ სრუტეების რეჟიმი უნდა გადაიხედოს, თუნდაც იმ მიზეზით, რომ იაპონელები მონაწილეობენ მონტრეს კონვენციაში." თუმცა

ამჯერადაც მან თავი აარიდა პასუხს, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო შავი ზღვის სრუტეების რეჟიმი.

რუზველტმა 1 დეკემბერს გამართულ სხდომაზე აღნიშნა, რომ იგი ფიქრობს, რომ "მიუხედავად იმისა, თურქეთი ომში ჩაერთვება თუ არა, დარდნელი უნდა იყოს თავისუფალი ყველა ერის სამხედრო და სავაჭრო გემების გასავლელად. ის უნდა დაექვემდებაროს იმ სახელმწიფოების კონტროლს, რომლებიც საპოლიციო ფუნქციებს ახორციელებენ." ჩერჩილმა კვლავ განაცხადა, რომ "თურქეთი ჩვენი მოკავშირეა, მაგრამ თუ იგი უარს იტყვის ჩვენი მოთხოვნების შესრულებაზე, ჩვენ განვუცხადებთ მას, რომ ინგლისი დიდად არ დაინტერესდება სრუტეების საკითხის მოგვარებით. ჩვენ თურქებს ვეტყვით, რომ თუ გადაწყვეტილება იქნება მიღებული სრუტეების რეჟიმთან დაკავშირებით, მაშინ ინგლისელები დაეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებას და არ დაიცავენ თურქებს. ჩვენ მათ მიმართ ცივ დამოკიდებულებას გამოვავლენთ და განვაცხადებთ, რომ მათ უნდა მოაგვარონ საკუთარი საქმეები საბჭოთა კავშირთან."

ჩერჩილი 1950 წელს მეორე მსოფლიო ომის შესახებ თავის მონოგრაფიაში ამახინჯებს შავი ზღვის სრუტეებზე მოლაპარაკებების სურათს თეირანის კონფერენციაზე. იგი წარმოაჩენს საკითხს ისე, თითქოს სტალინმა გამოიჩინა ინიციატივა შავი ზღვის სრუტეების საკითხის დასმისას. კერძოდ, თავის წიგნში ჩერჩილი წერს: "საუზმეზე, რუზველტმა სტალინს უთხრა, რომ ჩვენ (რუზველტი და ჩერჩილი.) შეთანხმებული ვიყავით ოპერაცია "ოვერლორდის" მაისის თვეში დაწყებაზე. მარშალი აშკარად კმაყოფილი და დამშვიდებული იყო ამ საზეიმო და პირდაპირი დაპირებით, რომელიც მას ორივემ მივეცით. საუბარი უფრო მსუბუქ თემებზე გადავიდა და მისი ერთადერთი ნაწილი, რომლის შესახებ მე შემომრჩა ჩანაწერი, არის რუსეთის ზღვებსა და ოკეანეებში გასვლის საკითხი. მე ყოველთვის არასწორად მიმაჩნდა დამღუპველი კონფლიქტებით სავსე სიტუაციაში ყოფნა, როდესაც ისეთი მძლავრი ხმელეთის მასას, როგორცაა რუსეთის იმპერია, დაახლოებით 200 მილიონი ადამიანით, ზამთრის თვეებში არ აქვს ოკეანებთან წვდომა.

როდესაც მარშალმა სტალინმა დააყენა რუსეთისთვის ყინულისგან თავისუფალი პორტების საკითხი, მე ვთქვი, რომ ამ მხრივ არანაირი დაბრკოლება

არ არსებობს. მან ასევე მკითხა დარდანელისა და სევრის ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ. მე ვთქვი, რომ მსურს თურქეთი ჩავრთო ომში და ამიტომ ამ საკითხის დასმისთვის შესაფერისი მომენტი არ არის. სტალინმა მიპასუხა, რომ ამის გაკეთება მოგვიანებით შეიძლება. მე ვთქვი, რომ იმედი მაქვს, რომ რუსული სამხედრო და სავაჭრო ფლოტი ოკეანეებს გადასერავს და ჩვენ მივესალმებით რუსული გემების გამოჩენას. შემდეგ სტალინმა შენიშნა, რომ ლორდ კურზონს განსხვავებული აზრი ჰქონდა. მე ვთქვი, რომ იმ ხანებში ჩვენ რუსეთთან შეთანხმება არ გვქონდა.“ (Городецкий,1999:323-325)

თეირანის კონფერენციის დოკუმენტში ნათქვამია, რომ ჩერჩილის განცხადების საპასუხოდ, სტალინმა თქვა, რომ ”თუ ახლა განსხვავებული აზრი არ არსებობს, თურქეთის სრუტეების რეჟიმის საკითხი უნდა გადაიხედოს. ასეთი დიდი ქვეყანა, როგორცაა რუსეთი, შავ ზღვაშია ჩაკეტილი და გასასვლელი არ აქვს. სრუტეების რეჟიმი ჯერ რეგულირდებოდა სევრის ხელშეკრულებით, შემდეგ ლოზანის ხელშეკრულებით და ბოლოს მონტრეს კონვენციით.“

თეირანის კონფერენციამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება თურქეთთან დაკავშირებით: ”შევთანხმდით, რომ სამხედრო თვალსაზრისით, ძალიან სასურველია, რომ თურქეთი ომში ჩაერთოს მოკავშირეთა მხარეს წლის ბოლომდე“.

ჩნდება კითხვა, რატომ წამოაყენა ვ. ჩერჩილმა საკუთარი ინიციატივით თეირანის კონფერენციაზე სრუტეების საკითხი? სამწუხაროდ, შეუძლებელი იყო რაიმე დოკუმენტის პოვნა, რომელიც ამ კითხვაზე პასუხს გაცემდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩერჩილის ამ ნაბიჯის მიზეზი მდგომარეობს იმ ვითარებაში, რომელიც იმ დროისთვის შექმნილი იყო დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

საქმე იმაშია, რომ იმ მომენტიდან, როდესაც გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, ბრიტანეთის მთავრობამ განიცდიდა შიშს, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას არ დაედო ზავი ბერლინთან, რის შედეგადაც დიდი ბრიტანეთი პირისპირ აღმოჩნდებოდა გერმანული რაიხის წინააღმდეგ. 1942 წლის ზაფხულში ჩერჩილმა გაემგზავრა მოსკოვში, რომლის მთავარი მიზანი იყო გაერკვია საკითხი: რუსეთი გაუძლებს ომს თუ დადებს ზავს გერმანიასთან. სტალინთან მოლაპარაკებების შემდეგ, 1942 წლის 14 აგვისტოს, მან ლონდონში

სამხედრო კაბინეტს გაუგზავნა დეკემა, რომელშიც, კერძოდ, მან დაწერა: "მთელი დროის განმავლობაში არ ყოფილა ოდნავი მინიშნებაც კი, რომ ისინი აღარ გააგრძელებენ ბრძოლას და მე პირადად ვფიქრობ, რომ სტალინი სრულიად დარწმუნებულია გაიმარჯვებაში." სტალინთან მოლაპარაკებების შესახებ აშშ-ს პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის სახელზე დეკემაში ჩერჩილმა დაწერა: "მე პირადად მჯერა, რომ თანაბარი შანსია იმისაც, რომ ისინი გადარჩებიან, მაგრამ საიმპერატორო გენერალური შტაბის უფროსი ამაში დარწმუნებული არ არის". (Ingle,1976:361)

სტალინგრადთან 1943 წლის დასაწყისში გერმანიის ჯარების დამარცხების შემდეგ, წითელმა არმიამ დაიწყო წინსვლა დასავლეთისკენ, ათავისუფლებდა მიერ გერმანიის მიერ დაპყრობილ საბჭოთა კავშირის მიწებს. მაგრამ ამან არ შეამცირა ბრიტანეთის მთავრობის შეშფოთება, თუმცა მათი ბუნება შეიცვალა. თუ ადრე ლონდონი ღელავდა საბჭოთა კავშირს არ დაედო სეპარატული მშვიდობა გერმანიის გამარჯვების შედეგად, შემდეგ 1943 წელს მას აშინებდა აზრი, რომ საბჭოთა კავშირს არ შეეწყვიტა ომი, როდესაც მისი შეიარაღებული ძალები გაათავისუფლებდნენ გერმანელების მიერ ოკუპირებულ სსრკ – ს ყველა ტერიტორიას და მიაღწევნ სახელმწიფო საზღვარს, მით უმეტეს, რომ სტალინგრადთან გერმანიის არმიის განადგურების შემდეგ გაძლიერდა ფაშისტური ბლოკის წარმომადგენელთა მხრიდან სეპარატული ზავის დადების შესაძლებლობის ზონდირების მცდელობები. სწორედ ამან აიძულა ბრიტანეთის მთავრობა სსრკ-ს, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის შეხვედრაზე დაესვა საკითხი "მშვიდობიანი საცდელი ბუმტების" შესახებ მტრული სახელმწიფოების მხრიდან". ბრიტანეთის საელჩოს 1943 წლის 24 ოქტომბრის სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი წერილში ამ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, ნათქვამია: "ბოლო 18 თვის განმავლობაში მისი უდიდებულესობის მთავრობამ დაადგინა აშშ-სა და სსრკ-ს მთავრობებისთვის მონაცემთა შეტყობინების პრაქტიკა მტრის სუბიექტების მხრიდან მისი უდიდებულესობის მთავრობასთან კონტაქტის დამყარების ყველა სერიოზული მცდელობის შესახებ. ასეთი მიმართვებს, პირდაპირს თუ

არაპირდაპირს, დროდადრო ადგილი ჰქონდა გერმანიიდან, იტალიიდან, უნგრეთიდან, რუმინეთიდან და ფინეთიდან.”

წერილში შემდეგ ნათქვამი იყო, რომ ინგლისის მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ აშშ-სა და სსრკ-ის მთავრობები ასევე „სრულად და დაუყოვნებლივ მიაწვდიან მას ინფორმაციას მოწინააღმდეგის ქვეყნებიდან მშვიდობიანი მიმართვების შესახებ. ინგლისის მთავრობა ასევე ძალზე მნიშვნელოვნად თვლის იმას, რომ მთავარი მოკავშირეები გაჰყვენ საერთო ხაზს ნებისმიერ ურთიერთობაში, რომელიც მათ შეიძლება ჰქონდეთ „ღერძის“ მცირე სატელიტებთან ევროპაში და ამ მიზნით უნდა გაიარონ კონსულტაციები ერთმანეთთან ნებისმიერი მოლაპარაკების შესახებ, რომლებსაც შეიძლება აწარმოებდნენ რომელიმე სატელიტი-ქვეყნის ცალკეულ პირებთან ან ჯგუფებთან. ამ პოლიტიკის გატარებისას, ინგლისის მთავრობამ ინფორმაცია მიაწოდა აშშ-სა და სსრკ-ის მთავრობებს უნგრეთის მთავრობის ემისრებთან მისი ბოლოდროინდელი მოლაპარაკებების შესახებ“. (Parker, 1955:421)

კონფერენციაზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: „გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მთავრობები შეთანხმდნენ, რომ დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ნებისმიერი სახის საცდელი მშვიდობიანი წინადადებების შესახებ, რომლებიც შეიძლება მიიღონ იმ ქვეყნის მთავრობებისგან, ცალკეული დაჯგუფებებისაგან ან პირებისაგან, რომელთანაც სამიდან რომელიმე მხარე იმყოფება საომარ მდგომარეობაში. სამი სახელმწიფოს მთავრობა შემდგომში თანხმდება კონსულტაცია გაუწიონ ერთმანეთს იმისათვის, რომ შეათანხმონ თავიანთი მოქმედებები ამგვარ წინადადებებთან მიმართებაში“. თუმცა ამ გადაწყვეტილებამ ბრიტანეთის მთავრობას შიში ბოლომდე ვერ გაუქრო.

იჩენდა რა ინიციატივას შავი ზღვის სრუტეების შესახებ საკითხის წამოჭრისას, ამასთან ეს ისე კეთდებოდა, თითქოს დიდი ბრიტანეთის მთავრობა გაგებით ეკიდება საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს - მის ეკონომიკურ და სამხედრო უსაფრთხოებას, ჩერჩილს სურდა, რომ სსრკ ჩართული ყოფილიყო ომში გერმანიაზე სრულ გამარჯვებამდე. ამ საკითხის წამოყენებისას ბრიტანეთის მთავრობა ასევე ფიქრობდა თავის საკუთარ ინტერესებზეც სრუტეებში, როგორც ეს



შეინიშნებოდა ლონდონის პოზიციაშიც შავი ზღვის სრუტეებთან და რუსეთთან დაკავშირებით პირველ მსოფლიო ომში. მხოლოდ გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაზე, ჩერჩილმა გაამხილა თავისი გეგმები.

1944 წლის ოქტომბერში უ. ჩერჩილი ჩავიდა მოსკოვში, სადაც მოლაპარაკებები გამართა ი.ბ. სტალინთან. ამ მოლაპარაკებების შესახებ ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა აცნობა აშშ-ის პრეზიდენტს რუზველტს, გაუგზავნა რა მას წერილი 1944 წლის 22 ოქტომბერს. ამ წერილის მე-9 პუნქტში ჩერჩილი წერდა: „გარდა ამისა, ოფიციალურად წამოაყენა მონტრეს კონვენციის საკითხი, სურდა რა ისე შეეცვალა იგი, რომ უზრუნველყო რუსული სამხედრო გემების თავისუფალი გავლა. ამას საწინააღმდეგო ჩვენ, პრინციპში, არაფერი გვქონდა. გადასინჯვა აშკარად საჭიროა, ვინაიდან ამ კონვენციის ერთ-ერთ ხელმომწერ ქვეყანას წარმოადგენს იაპონია, ინენიუმ კი ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა, რომელიც მას გასული წლის დეკემბერში მიეცა. ჩვენ შევთანხმდით იმის თაობაზე, რომ რუსებმა უნდა შეიმუშაონ დეტალური წინადადებები. მან თქვა, რომ ისინი ზომიერი იქნება“. (Rozakis, 1987:224-225)

1945 წლის თებერვალში იალტაში (ყირიმი) გაიმართა სამი მოკავშირე სახელმწიფოს - სსრკ-ის, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელების კონფერენცია, რომელსაც ყირიმის კონფერენცია ეწოდა. კონფერენციაზე, სხვა პრობლემებთან ერთად, განიხილებოდა შავი ზღვის სრუტეებთან დაკავშირებით მონტრემში დადებული კონვენციის საკითხი. ი.ბ. სტალინმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, ეს „კონვენცია მოძველდა და თავისი დრო მოჰამა. კონვენციის წევრს წარმოადგენს იაპონია, რომელიც იბრძვის ინგლისისა და შეერთებული შტატების წინააღმდეგ. კონვენცია კავშირშია ერთა ლიგასთან, რომელიც აღარ არსებობს. თურქეთს სრუტეების დახურვის უფლება მიეცა მაშინ, როდესაც მას ეს მოესურვება. აუცილებელია შეიცვალოს აქამდე არსებული წესრიგი თურქეთის სუვერენიტეტისათვის ზიანის მიყენების გარეშე. შეიძლება, რომ სამი მინისტრის თათბირს, რომელიც ორ-სამ თვეში ჩატარდება, დაევალოს მონტრეს კონვენციისა და სრუტეების შესახებ საკითხის განხილვა“. (Rozakis,1987:226)

ჩერჩილმა, გაიხსენა რა 1944 წლის ოქტომბერში სტალინთან საუბარი მონტრეს კონვენციის შესახებ, განაცხადა, რომ რუსეთი, როგორც შავი ზღვის სახელმწიფო, ვერ დაკმაყოფილდებოდა შექმნილი ვითარებით და იგი ეთანხმება ამ საკითხის განხილვის შემოთავაზებულ პროცედურას. მან შესთავაზა თურქეთის ინფორმირება მონტრეს კონვენციის შესაძლო გადასინჯვის შესახებ. ჩერჩილმა შეახსენა, რომ ბრიტანეთის მთავრობას აქვს ვალდებულება აცნობოს თურქეთს იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მის ინტერესებს ეხება. მან იკითხა, უნდა მიეცეს თუ არა თურქეთს გარანტიები, რომ მისი დამოუკიდებლობა არ დაზარალდება, თუ გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები დათანხმდებიან საბჭოთა წინადადებების დაკმაყოფილებას. სტალინმა თქვა, რომ ასეთი გარანტიები უნდა გაიცეს.

ინგლისისა და ამერიკის დელეგაციებმა წამოაყენეს ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებათა პროექტები. დიდი ბრიტანეთის სამხედრო კაბინეტის მდივანმა ე. ბრიჯესმა 1945 წლის 11 თებერვალს გადასცა სსრკ-ის ელჩს დიდ ბრიტანეთში ფ.ტ. გუსევეს კონფერენციის გადაწყვეტილების პროექტი, რომელიც შეიცავდა შემდეგ პუნქტს მონტრეს კონვენციისა და შავი ზღვის სრუტეების საკითხის შესახებ:

„XV. მონტრეს კონვენცია და სრუტეები. მიღწეულ იქნა შეთანხმება მასზედ, რომ სამი საგარეო საქმეთა მინისტრი უახლოეს შეხვედრაზე ლონდონში განიხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ რა ცვლილებების შეტანა უნდა მოხდეს იმ პირობებში, რომლებიც ეხება სრუტეებს და განსაზღვრულია მონტრეს კონვენციაში და ანგარიშს წარუდგენენ სამ მთავრობას.

თურქეთის მთავრობას ინფორმირებული იქნება იმი შესახებ, რომ ეს საკითხი განხილვაშია და მას მიეცემა გარანტიები, რომ თურქეთის დამოუკიდებლობა და მთლიანობა არანაირად არ დაზარალდება“. (Routh,1937:112)

იმავე დღეს, 11 თებერვალს, საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე ამერიკის დელეგაციამ წარადგინა ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებათა მისეული პროექტი. პუნქტი მონტრეს კონვენციისა და შავი ზღვის სრუტეების შესახებ ჩამოყალიბებული იყო ზუსტად ისე, როგორც ინგლისურ პროექტში. ეს იმაზე მიუთითებს, რომ იგი შეთანხმებული იყო ამ დელეგაციებს შორის.

ყირიმის კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით:

„XIV. მონტრეს კონვენცია და სრუტეები.

მიღწეულ იქნა შეთანხმება მასზედ, რომ სამი საგარეო საქმეთა მინისტრი უახლოეს შეხვედრაზე ლონდონში განიხილავს საბჭოთა მთავრობის წინადადებებს მონტრეს კონვენციასთან დაკავშირებით და ანგარიშს წარუდგენენ თავიანთ მთავრობებს.

თურქეთის მთავრობა ინფორმირებული იქნება ამის შესახებ შესაბამის დროს“. 1945 წლის 23 თებერვალს თურქეთის მთავრობამ ომი გამოუცხადა გერმანიასა და იაპონიას. ეს გადაწყვეტილება ძალაში შედიოდა 1945 წლის 28 თებერვალს. ამ დროს თურქეთი გერმანიისათვის ომის გამოცხადებით არაფერს კარგავდა, ვინაიდან ფაშისტური გერმანია უკვე მარცხის წინაშე იდგა. საბჭოთა არმია ანადგურებდა ფაშისტურ ჯარებს სსრკ-ის გარეთ, ბერლინის მისადგომებთან. მაგრამ ამ ნაბიჯით თურქეთმა მოიპოვა მნიშვნელოვანი სარგებელი - დაშვება მოკავშირე სახელმწიფოების მიერ შექმნილ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და მისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები კონვენციისა და სრუტეების შესახებ მოლაპარაკებებისათვის.

არ დაელოდა რა სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ კონვენციისა და სრუტეების საკითხის განხილვას, რომლის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყო ყირიმის კონფერენციაზე, მოსკოვმა გადაწყვიტა ამ საკითხებზე შეთანხმება ეცადა თურქეთის მთავრობასთან და შემდეგ ეს შეთანხმება სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე წარედგინა, რითაც მათ უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენებდა და იძულებულს გახდიდა ელიარებინათ იგი. ვინაიდან მოსკოვში ხედავდნენ, რომ ჩერჩილის ზოგადი პოზიტიური განცხადებები საბჭოთა კავშირის სურვილთან დაკავშირებით, ჰქონოდა თავისუფალი გასასვლელი თბილი ზღვებისკენ და განემტკიცებინა თავისი უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში, არც ერთხელ არ დადასტურებულა რაიმე კონკრეტული წინადადებებით. ჩერჩილი ყოველთვის თავს არიდებდა მათ და ამას არ შეეძლო არ დაერწმუნებინა საბჭოთა ხელმძღვანელობა, რომ სინამდვილეში ბრიტანეთის მთავრობა არ აპირებდა ხელი შეეწყო სსრკ-ის პოზიციების განმტკიცებისათვის სრუტეების რაიონში.

1945 წლის 19 მარტს თურქეთის ელჩი სსრკ-ში ს. სარპერი მიიწვიეს სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში. 1925 წლის 17 დეკემბერს დადებული თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის მოახლოებასთან დაკავშირებით, ვ.მ. მოლოტოვმა საბჭოთა მთავრობის სახელით განცხადება გააკეთა თურქეთის ელჩთან თურქეთის რესპუბლიკის მთავრობისათვის გადასაცემად.

ამ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირისა და თურქეთის 1925 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულება ფასეული იყო საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებისათვის, საბჭოთა მთავრობა მაინც საჭიროდ თვლიდა აღენიშნა, რომ განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი დიდი ცვლილებების გამო ეს ხელშეკრულება აღარ შეესაბამებოდა ახალ ვითარებას და სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭოთა მთავრობამ თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას განუცხადა თავისი სურვილის შესახებ, მოეხდინა ამ ხელშეკრულების დენონსირება მისი ყველა დანართითურთ, 1935 წლის 7 ნოემბრის ოქმის დებულებების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა მის დენონსირების წესს.

ელჩმა განაცხადა, რომ იგი დაუყოვნებლივ გადასცემს ვ.მ. მოლოტოვის განცხადებას თურქეთის მთავრობას. ინგლისური წყაროებიდან ირკვევა, რომ მოლოტოვმა გადასცა ელჩს შესაბამისი ნოტა. (Parker, 1955:234-238)

1945 წლის 4 აპრილს ქ. ანკარა გამოეხმაურა საბჭოთა მთავრობის 1945 წლის 19 მარტის ნოტას. თურქეთის ნოტაში ნათქვამი იყო მზადყოფნის შესახებ „ყურადღებით და ნებაყოფლობით შეესწავლათ საბჭოთა მთავრობის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი წინადადება ისეთი ხელშეკრულების დადების მიზნით, რომელიც უკეთესად უპასუხებდა ორი ქვეყნის ამჟამინდელ ინტერესებს“. (Parker, 1955:239)

### თავი III. გეოპოლიტიკური ინტერესები და საერთაშორისო ურთიერთობებთან სისტემა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

#### 3.1. ბერლინის (პოტსდამის) კონფერენცია და სრუტეების საკითხი

1945 წლის 8 მაისს გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. გამარჯვებულებმა დაიწყეს მზადება სამ მოკავშირე სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენციისათვის ომის შემდგომი საკითხების მოგვარების განხილვის მიზნით.

1945 წლის 7 ივნისს ელჩი სელიმ სარპერი ეწვია ვ.მ.მოლოტოვს და თურქეთის მთავრობის სახელით წამოაყენა წინადადება თურქეთის რესპუბლიკასა და სსრკ-ს შორის საკავშირო ხელშეკრულების დადების შესახებ. ეს იყო თურქეთის მთავრობის პასუხი სსრკ-ის გადაწყვეტილებაზე 1925 წლის საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ. ეს პასუხი ანკარისთვის ლოგიკური ნაბიჯი იყო. თუ საბჭოთა კავშირს, რომელმაც გერმანია დაამარცხა, არ აწყობდა 1925 წლის ხელშეკრულება, თურქეთის მთავრობა მზად იყო სსრკ-სთან დაედო სხვა ხელშეკრულება - საკავშირო ხელშეკრულება.

ამ დროისთვის საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ გაარკვია თავისი პოზიცია შავი ზღვის სრუტეების საკითხის მიმართ. იგი შემდეგნაირი იყო:

1. მონტრეში ხელმოწერილი კონვენცია უნდა გაუქმდეს, ვინაიდან არ აკმაყოფილებს თანამედროვე პირობებს,
2. სრუტეებზე რეჟიმის დამყარება უნდა შედიოდეს საბჭოთა კავშირისა და თურქეთის კომპეტენციაში.
3. შავი ზღვის სრუტეების ახალი რეჟიმი უნდა ითვალისწინებდეს სრუტეებში თურქეთის სამხედრო ბაზებთან ერთად სსრკ-ის სამხედრო ბაზების შექმნას სსრკ-სა და თურქეთის უსაფრთხოების ინტერესებში და შავი ზღვის რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით.

სარპერის განცხადების მოსმენის შემდეგ, მოლოტოვმა ელჩს განუცხადა, რომ საკავშირო ხელშეკრულების დადების პირობაა სსრკ-სა და თურქეთს შორის არსებული ყველა საკითხის გადაწყვეტა, მათ შორის 1921 წლის ხელშეკრულებით თურქეთისთვის გადაცემული ტერიტორიების შესახებ. (Parker, 1955:125-126)

სარპერი დაჟინებით სთხოვდა მოლოტოვს ტერიტორიების საკითხის მოხსნას. ამასთან დაკავშირებით სახალხო კომისარმა განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში იკარგება საკავშირო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა და საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ სრუტეებთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ხელშეკრულების დადებაზე, ამასთან მათი უსაფრთხოება მომავალში არ უნდა იყოს დამოკიდებული უბრალოდ თურქეთის ნებასა და მის რეალური შესაძლებლობებზე, არამედ საჭიროა სსრკ-ის უსაფრთხოების რეალური გარანტია სრუტეებში ბაზების სახით.

ელჩმა უარყო ეს მოთხოვნა და განაცხადა, რომ თურქეთი მზადაა განიხილოს სრუტეების საკითხი, თუ გამოირიცხება ტერიტორიული დათმობები თურქეთის მხრიდან სსრკ-ის სასარგებლოდ და მოიხსნება სრუტეებში ბაზების საკითხი მშვიდობიან პერიოდში.

1945 წლის 18 ივნისს ელჩი სარპერი მოლოტოვს ეწვია და მასთან საუბრისას დაუბრუნდა სრუტეებში საბჭოთა ბაზების საკითხს, სარპერმა განაცხადა, რომ ამ სამხედრო საკითხის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ საკავშირო ხელშეკრულების ფარგლებში და იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი საბჭოთა კავშირის „თანამებრძოლი“ ქვეყანა იქნება. საპასუხოდ მოლოტოვმა თქვა, რომ თურქეთის რეალური შესაძლებლობები შეზღუდულია და არ შეიძლება იყოს საკმარისი გარანტია სსრკ-სა და თავად თურქეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შავ ზღვაზე.

მას შემდეგ, რაც სარპერმა განაცხადა, რომ ორივე მთავრობას შეეძლო დაბრუნებოდა ამ საკითხის განხილვას, მოლოტოვმა უპასუხა, რომ მან სრულად გადმოსცა საბჭოთა მთავრობის აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. ( Shaw, 1977:181-182)

ამით დასრულდა მოსკოვის მცდელობა, მოლაპარაკებოდა თურქეთის მთავრობას კონვენციასა და სრუტეებზე.

წინ ბერლინის (პოტსდამის) გამარჯვებულთა - სამი მოკავშირე სახელმწიფოს მეთაურთა კონფერენცია იყო.

თურქეთმაც დაიწყო ამ კონფერენციისთვის მზადება. მოსკოვთან მოლაპარაკებების შესახებ ანკარამ ლონდონს აცნობა.

1945 წლის 7 ივლისს სსრკ-ში ინგლისის ელჩმა არჩიბალდ კლარკ კერმა წერილით მიმართა მოლოტოვს, რომელშიც მან ბრიტანეთის მთავრობის სახელით გამოხატა გაკვირვება სსრკ-სა და თურქეთს შორის მოლაპარაკებების დროს სრუტეებში ბაზების საკითხის განხილვის გამო, რომელთა შესახებაც თურქეთის მთავრობა კონსულტაციებს გადიოდა ინგლისის მთავრობასთან. (Vere-Hodge,1951:194-196)

1945 წლის 10 ივლისს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰასან საკმა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ იდენტან ერთად განიხილა საბჭოთა მთავრობის მიერ კონვენციასა და სრუტეებთან დაკავშირებით წამოყენებული პირობები. იქვე მიიღო მან შესაბამისი რჩევები. 11 ივლისს ლონდონში გამართულ პრესკონფერენციაზე თურქეთის მინისტრმა განაცხადა, რომ მონტრეს 1936 წლის კონვენცია წარმოადგენს შეთანხმებას ბევრ სახელმწიფოს შორის და ამიტომ ის არ შეიძლება იყოს გადასინჯული მხოლოდ ორი სახელმწიფოს - სსრკ-სა და თურქეთის მიერ. (Vere-Hodge,1951:197)

1945 წლის 20 ივლისს მოლოტოვმა ელჩ კერს გაუგზავნა საპასუხო წერილი, რომელშიც ატყობინებდა, რომ თურქეთის მთავრობამ საკუთარი ინიციატივით მიმართა საბჭოთა მთავრობას და შესთავაზა მას საკავშირო ხელშეკრულების დადება, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა სრუტეების საკითხის გადაწყვეტაც და რომ ამის გამო საბჭოთა მთავრობას ყველა საფუძველი ჰქონდა ევარაუდა, რომ თურქეთის მთავრობამ სრულად და დროულად მიაწოდა ინგლისის მთავრობას ინფორმაცია მოსკოვში ამ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებების გაცვლის შესახებ.

უ. ჩერჩილი თავის მემუარებში წერს, რომ 1945 წლის 18 ივლისის პოტსდამის კონფერენციის დროს, სტალინთან სადილობისას საუბრის დროს, მან თქვა, რომ მისი პოლიტიკის თანახმად, „რუსეთს უნდა მივესალმოთ, როგორც დიდ საზღვაო სახელმწიფოს. ვისურვებდი, - განაგრძობდა ჩერჩილი, - რომ რუსული გემები მსოფლიოს ყველა ოკეანეს სერავდნენ. რუსეთი კვლავ იმ გიგანტს ჰგავდა, რომლის წინაშეც დახურულია ფართო გზები და რომელსაც ბალტიისა და შავი ზღვების ვიწრო გასასვლელის გამოყენება უწევს. შემდეგ, - აგრძელებს ჩერჩილი, - მე შევეხე თურქეთისა და დარდანელის საკითხს. ბუნებრივია, რომ თურქები

შეწუხებულები არიან. სტალინმა განმარტა, თუ რა მოხდა სინამდვილეში. თურქებმა მიმართეს რუსებს და შესთავაზეს კავშირის შესახებ ხელშეკრულების დადება. ამის საპასუხოდ რუსებმა განაცხადეს, რომ ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაიდოს, თუ არც ერთ მხარეს არ აქვს მოთხოვნები, რუსეთს კი ყარსი და არდაჰანი სურს, რომლებიც მას უკანასკნელი ომის ბოლოს წაართვეს. თურქებმა უპასუხეს, რომ ამ საკითხის განხილვა არ შეეძლოთ. შემდეგ რუსეთმა მონტრეს კონვენციის საკითხი დააყენა. თურქებმა უპასუხეს, რომ მათ არც ამ საკითხზე შეეძლოთ მსჯელობა და ამიტომ რუსეთმა განაცხადა, რომ მას არ შეეძლო განეხილა კავშირის შესახებ ხელშეკრულება.

მე ვთქვი, - განაგრძობს ჩერჩილი, - რომ მე პირადად მხარს დავუჭერდი მონტრეს კონვენციაში შესწორებების შეტანას, გამოვრიცხავდი რა მისგან იაპონიას და რუსეთს მივცემდი წვდომას ხმელთაშუა ზღვაზე. გავიმეორე, რომ მივესალმებოდი რუსეთის გასვლას ოკეანეებში და ეს ეხება არა მხოლოდ დარდანელს, არამედ კილის არხსაც, რომლის მიმართაც აუცილებელია იგივე რეჟიმის დადგენა, როგორც სუეცის არხის მიმართ და მის გასვლას წყნარი ოკეანის თბილ წყლებში“. (Черчилль, 1955:217-218)

ამრიგად, თურქულ მხარესთან მოლაპარაკებებმა საბჭოთა მთავრობას სასურველი შედეგები ვერ მოუტანა. იცოდა რა ამის შესახებ, ჩერჩილი მაინც უბიძგებდა ი.ბ. სტალინს წამოყენებინა საკითხი შავი ზღვის სრუტეებში სსრკ-ის საზღვაო ფლოტის თავისუფალი გავლის შესახებ, თუმცა ისე, რომ არ გაემყდარებინა თავისი მიზნები მონტრეს კონვენციის შეცვლასთან დაკავშირებით. ეს მიზნები მხოლოდ პოტსდამის კონფერენციაზე გამჟღავნდა.

1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე, პოტსდამში, ბერლინის მახლობლად, გაიმართა გამარჯვებულთა - სამი მოკავშირე სახელმწიფოს - სსრკ-ის, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელების კონფერენცია. იგი ცნობილი გახდა, როგორც ბერლინის (პოტსდამის) კონფერენცია.

პოტსდამის კონფერენციისათვის მზადების პროცესში, სამი სახელმწიფოს დედაქალაქებს შორის მიმდინარეობდა ინტენსიური მიმოწერა კონფერენციის მუშაობის ორგანიზებისა და მისი დღის წესრიგის საკითხებზე.



1945 წლის 11 ივლისს დიდი ბრიტანეთის ელჩმა მოსკოვში ა.კ. კერმა გაუგზავნა წერილი სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ვ.მ. მოლოტოვს იმ საკითხების წინასწარი ნუსხით, რომელთა დაყენებასაც აპირებდა ბრიტანეთის დელეგაცია პოტსდამის კონფერენციაზე. ამ საკითხთა ჩამონათვალის მე-5 პუნქტში ეწერა: „5. თურქეთი. სრუტეებისა და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების საკითხი ზოგადად“. (Hurewitz,1972:156-157)

ამრიგად, ბრიტანეთის მთავრობამ გამოიჩინა ინიციატივა პოტსდამის კონფერენციაზე შავი ზღვის სრუტეების საკითხის დაყენებაში.

ეს საკითხი განიხილეს მთავრობის მეთაურთა მეექვსე სხდომაზე პოტსდამში, 1945 წლის 22 ივლისს. პირველი სიტყვით ჩერჩილი გამოვიდა, რომელმაც განაცხადა, რომ „მან არაერთხელ გამოთქვა მზადყოფნა შეთანხმების შემუშავებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც საბჭოთა ფლოტი - სამხედრო-საზღვაო და სავაჭრო - თავისუფლად შეძლებდა ეცურა შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში, და პირიქით. ამიტომ, ჩვენს მხარს ვუჭერთ ამ საკითხის განხილვას მეგობრული შეთანხმების საფუძველზე“. (Raxdale,1993:183)

მაგრამ არანაირი „მეგობრული შეთანხმება“ კონფერენციაზე არ ყოფილა. ახსენა რა თურქეთის ელჩსა და ვ.მ.მოლოტოვს შორის მოსკოვში გამართული მოლაპარაკებები, ჩერჩილმა განაცხადა, რომ „ამ მოლაპარაკებების დროს ნახსენები იყო თურქეთის აღმოსავლეთ საზღვრის ცვლილება, აგრეთვე სრუტეებში საბჭოთა ბაზა... თუმცაღა, თურქეთი შეაშფოთა წამოყენებულმა პირობებმა“. ჩერჩილმა მოითხოვა საბჭოთა მთავრობის პოზიციის დაზუსტება ამ საკითხთან დაკავშირებით. სტალინის წინადადებით, საბჭოთა კავშირის პოზიცია ჩამოაყალიბა ვ.მ.მოლოტოვმა. მან ისაუბრა მოსკოვში თურქეთის ელჩთან სარპერთან გამართულ მოლაპარაკებებზე, რის შესახებაც სტალინმა განუცხადა ჩერჩილს 18 ივლისს სადილობისას და წერილობითი ფორმით გადასცა შემდეგი წინადადებები სრუტეებთან დაკავშირებით, რომლებიც, მოლოტოვის თქმით, ზეპირად განუმარტეს ელჩ სარპერს.

„სსრკ დელეგაციის წინადადებები შავი ზღვის სრუტეების შესახებ.

კონფერენციამ საჭიროდ მიიჩნია შავი ზღვის სრუტეებში არსებულ რეჟიმთან დაკავშირებით:

1. მონტრეში ხელმოწერილი საერთაშორისო კონვენცია სრუტეების რეჟიმის შესახებ, რომელიც არ აკმაყოფილებს თანამედროვე პირობებს, უნდა გაუქმდეს შესაბამისი ნორმალური წესით.

2. სრუტეების რეჟიმის დამყარება, რომელიც ერთადერთი საზღვაო გზაა შავი ზღვიდან და უკან, თურქეთისა და საბჭოთა კავშირის კომპეტენციას უნდა მიეკუთვნოს - როგორც ყველაზე მეტად დაინტერესებულსა და სავაჭრო გადაზიდვების თავისუფლებისა და შავი ზღვის სრუტეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობის მქონე სახელმწიფოებს.

3. სრუტეების ახალმა რეჟიმმა, სხვა ზომებთან ერთად, უნდა უზრუნველყოს შემდეგი: თურქეთი და საბჭოთა კავშირი, თავიანთი უსაფრთხოების და შავი ზღვის რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით, სრუტეებში ერთობლივ საშუალებებს ითვალისწინებენ, რათა სხვა სახელმწიფოებმა არ გამოიყენონ ეს სრუტეები შავი ზღვის სახელმწიფოების მიმართ მტრული მიზნებისთვის (თურქეთის სამხედრო ბაზებთან ერთად, სრუტეში საბჭოთა სამხედრო ბაზებია).”

და მხოლოდ პოტსდამის კონფერენციაზე, როდესაც ფაშისტური გერმანია განადგურებულ იქნა, როდესაც მან უკვე კაპიტულაცია გამოაცხადა, ინგლისისა და შეერთებული შტატების მთავრობებმა გამოაშკარავეს საკუთარი გეგმები.

გაეცნო რა მოლოტოვის მიერ გადაცემულ პროექტს, ჩერჩილმა განაცხადა, რომ ამასთან დაკავშირებით ”სულ სხვა კითხვები ჩნდება. საუბარია რუსულ ბაზაზე სრუტეებში და ასევე იმაზე, რომ არავის არ შეიძლება შეხება ჰქონდეს დარდანელისა და ბოსფორის და მათში გავლის შესახებ საკითხთან, გარდა თურქეთისა და საბჭოთა კავშირისა. დარწმუნებული ვარ, რომ თურქეთი ამას ვერასდროს დათანხმდება.“ (Jelavich,1973:110-112)

შემდგომში შედგა შემდეგი საუბარი ჩერჩილსა და სტალინს შორის.

ჩერჩილი: ”ახლა კი მინდა მიგითითოთ განსხვავებაზე (ვ. მოლოტოვის) შემოტანილ წინადადებებსა და იმ წინადადებებს შორის, რომლებზეც ადრე იყო საუბარი.”

სტალინი: "რა წინადადებებზე იყო საუბარი?"

ჩერჩილი: "საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკებების დროს მე მზადყოფნა გამოვთქვი გავლენა მომეხდინა თურქეთის მთავრობაზე დათანხმებულიყო

მონტრეს კონვენციის გადახედვაზე. ჩემი ეს წინადადება ძალაში რჩება, მაგრამ თავს სრულიად თავისუფლად ვგრძნობ ახალ წინადადებებთან დაკავშირებით."

სტალინი: "თქვენ თავისუფალი ხართ."

ტრუმენმა განაცხადა, რომ მან უნდა შეისწავლოს საბჭოთა მთავრობის წინადადება, სანამ გამოთქვამს საკუთარ აზრს.

მომდევნო შეხვედრაზე, 23 ივლისს, სრუტეების საკითხის განხილვა გაგრძელდა. პრეზიდენტმა ტრუმენმა აშშ-ს პოზიცია წარმოადგინა. "მონტრეს კონვენცია", - თქვა პრეზიდენტმა, - უნდა გადაიხედოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შავი ზღვის სრუტეები უნდა გახდეს თავისუფალ საზღვაო გზად, რომელიც ღიაა იქნება მთელი მსოფლიოსთვის და ყველა გემისთვის სრუტეებით თავისუფალი გავლის უფლება უნდა იყოს გარანტირებული ყველა ჩვენთაგანისგან." (Truman, 1955:223) ტრუმენმა ასევე შემოგვთავაზა უფასო და შეუზღუდავი ნავიგაციის დამყარება ყველა საერთაშორისო შიდა საზღვაო გზაზე. პრეზიდენტის თქმით, ასეთი საერთაშორისო შიდა საზღვაო გზებს წარმოადგენს ყველა საზღვაო გზა, რომელიც გადის ორი ან მეტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ასეთ გზებზე "უფასო და შეუზღუდავი ნავიგაცია" უნდა რეგულირდებოდეს საერთაშორისო ორგანოების მიერ, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ყველა დაინტერესებული სახელმწიფო.

ტრუმენმა შესთავაზა ასეთი ორგანოების შექმნა "რაც შეიძლება მალე. პირველ რიგში, აუცილებელია დროებითი სანავიგაციო ორგანოების შექმნა დუნაის და რეინისთვის".

"ამ ორგანოების წევრები," განაგრძო ტრუმენმა, "უნდა იყვნენ შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი, საფრანგეთი და სუვერენული სანაპირო სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებულია ამ სახელმწიფოთა მთავრობების მიერ".

ტრუმენმა აშშ-ს დელეგაციის სახელით წარადგინა შესაბამისი პროექტი. "ამავე სულისკვეთებით უნდა შეიცვალოს მონტრეს კონვენცია, - თქვა აშშ-ს პრეზიდენტმა, ამგვარად, ჩვენ გვექნება თავისუფალი გაცვლა ამ რაიონებში". ასე რომ, ფაქტიურად, ტრუმენმა შესთავაზა შავი ზღვის სრუტეების საერთაშორისო

კონტროლის ქვეშ მოქცევა, რომელშიც მთავარ როლს შეასრულებდა შეერთებული შტატები.

”რაც შეეხება ტერიტორიულ საკითხს,” - განაგრძო ტრუმენმა, ”ეს ეხება მხოლოდ საბჭოთა კავშირსა და თურქეთს და უნდა გადაწყდეს მათ შორის.” (Truman, 1956-113-114)

ჩერჩილმა, თავის მხრივ, განაცხადა: ”მე მტკიცედ ვუჭერ მხარს წინადადებას მონტრეს კონვენციაში შესწორების შეტანის შესახებ, რათა უზრუნველყოთ საბჭოთა რუსეთისათვის სავაჭრო და საზღვაო ძალების თავისუფალი და შეუფერხებელი გავლა სრუტეებში, როგორც მშვიდობიან პერიოდში, ისე ომის დროს. მე ვეთანხმები პრეზიდენტს და მის წინადადებას, რომ ამ სრუტეებში თავისუფალი რეჟიმი გარანტირებული უნდა იყოს ყველა ჩვენგანის მიერ.”

ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი შემდგომში "პრინციპში ეთანხმება" პრეზიდენტის განცხადების საერთო ხაზებს. ”ჩვენ ასევე ვეთანხმებით, - თქვა ჩერჩილმა, პრეზიდენტის წინადადებას იმის შესახებ, რომ კილსის არხი იყოს თავისუფალი და გახსნილი, გარანტირებული ყველა დიდი სახელმწიფოს მიერ. ჩვენ ასევე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ დუნაიზე და რეინზე თავისუფალ ნავიგაციას”.

ამრიგად, ჩერჩილისა და ტრუმანის განცხადებები და ამერიკული დელეგაციის წინადადება, რომელსაც მხარს უჭერდა ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი, მოწმობს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების ნეგატიურ დამოკიდებულებაზე სსრკ მთავრობის მიერ შავი ზღვის სრუტეების შესახებ შეთავაზებულ წინადადებასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ჩნდება აზრი, რომ რომ ბრიტანეთის მთავრობამ შესთავაზა შავი ზღვის სრუტეების და მონტრეს კონვენციის საკითხის განხილვა ბერლინის კონფერენციაზე (პოტსდამი), რათა ეცადა შეეცვალა იგი ბრიტანეთისა და ამერიკელისთვის მომგებიანი კუთხით: შეეყვანა ახალ კონვენციაში ასევე აშშ, რომელიც არ წარმოადგენდა მონტრეს კონვენციის მხარეს და ასევე ეცადა შეეტანა მასში სამხედრო და სავაჭრო ფლოტის შეუზღუდავი გავლის პრინციპი შავი ზღვის სრუტეებში, როგორც მშვიდობიან დროში, ასევე ომის დროს ყველა სახელმწიფოსთვის და სინამდვილეში, პირველ რიგში, ინგლისისა და შეერთებული შტატებისათვის. მართალია, ჩერჩილი თვალთმაქცურად

ცდილობდა ამ პოზიციის დაფარვას, თითქოს იმაზე ზრუნვით, რომ შავი ზღვის სრუტეების ასეთი თავისუფალი გავლა ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი ყოფილიყო საბჭოთა სამხედრო და სავაჭრო გემებისათვის. ჩერჩილმა და ტრუმენმა გამოხატეს ზრუნვა არა საბჭოთა კავშირის ინტერესების შესახებ, არამედ შექმნეს ხელსაყრელი პირობები აშშ-სა და ბრიტანეთის მიერ შეუზღუდავი ექსპანსიისათვის, მათ შორის სამხედრო გაფართოებისთვის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იქ სადაც საქმე ეხებოდა ინგლისის ინტერესებს, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ინგლისური კაპიტალი ცდილობდა პოზიციების გაფართოებას, ჩერჩილის განცხადებები შიდა საზღვაო გზებზე ნაოსნობის თავისუფლების ამერიკულ წინადადებაზე არ იყო ისე გარკვეული, როგორც შავი ზღვის სრუტეებზე.

ასე დასრულდა ჩერჩილის მიერ გატარებული ინტრიგები ომის წლებში შავი ზღვის სრუტეებისა და სსრკ-ს თბილ ზღვებში თავისუფალი გასვლის საკითხის გარშემო.

ამკარაა, რომ აშშ-ს მიერ შავი ზღვის სრუტეების შესახებ შეტანილმა წინადადებამ, რომელსაც მხარს უჭერდა ჩერჩილი, არა მხოლოდ არ აძლიერებდა სსრკ-ს უსაფრთხოებას შავ ზღვაში, არამედ, პირიქით, ასუსტებდა მას. ჩერჩილსა და ტრუმენს სურდათ საბჭოთა კავშირისა და შავი ზღვის სხვა ქვეყნებისთვის წაერთმიათ ის მცირე უპირატესობებიც კი, რაც მონტრეს კონვენციის შესაბამისად ჰქონდათ.

სტალინმა კომენტარი არ გააკეთა ტრუმენის წინადადებაზე 23 ივლისის სხდომაზე. მან ეს გააკეთა შემდეგ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა 24 ივლისს.

სტალინმა თქვა, რომ ტრუმენის შენიშვნა არ ეხებოდა თურქეთისა და სრუტეების საკითხს. აქ საუბარია მხოლოდ თავისუფალ ნავიგაციაზე. აღნიშნა, რომ სრუტეებთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი იქნება, რადგან მოსაზრებები ძალიან განსხვავებული იყო, სტალინმა ამ საკითხის გადადება და სხვა პრობლემების მოგვარება შესთავაზა. (Truman, 1956:213-216)

ჩერჩილი შეეცადა განეგრძო აშშ-ს წინადადების განხილვა. მან აღნიშნა, რომ, მისი აზრით, შეთანხმებული იყო, რომ შავი ზღვის სრუტეებით თავისუფალი ნავიგაცია დამტკიცებული და გარანტირებული უნდა ყოფილიყო სამი დიდი

სახელმწიფოს, ასევე სხვა სახელმწიფოების მიერ და ისევე როგორც სხვა უფლებამოსილების მიერ, და რომ შეერთებული შტატები შევა ასეთ ორგანიზაციაში. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი აქ არაზუსტია. კონფერენციაზე ასეთი გადაწყვეტილება არ მიღებულა. ამიტომ ჩერჩილმა გააკეთა დათქმა, რომ მას ასე ესმის საკითხი.

ტრუმენმა თავის მემუარებში მოიხსენიებს ამ მომენტს და შემდეგ წერს, რომ ჩერჩილმა თქვა: "ჩემი წინადადება გაერთიანდეს ორგანიზაციაში, რათა უზრუნველყოს ნაოსნობის თავისუფლება მსოფლიოს საერთაშორისო საზღვაო გზებზე, მისი აზრით, შესანიშნავი და მნიშვნელოვანი ფაქტია. მე განვაცხადე, რომ პრემიერ მინისტრს ცხადად აქვს წარმოადგენილი შეერთებული შტატების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით და ვეთანხმები მას, რომ ეს დიდი ნაბიჯი იქნება." (Truman, 1956:217-218)

ეს განცხადებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პრეზიდენტი ტრუმენი და პრემიერ მინისტრი ჩერჩილი სინამდვილეში ისწრაფოდნენ აშშ-სა და ბრიტანეთის კონტროლისაკენ შავი ზღვის სრუტეებზე და აღმოსავლეთ ევროპის საერთაშორისო საზღვაო გზებზე და ნიღბავდნენ ამ სურვილს იმაზე საუბრით, რომ თითქოს საჭიროა სსრკ ფლოტის სრუტეებში გავლის თავისუფლების უზრუნველყოფა.

სტალინისთვის გასაგები იყო შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის ლიდერების ეს პოლიტიკური ხაზი. მისი წინადადებით, სამი დიდი სახელმწიფოს ლიდერები სხვა საკითხების განხილვაზე გადავიდნენ. 1945 წლის 27 ივლისს ბრიტანელებმა საბჭოთა დელეგაციას გადასცეს საერთაშორისო დელეგაციის წინადადების ტექსტი საერთაშორისო საზღვაო გზებზე ნავიგაციის შესახებ. ამ დოკუმენტში ბრიტანეთის დელეგაციამ გარკვეულწილად დააკონკრეტა და გააფართოვა აშშ-ს დელეგაციის წინადადება საერთაშორისო საზღვაო გზებზე ნაოსნობის შესახებ და, მაინც შეიტანა შავი ზღვის სრუტეების შესახებ შემდეგი დებულებები:

„ასევე შედგეს შეთანხმება, რომ უფასო და შეუზღუდავი ნავიგაციის პრინციპი გავრცელდება საერთო ჯამში შავი და ეგეოსის ზღვებს შორის არსებულ სრუტეებზე და რომ ამ პრინციპის განსახორციელებლად, მონტრეს 1936 წლის

კონვენცია უნდა გაუქმდეს შესაბამისი პროცედურით და შეიცვალოს ახალი საერთაშორისო ხელშეკრულებით. ეს შეთანხმება დაადასტურებს თავისუფალი და შეუზღუდავი ნავიგაციის პრინციპს სამხედრო და სავაჭრო გემებისთვის მშვიდობიან დროსა და ომიანობის დროს და გარანტირებული იქნება სამი სახელმწიფოს მიერ“ (ინგლისი, აშშ, სსრკ - რედ.).

მთავრობის მეთაურებმა კონფერენციაზე შექმნილ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადასცეს საერთაშორისო საზღვაო გზებზე ნაოსნობის საკითხი.

ამ საკითხზე კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სრუტეების შესახებ მონტრეს კონვენცია უნდა გადაიხედოს, რადგან არ აკმაყოფილებს დღევანდელ პირობებს.

### 3.2. ომის შემდგომი მსოფლიოს რეგულირების მექანიზმები და მონტრეს კონვენციის რევიზიის მცდელობა

1945 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ლონდონში გაიმართა ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაზე შექმნილი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პირველი სხდომა. სხდომაზე არ განიხილეს შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის საკითხი. სხდომაზე ამერიკული დელეგაცია შეეხო საერთაშორისო საზღვაო გზებისთვის გამოყენებული შიდა საზღვაო გზების რეჟიმის საკითხს, რომელიც ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაზე წამოაყენა აშშ-ს პრეზიდენტმა გ. ტრუმენმა.

აშშ-ს ეს წინადადება უარყო საბჭოთა კავშირის დელეგაციამ.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიის შემდეგ, 1945 წლის 10 ოქტომბერს, როგორც სააგენტო რეიტერი იტყობინებოდა, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ბირნსმა განაცხადა, რომ "პოტსდამში მოლაპარაკებების დროს, სამი ხელისუფლების ლიდერები შეთანხმდნენ, რომ ცალ-ცალკე მიმართავენ თურქეთის მთავრობას მონტრეს კონვენციი გადასინჯვის შესახებ. დარდანელის ინტერნაციონალიზაციის მიზნით." (Shotwell,1940:155)

ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაზე "დარდანელის ინტერნაციონალიზაციის" შესახებ არანაირი გადაწყვეტილება არ მიღებულა. ამიტომ, 15 ოქტომბერს, „ტასმა“ (საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტო) გამოაქვეყნა უარყოფა, რომელშიც ნათქვამია, რომ „ტასის“ მიერ ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ეს შეტყობინება (როიტერის შეტყობინება ბირნის განცხადების შესახებ - ავტორი) არაზუსტია." (Shotwell,1940:156)

1945 წლის 2 ნოემბერს ანკარაში აშშ-ს ელჩმა ვილსონმა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰასან საკას გადასცა ნოტა შავი ზღვის სრუტეების შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებული იყო პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებით. ნოტა გამოხატავდა შეერთებული შტატების სურვილს, თუ ისინი მიიღებენ მოწვევას, მონაწილეობა მიიღონ მონტრემი დადებული კონვენციის გადასინჯვის კონფერენციაში.



აშშ მთავრობის აზრით, მონტრეს კონვენციის გადასინჯვა ნაკარნახევი იყო მსოფლიოში შეცვლილი პირობების ასახვის აუცილებლობით და დამყარებული უნდა ყოფილიყო შემდეგ პრინციპებზე:

1. სრუტე ღიაა ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებისთვის ნებისმიერ დროს.

2. სრუტე ღია უნდა იყოს შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო გემების ტრანზიტისთვის ნებისმიერ დროს.

3. მშვიდობიან პერიოდში სამხედრო გემების შეთანხმებული შეზღუდული ტონაჟის გარდა, სრუტეებით გადასასვლელი ნებისმიერ დროს უნდა დაიხუროს არა შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო გემებისთვის, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც შავი ზღვის სახელმწიფოები შეთანხმდნენ ან მოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილების შესაბამისად.

4. კონვენციაში შეტანილ იქნას გარკვეული ცვლილებები ახალი პირობების შესაბამისად: ერთა ლიგა შეიცვალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციით, იაპონია გამოირიცხოს იმ ქვეყნების რიცხვიდან, რომლებმაც ხელი მოაწერეს მონტრეს კონვენციას.

სსრკ-სა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს აცნობეს ამ ნოტის შინაარსის შესახებ.

ლეიბორისტულმა მთავრობამ (ეტლი), რომელმაც შეცვალა ჩერჩილის მთავრობა 1945 წლის ივლისის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, 1945 წლის 21 ნოემბერს ანკარაში თავისი ელჩის მეშვეობით გაუგზავნა ნოტა თურქეთის მთავრობას, რომელიც მხარს უჭერდა აშშ-ს წინადადებებს და მიუთითებდა, რომ მონტრემი ხელმოწერილი კონვენციის გადასინჯვა არ იყო გადაუდებელი საქმე.

თავისი ნოტის შინაარსის შესახებ ბრიტანეთის მთავრობამ აცნობა ვაშინგტონს და მოსკოვს.

თურქეთის პრემიერ მინისტრმა სარაჯოღლუმ 1945 წლის 5 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ მთავრობა განიხილავს შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის წინადადებებს, როგორც განხილვის საფუძველს და წარადგენს საკუთარ წინადადებებს, როდესაც სამივე (სსრკ-ს ჩათვლით - ავტორი) დაინტერესებული სახელმწიფოები წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს. "კონვენციის გადასინჯვის კონფერენციაში შეერთებული შტატების მონაწილეობა

არა მხოლოდ სასურველია, არამედ აუცილებელია”, - განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა. (Shotwell, 1940:157-158)

მოსკოვი არ ჩქარობდა თავისი ნოტის თურქეთის მთავრობისთვის გაგზავნას. საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა ჯერ ფსიქოლოგიური შეტევა განეხორციელებინა თურქეთის მთავრობაზე, რათა გაეტეხა მისი წინააღმდეგობა აქმულებინა და საბჭოთა კავშირისთვის დათმობებზე წასვლა.

1945 წლის 20 დეკემბერიდან საბჭოთა პრესამ დაიწყო ხმაურიანი კომპანია ყარსისა და არდაგანის პროვინციების საბჭოთა კავშირში დასაბრუნებლად, რომელიც მთელი 1946 წლის განმავლობაში გაგრძელდა. ანტითურქულმა კამპანიამ განსაკუთრებული გაქანება მიიღო საქართველოსა და სომხეთის მედიაში.

თურქეთი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მხარდაჭერით სარგებლობდა.

1945 წლის 27 დეკემბერს გავლენიანმა ბრიტანულმა გაზეთმა „ტაიმსმა“ გამოაქვეყნა თურქეთში მისი კორესპონდენტის სტატია, რომელიც ინსპირირებული იყო ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ, სადაც ნათქვამია, რომ აშშ მთავრობის წინადადებები სრუტეებში შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო გემების გავლის შესახებ, თურქეთისთვის მიუღებელი იყო. ”რა მოხდება, თუ სსრკ და თურქეთი საომარ მდგომარეობაში იქნებიან? - კითხვას სვამდა კორესპონდენტი, - უნდა გაატაროს თუ არა თურქეთმა საბჭოთა გემები სრუტეებში?”. კორესპონდენტი ასევე უარყოფს საბჭოთა ბაზების იდეას შავი ზღვის სრუტეებში. ტაიმსის ავტორიტეტისა და გავლენის გათვალისწინებით, ამ სტატიის გამოქვეყნებით, ლონდონი ანკარას ურჩევდა ნუ დაუჯერებდა იმას, რაც ეწერა ბრიტანეთის 1945 წლის 21 ნოემბრის ნოტაში. (Shotwell, 1940:158)

ეს პუბლიკაცია, ალბათ, ყველაზე ნათლად ახასიათებს ბრიტანული დიპლომატიის საქმიანობას. ბრიტანეთის მთავრობამ მთელი მსოფლიო ომის განმავლობაში და პოტსდამის კონფერენციაზეც კი არაერთხელ განაცხადა, რომ საბჭოთა საზღვაო ძალებს ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი შესვლა და გასვლა შავი ზღვის სრუტეების გავლით. ეს პრინციპი იყო ჩადებული აშშ-ს მთავრობის ნოტაში, 1945 წლის 2 ნოემბერს. მას მხარი დაუჭირა ბრიტანეთის

მთავრობამ 1945 წლის 21 ნოემბრის საკუთარი ნოტიო, შემდეგ კი გაზეთ ტაიმსში გამოჩნდა ბრიტანული დიპლომატიით შთაგონებული სტატია, რომელშიც ეს პრინციპი მთლიანად უარყოფილი იყო.

1946 წლის აპრილში თეთრმა სახლმა წამოიწყო ეფექტური აქცია საბჭოთა კავშირის ზეწოლის ქვეშ მყოფი თურქეთის პოლიტიკური მხარდაჭერისთვის.

1946 წლის 5 აპრილს ამერიკული საბრძოლო ხომალდი „მისური“ ეწვია სტამბოლს შეერთებულ შტატებში თურქეთის გარდაცვლილი ელჩის, იეჰმედ მიუნირ ერთეგუნის ცხედართან ერთად. საბრძოლო ხომალდს თან ახლდა აშშ-ს სამხედრო გემების ესკადრა. ანატოლიის სააგენტომ განაცხადა ამ პროთურქულ ჟესტზე: "გულწრფელად რომ ვთქვათ, ეს აჩვენებს ამერიკის სურვილს წინააღმდეგობა გაუწიოს ხმელთაშუა ზღვაში საბჭოთა პოლიტიკას. ამ ხომალდის ხმელთაშუა ზღვაში შესვლა იმ დროს, როდესაც, როგორც ელიან რომ, ინგლისის მეტროპოლიის ფლოტი ჩაატარებს მანევრებს გიბრალტართან, ეს უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკის შეთანხმებულობის დემონსტრირებას საფრთხის ქვეშ მყოფ რაიონში."

გაზეთ „ჯუმურიეზთის“ რედაქტორმა ნადირ ნადიმ მისურის სტამბოლში ვიზიტისადმი მიძღვნილ მთავარ გვერდზე დაწერა: "ის ფაქტი, რომ ამერიკა აგზავნის ძლიერ ესკადრას ვაშინგტონში თურქეთის გარდაცვლილი ელჩის სხეულის თანმხლებად, უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს." შემდეგ აღნიშნავს, რომ ინგლისისა და ამერიკის ფლოტების გამოჩენა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, სხვათა შორის, მიზანად ისახავს უჩვენონ, რომ ინგლისი და ამერიკა "თურქეთის მეგობრები არიან და არ დაუშვებენ მის ვასალურ სახელმწიფოდ გადაქცევას", - ნადიმ სტატია დაასრულა სიტყვებით: "ამერიკა ცდილობს ხაზი გაუსვას იმას, რომ მას სურს დაუპირისპირდეს რუსეთის პოლიტიკას ხმელთაშუა ზღვაში და შუა აღმოსავლეთში". (Macfie,1989:252-253)

აშშ-ს მთავრობამ დაიწყო თურქეთში დოქტრინის გამოსაცხადებლად ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნა, რომელსაც სახელად "ტრუმენის დოქტრინა" დაერქვა.

1946 წლის 8 აგვისტოს ანკარაში სსრ კავშირის საქმეთა დროებით რწმუნებულმა თურქეთის მთავრობას გადასცა სსრკ-ს მთავრობის 7 აგვისტოს ნოტა,სადაც

ნათქვამია, რომ "ბოლო ომის დროს მომხდარმა მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ სრუტეების შესახებ 1936 წელს მონტრეში ხელმოწერილი კონვენციით დადგენილი შავი ზღვის რეჟიმი არ აკმაყოფილებს შავი ზღვის სახელმწიფოების უსაფრთხოების ინტერესებს და არ ითვალისწინებს პირობებს, რომლებშიც თავიდან იქნება აცილებული ამ სრუტეების გამოყენება შავი ზღვის სახელმწიფოების მიმართ მტრული მიზნებისათვის".

ნოტაში მოყვანილია დიდი სამამულო ომის პერიოდის მრავალი შემთხვევა, როდესაც „მარღვის“ სახელმწიფოებმა გაატარეს თავიანთი სამხედრო და დამხმარე სამხედრო გემები სრუტეებში, რამაც თავის დროზე შესაბამისი დემარშები და პროტესტები გამოიწვია საბჭოთა მთავრობის მხრიდან თურქეთის მთავრობისათვის.

ნოტაში შავი ზღვის სრუტეებზე ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციის გადაწყვეტილების ციტირებით და იმის აღნიშვნით, რომ იგი გაეცნო აშშ-ს მთავრობის 1945 წლის 2 ნოემბრის და ბრიტანეთის მთავრობის 1945 წლის 21 ნოემბრის ნოტების შინაარსს ამ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობამ შესთავაზა სრუტეებისთვის ახალი რეჟიმის დამყარება შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

1. სრუტეები ყოველთვის ღია უნდა იყოს ყველა ქვეყნის სავაჭრო გემების გასავლელად.

2. სრუტეები ყოველთვის ღია უნდა იყოს შავი ზღვის სახელმწიფოების საბრძოლო გემების გასავლელად.

3. შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო გემების სრუტეებზე გავლა დაუშვებელია, გარდა სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. სრუტეების რეჟიმის დაწესება, როგორც ერთადერთი საზღვაო გზისა, რომელიც შედის შავი ზღვაში და გადის შავი ზღვიდან, უნდა იყოს თურქეთისა და შავი ზღვის სხვა სახელმწიფოების კომპეტენცია.

5. თურქეთმა და საბჭოთა კავშირმა, როგორც ყველაზე მეტად დაინტერესებულმა და სავაჭრო გადაზიდვების თავისუფლებისა და შავი ზღვის სრუტეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობის მქონე სახელმწიფოებმა ორგანიზება გაუკეთონ სრუტეების ერთობლივ დაცვას, რათა

სხვა სახელმწიფოებმა არ გამოიყენონ ეს სრუტეები შავი ზღვის სახელმწიფოების მიმართ მტრული მიზნებისთვის“. (Macfie,1989:254-255)

ერთდროულად, სსრკ საელჩოს მეშვეობით ვაშინგტონში და ლონდონში, საბჭოთა მთავრობამ ამ ნოტის ტექსტები გადასცა შეერთებული შტატების და ინგლისის მთავრობებს.

1946 წლის 19 აგვისტოს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა აჩესონმა სსრკ საქმეებზე დროებით რწმუნებულს ორეხოვს გადასცა ნოტა შავი ზღვის სრუტეების საკითხებზე, რომელიც წარმოადგენდა საბჭოთა მთავრობის მიერ თურქეთის მთავრობისათვის 7 აგვისტოს გადაცემული ნოტის პასუხს, რომელიც აშშ-ს მთავრობისთვის მიწოდებული იყო ინფორმაციისათვის. საბჭოთა ნოტა მიმართული იყო თურქეთის მთავრობის მისამართზე და არ საჭიროებდა პასუხს აშშ-ს მთავრობისგან. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამერიკის მთავრობას არაფერი უშლიდა ხელს, გამოეხატა აზრი სსრკ მთავრობის ნოტაში წამოჭრილ საკითხებზე, ვინაიდან ამ ნოტის ტექსტი გადაეცა ამერიკის მთავრობას.

1946 წლის 19 აგვისტოს ამერიკულ ნოტაში ნათქვამია, რომ აშშ-ს მთავრობის 1945 წლის 2 ნოემბრის ნოტის შედარებისას საბჭოთა მთავრობის თურქეთის მთავრობასთან 1946 წლის 7 აგვისტოს ნოტასთან, "ცხადი ხდება, რომ აშშ-ს მთავრობის თვალსაზრისი და საბჭოთა კავშირის მთავრობის თვალსაზრისი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მთლად თანხვედრილი არ არიან, ისინი ძირითადად ეთანხმებიან შემდეგ სამ წინადადებას, რომლებიც გადმოცემულია საბჭოთა ნოტაში:

1. სრუტეები ყოველთვის ღია უნდა იყოს ყველა ქვეყნის სავაჭრო გემების გასავლელად.

2. სრუტეები ყოველთვის ღია უნდა იყოს შავი ზღვის სახელმწიფოების საბრძოლო გემების გასავლელად.

3. სრუტეებში გასვლა სამხედრო გემებისთვის, რომლებიც არ მიეკუთვნებიან შავი ზღვის სახელმწიფოებს, დაუშვებელია, გარდა სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა.

"მეოთხე წინადადება," ნათქვამია აჩესონის ნოტაში, "ითვალისწინებს სრუტეებისთვის ახალი რეჟიმის დამყარებას მხოლოდ თურქეთისა და შავი ზღვის

სხვა სახელმწიფოებისთვის. ამერიკის მთავრობა ვერ დაეთანხმება ამას. აშშ-ს მთავრობის მოსაზრებაა, რომ სრუტეების რეჟიმის საკითხი ეხება არა მხოლოდ შავი ზღვის სახელმწიფოებს, არამედ სხვა სახელმწიფოებს, მათ შორის შეერთებულ შტატებს.”

საბჭოთა ნოტის მეხუთე პუნქტთან დაკავშირებით, აშშ-ს მთავრობა მტკიცედ დარწმუნებულია, რომ თურქეთმა უნდა განაგრძოს ძირითადი პასუხისმგებლობის განხორციელება სრუტეების დაცვაზე. თუ სრუტეებს თავს დაესხმება ან ემუქრება თავდასხმა აგრესორის მხრიდან, მაშინ შექმნილი ვითარება საფრთხეს შეუქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებას და, რა თქმა უნდა, მოითხოვს გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მოქმედებას.

შემდგომ ამერიკულ ნოტაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ნოტაში არ იყო არცერთი მითითება გაეროს შესახებ. ”შეერთებული შტატების პოზიციაა, - ნათქვამია მოხსენებაში, - რომ სრუტეების რეჟიმი შესაბამის ურთიერთკავშირში უნდა იყოს გაეროსთან და ის უნდა მოქმედებდეს იმ ფორმით, რომელიც სრულად შეესატყვისება გაეროს პრინციპებსა და მიზნებს.”( Macfie,1989:142-143)

ნოტაში ნათქვამია, რომ აშშ მთავრობა ადასტურებს მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს მონტრეს კონვენციის გადასინჯვის მიზნით მოწვეულ კონფერენციაში.

1946 წლის 21 აგვისტოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირადი ნოტით, ბრიტანეთის მთავრობამ უპასუხა საბჭოთა კავშირის მთავრობის 1946 წლის 7 აგვისტოს ნოტას თურქეთის მთავრობისთვის.

ბრიტანეთის მთავრობამ გადაწყვიტა არ შეეზღუდა თავი საბჭოთა ნოტის პირველი სამი პუნქტით. ამიტომ, შენიშვნაში ნათქვამია, რომ ბრიტანეთის მთავრობას ამჟამად არ სურს კომენტარი გააკეთოს საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ პირველ სამ დებულებაზე. შენიშვნაში ნათქვამია, რომ ბრიტანეთის მთავრობა ემხრობა მონტრეში ხელმოწერილი კონვენციის გადახედვას, რომ იგი უარყოფს მტკიცებას, რომ სრუტეების რეჟიმი მხოლოდ შავი ზღვის სახელმწიფოების კომპეტენციაა. იგი ასევე უარყოფს საბჭოთა კავშირის წინადადებას სსრკ და თურქეთის მიერ სრუტეების დაცვის შესახებ და აცხადებს, რომ თურქეთმა უნდა განაგრძოს პასუხისმგებლობის აღება სრუტეების დაცვასა და კონტროლზე.

ბრიტანეთის მთავრობა თანახმაა მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში 1936 წლის კონვენციის გადასინჯვის განსახილველად, ყველა დაინტერესებული მხარის თანხმობით.

1946 წლის 22 აგვისტოს, ე.ი. მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა საბჭოთა მთავრობას ნოტები გადასცეს და ანკარა მათ გაეცნო, თურქეთის მთავრობამ ანკარაში საბჭოთა საქმეთა დროებით რწმუნებულს გადასცა პასუხი 1946 წლის 7 აგვისტოს საბჭოთა ნოტაზე.

თურქული ნოტის უმეტესი ნაწილი ეძღვნება ახსნა-განმარტებების მოძიების მცდელობას "ღერძის" ქვეყნების სამხედრო და სამხედრო დამხმარე გემების, კონვენციის დარღვევით სრუტეებში გავლის იმ კონკრეტულ შემთხვევებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დროს.

რაც შეეხება 1946 წლის 7 აგვისტოთი დათარიღებულ საბჭოთა მთავრობის ნოტაში მითითებულ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იყო სრუტეების ახალი რეჟიმის დამყარება, თურქეთის მთავრობა არ ეწინააღმდეგებოდა იმას, რომ განხილვის საფუძველად ჩადებულიყო საბჭოთა წინადადებების პირველი სამი პუნქტი, ამასთან მიუთითებდა, რომ მომავალში იგი გარკვეულ დათქმებს გააკეთებს აღნიშნულ პუნქტებთან დაკავშირებით. თურქეთის მთავრობამ გამოთქვა უთანხმოება საბჭოთა ნოტის მე-4 და მე-5 პუნქტებთან დაკავშირებით.

თურქეთის მთავრობის აზრით, წინადადება სრუტეების რეჟიმის დამყარების უფლების შავი ზღვის სახელმწიფოებისთვის მინიჭების შესახებ, თითქოს გამოიწვევს სხვა სახელმწიფოების ინტერესების უფულებელყოფას, ხოლო სრუტეების დაცვის ორგანიზება თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ერთობლივი საშუალებებით, თითქოს შეუთავსებელი იქნებოდა თურქეთის სუვერენულ უფლებებთან და, ასევე თითქოს, მისი უსაფრთხოების ლიკვიდირებას გამოიწვევდა. საბჭოთა მთავრობის წინადადება სრუტეების ერთობლივი დაცვის შესახებ, თურქეთის მთავრობის აზრით, თითქოს, ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი უნდობლობას, ხოლო მისი განხორციელება, თითქოს, არღვევს თურქეთის სუვერენულ უფლებებსა და დამოუკიდებლობას.

დასასრულს, თურქეთის მთავრობამ თავის ნოტაში გამოხატა სურვილი, მოწვეულიყო მონტრეს კონვენციის მხარეების საერთაშორისო კონფერენცია.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ გადაწყვიტა შავი ზღვის სრუტეებზე არ განეხორციელებინა ნოტებით მიმოწერა შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებთან, ვინაიდან ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციის გადაწყვეტილება ამას არ ითხოვდა. ამ კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილება ითვალისწინებდა, რომ თითოეული, სამივე მთავრობიდან - სსრკ, აშშ და ინგლისი - ამ საკითხზე პირდაპირ მოლაპარაკებებს გამართავენ უშუალოდ თურქეთის მთავრობასთან.

1946 წლის 9 ოქტომბერს მოსკოვში ბრიტანეთის ელჩმა, მორის პეტერსონმა წერილით მიმართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვ.გ. დეკანოზოვს, რომ ბრიტანეთის მთავრობა "ვერც მიზანს, ვერც აუცილებლობას ვერ ხედავს" შავი ზღვის სრუტეებზე მიმოწერის გასაგრძელებლად. ბრიტანეთის მთავრობის დამოკიდებულება 7 აგვისტოს საბჭოთა ნოტის მე-4 და მე-5 პუნქტებში მოცემული წინადადებებისადმი იგივე რჩება, როგორც ნათქვამია ბრიტანეთის 1946 წლის 21 აგვისტოს ნოტაში. ელჩმა აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობა მზად არის მონაწილეობა მიიღოს ოთხი სახელმწიფოს (სსრკ, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი) და ყველა სხვა ქვეყანის კონფერენციაში, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას მონტრეში, გარდა იაპონიისა, ამ კონვენციის გადასინჯვის საკითხის განსახილველად.

18 ოქტომბერს ანკარამ უპასუხა მოსკოვის 24 სექტემბრის ნოტას. ამ ჩანაწერებში ფუნდამენტურად ახალი რამ არ იყო.

ასე, მაგალითად, შავი ზღვის სახელმწიფოების მიერ სრუტეების რეჟიმის დამყარების შესახებ მისი წინადადების მხარდასაჭერად (პუნქტი 4), საბჭოთა მთავრობამ 24 სექტემბრის ნოტაში გაიხსენა, რომ ეს პრინციპი შეთანხმებულია თურქეთის მთავრობასთან და დაფიქსირებულია 1921 წლის 16 მარტის საბჭოთა-თურქეთის ხელშეკრულებაში (მუხლი 5), თურქეთსა და ამიერკავკაციის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის 1921 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულებაში, აგრეთვე თურქეთსა და უკრაინის სსრ-ს შორის 1922 წლის 21 იანვრის ხელშეკრულებაში.



საბჭოთა წინადადებების მე-5 პუნქტთან დაკავშირებით, 24 სექტემბრის ნოტაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სრუტეების საიმედო დაცვა, როგორც თურქეთის, ასევე შავი ზღვის სხვა სახელმწიფოების ინტერესებიდან გამომდინარე, მხოლოდ თურქეთის მიერ შუძლებელია უზრუნველყოფილი იყოს. ანკარის ყურადღება ასევე მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ თუ თურქეთი, საბჭოთა კავშირის წინადადებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაიწყებდა სამხედრო ზომების მიღებას სრუტეებში არა შავი ზღვის რომელიმე სახელმწიფოთა ერთად, ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა შავი ზღვის სახელმწიფოების უსაფრთხოების ინტერესებს.

რაც შეეხება გაეროს, საბჭოთა ნოტაში აღნიშნულია, რომ 1946 წლის 7 აგვისტოს ნოტაში გადმოცემული წინადადებები სრულად შეესაბამება ამ ორგანიზაციის პრინციპებსა და მიზნებს.

სრუტეების რეჟიმის შესახებ კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით, როგორც ეს აღნიშნულია 1946 წლის 22 აგვისტოს თურქეთის ნოტაში, სსრ კავშირის მთავრობამ განაცხადა, რომ ასეთ კონფერენციას უნდა წინ უნდა უძღოდეს მთავრობებს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების საფუძველზე საკითხის სრული განხილვა, როგორც ეს გათვალისწინებულია ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციის გადაწყვეტილებით.

თურქეთის მთავრობამ 1946 წლის 18 ოქტომბრის ნოტით შესთავაზა შემდეგი ცვლილებების შეტანა 1936 წლის მონტრეს კონვენციის ტექსტში:

1. გადაიხედოს კონვენციის II დანართი. ამ დანართში მოცემულია სხვადასხვა სამხედრო გემების დახასიათება, მათი ტონაჟი და ა.შ.
2. მონტრეს კონვენციის დებულებებმა ერთა ლიგის როლისა და შუამავლობის შესახებ ადგილი უნდა დაუთმოს გაეროს მიერ დადგენილ სისტემას.
3. იაპონია ამოღებულ იქნას ხელშემკვრელი მხარეების სიიდან, ხოლო შეერთებული შტატები უნდა ფიგურირებდეს, როგორც შესწორებული ტექსტის ხელმომწერი.

ასევე ითქვა, რომ რესპუბლიკის მთავრობა კვლავ შეახსენებს საკუთარ სურვილს, რომ არ შეუქმნის არანაირ დაბრკოლებებს, მონტრეს კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობით,

საერთაშორისო კონფერენციაზე კონვენციით დადგენილი რეჟიმის გადასინჯვის შესახებ ამ სახელმწიფოების ნებისმიერი მოთხოვნის განხორციელებაში.

თურქეთის მთავრობა თავის ნოტაში ეხება შავი ზღვის სახელმწიფოების ზოგიერთ პრივილეგიას სრუტეებში მათი სამხედრო ხომალდების გავლის შესახებ, რომლებსაც შეიცავს მონტრეს კონვენცია. "გამონაკლისები, რომლებიც გაკეთდა მონტრეს კონვენციაში, სრუტეების თავისუფალი გავლის პრინციპთან დაკავშირებით შავი ზღვის სახელმწიფოების სამხედრო გემების სასარგებლოდ, არ მიუთითებს შავი ზღვის სახელმწიფოების გამორიცხვის შესაძლებლობაზე მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად არსებული რეჟიმის ზოგიერთ რეგლამენტში შესწორებების შეტანაზე, მაგრამ საჭიროა გადახედვას საფუძველად ედოს თანასწორობის პრინციპი და ყველა სახელმწიფოს თანხმობა, რომელიც დაინტერესებულია ამ პრობლემის გონივრული მოგვარებით.

თურქეთის მთავრობის მიერ წამოყენებული ეს პრინციპი მიზნად ისახავდა შავი ზღვის სახელმწიფოების პრივილეგიების აღმოფხვრას სრუტეებში მათი სამხედრო ხომალდების გასასვლელად, რომლებიც მონტრეს კონვენციაშია დაფიქსირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვთან ნოტებით მიმოწერას სრუტეების საკითხთან დაკავშირებით, ანკარა ლონდონთან ათანხმებდა. ასევე ლონდონთან შეთანხმდა ზემოაღნიშნული ყველა სახელმწიფოს "თანასწორობის" პრინციპი სრუტეებში მათი სამხედრო გემების გასვლასთან დაკავშირებით.

ასე შეტრიალდა ჩერჩილის არაერთი განცხადებები სსრკ სამხედრო-საზღვაო ძალების თბილ ზღვებში თავისუფალი გადასვლის აუცილებლობის შესახებ. თანასწორობის პრინციპის აღნიშვნისას, "თურქეთის მთავრობამ, ამგვარად, უარყო 1946 წლის 7 აგვისტოს საბჭოთა ნოტის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული პრინციპები.

1946 წლის 18 ოქტომბრით დათარიღებულმა თურქულმა ნოტამ დაადასტურა თურქეთის მთავრობის ნეგატიური დამოკიდებულება 1946 წლის 7 აგვისტოს საბჭოთა ნოტის მე-4 და მე-5 პუნქტების მიმართ. "რესპუბლიკის მთავრობა", - ნათქვამია 18 ოქტომბრის ნოტაში, "იძულებულია კიდევ ერთხელ გაიმეოროს, რომ 7 აგვისტოს საბჭოთა ნოტის მე-5 პუნქტი შეუთავსებელია თურქეთის

სუვერენიტეტის განუყოფელ უფლებებთან და მის უსაფრთხოებასთან, რაც არ ექვემდებარება რაიმე შეზღუდვას." (Kuniholm, 1994:233-239)

ამ მხრივ, გასახსენებელია, რომ 1939 წელს, როდესაც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ომის ღრუბლები იკრიბებოდა, ეს იყო თურქეთის მთავრობა, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებდა სსრკ-სთან აგრესიის შემთხვევაში სამხედრო დახმარების გაწევაზე, მათ შორის სრუტეებისა და შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მაშინ, რა თქმა უნდა, თურქეთის ხელმძღვანელობიდან არავის, მათ შორის პრეზიდენტს, არ უთქვამს, რომ ეს შეუთავსებელი იქნებოდა ქვეყნის სუვერენიტეტთან და უსაფრთხოებასთან. ასევე შეუძლებელია არ აღინიშნოს ამჟამად აშშ-ს სამხედრო ბაზებისა და საწყობების არსებობა თურქეთის ტერიტორიაზე. და თურქეთის მთავრობის არცერთი წევრი არ ამბობს, რომ ისინი შეუთავსებელია ქვეყნის სუვერენიტეტთან. არავინ ამბობს, რომ მის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების არსებობის გამო, თურქეთმა შეწყვიტა დამოუკიდებლობა. რაც შეეხება თურქეთის უსაფრთხოებას, ეს დამოკიდებულია ბაზების ხასიათსა და დანიშნულებაზე და მათ გამოყენებაზე. სსრკ-მ თურქულთან დამატებით, სრუტეების ზონაში საბჭოთა თავდაცვითი ბაზის შექმნა შესთავაზა. ასეთი ბაზა გააძლიერებს როგორც თურქეთის, ასევე შავი ზღვის სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოებას.

1946 წლის 18 ოქტომბრის ნოტის დასკვნაში, თურქეთის მთავრობამ გამოთქვა ეჭვი "მომავალში მიმოწერის გზით აზრთა გაცვლის გაგრძელების სარგებლიანობასა და დროულობაზე. მთავრობის აზრით, ნიადაგი საკმარისად შემზადებულია იმისთვის, რომ დაიწყოს კონვენციის გადასინჯვის პროცედურა."

დაადასტურა რა საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება 1946 წლის 7 აგვისტოს საბჭოთა ნოტის მე-4 და მე-5 პუნქტებთან დაკავშირებით, თურქეთის მთავრობამ გამოთქვა მზადყოფნა მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში, რათა დაიწყოს მოლაპარაკებები მონტრეს კონვენციის გადასინჯვაზე. (Kuniholm, 1989:240-241)

1946 წლის 26 ოქტომბრს სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ.გ. დეკანოზოვმა ბრიტანეთის ელჩს მ. პეტერსონს გაუგზავნა 9 ოქტომბრის წერილის პასუხი. წერილში ნათქვამია, რომ "სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო არ

ოზიარებს მოსაზრებას, რომ ბერლინის კონფერენციით გათვალისწინებული სამივე მთავრობასა და თურქეთის მთავრობას შორის პირდაპირი მოლაპარაკებები დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

ამასთან დაკავშირებით, ნაადრევია შავი ზღვის სრუტეებისთვის ახალი რეჟიმის დასამყარებლად კონფერენციის მოწვევის საკითხის განხილვა.“ (Raxdale,1993:126-129)

ერთი თვის შემდეგ, 1946 წლის 28 ნოემბერს, ელჩმა მ. პეტერსონმა უპასუხა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვ. გ. დეკანოზოვის 26 ოქტომბრის წერილს. ელჩმა დაწერა, რომ ”ამჟამად მიზანს მოკლებულია პირდაპირი მიმოწერის გაგრძელება ცალ-ცალკე სამივე მთავრობასა და თურქეთის მთავრობას შორის. ბრიტანეთის მთავრობის აზრით, ამ პრობლემის შემდგომი განხილვა უნდა ჩატარდეს საერთაშორისო კონფერენციაზე.”(Raxdale,1993:130)

1946 წლის 2 დეკემბერს მინისტრის მოადგილემ ვ.გ. დეკანოზოვმა ელჩის მ. პეტერსონისადმი გაგზავნილი წერილით დაადასტურა მისი 1946 წლის 28 ნოემბრის წერილის მიღება.

ამით დასრულდა მიმოწერა როგორც შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის ახალ პრინციპებზე, ასევე 1936 წელს მონტრეში დადებული კონვენციის გადასინჯვის კონფერენციის მოწვევის შესახებ.

მონტრეს კონვენცია უცვლელი დარჩა. ის კვლავ არეგულირებს შავი ზღვის სრუტეების რეჟიმს.

იბადება კითხვა, თუ რატომ წამოაყენა სსრ კავშირის მთავრობამ თავის წერილში 1946 წლის 7 აგვისტოს შეთავაზება სრუტეებში საბჭოთა სამხედრო ბაზის შექმნის შესახებ, თუმცა თურქეთის მთავრობამ უარყო ეს წინადადება 1945 წლის ივნისში მოსკოვში თურქეთის ელჩთან მოლაპარაკებების დროს, ხოლო ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი ჩერჩილი მკაცრად დაუპირისპირდა მას ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაზე 1945 წლის ივლისში. ამავე დროს, ჩერჩილმა თქვა: ”დარწმუნებული ვარ, რომ თურქეთი ამას არასდროს დათანხმდება”. ეს ნიშნავდა, რომ ბრიტანეთის მთავრობა სწორედ ამ მიმართულებით მოახდენდა ზეწოლას თურქეთის მთავრობაზე.

ჩერჩილი, აცნობიერებდა რა საბჭოთა კავშირისთვის შავი ზღვის სრუტეებზე თავისი სამხედრო ხომალდების თავისუფალი გავლის მნიშვნელობას, მთელი ომის განმავლობაში, ყველანაირად აღვივებდა სტალინის ინტერესს ამ პრობლემისადმი, იმედოვნებდა, რომ სსრკ თურქეთის წინააღმდეგ განაწყობდა და მათ შორის მრავალი წლის მანძილზე გააფუჭებდა ურთიერთობებს. საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა თავისი წინადადებები და მიიღო უარი როგორც თურქეთის მთავრობიდან, ასევე ინგლისისა და შეერთებული შტატების მთავრობებიდან ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაზე. სწორედ პოტსდამში გამოავლინეს ამერიკისა და ბრიტანეთის მთავრობებმა თავიანთი მიზნები - მათ სურდათ საბჭოთა კავშირისა და შავი ზღვის სხვა სახელმწიფოებისთვის სამხედრო-საზღვაო ხომალდების სრუტეებში გატარების იმ მცირე პრივილეგიების წართმევა, რომლებიც მონტრეს კონვენციით იყო განსაზღვრული. და შავი ზღვის სრუტეების ინტერნაციონალიზაცია. და ამ ყველაფრის მიუხედავად, რეალობის გათვალისწინების გარეშე, 1946 წლის აგვისტოში საბჭოთა მთავრობამ თურქეთის მთავრობისთვის ნოტაში კვლავ წამოაყენა წინადადებები შავი ზღვის სრუტეების შესახებ, რომლებიც ამჯერადაც უარყვეს როგორც თურქეთმა, ასევე შეერთებულმა შტატებმაც და დიდმა ბრიტანეთმაც. ასეთი ნოტის გაგზავნა, ისევე როგორც საბჭოთა პრესაში ყარსისა და არდაჰანის დაბრუნების კამპანიის გაგრძელება, იყო საბჭოთა მთავრობის უხეში შეცდომები და არასწორი გათვლები.

1953 წელს ლონდონში გამოქვეყნებული საერთაშორისო ურთიერთობების მიმოხილვა 1939-1946 წლებში ხაზს უსვამს იმას, რომ "ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაზე სტალინს სამი მიზანი ჰქონდა: პირველი - დიდი რეპარაციის მიღება გერმანიიდან, მეორე - აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ახალი რეჟიმების აღიარების უზრუნველყოფა ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მიერ, და მესამე - უსაფრთხოების ზონის შექმნა საბჭოთა კავშირის გარშემო, განსაკუთრებით სამხრეთით. ძნელია თქვა - ნათქვამია მიმოხილვაში - ჰქონდა თუ არა მას იმედი ინგლისსა და შეერთებული შტატების მხრიდან ამაზე თანხმობის მიღებაზე პოტსდამში (უნდა გავიხსენოთ, რომ თეირანში ჩერჩილმა და რუზველტმა გამოხატეს თანაგრძნობა რუსების სურვილზე სამხრეთით ყინულისგან თავისუფალი ნავსადგურები ჰქონდეთ) ან უფრო იმაზე ფიქრობდა,

რომ შესძლებდა დასავლეთის სახელმწიფოების მომხდარი ფაქტის წინაშე დაყენებას და მათ რამის შეცვლის ძალა აღარ ექნებოდათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ სტალინს ერჩივნა ჰარმონიულად ემოქმედა დასავლეთთან და, როგორც მოვლენებმა აჩვენა, მან გადაწყვიტა არ გაერისკა, მოქმედებდა რა ინგლისისა და ამერიკის გადამწყვეტი ოპოზიციის მიუხედავად.” (Raxdale,1993:131-132)

მოსკოვის მიერ თურქეთთან ურთიერთობაში დაშვებულმა შეცდომებმა გააფუჭა საბჭოთა-თურქეთის ურთიერთობები მრავალი წლის განმავლობაში.

ამერიკის მთავრობამ ისარგებლა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის არასწორი გათვლებით, რათა განემტკიცებინა შეერთებული შტატების პოზიცია თურქეთში, გადააქცია იგი პლაცდარმად სსრკ-ს წინააღმდეგ. ანკარამ მიიღო "ტრუმენის დოქტრინა" (1947 წლის მარტი) და ამერიკული დახმარება. 1952 წლის თებერვლიდან თურქეთი გახდა ნატოს სამხედრო ბლოკის წევრი, ამ ორგანიზაციის სამხრეთ ფლანგის საყრდენი. (Vali,1972:250)

## თავი IV. შავი ზღვის სრუტეები და “ახალი გეოპოლიტიკა”

### 4.1 სრუტეების საკითხი გლობალური ცვლილებების პერიოდში (ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის დაპირისპირება)

1953 წლის მარტში გარდაიცვალა ი.ბ.სტალინი. საბჭოთა მთავრობამ, გ.მ. მალენკოვის მეთაურობით, შეისწავლა სსრკ-სა და მეზობელ სახელმწიფოებს, მათ შორის თურქეთს შორის ურთიერთობების მდგომარეობა. მოსკოვი მივიდა დასკვნამდე, რომ საბჭოთა-თურქეთის ურთიერთობები არ შეესაბამება ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დონეს და არ აკმაყოფილებს არც საბჭოთა კავშირის და არც თურქეთის ინტერესებს.

1953 წლის 30 მაისს ვ.მ.მოლოტოვმა, რომელიც კვლავ გახდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, მიიწვია თურქეთის ელჩი ფაიკ ხოზარი და მისთვის განცხადება გააკეთა, რომელშიც, ნათქვამი იყო: 1925 წლის საბჭოთა-თურქეთის ხელშეკრულების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, საბჭოთა-თურქეთის ურთიერთობების მოგვარების საკითხი ორივე ქვეყნის წარმომადგენლებს შორის ოფიციალური საუბრისას რამდენიმე წლის წინ წამოიჭრა. ამ საუბრებში წარმოდგენილი იყო სომხეთის სსრ-ს და საქართველოს სსრ-ს ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის წინააღმდეგ, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის მოსაზრებები შავი ზღვის სრუტეებიდან სსრკ-ს უსაფრთხოებისთვის შესაძლო საფრთხის აღმოფხვრის შესახებ. თურქეთის მთავრობამ და საზოგადოებრივმა წრეებმა ეს მტკივნეულად აღიქვეს, რაც არ შეიძლება გარკვეულწილად არ ასახულიყო საბჭოთა - თურქეთის ურთიერთობებზე.

ამრიგად, საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირს არ გააჩნია ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამ განცხადების ტექსტი გადასცა თურქეთის რესპუბლიკის ელჩს.

1953 წლის 18 ივლისს თურქეთის ელჩი ფ. ხოზარი ეწვია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს და გააკეთა განცხადება თურქეთის მთავრობის სახელით და აღნიშნა, რომ თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა გაეცნო საბჭოთა კავშირის მთავრობის 1953 წლის 30 მაისის განცხადების ტექსტს: ”თურქეთის

რესპუბლიკის მთავრობა კმაყოფილებით იღებს განცხადებას, რომელშიც საბჭოთა კავშირის მთავრობა აცხადებს, რომ მას არ გააჩნია არანაირი ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ.

თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნებისა და მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაზე ზრუნვა, რაც ამ განცხადებაშია ხაზგასმული, სრულად შეესაბამება იმ ზრუნვას, რომელსაც თურქეთი ყოველთვის იჩენდა და კვლავაც გამოიჩენს.

რესპუბლიკის მთავრობა საჭიროდ თვლის ხაზგასმით აღნიშნოს, რომ შავი ზღვის სრუტეების საკითხი, რაც საბჭოთა მთავრობასაც მოეხსენება, რეგულირდება მონტრეს კონვენციის დებულებებით.

საბჭოთა და თურქეთის ურთიერთობებში გაუცხოების პერიოდს ხაზი გადაესვა.

ამის მიუხედავად, ვითარება შავი ზღვის რეგიონში რთული რჩებოდა იმის გამო, რომ თურქეთში ნატოს მოკავშირეების და, უპირველეს ყოვლისა, შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდები სრუტეებს ხშირად სტუმრობდნენ. ეს საბჭოთა მხრიდან პროტესტებს იწვევდა, თუმცა ფორმალურად ასეთი ვიზიტები ტარდებოდა თავაზიანი ვიზიტების ფარგლებში, რაც არ ეწინააღმდეგება მონტრეს კონვენციას.

1953 წლის თებერვალში, თურქეთის დიდი ეროვნული ასამბლეის სხდომაზე სამხედრო ბიუჯეტის განხილვის დროს, დეპუტატი გენერალმა ა. საბირმა მხარი დაუჭირა დარდანელის ღიად გამოცხადებას ამერიკის სამხედრო ხომალდების თავისუფალი გასვლისათვის.

ამ უკიდურესად საშიშ წინადადებას, რომელიც არღვევდა მონტრეს კონვენციას და შეიძლება გამოეწვა სიტუაციის დესტაბილიზაცია შავი ზღვის რეგიონში და მთელ მსოფლიოში, უარყოფითად აღიქმებოდა თურქეთის სოციალურ-პოლიტიკურ წრეებში. თავად ამერიკელებმაც მას მხარი არ დაუჭირეს.

გენერალ საბირის განცხადების კომენტარებისას, თურქულმა პრესამ აღნიშნა, რომ ეს მისი პირადი მოსაზრებაა და არ წარმოადგენს არც მთავრობის აზრს და არც სხვა ორგანიზაციის მოსაზრებას და რომ არა შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო ხომალდების შესვლამ შავ ზღვაში შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული



პოლიტიკური კონფლიქტი და ამის გამართლება არ შეიძლება არც ტაქტიკური და არც სტრატეგიული მოსაზრებებით.

ამავდროულად, შავი ზღვის სრუტეები ნატოს წევრი ქვეყნების ყურადღების ცენტრში დარჩა და გაიზარდა სრუტეების მომნახულე უცხოური სამხედრო ხომალდების რაოდენობა. ამან მოსკოვში უკმაყოფილება გამოიწვია. თურქეთში საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლებმა გულდასმით შეისწავლეს შექმნილი ვითარება და მოსკოვს აცნობეს ამის შესახებ. მხოლოდ 1953 წელს 6 თვის განმავლობაში სრუტეებს 60 სამხედრო გემი ეწვია. მაგალითად, ამერიკული გამანადგურებლები სტამბოლის პორტში იმყოფებოდნენ 1952 წლის 10-15 დეკემბერს, 1953 წლის 27 დეკემბერს - 2 იანვარს, იანვრის შუა რიცხვებში, 1953 წლის 16-24 მარტს, 4 აპრილს. სრუტეებში ამერიკულთან ერთად დიდი ბრიტანეთისა და ნატოს სხვა ქვეყნების სამხედრო გემები შემოდის.

სსრკ-ს შეშფოთება სრუტეებში არა შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო ხომალდების მზარდი რაოდენობის შესახებ გამოხატული იყო საბჭოთა მთავრობის ნოტიო, რომელიც გადაეცა თურქეთის ელჩს მოსკოვში ხოზარს. მასში ნათქვამია, რომ უცხოური სამხედრო ხომალდების მიერ შავი ზღვის სრუტეებზე ვიზიტების გაზრდილი სიხშირე შეიძლება შეფასდეს "როგორც ერთგვარი სამხედრო დემონსტრაცია"(Vali,1972:255-259)

თურქული მხარე ირწმუნებოდა, რომ ეს არ იყო მონტრეს კონვენციის დარღვევა და საბჭოთა ხელმძღვანელობის შეშფოთების მოხსნის მიზნით, მან დამატებითი ინფორმაციის მიწოდება შესთავაზა.

ახალი ბზარები გაჩნდა სსრკ-სა და თურქეთს შორის ურთიერთობებში, თურქეთზე ნატოს გავლენის გამო.

თურქეთის პრემიერ მინისტრმა ა. მენდერესმა თურქეთის დიდი ეროვნული ასამბლეის 1953 წლის 1 ნოემბრის სხდომის გახსნისას თავის სიტყვაში სსრ კავშირი დაადანაშაულა ურთიერთობების დაძაბვაში, მაგრამ უკვე ერთი თვის შემდეგ მან თქვა, რომ თურქი ხალხი ჯერ ვერ ხედავს ცვლილებებს რუსეთის პოლიტიკაში წარსულთან შედარებით.

საბჭოთა კავშირმა თანმიმდევრულად განაგრძო კურსი საბჭოთა და თურქეთის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად.

1955 წლის 29 დეკემბერს სსრკ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას, სსრკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ.შ. ხრუშჩოვმა, მათი მდგომარეობის შეფასებისას, დაადანაშაულა ორივე მხარე მათ გაუარესებაში, ამგვარად, აღიარა საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომებიც. მან ასევე აღნიშნა, რომ საბჭოთა მხარის სურვილია აღადგინონ მეგობრული ურთიერთობები თურქეთთან, თუმცა ამგვარი ნაბიჯების სურვილი არ იგრძნობა თურქული მხარიდან. (Gorodetsky, 1994:233-234)

ხრუშჩოვმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ 1955 წლის თებერვალში თურქეთის ბაღდათის პაქტში შესვლის შემდეგ, მისი ტერიტორიის გამოყენება დასავლურმა ძალებმა და, უპირველეს ყოვლისა, შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს "ძალის დემონსტრირებისთვის" და სსრკ-ს დასაშინებლად, რასაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ორმხრივ ურთიერთობებზე.

მისდევდა რა საკუთარ კურსს თურქეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად სსრკ-მ არაერთხელ განაცხადა, რომ იგი არ მიიჩნევს თურქეთის მონაწილეობას სამხედრო ბლოკებში, როგორც ურთიერთობების გაუმჯობესების დაბრკოლებას.

მაგრამ, თურქეთს, რომელსაც შეერთებული შტატები და ნატოს სხვა მოკავშირეები უჭერენ მხარს, არ გადაუდგამს არანაირი ნაბიჯები საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად და თეზისიც კი წამოაყენა, რომ ასეთი გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდეს, თუკი "ნდობის ატმოსფერო" შეიქმნება. სსრკ-სა და სხვა დიდ სახელმწიფოებს შორის.

ამის მიუხედავად, საბჭოთა ხელმძღვანელობის მუდმივმა მოწოდებებმა და ინიციატივებმა შედეგი გამოიღეს. თურქეთის სოციალურ-პოლიტიკურ წრეებში განწყობილებები გაიზარდა სსრკ-სთან ურთიერთობის გაუმჯობესების სასარგებლოდ. ამან გამოიწვია კონტაქტების სხვადასხვა დონეზე განვითარება, რამაც ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზებას.

მაგრამ თურქეთის მთავრობის გეგმებში მთავარი ადგილი დაეთმო ნატოს და სენტოს ბლოკებში თანამშრომლობას, მეგობრული ურთიერთობების განვითარებას შეერთებულ შტატებთან და სხვა მოკავშირეებთან. მართალია, მათში ასევე აღნიშნული იყო ურთიერთობების განვითარების სურვილი მეზობელ

სახელმწიფოებთან, კერძოდ სსრკ-სთან. თურქული მხარე სიფრთხილეს იჩენდა ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების სურვილის შესახებ განცხადებების პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით.

საბჭოთა და თურქეთის მეგობრული ურთიერთობების აღდგენა და საქმიანი თანამშრომლობა ნელა მიმდინარეობდა და პრაქტიკულად დაიწყო მხოლოდ 60-იანი წლების მეორე ნახევარში.

1964 წელს მოსკოვში ხელი მოეწერა საბჭოთა - თურქეთის შეთანხმებას კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ და მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იქნა რატიფიცირებული თურქეთის პარლამენტის მიერ, ფაქტობრივად, ამის საფუძველზე, ორ ქვეყანას შორის ორწლიანი კულტურული გაცვლითი პროგრამების გაფორმება დაიწყო. მომდევნო წლის დასაწყისში, პირველად მრავალი წლის განმავლობაში, უმაღლეს დონეზე ოფიციალური საპარლამენტო ვიზიტი განხორციელდა თურქეთში.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შედგა საგარეო საქმეთა მინისტრების, მოგვიანებით სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურების ვიზიტები. 1967 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას თურქეთში არაერთი სამრეწველო ობიექტის მშენებლობაში თანამშრომლობის შესახებ, საბჭოთა კავშირის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შემდგომ განვითარებას ხელი შეუწყო 1972 წელს სსრკ-სა და თურქეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების პრინციპების შესახებ დეკლარაციის ხელმოწერამ. 1973 წელს საბჭოთა კავშირ - თურქეთის საზღვრის რედემარკაცია მოხდა. 1975 წელს სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა.ნ. კოსიგინი ეწვია თურქეთს, ხოლო 1978 წელს თურქეთის პრემიერ მინისტრი ბ. ეჯივიტი საპასუხო ვიზიტით იმყოფებოდა მოსკოვში, რის შედეგადაც ხელი მოეწერა პოლიტიკურ დოკუმენტს კეთილმეზობლური და მეგობრული თანამშრომლობის პრინციპების შესახებ. გარდა ამისა, 1978 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებებს ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ და 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, ხოლო 1984 წელს ეკონომიკური, სავაჭრო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების გრძელვადიან პროგრამას 10 წლის ვადით, 5

წლით გაგრძელებით, მხარეთა შეთანხმებით. იმავე 1984 წელს დაიდო შეთანხმება საბჭოთა კავშირის მიერ 25 წლის ვადით ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე, რამაც ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომ ზრდას.

ამავე დროს, თურქეთი ავითარებდა ევროკავშირში გაწევრიანებისკენ და საკუთარი ეკონომიკის განვითარების კურსს დასავლური ძალების დახმარებით. ამისათვის შეერთებულმა შტატებმა და ნატოს წევრმა სხვა ქვეყნებმა თურქეთს მოსთხოვეს რეჟიმის გამკაცრება სრუტეებში მსხვილი საბჭოთა სამხედრო გემების გასვლისათვის.

თუმცა, თურქეთი არ ატარებდა რეჟიმის გამკაცრების ზომებს, ვინაიდან ეს არ შეესაბამებოდა მონტრეს კონვენციის დებულებებს.

60-იანი წლების ბოლოდან შეერთებულმა შტატებმა დაიწყო სამხედრო-საზღვაო ძალების გაზრდა ხმელთაშუა ზღვაში, რაც საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა კავშირს, რადგან მისი სამხედრო ხომალდები შეიძლებოდა შავ ზღვაში დაბლოკილი აღმოჩენილიყო. შეერთებული შტატებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად და საკუთარი უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, სსრკ მთავრობამ დაიწყო თანამედროვე დიდი სამხედრო ხომალდების გაგზავნა ხმელთაშუა ზღვაში.

70-იანი წლების დასაწყისში ავიამზიდმა კრეისერებმა "მოსკვამ" და "ლენინგრადმა" გაიარეს სრუტეები, ხოლო 1976 წელს ავიამზიდმა კრეისერმა "კიევი". საბჭოთა კავშირმა კიევი შეაფასა, როგორც წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო კრეისერი, და მიუხედავად იმისა, რომ ნატო არ ეთანხმებოდა ამ განმარტებას, თურქეთმა, მკაცრად დაიცვა მონტრეს კონვენცია და დაუშვა გემის გავლა.

ამის მიუხედავად, ნატოს საბჭოსა და მის კომიტეტებში, შეერთებული შტატების ინიციატივით, განიხილავდნენ სრუტეებზე გამავალი საბჭოთა გემების სიმძლავრისა და შეიარაღების ხასიათის საკითხებს. ამგვარი ქმედებებით, შეერთებულმა შტატები და დასავლეთის სხვა ქვეყნები ცდილობდნენ შეეზღუდათ სსრკ-ს სამხედრო-საზღვაო ყოფნა ხმელთაშუაზღვისპირეთში და მსოფლიო ოკეანის სხვა აკვატორიებში. ნატომ ოფიციალური ზომები არ მიიღო და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მონტრეს კონვენციის მონაწილე ვერცერთმა ქვეყანამ ვერ

გაბედა მისი დარღვევა და არ დაუპირისპირდა მძლავრი გემების მიერ, თითმფრინავებით ბორტზე, სრუტეების გადალახვის უფლებას, და არ აპროტესტებდნენ ავიაშიდ კრეისერების განსაზღვრას როგორც, წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ხომალდებად.

ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, თურქეთი ხელს არ უშლიდა მსხვილი საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ხომალდების გავლას, რადგან ესმოდა, რომ ეს აუცილებლად მოახდენდა დამღპველ გავლენას ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განვითარებაზე.

თურქული მონაცემებით, მხოლოდ 1977 წელს 272 სამხედრო ხომალდმა გაიარა შავი ზღვის სრუტეები, მათი 91% საბჭოთა იყო. თავად თურქეთმა არაერთხელ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ვითარების ყველა ცვლილების მიუხედავად, კონვენცია ინარჩუნებს თავის ღირებულებას "თურქეთის მიერ მისი დებულებებისა და სულისკვეთების სკრუპულოზური დაცვის წყალობით".<sup>10</sup>

არა მხოლოდ საბჭოთა სამხედრო გემები სერავდნენ სრუტეების წყლებს. არა შავიზღვისპირეთის ქვეყნებმა ასევე გამოიყენეს კონვენციის დებულებები თავიანთი სამხედრო გემების სრუტეებში გასატარებლად, თურქეთის ხელისუფლების მოწვევით თავაზიანი ვიზიტების საბაბით.

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ეკონომიკის შემდგომმა განვითარებამ, საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ განაპირობა სრუტეებზე გამავალი გემების ნაკადის სწრაფი ზრდა. თუ 1946 წელს სტამბოლს 57 გემი ეწვია, ხოლო 120 სრუტის ტრანზიტი განხორციელდა, 1972 წელს - 516 და 6.841 შესაბამისად,<sup>11</sup> 80-იანი წლების დასაწყისში სრუტეებში ტრანზიტით გადიოდა დაახლოებით 100 გემი.

ნავიგაციის დატვირთულმა რეჟიმმა და ნაწილობრივ სრუტეების გავლის წესების დაუცველობამ სერიოზული ავარიები გამოიწვია.

სრუტეებში ნაოსნობის გამარტივებისა და უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად პირობების შექმნის მიზნით, 1982 წლის 1 მაისს თურქეთმა შემოიღო ბოსფორზე ნავიგაციის წესები. წესებმა გავლენა არ მოახდინა სამხედრო გემებით სრუტეების გავლაზე. ფაქტობრივად, ეს იყო ტექნიკური ინსტრუქციები სავაჭრო გემების გასავლელად. მაგალითად, მათ აუკრძალეს ნებისმიერ გემს

სტამბოლის ხიდის საყრდენებთან 50 მ-ზე მეტ მანძილზე მიახლოება, 10 კვანძზე მეტი სიჩქარით მოძრაობა, რაც შეადგენს 18,5 კმ / სთ, გარკვეულ შემთხვევებში ყველა უცხოურ სავაჭრო გემს უწევდა თურქი ლოცმანის აყვანა და ა.შ.

თურქეთის მიერ ბოსფორის ნავიგაციის წესების ცალმხრივად დანერგვამ, გაეროს მთავრობათაშორის საზღვაო საკონსულტაციო ორგანიზაციასთან მიმართვის გარეშე<sup>13</sup> და იმ მთავარ ქვეყნებთან შეთანხმების გარეშე, რომელთა გემებიც სრუტეებს იყენებენ, უკანასკნელთა უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია. გემთმფლობელებისა და სავაჭრო კომპანიების პროტესტმა თურქეთის მიერ გემების გადაზიდვის საფასურის ათჯერ გაზრდასთან დაკავშირებით, რომელიც მან 1982 წლის ნოემბერში შემოიღო<sup>14</sup> და რომელიც მოიცავდა სხვადასხვა სახის მოსაკრებელს, არანაირი შედეგი არ გამოიღო.

მიუხედავად ამისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის ძალთა ბალანსი, ბირთვულის ჩათვლით, რომელიც არსებობდა ორ მსოფლიო სუპერსახელმწიფოს - სსრკ-სა და აშშ-ს შორის და ნატოსა და ვარშავის პაქტის სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებს შორის, ისევე როგორც თურქეთის რეალისტური პოლიტიკა აისახებოდა შავი ზღვის სრუტეებში არსებულ ვითარებაზე, მონტრეს კონვენციის იგნორირების ან დარღვევის შესაძლებლობის გარეშე.

#### 4.2. გეოპოლიტიკური ცვლილებები მე -20 საუკუნის მიჯნაზე და სრუტეებზე რეჟიმთა რევიზია

მე -20 საუკუნის ბოლოს აღინიშნა გლობალური ცვლილებები. საბჭოთა კავშირი დაინგრა, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები გამოჩნდა მსოფლიო რუკაზე. შავი ზღვის რეგიონში - ეს არის უკრაინა, საქართველო, მოლდოვა, რომელიც ზღვას უკავშირდება მდინარე დუნაის გავლით.

რუსეთის ეკონომიკაში რეცესიამ, მსოფლიო ასპარეზზე მისი პოზიციების შესუსტებამ, შიდა პოლიტიკური ვითარების არასტაბილურობამ, ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების შესუსტებამ ერთდროულად თურქეთის ეკონომიკური პოტენციალის ზრდასთან ერთად, მისი პრესტიჟისა და საერთაშორისო გავლენის ზრდამ აშშ-სა და ნატოს სხვა ქვეყნების აქტიური მხარდაჭერით განხორციელებულმა გავლენამ გამოიწვია ამ უკანასკნელის როლის გაზრდა შავი ზღვის რეგიონში.

80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში მომხდარმა ცვლილებებმა, ახალმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ შავი ზღვის რეგიონში ასევე გავლენა მოახდინა რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობებზე, მათ ადგილზე ახალ პოლიტიკურ პირობებში.

ისარგებლა რა თურქეთისთვის შექმნილი ხელსაყრელი ვითარებით, თურქეთის მთავრობამ 1993 წლის ნოემბერში, თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ცალმხრივად მიიღო ახალი რეგლამენტი შავი ზღვის სრუტეების ზონაში საზღვაო ნაოსნობის წესის შესახებ. (Rozakis,1987:193-195) თურქეთის ხელისუფლება ამ ნაბიჯის მოტივირებას ხსნიდა სრუტეში გამავალი გემების რაოდენობის გაზრდით, ავარიების მნიშვნელოვანი რაოდენობით და წყლის არეალის ეკოლოგიური მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხებით.

აღნიშნული რეგულაციის რამდენიმე მუხლი ითვალისწინებს მნიშვნელოვან შეზღუდვებს, გარკვეული კატეგორიის გემების გავლის სრული აკრძალვის ჩათვლით, მათი სიგრძის, ტრანსპორტირებული ტვირთის და ა.შ., მიხედვით, რაც სცილდება ნავიგაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სრუტეებში ტექნიკური პრობლემების მოგვარების ფარგლებს.

"ლოიდს რეჯისტერის" ავტორიტეტული დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებით, შავი ზღვის სრუტეებზე სატრანსპორტო დატვირთვა მაღალია, მაგრამ თურქეთის პრეტენზიების მიუხედავად, იგი ზღვრულიდან შორს არის. გემების უბედური შემთხვევის მაჩვენებელთან დაკავშირებით არახელსაყრელი მდგომარეობა ძირითადად დაკავშირებულია თურქეთის სანაპირო სამსახურების ორგანიზაციისა და აღჭურვილობის არასაკმარის დონესთან. მათი ტექნიკური აღჭურვილობის დონის გაზრდით, შავი ზღვის სრუტეებში გემების საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მნიშვნელოვნად გაზრდა შეიძლება.

1994 წლის 16-25 მაისს ლონდონში საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის საზღვაო უსაფრთხოების კომიტეტის სხდომაზე განიხილეს თურქეთის მიერ მისი რეგლამენტის საფუძველზე მომზადებული სრუტეებით ნაოსნობის წესები. კომიტეტმა თურქეთის რეგლამენტიდან ამოიღო ყველა დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება კომიტეტის გადაწყვეტილებებს. კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ სანაპირო სახელმწიფოს (ანუ თურქეთის) მიერ მიღებული ეროვნული წესები სრულად უნდა შეესაბამებოდეს წესებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც კომიტეტმა დაამტკიცა მაისში (ძალაში შევიდა 1994 წლის ნოემბერში).

სრუტეებში საზღვაო ნაოსნობის წესების ახალმა დებულებამ სირთულეები შეუქმნა რუსული გემების გადაადგილებას. მოსკოვმა არაერთხელ მიიპყრო თურქული მხარის ყურადღება შავი ზღვის სრუტეებში არსებული საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმის ცალმხრივი შეცვლის დაუშვებლობაზე და გამოთქვა იმედი, რომ თურქეთი გადახედავს პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით.

რუსეთის პოზიცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით გადმოცემულია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტაში 1994 წლის 17 ივნისს მოსკოვში თურქეთის საელჩოსთვის და 1994 წლის 30 ივნისის რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მემორანდუმში, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია რომ რუსული გემები შავი ზღვის სრუტეების გავლის დროს დაიცავენ იმ დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს და საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს.

საერთაშორისო ზეწოლის გარკვეულწილად შემსუბუქების მიზნით, თურქეთის მთავრობამ 1994 წლის ნოემბერში შემოიღო ინსტრუქცია რეგლამენტის



გამოყენების შესახებ, რომელიც უფრო მოქნილი ხასიათისაა (კერძოდ, სავალდებულო აღარ არის ლოცმანის გაცილება და ბუქსირება). ამასთან, ინსტრუქცია არის ადმინისტრაციული დოკუმენტი, რომელიც ვერ გააუქმებს დებულებას, რომელიც წარმოადგენს საკანონმდებლო აქტს; უფრო მეტიც, თავად ინსტრუქცია შეიძლება გაუქმდეს ან გამკაცრდეს ნებისმიერ დროს ადმინისტრაციული პირის უბრალო ბრძანებით. ამგვარად, თურქეთი კვლავ უარს ამბობდა გადაეხედა საკუთარი პოზიციისთვის სრუტეებში ნაოსნობის წესებთან დაკავშირებით და გაეუქმებინა ან ფუნდამენტურად გადაემუშავებინა საკუთარი რეგლამენტი საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის საზღვაო უსაფრთხოების კომიტეტის წესებისა და რეკომენდაციების საფუძველზე.

უფრო მეტიც, თურქეთი ცდილობს გამოიყენოს რეგიონალური და საერთაშორისო საპარლამენტო ორგანიზაციები, მაგალითად, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა, იმის იმედად, რომ მათი კომიტეტების სხდომებზე მიაღწიოს რეკომენდაციების მიღებას, რომლებიც ფაქტიურად მხარს დაუჭერდნენ თურქეთის პოზიციას. ამასთან, სრუტეებში გემების გავლის პრობლემა აისბერგის მხოლოდ ნაწილია. თურქეთის განზრახვები გაცილებით ფართოა. სინამდვილეში, თურქეთი ცდილობს მნიშვნელოვნად შეზღუდოს რუსული ტანკერების გავლა ხმელთაშუაზღვისპირეთში, ამით შეამციროს ნავთობის ექსპორტი და აიძულოს რუსეთი და დსთ-ს სხვა ქვეყნები შეთანხმდნენ ნავთობის ექსპორტზე არა საზღვაო გზით, არამედ ნავთობსადენებით, მათი თურქეთის ტერიტორიაზე გატარებით.

ეს ეხება აზერბაიჯანისა და ყაზახეთის საბადოებიდან ნავთობის ტრანსპორტირებას. მიუხედავად იმისა, რომ თურქული მხარე შირმად იყენებდა რეგიონის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე წუხილს, რაც რა თქმა უნდა გაგებას პოულობს, და სრუტეების უუნარობას გაუმკლავდეს ახალ ამოცანას, მთავარი ეს არ იყო. საქმე ეხება აშშ-ს, თურქეთის, აზერბაიჯანისა და ნავთობის კონსორციუმებში მონაწილე სხვა ქვეყნების კოლოსალურ ფინანსურ, პოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს.

თურქული მედია არ მალავს, რომ თურქეთის მკაცრი პოზიციის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც უარი თქვა გაეუქმებინა ან ფუნდამენტურად გადაემუშავებინა

საკუთარი რეგლამენტი საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის საზღვაო უსაფრთხოების კომიტეტის წესებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, იყო მოლოდინი, რომ რეგლამენტის თანახმად შეზღუდულიყო მძიმე სატვირთო გემების გავლა, შეიძლება პრაქტიკულად გამოიწვიოს ის, რომ კასპიის ნავთობის ექსპორტი ძირითადად განხორციელდება არა რუსეთის, არამედ თურქეთის ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების მეშვეობით.

თურქების მკაცრი პოზიციის კიდევ ერთი ახსნა ის არის, რომ თურქეთს, როგორც ნატოს წევრს, მხარს უჭერენ შეერთებული შტატები და დასავლეთის წამყვანი ქვეყნები. თუ ექვსი წამყვანი საზღვაო ქვეყნის შეხვედრაზე 1994 წელს შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთის სხვა ქვეყნებმა რუსეთს დახმარება აღუთქვეს სრუტეებში გემების გავლის საკითხში, შემდეგ 1995 წელს ბონში გამართულ შეხვედრაზე მათი პოზიცია უფრო თავშეკავებული იყო და აშშ-ს წარმომადგენელმა თქვა, რომ "ნავიგაციის თავისუფლების აბსოლუტირება შეუძლებელია" და რომ "თურქეთს არ შეიძლება მოეთხოვოს კანონმდებლობის შეცვლა".

